ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9

ფინანსური ინსტრუმენტები

1-ლი თავი მიზანი

1.1 წინამდებარე სტანდარტის მიზანია *ფინანსური აქტივებისა* და *ფინანსური ვალდებულებების* ანგარიშგებისთვის ისეთი პრინციპების დადგენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უზრუნველყოფს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის, მოძრაობის დროსა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესაფასებლად შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით.

მე-2 თავი მოქმედების სფერო

2.1 ნებისმიერმა საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა სახის ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ, გარდა:

ა) თავიანთი წილისა შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, რომლის აღრიცხვაც ხდება ფასს 10-ის - *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“*, ბასს 27-ის - *„ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“*, ან ბასს 28-ის - *„ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“* - მიხედვით. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფასს 10, ბასს 27, ან ბასს 28 საწარმოს ავალდებულებს, ან უფლებას აძლევს, რომ შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში ფლობილი წილები აღრიცხოს წინამდებარე სტანდარტის ზოგიერთი, ან ყველა მოთხოვნის შესაბამისად. საწარმოებმა ეს სტანდარტი უნდა გამოიყენონ ასევე შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოში ფლობილ წილებთან დაკავშირებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის, თუ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები არ აკმაყოფილებს საწარმოს „წილობრივი ინსტრუმენტის“ განმარტებას, რომელიც განსაზღვრულია ბასს 32-ში - *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“*;

ბ) იჯარიდან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ფასს 16 – *„იჯარა“*. თუმცა:

(i) მეიჯარის მიერ აღიარებული ფინანსური იჯარის მოთხოვნებისა (ე.ი. ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში) და საოპერაციო იჯარის მოთხოვნების მიმართ გამოიყენება წინამდებარე სტანდარტის აღიარების შეწყვეტისა და გაუფასურების მოთხოვნები;

(ii) მოიჯარის მიერ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებით აღიარებული ვალდებულებების მიმართ გამოიყენება წინამდებარე სტანდარტის 3.3.1 პუნქტით გათვალისწინებული აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები; და

(iii) იჯარაში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ გამოიყენება ამ სტანდარტის მოთხოვნები, რომლებიც ეხება ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტებს.

გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამებთან დაკავშირებული დამქირავებლის უფლება-მოვალეობებისა, რომლებიც განეკუთვნება ბასს 19-ის - *„დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“* - მოქმედების სფეროს;

დ) საწარმოს მიერ შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტებისა (ოფციონებისა და ვარანტების ჩათვლით), რომლებიც აკმაყოფილებს წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებას ბასს 32-ის შესაბამისად, ან რომელთა კლასიფიცირება მოითხოვება წილობრივ ინსტრუმენტად ბასს 32-ის 16ა და 16ბ, ან 16გ და 16დ პუნქტების მიხედვით. თუმცა, ასეთი წილობრივი

ინსტრუმენტების მფლობელმა წინამდებარე სტანდარტს უნდა მიმართოს ზემოაღნიშნულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, თუ ისინი არ განეკუთვნება გამონაკლისს (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად;

ე) უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოშობილია (1) სადაზღვევო ხელშეკრულებიდან, როგორც განმარტებულია ფასს 4-ში - *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“*, მაგრამ არ მოიცავს ისეთი სადაზღვევო ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ, ემიტენტის უფლებებსა და ვალდებულებებს, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების განმარტებას, ან (2) სხვა ხელშეკრულებიდან, რომელიც განეკუთვნება ფასს 4-ის მოქმედების სფეროს იმის გამო, რომ შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობას. თუმცა, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც ჩართულია ფასს 4-ის მოქმედების სფეროში მყოფ ხელშეკრულებაში, თუ, თავისთავად, ეს წარმოებული ინსტრუმენტი არ წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც ფასს 4-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება. გარდა ამისა, თუ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ემიტენტმა საწარმომ ადრე აშკარად დაასაბუთა, რომ იგი ამგვარ ხელშეკრულებებს სადაზღვევო ხელშეკრულებებად მიიჩნევს და გამოიყენა სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შესაფერისი სააღრიცხვო მიდგომა, ემიტენტ საწარმოს ასეთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის შეუძლია აირჩიოს ან წინამდებარე სტანდარტი, ან ფასს 4 (იხ. პუნქტები ბ2.5-ბ2.6). ემიტენტ საწარმოს უფლება აქვს, თითოეული ხელშეკრულებისათვის ცალ-ცალკე გააკეთოს არჩევანი, მაგრამ არჩევანის შეცვლა აღარ შეიძლება;

ვ) მყიდველსა და გამყიდველ აქციონერს შორის დადებული ფორვარდული ხელშეკრულებისა, რომელიც ეხება შეძენის ობიექტი საწარმოს ყიდვას ან გაყიდვას და მომავალში შეძენის თარიღისთვის გამოიწვევს საწარმოთა გაერთიანებას, რომელიც განეკუთვნება ფასს 3-ის - *„საწარმოთა გაერთიანება“* - მოქმედების სფეროს. ფორვარდული ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ პერიოდს, რაც, ჩვეულებისამებრ, აუცილებელია მოცემული გარიგების დამტკიცებისა და დასრულებისთვის;

ზ) საესხო ვალდებულებებისა, რომლებიც აღწერილი არ არის 2.3 პუნქტში. თუმცა, სესხის გაცემის ვალდებულებების ემიტენტმა უნდა გამოიყენოს ამ სტანდარტის გაუფასურების მოთხოვნები იმ სესხის გაცემის ვალდებულებების მიმართ, რომლებიც სხვაგვარად არ არის ამ სტანდარტის მოქმედების სფეროში. ამასთან, ყველა სესხის გაცემის ვალდებულება ექვემდებარება ამ სტანდარტის აღიარების შეწყვეტის მოთხოვნებს;

თ) აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ფასს 2 – *„აქციებზე დაფუძნებული გადახდა“*, იმ ხელშეკრულებების გამოკლებით, რომლებიც წინამდებარე სტანდარტის 2.4–2.7 პუნქტების მოქმედების სფეროს განეკუთვნება;

ი) ისეთი დანახარჯების ასანაზღაურებლად საჭირო გადახდის უფლებებისა, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს ვალდებულებების დასაფარად, რომლებსაც ანარიცხებად აღიარებს ბასს 37-ის - *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“* - შესაბამისად, ან რომლისთვისაც წინა პერიოდში ანარიცხები აღიარა ბასს 37-ის შესაბამისად;

კ) უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც განეკუთვნება ფასს 15-ის - *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* - მოქმედების სფეროს და წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს, იმ უფლებებისა და ვალდებულებების გამოკლებით, რომელთა აღრიცხვასაც ფასს 15 მოითხოვს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

2.2 ამ სტანდარტის გაუფასურების მოთხოვნები უნდა იქნეს გამოყენებული ისეთ უფლებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის აღიარების მიზნებისთვის, რომელთა აღრიცხვასაც ფასს 15 მოითხოვს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

 © IFRS Foundation

2.3 შემდეგი სესხის გაცემის ვალდებულებები განეკუთვნება მოცემული სტანდარტის მოქმედების სფეროს:

ა) სესხის გაცემის ვალდებულებები, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებად, მოგებაში ან ზარალში ასახვით (იხ. 4.2.2 პუნქტი). საწარმომ, რომელსაც გააჩნია სესხის გაცემის ვალდებულებების საფუძველზე წარმოშობილი აქტივების მოკლე პერიოდში გაყიდვის პრაქტიკა/წარსული გამოცდილება, ეს სტანდარტი უნდა გამოიყენოს ერთი და იმავე კატეგორიის ყველა სესხის გაცემის ვალდებულებისთვის;

ბ) სესხის გაცემის ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება დაიფაროს ნეტო ფულადი ანგარიშსწორებით, ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის გამოშვებით ან გადაცემით. ამგვარი სესხის გაცემის ვალდებულებები წარმოებული ინსტრუმენტებია. სესხის გაცემის ვალდებულება არ მიიჩნევა ნეტო ანგარიშსწორებით დაფარულად მხოლოდ იმის გამო, რომ სესხის გადახდა მოხდა ნაწილ-ნაწილ (მაგ., მშენებლობის იპოთეკური სესხი, რომლის გადახდა ხდება ნაწილ-ნაწილ, მშენებლობის მიმდინარეობის შესაბამისად);

გ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებები (იხ. პუნქტი 4.2.1(დ)).

2.4 ეს სტანდარტი გამოიყენება არაფინანსური მუხლების ყიდვისა და გაყიდვის იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ანაზღაურება შესაძლებელია ნეტო ფულადი ანგარიშსწორებით, ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით ისე, თითქოს ეს ხელშეკრულებები წარმოადგენდეს ფინანსურ ინსტრუმენტებს, გარდა ისეთი ხელშეკრულებებისა, რომლებიც დაიდო და შენარჩუნებულია არაფინანსური მუხლის მიღების ან გადაცემის მიზნით, საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად შესყიდვაზე, გაყიდვაზე ან შიდა გამოყენებაზე. თუმცა, საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს ისეთ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, 2.5 პუნქტის შესაბამისად.

2.5 ისეთი არაფინანსური მუხლის ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის დაფარვა შესაძლებელია ნეტო ფულადი ანგარიშსწორებით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით ისე, თითქოს ეს ხელშეკრულება ფინანსურ ინსტრუმენტს წარმოადგენდეს, შესაძლებელია შეუქცევადად კლასიფიცირებული იყოს როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის დადებული იყო არაფინანსური მუხლის მიღების, ან გადაცემის მიზნით, საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად შესყიდვაზე, გაყიდვაზე ან შიდა გამოყენებაზე. ამგვარი კლასიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების დასაწყისში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მნიშვნელოვნად ამცირებს, ან მთლიანად აღმოფხვრის აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობებს“ უწოდებენ), რაც იმ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა, თუ მოცემული ხელშეკრულება არ აღიარდებოდა იმის გამო, რომ არ მოექცეოდა წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში (იხ. 2.4 პუნქტი)

2.6 არსებობს არაფინანსური მუხლის ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების ანაზღაურების სხვადასხვა გზა, ნეტო ფულადი ანგარიშსწორებით, ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით. მათ შორის:

ა) როდესაც ხელშეკრულების პირობები რომელიმე მხარეს ანგარიშსწორების უფლებას აძლევს ნეტო ფულადი სახსრებით, სხვა ფინანსური ინსტრუმენტით ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით;

ბ) როდესაც ხელშეკრულების პირობებით ზუსტად არ არის განსაზღვრული ანგარიშ-სწორების შესაძლებლობა ნეტო ფულადი სახსრებით, სხვა ფინანსური ინსტრუმენტით ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით, მაგრამ საწარმოში მსგავსი ხელშეკრუ-

ლებებისთვის დამკვიდრებულია ნეტო ფულადი სახსრებით, სხვა ფინანსური ინსტრუმენტით ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით ანგარიშსწორების პრაქტიკა (კონტრაჰენტთან ერთად ურთიერთჩათვლის ხელშეკრულებების დადებით, ან ხელშეკრულების გაყიდვით განაღდებამდე ან ვადის გასვლამდე);

გ) როდესაც საწარმოში მსგავსი ხელშეკრულებებისთვის დამკვიდრებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის მიღებისა და მიღებიდან მოკლე ვადაში მისი გაყიდვის პრაქტიკა, ფასების ან დილერის მარჟის მოკლევადიანი ცვალებადობიდან მოგების მიღების მიზნით; და

დ) როდესაც ხელშეკრულების საგანი არაფინანსური მუხლი ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში.

ხელშეკრულება, რომელსაც (ბ) ან (გ) ქვეპუნქტი ეხება, გაფორმებული არ არის იმ მიზნით, რომ საწარმომ მიიღოს ან გადასცეს არაფინანსური მუხლი საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად შესყიდვაზე, გაყიდვაზე ან შიდა გამოყენებაზე, ამიტომ, თავისთავად, განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს. 2.4 პუნქტში აღწერილი სხვა ხელშეკრულებებისთვის უნდა დადგინდეს, არის თუ არა ეს ხელშეკრულებები დადებული და შენარჩუნებული არაფინანსური მუხლის მიღების ან გადაცემის მიზნით, საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად შესყიდვაზე, გაყიდვაზე ან შიდა გამოყენებაზე და, შესაბამისად, განისაზღვროს, განეკუთვნება თუ არა ისინი ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს.

2.7 არაფინანსური მუხლების ყიდვის ან გაყიდვის წერილობითი (გაყიდული) ოფციონი, რომლისთვისაც, 2.6(ა) ან 2.6(დ) პუნქტის თანახმად, ანგარიშსწორება შესაძლებელია ნეტო ფულადი სახსრებით, სხვა ფინანსური ინსტრუმენტით ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით, განეკუთვნება ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს. ასეთი ხელშეკრულებები არ შეიძლება გაფორმდეს არაფინანსური მუხლების მიღების ან გადაცემის მიზნით, საწარმოს მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად შესყიდვაზე, გაყიდვაზე ან შიდა გამოყენებაზე.

მე-3 თავი აღიარება და აღიარების შეწყვეტა

3.1 თავდაპირველი აღიარება

3.1.1 საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე (იხ. პუნქტები ბ3.1.1 და ბ3.1.2). როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს ფინანსურ აქტივს, მისი კლასიფიცირება უნდა მოახდინოს 4.1.1-4.1.5 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად და შეაფასოს 5.1.1 და 5.1.3 პუნქტების შესაბამისად. როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს ფინანსურ ვალდებულებას, მისი კლასიფიცირება უნდა მოახდინოს 4.2.1 და 4.2.2 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად და შეაფასოს 5.1.1 პუნქტის შესაბამისად.

ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით

3.1.2 *ბაზრის სტანდარტული პირობებით* ფინანსური აქტივების *ყიდვა-გაყიდვისას* ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად (იხ. პუნქტები ბ3.1.3-ბ3.1.6).

3.2 ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

3.2.1 კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 3.2.2-3.2.9, ბ3.1.1, ბ3.1.2 და ბ3.2.1-ბ3.2.17 პუნქტების მოთხოვნები გამოიყენება კონსოლიდირებულ დონეზე. მაშასადამე, საწარმო, პირველ რიგში, ახორციელებს ყველა შვილობილი საწარმოს კონსოლიდირებას ფასს 10-ის მოთხოვნების შესაბამისად და შემდგომ ზემოაღნიშნულ პუნქტებს იყენებს ჯგუფის მიმართ.

 © IFRS Foundation

3.2.2 სანამ შეაფასებს, საჭიროა თუ არა 3.2.3-3.2.9 პუნქტების მიხედვით რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის *აღიარების შეწყვეტა* და რა ნაწილში, საწარმო ქვემოთ განხილული წესის მიხედვით განსაზღვრავს, ზემოაღნიშნული პუნქტები ფინანსური აქტივის რომელიმე ნაწილის (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) მიმართ უნდა გამოიყენოს, თუ მთლიანად ფინანსური აქტივის (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების მთელი ჯგუფის) მიმართ:

ა) 3.2.3-3.2.9 პუნქტები ფინანსური აქტივის ნაწილის (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ აღიარების შეწყვეტისთვის გამიზნული ნაწილი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან რომელიმეს:

(i) აღნიშნული ნაწილი შეიცავს მხოლოდ ფინანსური აქტივიდან (ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილიდან) მისაღებ, კონკრეტულად განსაზღვრულ ფულად ნაკადებს. მაგალითად, როდესაც საწარმო დებს საპროცენტო განაკვეთის სტრიპის გარიგებას, რის შედეგადაც კონტრაჰენტი მოიპოვებს საპროცენტო ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, მაგრამ არ ექნება სავალო ინსტრუმენტიდან ძირი თანხების მიღების უფლება, 3.2.3-3.2.9 პუნქტები გამოიყენება საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმართ;

(ii) აღნიშნული ნაწილი შეიცავს მხოლოდ ფინანსური აქტივიდან (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფიდან) მისაღები ფულადი ნაკადების სრულად პროპორციულ წილს. მაგალითად, როდესაც საწარმო დებს შეთანხმებას, რის შედეგადაც კონტრაჰენტი მოიპოვებს სავალო ინსტრუმენტიდან შემოსული ნებისმიერი ფულადი ნაკადების 90%-ის მიღების უფლებას, პუნქტები 3.2.3-3.2.9 გამოიყენება მოცემული ფულადი ნაკადების 90%-ის მიმართ. თუ კონტრაჰენტი ერთზე მეტია, არ მოითხოვება, რომ თითოეულ მათგანს გააჩნდეს ფულადი ნაკადების პროპორციული წილი, იმ პირობით, თუ აქტივის გადამცემ საწარმოს გააჩნია სრულად პროპორციული წილი;

(iii) აღნიშნული ნაწილი შეიცავს მხოლოდ ფინანსური აქტივიდან (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილიდან) მისაღებ, კონკრეტულად განსაზღვრული ფულადი ნაკადების სრულ პროპორციულ წილს. მაგალითად, როდესაც საწარმო დებს შეთანხმებას, რის შედეგადაც კონტრაჰენტი მოიპოვებს ფინანსური აქტივიდან შემოსული საპროცენტო ფულადი ნაკადების 90%-ის მიღების უფლებას, 3.2.3-3.2.9 პუნქტები გამოიყენება საპროცენტო ფულადი ნაკადების 90%-ის მიმართ. თუ კონტრაჰენტი ერთზე მეტია, არ მოითხოვება, რომ თითოეულ მათგანს გააჩნდეს კონკრეტულად განსაზღვრული ფულადი ნაკადების პროპორციული წილი, იმ პირობით, თუ აქტივის გადამცემ საწარმოს გააჩნია სრულად პროპორციული წილი.

ბ) ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, 3.2.3-3.2.9 პუნქტები გამოიყენება მთლიანი ფინანსური აქტივის (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების მთელი ჯგუფის) მიმართ. მაგალითად, როდესაც საწარმო გადასცემს (i) ფინანსური აქტივიდან (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფიდან) მისაღები ფულადი ნაკადების პირველი ან უკანასკნელი 90%-ის მიღების უფლებას, ან (ii) მოთხოვნების ჯგუფიდან მისაღები ფულადი ნაკადების 90%-ის მიღების უფლებას, მაგრამ მყიდველს სთავაზობს გარანტიას, აუნაზღაუროს ნებისმიერი საკრედიტო დანაკარგები მოთხოვნების ძირი თანხის 8 პროცენტამდე ოდენობით, მაშინ 3.2.3-3.2.9 პუნქტები გამოიყენება მთლიანი ფინანსური აქტივის (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების მთელი ჯგუფის) მიმართ.

3.2.3-3.2.12 პუნქტებში ტერმინი „ფინანსური აქტივი“ აღნიშნავს ან ფინანსური აქტივის (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის) ნაწილს, როგორც ზემოთ განსაზღვრულია (ა) პუნქტში, ან, სხვა შემთხვევაში, მთლიან ფინანსურ აქტივს (ან ანალოგიური ფინანსური აქტივების მთელ ჯგუფს).

3.2.3 საწარმო ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის; ან

ბ) იგი ფინანსურ აქტივს გადასცემს 3.2.4 და 3.2.5 პუნქტების შესაბამისად და აღნიშნული გადაცემა, 3.2.6 პუნქტის თანახმად, განაპირობებს აღიარების შეწყვეტას.

(ფინანსური აქტივების ბაზრის სტანდარტული პირობებით გაყიდვის შესახებ მითითებებისთვის იხილეთ პუნქტი 3.1.2).

3.2.4 მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ საწარმო ფინანსურ აქტივს გადასცემს, თუ იგი:

ა) გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს; ან

ბ) ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, გადაუხადოს ეს ფულადი სახსრები ერთ ან მეტ მიმღებ სუბიექტს ისეთი ხელშეკრულების თანახმად, რომელიც აკმაყოფილებს 3.2.5 პუნქტში მოცემულ პირობებს.

3.2.5 როდესაც საწარმო ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან („თავდაპირველი აქტივიდან“) ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, აღნიშნული ფულადი სახსრები გადაუხადოს ერთ ან მეტ საწარმოს („საბოლოო მიმღებს“), საწარმო მოცემულ ოპერაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს, როგორც ფინანსური აქტივის გადაცემას, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სამივე პირობა:

ა) საწარმოს არა აქვს ვალდებულება, საბოლოო მიმღებ სუბიექტებს გადაუხადოს ზემოხსენებული ფულადი სახსრები, თუ იგი თავდაპირველი აქტივიდან ვერ მიიღებს ეკვივალენტური რაოდენობის თანხებს. ამ პირობის დარღვევას არ წარმოადგენს საწარმოს მიერ გაცემული მოკლევადიანი ავანსები, რომლებიც საშუალებას იძლევა, საწარმომ სრულად ამოიღოს გასესხებულ თანხას პლუს საბაზრო განაკვეთით განსაზღვრული დარიცხული პროცენტები;

ბ) საწარმოს აქტივის გადაცემის ხელშეკრულების პირობებით ეკრძალება თავდაპირველი აქტივის გაყიდვა ან დაგირავება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო ამ აქტივს საბოლოო მიმღებ სუბიექტებს გადასცემს მათთვის ფულადი სახსრების გადახდის ვალდებულების უზრუნველყოფის სახით;

გ) საწარმოს გააჩნია ვალდებულება, საბოლოო მიმღები სუბიექტების სახელით ამოღებული ნებისმიერი ფულადი სახსრები არსებითი დაყოვნების გარეშე გადარიცხოს. გარდა ამისა, საწარმოს არა აქვს ასეთი ფულადი სახსრების რეინვესტირების უფლება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების (როგორც განმარტებულია ბასს 7-ში - „*ფულადი ნაკადების ანგარიშგება*“) რეინვესტირებას ახდენს მოკლევადიანი პერიოდით, რაც მოიცავს ფულადი სახსრების მიღების თარიღიდან საბოლოო მიმღები სუბიექტებისთვის მათი გადარიცხვის სავალდებულო თარიღამდე პერიოდს და, ამასთან, ასეთ ინვესტიციებზე მიღებული პროცენტები საბოლოო მიმღებ სუბიექტებს გადაეცემა.

3.2.6 როდესაც საწარმო გადასცემს ფინანსურ აქტივს (იხ. პუნქტი 3.2.4), მან უნდა შეაფასოს, რა დონეზე ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკებსა და სარგებელს. ამ შემთხვევაში:

ა) თუ საწარმო გადასცემს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, საწარმომ უნდა შეწყვიტოს ფინანსური აქტივის აღიარება და ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით აღიაროს აქტივის გადაცემისას წარმოშობილი ან შენარჩუნებული უფლებები და ვალდებულებები;

ბ) თუ საწარმო ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, საწარმომ უნდა განაგრძოს ფინანსური აქტივის აღიარება;

 © IFRS Foundation

გ) თუ საწარმო არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, საწარმომ უნდა განსაზღვროს, ინარჩუნებს თუ არა კონტროლს ფინანსურ აქტივზე. ამ შემთხვევაში:

(i) თუ საწარმო არ ინარჩუნებს კონტროლს, იგი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას და ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით აღიარებს აქტივის გადაცემისას წარმოშობილ ან შენარჩუნებულ უფლებებსა და ვალდებულებებს;

(ii) თუ საწარმო ინარჩუნებს კონტროლს, მან უნდა განაგრძოს ფინანსური აქტივის აღიარება ფინანსურ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობის შესაბამისად (იხ. პუნქტი 3.2.16).

3.2.7 რისკებისა და სარგებლის გადაცემის (იხ. პ. 3.2.6) შეფასება ხდება გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული ნეტო ფულადი ნაკადების ოდენობისა და ვადების ცვლილების რისკების შედარებით, აქტივის გადაცემამდე და გადაცემის შემდეგ. საწარმო ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, თუ გადაცემის შედეგად მნიშვნელოვნად არ იცვლება ფინანსური აქტივიდან მისაღები მომავალი ნეტო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების ცვალებადობის რისკი (მაგალითად, იმის გამო, რომ საწარმომ ფინანსური აქტივი გაყიდა უკუშესყიდვის პირობით, ფიქსირებულ ფასად, ან „გაყიდვის ფასს დამატებული კრედიტორის უკუგება“ თანხით). საწარმოს მაშინ აქვს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, თუ ზემოაღნიშნული ცვალებადობის რისკი აღარ არის მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივიდან მომავალში მისაღები ნეტო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შესაძლო საერთო ცვალებადობასთან შედარებით (მაგალითად, ვინაიდან საწარმომ ფინანსური აქტივი გაყიდა მხოლოდ იმ პირობით, რომ გამოისყიდდა მას გამოსყიდვის მომენტში არსებული რეალური ღირებულებით, ან გადასცა უფრო მსხვილი ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულად სახსრებზე სრული პროპორციული წილი, მაგალითად, სესხში თანამონაწილეობის ხელშეკრულებით, რომელიც აკმაყოფილებს 3.2.5 პუნქტის პირობებს).

3.2.8 ხშირ შემთხვევაში, აშკარად ჩანს, საწარმო გადასცემს თუ ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და ამიტომ აუცილებელი არაა რაიმე სახის გამოთვლების ჩატარება. სხვა შემთხვევებში, აუცილებელია გამოთვლების ჩატარება და საწარმოზე სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შესაძლო ცვალებადობის რისკის გავლენის შედარება გადაცემამდე და გადაცემის შემდეგ. გამოთვლები და შედარებები ეყრდნობა დისკონტირების განაკვეთად შესაფერისი მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას. საწარმო განიხილავს ნეტო ფულადი ნაკადების ნებისმიერ გონივრულ შესაძლო ცვალებადობას და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ შედეგებს, რომელთა ალბათობებიც უფრო მეტია.

3.2.9 საწარმო ინარჩუნებს თუ არა კონტროლს გადაცემულ აქტივზე (იხ. პ. 3.2.6 (გ)), დამოკიდებულია მიმღები მხარის შესაძლებლობაზე, გაყიდოს აქტივი. თუ მიმღებს გააჩნია მთლიანი აქტივის მესამე არადაკავშირებულ მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა და, ამავე დროს, ამ შესაძლებლობის გამოყენება შეუძლია ცალმხრივად და გადაცემაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე, საწარმო კონტროლს არ ინარჩუნებს. ყველა სხვა შემთხვევაში, საწარმო კონტროლს ინარჩუნებს.

აქტივების გადაცემა, რომელიც აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს

3.2.10 თუ საწარმო ფინანსურ აქტივს ისეთი პირობით გადასცემს, რომ აქტივის გადაცემა განაპირობებს მთლიანი აქტივის აღიარების შეწყვეტას და საწარმო ინარჩუნებს უფლებას, მომსახურება გაუწიოს ფინანსურ აქტივს გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, მან, აღნიშნულ მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, უნდა აღიაროს ან მომსახურების აქტივი, ან მომსახურების ვალდებულება. თუ მოსალოდნელია, რომ საწარმოს მიერ მისაღები მომსახურების საზღაური ადეკვატურად ვერ მოახდენს მომსახურების დანახარჯების კომპენსირებას, მომსახურების ვალდებულება უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით. თუ მოსალოდნელია, რომ მისაღები საზღაური უფრო მაღალი იქნება, ვიდრე გაწეული მომსახურების ადეკვატური ანაზღაურება, მომსახურების უფლებასთან

დაკავშირებით უნდა აღიარდეს მომსახურების აქტივი, რომლის ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი უფრო დიდი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების განაწილების საფუძველზე, 3.2.13 პუნქტის შესაბამისად.

3.2.11 თუ გადაცემის შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება მთლიანად შეწყდა, მაგრამ გადაცემის შედეგად საწარმო იღებს ახალ ფინანსურ აქტივს, ახალ ფინანსურ ვალდებულებას, ან მომსახურების ვალდებულებას, მან ახალი ფინანსური აქტივი, ფინანსური ვალდებულება ან მომსახურების ვალდებულება უნდა აღიაროს რეალური ღირებულებით.

3.2.12 ფინანსური აქტივის აღიარების მთლიანად შეწყვეტისას, მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს სხვაობა:

ა) საბალანსო ღირებულებასა (განსაზღვრული აღიარების შეწყვეტის თარიღისთვის); და

ბ) მიღებულ ანაზღაურებას (ნებისმიერი ახალი აქტივის ჩათვლით, რომელსაც გამოკლებული აქვს ახლად აღებული ვალდებულება) შორის.

3.2.13 თუ გადაცემული აქტივი უფრო დიდი ფინანსური აქტივის ნაწილია (მაგალითად, როდესაც საწარმო გადასცემს საპროცენტო ფულადი ნაკადების შემოსავლებს, რომლებიც სავალო ინსტრუმენტის ნაწილია, იხ. პ. 3.2.2(ა)) და გადაცემული ნაწილი მთლიანად აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, უფრო დიდი ფინანსური აქტივის ადრინდელი საბალანსო ღირებულება უნდა განაწილდეს იმ ნაწილებს შორის, რომლის აღიარება გრძელდება და რომლის აღიარებაც შეწყდა, გადაცემის მომენტში განსაზღვრული მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. ამ მიზნით, შენარჩუნებული მომსახურების აქტივი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ნაწილი, რომლის აღიარებაც გრძელდება. მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს სხვაობა:

ა) აღიარებაშეწყვეტილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა (განსაზღვრული აღიარების შეწყვეტის თარიღისათვის); და

ბ) აღიარებაშეწყვეტილ ნაწილთან დაკავშირებით მიღებულ ანაზღაურებას (ნებისმიერი ახალი აქტივის ჩათვლით, რომელსაც გამოკლებული აქვს ახლად აღებული ვალდებულება) შორის.

3.2.14 როდესაც საწარმო ანაწილებს დიდი ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას იმ ნაწილებზე, რომელთა აღიარებაც გრძელდება და რომლის აღიარებაც შეწყდა, მან უნდა შეაფასოს იმ ნაწილის რეალური ღირებულება, რომლის აღიარებაც გრძელდება. როდესაც საწარმოს გააჩნია შენარჩუნებული ნაწილის მსგავსი ნაწილების გაყიდვის პრაქტიკა, ან ასეთი ნაწილებისთვის არსებობს სხვა საბაზრო ოპერაციები, უახლოესი პერიოდის ფაქტობრივი ოპერაციების უკანასკნელი ფასები წარმოადგენს მისი რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას. როდესაც აქტივის შენარჩუნებული ნაწილის რეალური ღირებულების დასადგენად არ არსებობს არანაირი კოტირებული ფასები, ან უახლოესი პერიოდის საბაზრო ოპერაციები, ზემოაღნიშნული რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება იქნება უფრო დიდი მთლიანი აქტივის რეალურ ღირებულებას გამოკლებული აქტივის აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიღებული ანაზღაურება აქტივის მიმღები სუბიექტისგან.

აქტივების გადაცემა, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს

3.2.15 თუ გადაცემა არ იწვევს აღიარების შეწყვეტას იმის გამო, რომ საწარმო ინარჩუნებს გადაცემულ აქტივზე საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, საწარმომ უნდა განაგრძოს მთლიანი გადაცემული აქტივის აღიარება და, ამასთან, მიღებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებით უნდა აღიაროს ფინანსური ვალდებულება. შემდგომ პერიოდებში საწარმომ უნდა აღიაროს გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსავალი და ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი ხარჯი.

გადაცემულ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობა

3.2.16 თუ საწარმო არც გადასცემს და არც ინარჩუნებს გადაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და კონტროლს ინარჩუნებს გადაცემულ აქტივზე, იგი განაგრძობს გადაცემული აქტივის აღიარებას, მასში შენარჩუნებული

 © IFRS Foundation

მონაწილეობის მოცულობის პროპორციულად. გადაცემულ აქტივში შენარჩუნებული საწარმოს მონაწილეობის მოცულობა იქნება ის თანხა, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ზემოქმედებს საწარმოზე გადაცემული აქტივის რეალური ღირებულების ცვლილების რისკი. მაგალითად:

ა) როდესაც გადაცემულ აქტივში საწარმოს მიერ შენარჩუნებული მონაწილეობა ამ აქტივის გარანტირების ფორმას იძენს, საწარმოს მონაწილეობის მოცულობა არის უმცირესი (1) აქტივის ღირებულებასა და (2) მიღებული ანაზღაურების მაქსიმალურ ოდენობას შორის, რომლის დაბრუნებაც საწარმოს შეიძლება მოეთხოვოს („საგარანტიო თანხა“);

ბ) როდესაც გადაცემულ აქტივში საწარმოს მიერ შენარჩუნებული მონაწილეობა გადაცემულ აქტივთან დაკავშირებით გაყიდული, ან შესყიდული ოფციონის ფორმას იძენს (ან ორივეს ერთად), მისი შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობა იქნება გადაცემული აქტივის ღირებულების ის ნაწილი (ოდენობა), რომლის გამოსყიდვაც საწარმოს შეუძლია. თუმცა, აქტივთან დაკავშირებით გაყიდული ფუთ-ოფციონის შემთხვევაში, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, საწარმოს აქტივში მონაწილეობის მოცულობა განისაზღვრება გადაცემული აქტივის რეალურ ღირებულებასა და ოფციონის გამოყენების ფასს შორის უმცირესით; (იხ. პუნქტი ბ3.2.13)

გ) როდესაც გადაცემულ აქტივში საწარმოს მიერ შენარჩუნებული მონაწილეობა ფულადი სახსრებით დასაფარი ოფციონის ან მსგავსი უფლების ფორმას იძენს, საწარმოს შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობა იმავე მეთოდით შეფასდება, როგორც ზემოთ, (ბ) ქვეპუნქტში არაფულადი სახსრებით დასაფარი ოფციონის შემთხვევაში.

3.2.17 როდესაც საწარმო აქტივის აღიარებას განაგრძობს მასში შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობის მიხედვით, იგი იმავდროულად აღიარებს დაკავშირებულ ვალდებულებასაც. ამ სტანდარტით განსაზღვრული შეფასების სხვა მოთხოვნების მიუხედავად, გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულების შეფასება ხდება ისეთ საფუძველზე, რომელიც ასახავს საწარმოს მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და ვალდებულებებს. დაკავშირებული ვალდებულება იმგვარად შეფასდება, რომ გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულება იყოს:

ა) საწარმოს მიერ შენარჩუნებული უფლებებისა და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება - იმ შემთხვევაში, თუ გადაცემული აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით; ან

ბ) განცალკევებულად შეფასებული, საწარმოს მიერ შენარჩუნებული უფლებებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების ტოლი - იმ შემთხვევაში, თუ გადაცემული აქტივი შეფასებულია რეალური ღირებულებით.

3.2.18 საწარმომ უნდა განაგრძოს გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავლის აღიარება შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობით და, ამავე დროს, აღიაროს დაკავშირებული ვალდებულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი ხარჯი.

3.2.19 შემდგომი შეფასების მიზნით, გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულების რეალური ღირებულების ნებისმიერი აღიარებული ცვლილება აისახება ერთმანეთის თანამიმდევრულად, 5.7.1 პუნქტის შესაბამისად და არ შეიძლება მათი ურთიერთგადაფარვა.

3.2.20 თუ გადაცემულ აქტივში საწარმოს საწარმოს მიერ შენარჩუნებული მონაწილეობა მხოლოდ ფინანსური აქტივის რომელიმე ნაწილში მონაწილეობაა (ე.ი. როდესაც საწარმო ინარჩუნებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას, ან ინარჩუნებს ნარჩენ წილს ამ აქტივში, რაც არ განაპირობებს საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის შენარჩუნებას, მაგრამ საწარმო კონტროლს ინარჩუნებს), იგი ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას ანაწილებს აქტივის იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც გრძელდება შენარჩუნებული მონაწილეობის შედეგად და ასევე იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც უკვე შეწყდა, გადაცემის თარიღისათვის განსაზღვრულ ამ ნაწილების რეალურ ღირებულებებზე დაყრდნობით. ამ მიზნით გამოიყენება 3.2.14 პუნქტის მოთხოვნები. მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს სხვაობა:

ა) აღიარებაშეწყვეტილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა (შეფასებული აღიარების შეწყვეტის თარიღისთვის); და

ბ) აღიარებაშეწყვეტილ ნაწილთან დაკავშირებით მიღებულ ანაზღაურებას შორის.

3.2.21 თუ გადაცემული აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, დაკავშირებული ვალდებულებისთვის არ გამოიყენება ამ სტანდარტის არჩევანის უფლება, ფინანსური ვალდებულება შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

აქტივების ყველა გადაცემა

3.2.22 თუ გადაცემული აქტივის აღიარება გრძელდება, არ შეიძლება აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულების ურთიერთგადაფარვა. ანალოგიურად, საწარმომ არ უნდა გადაფაროს გადაცემული აქტივიდან წარმოშობილი არანაირი შემოსავალი დაკავშირებული ვალდებულებიდან წარმოშობილი ხარჯით (იხ. ბასს 32-ის 42-ე პუნქტი).

3.2.23 თუ აქტივის გადამცემი საწარმო აქტივის მიმღებს სთავაზობს არაფულად უზრუნველყოფას (მაგალითად, სავალო ან წილობრივ ინსტრუმენტს), ამ უზრუნველყოფის ასახვის წესი გადამცემისა და მიმღების მიერ დამოკიდებული იქნება იმაზე, აქვს თუ არა მიმღებს მიღებული უზრუნველყოფის გაყიდვის ან გადაგირავების უფლება და შეასრულა თუ არა გადამცემმა მხარემ თავისი ვალდებულებები. გადამცემმა და მიმღებმა საწარმომ ზემოაღნიშნული უზრუნველყოფა უნდა ასახონ შემდეგნაირად:

ა) თუ მიმღებ საწარმოს გააჩნია მიღებული უზრუნველყოფის გაყიდვის ან გადაგირავების სახელშეკრულებო უფლება, გადამცემმა საწარმომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა მოახდინოს აღნიშნული აქტივის რეკლასიფიკაცია სხვა აქტივებისგან განცალკევებით (მაგალითად, როგორც სასესხო აქტივი, დაგირავებული წილობრივი ინსტრუმენტი ან უკუშესყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნა;

ბ) თუ მიმღები საწარმო ყიდის უზრუნველყოფის სახით მისთვის გადაცემულ უზრუნველყოფას, იგი აღიარებს გაყიდვიდან მიღებულ თანხებსა და რეალური ღირებულებით შეფასებულ ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია უზრუნველყოფის სახით მიღებული აქტივის უკან დაბრუნებასთან;

გ) თუ გადამცემი საწარმო არ შეასრულებს სახელშეკრულებო პირობებს და უკვე აღარ აქვს უზრუნველყოფის სახით გადაცემული აქტივის უკან დაბრუნების უფლება, მან უნდა შეწყვიტოს ამ უზრუნველყოფის აღიარება, ხოლო მიმღებმა საწარმომ უნდა აღიაროს მიღებული უზრუნველყოფა, როგორც საკუთარი აქტივი, რომელიც თავდაპირველად შეფასებული იყო რეალური ღირებულებით, ან იმ შემთხვევაში, თუ მას უზრუნველყოფა უკვე გაყიდული აქვს, გადამცემმა საწარმომ უნდა შეწყვიტოს გადაცემული უზრუნველყოფის უკან დაბრუნების ვალდებულების აღიარება;

დ) (გ) ქვეპუნქტში განხილული შემთხვევის გარდა, სხვა შემთხვევაში, უზრუნველყოფის სახით გადაცემული აქტივი გადამცემმა საწარმომ ისევ უნდა ასახოს, როგორც საკუთარი აქტივი, ხოლო მიმღებმა საწარმომ აქტივად არ უნდა აღიაროს მიღებული უზრუნველყოფა.

3.3 ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

3.3.1 საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.3.2 არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების მნიშვნელოვანი შეცვლა (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან) განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება.

 © IFRS Foundation

3.3.3 დაფარული ან სხვა მხარისათვის გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ანაზღაურებას (გადაცემული არაფულადი აქტივების, ან აღებული ვალდებულებების ჩათვლით) შორის სხვაობა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

3.3.4 თუ საწარმო გამოისყიდის ფინანსური ვალდებულების ნაწილს, მან ფინანსური ვალდებულების ადრინდელი საბალანსო ღირებულება უნდა გაანაწილოს ვალდებულების იმ ნაწილებზე, რომელთა აღიარებაც გრძელდება და რომელთა აღიარებაც უკვე შეწყდა, გამოსყიდვის თარიღისთვის განსაზღვრული მათი (ამ ნაწილების) რეალური ღირებულებების საფუძველზე. სხვაობა (ა) აღიარებაშეწყვეტილ ნაწილზე მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და (ბ) გადახდილ ანაზღაურებას (აღიარებაშეწყვეტილ ნაწილთან დაკავშირებული, გადაცემული არაფულადი აქტივებისა, თუ აღებული ვალდებულების ჩათვლით) შორის უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

3.3.5 [*ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.*]

მე-4 თავი კლასიფიკაცია

4.1 ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

4.1.1 თუ საწარმო 4.1.5 პუნქტს არ იყენებს, მან ფინანსურ აქტივებს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, ან „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, ან „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ - უნდა მიანიჭოს ორივე შემდეგი ფაქტორის საფუძველზე:

ა) საწარმოს ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

4.1.2 ფინანსური აქტივი შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ბ4.1.1-ბ4.1.26 პუნქტებში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები აღნიშნული პირობების გამოყენების შესახებ.

4.1.2ა ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ბ4.1.1-ბ4.1.26 პუნქტებში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები ზემოაღნიშნული პირობების გამოყენების შესახებ.

4.1.3 4.1.2(ბ) და 4.1.2ა(ბ) პუნქტების გამოყენების მიზნებისთვის:

ა) ძირი თანხა არის ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. Ბ4.1.7ბ პუნქტში მოცემულია დამატებითი მითითებები ამ პრინციპის მნიშვნელობის/განმარტების შესახებ;

ბ) პროცენტი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. Ბ4.1.7ა და Ბ4.1.9ა–Ბ4.1.9ე პუნქტებში მოცემულია დამატებითი მითითებები პროცენტის, მათ შორის ფულის დროითი ღირებულების მნიშვნელობის/განმარტების შესახებ.

4.1.4 ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ იგი შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით, 4.1.2 პუნქტის შესაბამისად, ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად. თუმცა, საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს *წილობრივ ინსტრუმენტებში* განხორციელებული იმ ინვესტიციის რეალურ ღირებულებაში შემდგომში მომხდარი ცვლილებები, რომელიც, სხვა შემთხვევაში, შეფასებული იქნებოდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. (იხ. პუნქტები 5.7.5-5.7.6).

ფინანსური აქტივის კლასიფიცირების შესაძლებლობა, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“

4.1.5 4.1.1-4.1.4 პუნქტების მოთხოვნების მიუხედავად, საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსურ აქტივს მიანიჭოს კატეგორია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობებს“ უწოდებენ), რაც წარმოიქმნებოდა განსხვავებული საფუძვლით აქტივების ან ვალდებულებების შეფასებიდან, ან შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან (იხ. პუნქტები Ბ4.1.29-Ბ4.1.32).

4.2 ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

4.2.1 საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) *ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.* ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა. ამგვარი ვალდებულებების შესაფასებლად გამოიყენება 3.2.15 და 3.2.17 პუნქტების მოთხოვნები;

გ) *ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.* თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ამგვარი ხელშეკრულების ემიტენტმა (თუ არ გამოიყენება 4.2.1(ა) ან (ბ) პუნქტი), ხელშეკრულება შემდგომში უნდა შეაფასოს შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით:

(i) 5.5 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული ზარალის რეზერვის თანხა; და

(ii) თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებას (იხ. პუნქტი 5.1.1) გამოკლებული ფასს 15-ის პრინციპების შესაბამისად აღიარებული შემოსავლის მთლიანი ოდენობა, როდესაც შესაფერისია.

დ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი განაკვეთით სესხის გაცემის ვალდებულებისა. საწარმომ, რომელიც თავის თავზე იღებს ამგვარ ვალდებულებას, (თუ არ გამოიყენება 4.2.1(ა) პუნქტი), ვალდებულება შემდგომში უნდა შეაფასოს შემდეგ ორ სიდიდეს შორის უდიდესით:

 © IFRS Foundation

(i) 5.5 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრული ზარალის რეზერვის თანხა; და

(ii) თავდაპირველად აღიარებულ ღირებულებას (იხ. პუნქტი 5.1.1) გამოკლებული, ფასს 15-ის პრინციპების შესაბამისად აღიარებული შემოსავლის მთლიანი ოდენობა, როდესაც შესაფერისია.

ე) მყიდველი საწარმოს პირობითი კომპენსაციისა, რომელიც დაკავშირებულია ფასს 3-ის მოქმედების სფეროში მყოფ საწარმოთა გაერთიანებასთან. ამგვარი პირობითი კომპენსაცია შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირების შესაძლებლობა, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“

4.2.2 თავდაპირველი აღიარებისას, საწარმოს შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, ფინანსური ვალდებულება აღრიცხოს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, როდესაც ეს ნებადართულია 4.3.5 პუნქტით, ან ამგვარი კლასიფიკაცია უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის უფრო შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, რადგან იგი:

ა) მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობებს“ უწოდებენ), რაც წარმოიქმნებოდა განსხვავებული საფუძვლით აქტივების ან ვალდებულებების შეფასებიდან, ან შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; (იხ. პ. ბ4.1.29-ბ4.1.32) ან

ბ) დოკუმენტირებული რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის, ან ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის მართვა და შედეგების შეფასება ხდება რეალური ღირებულების საფუძველზე და ამავე საფუძველზე მიეწოდება ჯგუფის შესახებ ინფორმაცია საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას (როგორც ეს განმარტებულია ბასს 24-ში - *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“*), მაგალითად საწარმოს დირექტორთა საბჭოსა და მთავარ აღმასრულებელ პირს (იხ. პუნქტები ბ4.1.33-ბ4.1.36).

4.3 ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები

4.3.1 ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი არის კომბინირებული (ჰიბრიდული) ხელშეკრულების კომპონენტი, რომელიც ასევე შეიცავს არაწარმოებულ ძირითად ხელშეკრულებას, რომლის გავლენაც იმაში გამოიხატება, რომ კომბინირებული ინსტრუმენტის ზოგიერთი ფულადი ნაკადი იცვლება ცალკე არსებული (დამოუკიდებელი) წარმოებული ინსტრუმენტის მსგავსად. ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი იწვევს ზოგიერთი ან ყველა ფულადი ნაკადის იმგვარ ცვლილებას, რაც, სხვა შემთხვევაში, ხელშეკრულებით იქნებოდა განსაზღვრული შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საქონლის ფასის, სავალუტო კურსის, ფასების ინდექსების ან განაკვეთების, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის, ან სხვა ცვლადების შესაბამისად, იმ პირობით, რომ არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, ეს ცვლადი არ წარმოადგენს ხელშეკრულების რომელიმე მხარის სპეციფიკურ მახასიათებელს. წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც მიბმულია *ფინანსურ ინსტრუმენტზე*, მაგრამ ხელშეკრულების თანახმად შესაძლებელია მისი დამოუკიდებლად გადაცემა, ან გააჩნია განსხვავებული კონტრაჰენტი, არ არის ჩართული წარმოებული, არამედ ცალკე არსებული ფინანსური ინსტრუმენტია.

კომბინირებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ფინანსური აქტივის ძირითად ხელშეკრულებას

4.3.2 თუ კომბინირებული ხელშეკრულება მოიცავს ძირითად ხელშეკრულებას, რომელიც წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად არის აქტივი, საწარმომ მთლიანი კომბინირებული ხელშეკრულების მიმართ უნდა გამოიყენოს 4.1.1-4.1.5 პუნქტის მოთხოვნები.

სხვა კომბინირებული ხელშეკრულებები

4.3.3 თუ კომბინირებული ხელშეკრულება მოიცავს ძირითად ხელშეკრულებას, რომელიც წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად არ არის აქტივი, საწარმომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოყოს ძირითადი ხელშეკრულებიდან და მოცემული სტანდარტის შესაბამისად აღრიცხოს როგორც წარმოებული ინსტრუმენტი, თუ:

ა) ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითადი ხელშეკრულების ეკონომიკურ მახასიათებლებსა და რისკებთან (იხ. პუნქტები B4.3.5 და B4.3.8);

ბ) ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის მსგავსი პირობების მქონე განცალკევებული ინსტრუმენტი დააკმაყოფილებდა წარმოებულად აღიარების კრიტერიუმებს; და

გ) კომბინირებული ხელშეკრულება არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით (ანუ ისეთ ფინანსურ ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში, არ გამოცალკევდება (არ არის დამოუკიდებელი).

4.3.4 თუ ჩართული წარმოებული გამოცალკევდება, ძირითადი ხელშეკრულება უნდა აისახოს შესაბამისი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით. წინამდებარე სტანდარტი არ განსაზღვრავს, ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი განცალკევებით უნდა იყოს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4.3.5 4.3.3 და 4.3.4 პუნქტების მიუხედავად, თუ ხელშეკრულება შეიცავს ერთ ან მეტ ჩართულ წარმოებულს და ძირითადი ხელშეკრულება არ არის აქტივი, რომელიც განეკუთვნება მოცემული სტანდარტის მოქმედების სფეროს, საწარმოს უფლება აქვს, მთელ კომბინირებულ ხელშეკრულებას მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც:

ა) ჩართული წარმოებულ(ებ)ი მნიშვნელოვნად არ ცვლის ფულადი ნაკადების სიდიდეს იმასთან შედარებით, რაც სხვა შემთხვევაში ხელშეკრულებით იქნებოდა მოთხოვნილი; ან

ბ) მსგავსი კომბინირებული ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, მცირე ანალიზიდან, ან მცირე ანალიზის გარეშეც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტ(ებ)ის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორიცაა, მაგალითად სესხში ჩართული წინასწარ გადახდის ოფციონი, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა.

4.3.6 თუ საწარმოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებით ევალება ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა ძირითადი ხელშეკრულებიდან, მაგრამ არ შეუძლია ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე შეფასება ან შესყიდვის დროს, ან მომდევნო საანგარიშგებო თარიღისათვის, მან მთელ კომბინირებულ ხელშეკრულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

4.3.7 თუ საწარმოს არ შეუძლია ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მის ვადებსა და პირობებზე დაყრდნობით, ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის რეალური ღირებულება იქნება კომბინირებული ინსტრუმენტისა და ძირითადი ხელშეკრულების რეალური ღირებულებების სხვაობა. თუ საწარმოს არ შეუძლია ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის რეალური ღირებულების შეფასება ამ მეთოდით, გამოიყენება 4.3.6 პუნქტი და კომბინირებული ხელშეკრულება კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

4.4 რეკლასიფიკაცია

4.4.1 მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია, 4.1.1- 4.1.4 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციასთან დაკავშირებით დამატებითი მითითებებისთვის იხილეთ პუნქტები: 5.6.1–5.6.7, B4.4.1–B4.4.3 და B5.6.1–B5.6.2.

 © IFRS Foundation

4.4.2 საწარმოს ფინანსური ვალდებულებების რეკლასიფიკაციის უფლება არა აქვს.

4.4.3 4.4.1-4.4.2 პუნქტების მიზნებისთვის რეკლასიფიკაციად არ მიიჩნევა შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მუხლი, რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო და წარმოადგენდა ფულადი ნაკადების, ან ნეტო ინვესტიციის ჰეჯირებისას ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტს აღარ აკმაყოფილებს ასეთ კატეგორიად კლასიფიცირების კრიტერიუმებს;

ბ) მუხლი ხდება ფულადი ნაკადების ან ნეტო ინვესტიციების ჰეჯირებისას ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტი; და

გ) შეფასების ცვლილებები 6.7 ნაწილის შესაბამისად.

მე-5 თავი შეფასება

5.1 საწყისი შეფასება

5.1.1 იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც განეკუთვნება 5.1.3 პუნქტის მოქმედების სფეროს, საწარმომ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით, დამატებული ან გამოკლებული გარიგების ის დანახარჯები (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

5.1.1ა თუმცა, თუ ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისაგან, საწარმომ უნდა გამოიყენოს Ბ5.1.2ა პუნქტის მოთხოვნები.

5.1.2 როდესაც საწარმო ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდს იყენებს აქტივისთვის, რომელიც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასდება, აქტივი თავდაპირველად აღიარდება გარიგების თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით (იხ. პუნქტები Ბ3.1.3-Ბ3.1.6).

5.1.3 5.1.1 პუნქტის მოთხოვნის მიუხედავად, საწარმომ თავდაპირველი აღიარებისას გარიგების ფასით (ფასს 15-ში მოცემული განმარტების შესაბამისად) უნდა შეაფასოს სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

5.2 ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

5.2.1 საწარმომ ფინანსური აქტივი საწყისი აღიარების შემდგომ 4.1.1-4.1.5 პუნქტების შესაბამისად უნდა შეაფასოს:

ა) ამორტიზებული ღირებულებით;

ბ) რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; ან

გ) რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

5.2.2 საწარმომ 5.5 ნაწილში განსაზღვრული გაუფასურების შემოწმების მოთხოვნები უნდა გამოიყენოს 4.1.2 პუნქტის შესაბამისად ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მიმართ და ასევე იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით, რომლებიც 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

5.2.3 საწარმომ ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებულ ფინანსურ აქტივთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული 6.5.8-6.5.14 პუნქტების მოთხოვნები (და, საჭიროების შემთხვევაში, ბასს 39-ის 89-94-ე პუნქტები, რომლებიც ეხება რეალური

ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვას პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისას).[1]

5.3 ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

5.3.1 საწარმომ ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების შემდგომ უნდა შეაფასოს 4.2.1-4.2.2 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად.

5.3.2 საწარმომ ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებულ ფინანსურ ვალდებულებასთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული 6.5.8-6.5.14 პუნქტების მოთხოვნები (და, საჭიროების შემთხვევაში, ბასს 39-ის 89-94-ე პუნქტები, რომლებიც ეხება რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვას პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისას).

5.4 ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

5.4.1 საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს *ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის* გამოყენებით (იხ. „ა“ დანართის პუნქტები ბ5.4.1–ბ5.4.7), კერძოდ, *ეფექტური საპროცენტო განაკვეთის* გამოყენებით *ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან* მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) *შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები.* საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს *საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი* და გამოიყენოს *ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში;*

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა *საკრედიტო რისკის* გავლენით *გაუფასურებული ფინანსური აქტივები.* ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

5.4.2 საწარმომ, რომელიც, 5.4.1(ბ) პუნქტის შესაბამისად რომელიმე საანგარიშგებო პერიოდში საპროცენტო ამონაგებს გამოითვლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში, მომდევნო პერიოდებში საპროცენტო ამონაგები უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, თუ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი იმდენად გაუმჯობესდება, რომ განსახილველი ფინანსური აქტივი აღარ წარმოადგენს საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივს და შესაძლებელია აღნიშნული გაუმჯობესების ობიექტურად დაკავშირება რაიმე მოვლენასთან, რომელიც 5.4.1(ბ) პუნქტის მოთხოვნების გამოყენების შემდეგ მოხდა (როგორიცაა, მაგალითად მსესხებლის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება).

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება

5.4.3 როდესაც ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხარეთა შეთანხმებით გადაისინჯება, ან რაიმე სხვა გზით მოდიფიცირდება და ამგვარი გადასინჯვა ან მოდიფიცირება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად, მაშინ საწარმომ ხელახლა უნდა გამოითვალოს მოცემული ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება და მოგებაში ან ზარალში აღიაროს *მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი.* ფინანსური აქტივის მთლიანი

1. 7.2.21 პუნქტის შესაბამისად, საწარმოს უფლება აქვს, სააღრიცხვო პოლიტიკად აირჩიოს ისევ ბასს 39-ის ჰეჯირების აღრიცხვის დებულებების გამოყენება, ამ სტანდარტის მე-6 თავის დებულებების გამოყენების ნაცვლად. თუ საწარმო მიიღებს ამ გადაწყვეტილებას, მას აღარ შეეხება წინამდებარე სტანდარტში მოცემული მინიშნებები, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული მე-6 თავის კონკრეტული დებულებების გამოყენებაზე. ამის ნაცვლად, საწარმომ ჰეჯირების აღრიცხვისთვის უნდა გამოიყენოს ბასს 39-ით განსაზღვრული შესაბამისი დებულებები.

 © IFRS Foundation

(ბრუტო) საბალანსო ღირებულება საწარმომ ხელახლა უნდა გამოითვალოს, როგორც გადასინჯული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია მოცემული ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან საკრედიტო რისკით კორექტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით - შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის) ან, საჭიროების შემთხვევაში, 6.5.10 პუნქტის შესაბამისად გამოთვლილი კორექტირებული საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან გადახდილი საკომისიო აკორექტირებს მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ჩამოწერა

5.4.4 საწარმომ ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს, თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი, მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება. ჩამოწერა ისეთი მოვლენაა, რომელიც იწვევს აღიარების შეწყვეტას (იხ. პუნქტი ბ3.2.16(ს)).

5.5 გაუფასურება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება

საერთო მიდგომა

5.5.1 საწარმომ *ზარალის რეზერვი* უნდა აღიაროს 4.1.2 ან 4.1.2.ა პუნქტების შესაბამისად შეფასებულ, ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ *მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან მიმართებით,* ასევე საიჯარო მოთხოვნის, სახელშეკრულებო აქტივის ან სესხის გაცემის ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების მიმართ, რომელზეც 2.1(ზ), 4.2.1(გ) ან 4.2.1(დ) პუნქტების შესაბამისად ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები.

5.5.2 საწარმომ გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა გამოიყენოს ისეთი ფინანსური აქტივების ზარალის რეზერვის აღიარებისა და შეფასებისთვის, რომლებიც 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ამასთან, ზემოაღნიშნული ზარალის რეზერვი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში და მან არ უნდა შეამციროს მოცემული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

5.5.3 5.5.13–5.5.16 პუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისების გათვალისწინებით, საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის თითოეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, უნდა განსაზღვროს ზარალის რეზერვი ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია *ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.*

5.5.4 გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ კოლექტიურად, რისთვისაც საწარმო ითვალისწინებს ყველა გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაციასაც.

5.5.5 5.5.13–5.5.16 პუნქტებში აღწერილი გამონაკლისების გათვალისწინებით, როდესაც საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ზარალის რეზერვი უნდა შეაფასოს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია *12- თვიანი საკრედიტო ზარალის.*

5.5.6 სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების შემთხვევაში, გაუფასურების მოთხოვნების გამოყენების მიზნებისათვის, საწარმომ თავდაპირველი აღიარების თარიღად უნდა მიიჩნიოს ის თარიღი, როდესაც საწარმო ხდება შეუქცევადი (სახელშეკრულებო) ვალდებულების მონაწილე მხარე.

5.5.7 თუ საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტის ზარალის რეზერვი გასულ საანგარიშგებო პერიოდში შეფასებული აქვს მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით, მაგრამ მიმდინარე საანგარიშგებო თარიღისთვის დაადგენს, რომ 5.5.3 პუნქტის მოთხოვნა დაკმაყოფილებული აღარ არის, მაშინ საწარმომ ზარალის რეზერვი უნდა შეაფასოს მიმდინარე საანგარიშგებო თარიღიდან 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური ოდენობით.

5.5.8 საწარმომ, გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის სახით, მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა (ან მისი ანულირება) ისეთი ოდენობით, რაც, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, აუცილებელია ზარალის რეზერვის კორექტირებისთვის ისეთ სიდიდემდე, რომლის აღიარებაც მოითხოვება წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის განსაზღვრა

5.5.9 საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით უნდა შეაფასოს, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. შეფასების დროს საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე და არა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის ცვლილება. აღნიშნულის შესაფასებლად, საწარმომ მიმდინარე საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის რისკი უნდა შეუდაროს თავდაპირველი აღიარების თარიღით ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის რისკს და გაითვალისწინოს მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რომელიც მიანიშნებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

5.5.10 საწარმოს უფლება აქვს იგულისხმოს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის, თუ დაადგენს, რომ მოცემულ ფინანსურ ინსტრუმენტს დაბალი საკრედიტო რისკი აქვს საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით (იხ. პუნქტები Ბ5.5.22-Ბ5.5.24).

5.5.11 როდესაც მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომია გონივრული და ღირებული საპროგნოზო ინფორმაცია, საწარმო არ უნდა დაეყრდნოს მხოლოდ წარსულის მონაცემებს გადასახდელების ვადაგადაცილების შესახებ იმის განსაზღვრისას, საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუმცა, როდესაც მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია, რომელიც უფრო მეტადაა მომავალზე ორიენტირებული, ვიდრე ვადაგადაცილების სტატუსი (როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური მიდგომისას), საწარმოს შეუძლია ვადაგადაცილებ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის გამოყენება იმის დასადგენად, გაიზარდა თუ არა მნიშვნელოვნად საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რა მეთოდით შეაფასებს საწარმო საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას, არსებობს უარყოფადი ვარაუდი, რომლის თანახმად, მიიჩნევა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. საწარმოს შეუძლია ამ ვარაუდის უარყოფა, თუ მისთვის მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომია გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. თუ საწარმო დაადგენს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იქამდე გაიზარდა, სანამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელი თანხები 30 დღეზე მეტი ხნით გახდებოდა ვადაგადაცილებული, მაშინ ზემოაღნიშნული უარყოფადი ვარაუდი არ გამოიყენება.

მოდიფიცირებული ფინანსური აქტივები

5.5.12 როდესაც ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფინანსური ნაკადები მხარეთა შეთანხმებით გადაისინჯება ან მოდიფიცირდება, მაგრამ ამას არ გამოუწვევია მოცემული ფინანსური აქტივის

 © IFRS Foundation

აღიარების შეწყვეტა, საწარმომ 5.5.3 პუნქტის შესაბამისად უნდა შეაფასოს, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ერთმანეთს უნდა შეუდაროს:

ა) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით (მოდიფიცირებული სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე); და

ბ) ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი თავდაპირველი აღიარებისას (თავდაპირველი, არამოდიფიცირებული სახელშეკრულებო პირობების საფუძველზე).

შეძენილი ან საწარმოს მიერ შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები

5.5.13 5.5.3 და 5.5.5 პუნქტების მოთხოვნების მიუხედავად, საწარმომ, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებთან მიმართებით ზარალის რეზერვად უნდა აღიაროს მხოლოდ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კუმულაციური ცვლილებები.

5.5.14 საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილების ეკვივალენტური თანხა, როგორც გაუფასურების შემოსულობა ან ზარალი. საწარმომ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხელსაყრელი ცვლილებები უნდა აღიაროს, როგორც გაუფასურების შემოსულობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ნაკლებია იმ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას აისახა შეფასებულ ფულად ნაკადებში.

გამარტივებული მიდგომა სავაჭრო მოთხოვნებისთვის, სახელშეკრულებო აქტივებისა და საიჯარო მოთხოვნებისთვის

5.5.15 5.5.3 და 5.5.5 პუნქტების მოთხოვნების მიუხედავად, საწარმომ ქვემოთ განხილულ მუხლებთან დაკავშირებით, ზარალის რეზერვი ყოველთვის უნდა შეაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია:

ა) **ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი სავაჭრო მოთხოვნები ან სახელშეკრულებო აქტივები, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან:**

(i) **ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც საწარმო იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია);**

(ii) **ფასს 15-ის შესაბამისად შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს, თუ საწარმო სააღრიცხვო პოლიტიკად ირჩევს ზარალის რეზერვის შეფასებას ისეთი თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ტოლია. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა საწარმომ უნდა გამოიყენოს ყველა ამგვარ სავაჭრო მოთხოვნასთან ან სახელშეკრულებო აქტივთან მიმართებით, თუმცა შესაძლებელია მისი ცალ-ცალკე გამოყენება სავაჭრო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის.**

ბ) **ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი საიჯარო მოთხოვნები, რომლებიც ფასს 16-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, თუ საწარმო სააღრიცხვო პოლიტიკად ირჩევს ზარალის რეზერვის შეფასებას ისეთი თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ტოლია. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა საწარმომ უნდა გამოიყენოს ყველა საიჯარო მოთხოვნასთან მიმართებით, თუმცა შესაძლებელია მისი ცალ-ცალკე გამოყენება ფინანსური და საოპერაციო საიჯარო მოთხოვნებისთვის.**

5.5.16 საწარმოს უფლება აქვს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეარჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა სავაჭრო მოთხოვნებისთვის, საიჯარო მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო აქტივებისათვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

5.5.17 საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ისეთი მეთოდით უნდა შეაფასოს, რომელიც ასახავს:

ა) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;

ბ) ფულის დროით ღირებულებას; და

გ) გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

5.5.18 აუცილებელი არ არის, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას საწარმომ ყველა შესაძლო სცენარი ამოიცნოს თუმცა, მან უნდა გაითვალისწინოს საკრედიტო ზარალის წარმოშობის რისკი ან ალბათობა, საკრედიტო ზარალის წარმოქმნის და საკრედიტო ზარალის არწარმოქმნის შესაძლებლობების ასახვის გზით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკრედიტო ზარალის წარმოშობის შესაძლებლობა ძალიან მცირეა.

5.5.19 მაქსიმალური პერიოდი, რომელიც საწარმომ უნდა განიხილოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, არის მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი (ვადის გაგრძელების შესაძლებლობის ჩათვლით), რომლის განმავლობაშიც საწარმო ექვემდებარება საკრედიტო რისკს და არა უფრო ხანგრძლივი პერიოდი, თუნდაც აღნიშნული ხანგრძლივი პერიოდი საწარმოს ბიზნესმოდელს შეესაბამებოდეს.

5.5.20 თუმცა, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც სესხს, ისე სესხის გაცემის ვალდებულების აუთვისებელ კომპონენტს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწარმოს შესაძლებლობის გამო, მოითხოვოს სესხის დაფარვა და გააუქმოს სესხის გაცემის ვალდებულების აუთვისებელი კომპონენტი, საკრედიტო ზარალის რისკზე საწარმოს დაქვემდებარების პერიოდი არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაფრთხილების პერიოდით. მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, საწარმომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეაფასოს მთელი იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც საწარმო ექვემდებარება საკრედიტო რისკს და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ შემცირდება საწარმოს საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებით, თუნდაც აღნიშნული პერიოდი აღემატებოდეს მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს.

5.6 ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

5.6.1 თუ საწარმო ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას ახდენს 4.4.1 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, მან რეკლასიფიკაცია პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს *რეკლასიფიკაციის თარიღიდან*. საწარმომ არ უნდა გადაიანგარიშოს (გააკორექტიროს) ადრე აღიარებული შემოსულობები, ზარალი (მათ შორის გაუფასურების შემოსულობა ან ზარალი) ან პროცენტი. რეკლასიფიკაციისთვის მოთხოვნებს ადგენს 5.6.2–5.6.7 პუნქტები.

5.6.2 თუ საწარმო ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ კატეგორიაში, მისი რეალური ღირებულება შეფასდება რეკლასიფიკაციის თარიღით. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივის ადრინდელ ამორტიზებულ ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

5.6.3 თუ საწარმო ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიაში, რეკლასიფიკაციის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულება გახდება მისი ახალი მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება. (ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის ზარალის რეზერვის განსაზღვრის სახელმძღვანელო მითითებებისთვის იხ. პუნქტი ბ5.6.2.)

 © IFRS Foundation

5.6.4 თუ საწარმო ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ კატეგორიაში, მისი რეალური ღირებულება შეფასდება რეკლასიფიკაციის თარიღით. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური აქტივის ადრინდელ ამორტიზებულ ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობით, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. ამგვარი რეკლასიფიკაციის შედეგად არ გაკორექტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. (იხ. პუნქტი B5.6.1.)

5.6.5 თუ საწარმო ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიაში, ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება რეკლასიფიკაციის თარიღით შეფასებული რეალური ღირებულებით. თუმცა, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი ამოიღება საკუთარი კაპიტალის შემადგენლობიდან და გაკორექტირდება რეკლასიფიკაციის თარიღით განსაზღვრულ ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების სიდიდემდე. შედეგად რეკლასიფიკაციის თარიღით ფინანსური აქტივი ისე შეფასდება, თითქოს იგი ყოველთვის ამორტიზებული ღირებულებით იყო შეფასებული. ზემოაღნიშნული კორექტირება გავლენას ახდენს სხვა სრულ შემოსავალზე, მაგრამ გავლენას არ ახდენს მოგებაზე ან ზარალზე და, ამგვარად, არ წარმოადგენს რეკლასიფიკაციის კორექტირებას (იხ. ბასს 1 – *„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“*). ამგვარი რეკლასიფიკაციის შედეგად არ გაკორექტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. (იხ. პუნქტი B5.6.1.)

5.6.6 თუ საწარმო ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ კატეგორიაში, მოცემული ფინანსური აქტივის შეფასება უნდა გაგრძელდეს რეალური ღირებულებით. (ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის ზარალის რეზერვის განსაზღვრის სახელმძღვანელო მითითებებისთვის იხ. პუნქტი B5.6.2.)

5.6.7 თუ საწარმო ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ კატეგორიაში, მოცემული ფინანსური აქტივის შეფასება უნდა გაგრძელდეს რეალური ღირებულებით. ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირების თარიღისთვის საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება. (იხ. ბასს 1).

5.7 შემოსულობები და ზარალი

5.7.1 რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა აისახოს მოგებაში ან ზარალში, შემდეგი შემთხვევების გარდა:

ა) იგი ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილია (იხ. პუნქტები 6.5.8-6.5.14 და, საჭიროების შემთხვევაში, ბასს 39-ის 89-94-ე პუნქტები, რომლებიც ეხება რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვას პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისას);

ბ) იგი არის წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიცია და საწარმოს 5.7.5 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილი აქვს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობებისა და ზარალის სხვა სრულ შემოსავალში ასახვა;

გ) იგი არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და საწარმოს მოეთხოვება, ვალდებულების *საკრედიტო რისკის* ცვლილებების გავლენის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში, 5.7.7 პუნქტის შესაბამისად; ან

დ) იგი ფინანსური აქტივია, რომელიც 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და საწარმოს რეალურ ღირებულებაში მომხდარი გარკვეული ცვლილებების ასახვა მოეთხოვება სხვა სრულ შემოსავალში, 5.7.10 პუნქტის შესაბამისად.

5.7.1ა დივიდენდები მოგებაში ან ზარალში მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარდება, როდესაც:

ა) დადგინდება საწარმოს უფლება გადახდილი დივიდენდების მიღებაზე;

ბ) მოსალოდნელია დივიდენდებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და

გ) დივიდენდის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

5.7.2 ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ისეთ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც არ არის ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი (იხ. პუნქტები 6.5.8-6.5.14 და, საჭიროების შემთხვევაში, ბასს 39-ის 89-94-ე პუნქტები, რომლებიც ეხება რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვას პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისას), უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, 5.6.2 პუნქტის შესაბამისად მისი რეკლასიფიკაციის დროს, ამორტიზაციის პროცესში ან გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის აღიარების მიზნით. საწარმომ უნდა გამოიყენოს 5.6.2 და 5.6.4 პუნქტები, თუ ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას ახორციელებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ისეთ ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც არ არის ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი (იხ. პუნქტები 6.5.8-6.5.14 და, საჭიროების შემთხვევაში, ბასს 39-ის 89-94-ე პუნქტები, რომლებიც ეხება რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვას პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისას), უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, ასევე ამორტიზაციის პროცესში (სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებულ შემოსულობასთან ან ზარალთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებებისთვის იხ. პუნქტი ბ5.7.2).

5.7.3 ისეთ ფინანსურ აქტივებთან ან ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი, რომლებიც არ არის ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი, უნდა აღიარდეს 6.5.8-6.5.14 პუნქტების შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, ბასს 39-ის 89-94-ე პუნქტების შესაბამისად, რომლებიც ეხება რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვას პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებისას.

5.7.4 თუ საწარმო ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდით (იხ. პუნქტები 3.1.2, ბ3.1.3 და ბ3.1.6), მან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ აქტივებთან დაკავშირებით არ უნდა აღიაროს ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების არანაირი ცვლილება, რომელიც წარმოიქმნება გარიგების თარიღიდან ანგარიშსწორების თარიღამდე პერიოდში. თუმცა, რეალური ღირებულებით შეფასებულ აქტივებთან დაკავშირებით, რეალური ღირებულების ცვლილება უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, ან სხვა სრულ შემოსავალში, გარემოებებისდა მიხედვით, 5.7.1 პუნქტის შესაბამისად. გაუფასურების მოთხოვნების გამოყენების მიზნებისთვის გარიგების თარიღი საწარმომ უნდა მიიჩნიოს აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღად.

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

5.7.5 საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ისეთ წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილებები, რომლებიც განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს და, ამავე დროს, არ წარმოადგენს *სავაჭროდ გამიზნულ ინსტრუმენტს* და არც პირობით კომპენსაციას, რომელსაც მყიდველი საწარმო აღიარებს ფასს 3-ის მოქმედების სფეროში მყოფ საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებით (სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებულ შემოსულობასთან ან ზარალთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებებისთვის იხ. პუნქტი ბ5.7.3).

5.7.6 თუ საწარმო გადაწყვეტილებას იღებს 5.7.5 პუნქტის შესაბამისად, მან მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს აღნიშნული ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები, 5.7.1ა პუნქტის შესაბამისად.

 © IFRS Foundation

ვალდებულებები, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით

5.7.7 საწარმომ მოგებაში ან ზარალში უნდა აღიაროს ისეთ ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც 4.2.2 ან 4.3.5 პუნქტის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, შემდეგი წესების დაცვით:

ა) ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ნაწილი, რომელიც მიეკუთვნება აღნიშნული ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას, უნდა აისახოს სხვა სრულ შემოსავალში (იხ. პუნქტები ბ5.7.13-ბ5.7.20); და

ბ) ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების დანარჩენი ნაწილი უნდა აისახოს მოგებაში ან ზარალში,

იმ შემთხვევის გარდა, როდესაც (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღრიცხვა გამოიწვევდა ან გაზრდიდა მოგებაში ან ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს (რა შემთხვევაშიც 5.7.8 პუნქტის მოთხოვნები გამოიყენება). ბ5.7.5-ბ5.7.7 და ბ5.7.10.-ბ5.7.12 პუნქტებში მოცემულია მითითებები იმის შესახებ, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ, წარმოიქმნება თუ არა, ან გაიზრდება თუ არა სააღრიცხვო შეუსაბამობები.

5.7.8 იმ შემთხვევაში, თუ 5.7.7 პუნქტის მოთხოვნები გამოიწვევს ან გაზრდის მოგებაში ან ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს, საწარმომ აღნიშნულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ყველანაირი შემოსულობა ან ზარალი (ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების გავლენის ჩათვლით) უნდა ასახოს მოგებაში ან ზარალში.

5.7.9 5.7.7 და 5.7.8 პუნქტების მოთხოვნების მიუხედავად, საწარმომ მოგებაში ან ზარალში უნდა ასახოს ისეთ სესხის გაცემის ვალდებულებასა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

5.7.10 ისეთ ფინანსური აქტივთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, გარდა გაუფასურების შემოსულობების ან ზარალისა (იხ. ნაწილი 5.5) და სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებული შემოსულობების ან ზარალისა (იხ. პუნქტები ბ5.7.2–ბ5.7.2ა) მანამ, სანამ არ შეწყდება ფინანსური აქტივის აღიარება, ან არ განხორციელდება მისი რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტის მომენტში, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1). როდესაც ფინანსური აქტივი „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრული შემოსავალში ასახვით“ კატეგორიიდან სხვა კატეგორიაში რეკლასიფიცირდება, საწარმომ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული, დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს 5.6.5 და 5.6.7 პუნქტების მიხედვით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

5.7.11 როგორც 5.7.10 პუნქტშია აღწერილი, როდესაც ფინანსური აქტივი 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები იგივეა, რომლებიც იმ შემთხვევაში აღიარდებოდა მოგებაში ან ზარალში, თუ მოცემული ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით იქნებოდა შეფასებული.

მე-6 თავი ჰეჯირების აღრიცხვა

6.1 ჰეჯირების აღრიცხვის მიზანი და მოქმედების სფერო

6.1.1 ჰეჯირების აღრიცხვის მიზანია, ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოაჩინოს იმ საწარმოს რისკების მართვის პროცესების გავლენა, რომელიც ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს კონკრეტული რისკების ზემოქმედების მართვისთვის, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე (ან სხვა სრულ შემოსავალზე, იმ შემთხვევაში, როდესაც წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის საწარმო იყენებს არჩევანის უფლებას, რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში 5.7.5 პუნქტის შესაბამისად). აღნიშნული მიდგომის მიზანია, გვიჩვენოს, რა გარემოებებში გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომლის მიმართაც საწარმო იყენებს ჰეჯირების აღრიცხვის მეთოდს, რათა ნათელი გახდეს ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენების მიზანი და ეფექტი.

6.1.2 საწარმოს უფლება აქვს, ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაცია განსაზღვროს 6.2.1-6.3.7 და Ბ6.2.1-Ბ6.3.25 პუნქტების შესაბამისად. ჰეჯირების ურთიერთობისათვის, რომელიც საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, საწარმომ ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს 6.5.1-6.5.14 და Ბ6.5.1-Ბ6.5.28 პუნქტების შესაბამისად. როდესაც ჰეჯირებული მუხლი გარკვეული ელემენტების ჯგუფია, საწარმომ დამატებით უნდა შეასრულოს 6.6.1-6.6.6 და Ბ6.6.1-Ბ6.6.16 პუნქტების მოთხოვნები.

6.1.3 ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის რეალური ღირებულების ჰეჯირებისას (და მხოლოდ ასეთი ჰეჯირებისას), საწარმოს უფლება აქვს, წინამდებარე სტანდარტის ნაცვლად, ბასს 39-ის ჰეჯირების მოთხოვნები გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ იმავდროულად უნდა გამოიყენოს პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკის რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვისთვის განკუთვნილი სპეციალური მოთხოვნები და ჰეჯირებულ მუხლად მიიჩნიოს ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ფულად თანხას (იხ. ბასს 39, პუნქტები 81ა, 89ა და გმ114-გმ132).

6.2 ჰეჯირების ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტებად კლასიფიცირების კრიტერიუმებს

6.2.1 საზოგადოდ, წარმოებული ინსტრუმენტი, ზოგიერთი გაყიდული ოფციონის გარდა, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი (იხ. პ. Ბ6.2.4).

6.2.2 არაწარმოებული ფინანსური აქტივი ან არაწარმოებული ფინანსური ვალდებულება, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი, თუ ფინანსური ვალდებულება არ განეკუთვნება რეალური ღირებულებით შეფასებულ კატეგორიას, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რომლის საკრედიტო რისკის ცვლილებით განპირობებული რეალური ღირებულების ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში 5.7.7 პუნქტის შესაბამისად. სავალუტო რისკის ჰეჯირების დროს, არაწარმოებულ ფინანსურ აქტივთან ან არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული სავალუტო რისკის კომპონენტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირების ინსტრუმენტად, თუ იგი არ არის წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიცია, რომლისთვისაც საწარმოს არჩეული აქვს რეალური ღირებულების ცვლილების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში, 5.7.5 პუნქტის შესაბამისად.

6.2.3 ჰეჯირების აღრიცხვის მიზნით, ჰეჯირების ინსტრუმენტებად კლასიფიცირდება მხოლოდ ანგარიშვალდებული საწარმოს გარეშე მხარეებთან (ე.ი. ანგარიშვალდებული ჯგუფის, ან ინდივიდუალური საწარმოს გარეშე მხარეებთან) დადებული ხელშეკრულებები.

 © IFRS Foundation

ჰეჯირების ინსტრუმენტებად კლასიფიცირება

6.2.4 ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს, მთლიანად უნდა იქნეს მიჩნეული ჰეჯირების ინსტრუმენტად. დასაშვებ გამონაკლისებს წარმოადგენს მხოლოდ:

ა) ოფციონის ხელშეკრულებისთვის საკუთარი ღირებულებისა და დროითი ღირებულების განცალკევება და ჰეჯირების ინსტრუმენტად მხოლოდ ოფციონის საკუთარი ღირებულების ცვლილების კლასიფიცირება და არა დროითი ღირებულების ცვლილების; (იხ. პუნქტები 6.5.15 და ბ6.5.29-ბ6.5.33)

ბ) ფორვარდულ ხელშეკრულებაში ფორვარდული ელემენტისა და სპოტ ელემენტის განცალკევება და ჰეჯირების ინსტრუმენტად მხოლოდ სპოტ ელემენტის ღირებულების ცვლილების კლასიფიცირება და არა ფორვარდული ელემენტის ღირებულების ცვლილების; ანალოგიურად, შესაძლებელია უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედის განცალკევება და მისი გამორიცხვა ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტიდან; (იხ. პუნქტები 6.5.16 და ბ6.5.34-ბ6.5.39) და

გ) მთლიანი ჰეჯირების ინსტრუმენტის ნაწილი, როგორიცაა, მაგალითად ნომინალური ღირებულების 50%, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირების ინსტრუმენტად ჰეჯირების ურთიერთობაში. თუმცა, ჰეჯირების ინსტრუმენტად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ დროის პერიოდის იმ ნაწილთან, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირების ინსტრუმენტი დაუფარავი რჩება.

6.2.5 საწარმოს შეფასება შეუძლია კომბინირებულად და ჰეჯირების ინსტრუმენტად მთლიანად მიიჩნიოს შემდეგი ელემენტების ნებისმიერი კომბინაცია (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზოგიერთ ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით წარმოქმნილი რისკი, ან რისკები გადაფარავს სხვა ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებულ რისკს, ან რისკებს):

ა) წარმოებული ინსტრუმენტები ან მათი ნაწილი; და

ბ) არაწარმოებული ინსტრუმენტები ან მათი ნაწილი.

6.2.6 თუმცა, წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც შეიცავს გაყიდულ და შესყიდულ ოფციონებს (მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ქოლარი), არ დააკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, თუ კლასიფიკაციის განსაზღვრის თარიღისთვის იგი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ნეტო გაყიდულ ოფციონს (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წარმოებული ინსტრუმენტი აკმაყოფილებს ბ6.2.4 პუნქტის კრიტერიუმებს). ანალოგიურად, ორი ან მეტი ინსტრუმენტი (ან მათი ნაწილები) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ერთობლივად მიჩნეულ იქნეს ჰეჯირების ინსტრუმენტად, თუ კლასიფიკაციის განსაზღვრის თარიღისთვის ისინი ერთობლივად, ფაქტობრივად, არ წარმოადგენს ნეტო გაყიდულ ოფციონს (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაკმაყოფილებულია ბ6.2.4 პუნქტის კრიტერიუმები).

6.3 ჰეჯირებული მუხლები

მუხლები, რომლებიც ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს

6.3.1 ჰეჯირებული მუხლი შეიძლება იყოს აღიარებული აქტივი ან ვალდებულება, აუღიარებელი *მყარი ვალდებულება, პროგნოზირებული გარიგება* ან უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიცია. ჰეჯირებული მუხლი შეიძლება იყოს:

ა) ცალკეული მუხლი; ან

ბ) მუხლების ჯგუფი (6.6.1-6.6.6 და ბ6.6.1-ბ6.6.16 პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით).

ჰეჯირებული მუხლი შეიძლება ასევე იყოს ამგვარი მუხლის, ან მუხლების ჯგუფის ნაწილი (იხ. პუნქტები 6.3.7 და ბ6.3.7-ბ6.3.25).

6.3.2 შესაძლებელი უნდა იყოს ჰეჯირებული მუხლის საიმედოდ შეფასება.

6.3.3 თუ ჰეჯირებული მუხლი პროგნოზირებული გარიგებაა (ან მისი ნაწილი), აღნიშნული გარიგება მაღალი ალბათობით უნდა იყოს მოსალოდნელი.

6.3.4 ჰეჯირებულ მუხლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აგრეგირებული რისკის პოზიცია, რომელიც წარმოადგენს წარმოებული ინსტრუმენტისა და ისეთი რისკის კომბინაციას, რომელიც 6.3.1 პუნქტის შესაბამისად აკმაყოფილებს ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს (იხ. პუნქტები Ბ6.3.3-Ბ6.3.4). აღნიშნული მოიცავს აგრეგირებული რისკის პოზიციის შესახებ პროგნოზირებულ გარიგებას (ანუ, არასავალდებულო, მაგრამ სავარაუდო მომავალ გარიგებებს, რომლებიც გამოიწვევს რისკისა და წარმოებული ინსტრუმენტის წარმოქმნას), თუ აგრეგირებული რისკის პოზიცია მაღალი ალბათობის მქონეა და როდესაც ის მატერიალიზდება და, მაშასადამე, აღარ იქნება პროგნოზირებული რისკი, შესაძლებელი იქნება მისი კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად.

6.3.5 ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებისთვის, ჰეჯირებულ მუხლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ აქტივები, ვალდებულებები, მყარი ვალდებულებები, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგებები ანგარიშვალდებული საწარმოს გარეშე მხარესთან. ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება ერთი და იმავე ჯგუფის საწარმოებს შორის გარიგებებთან/ოპერაციებთან მიმართებით შესაძლებელია მხოლოდ ამ საწარმოთა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში და არ შეიძლება ჯგუფის კონსოლიდებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა საინვესტიციო საწარმოს (როგორც ეს განმარტებულია ფასს 10-ში) კონსოლიდებული ფინანსური ანგარიშგებისა, სადაც კონსოლიდებული ფინანსური ანგარიშგებიდან არ გამოირიცხება საინვესტიციო საწარმოსა და შვილობილ საწარმოებს (რომლებიც აღირიცხება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით) შორის განხორციელებული ოპერაციები.

6.3.6 თუმცა, 6.3.5 პუნქტიდან გამონაკლისის სახით, შიდაჯგუფური ფულადი მუხლის (მაგალითად, მოთხოვნები და ვალდებულებები ორ შვილობილ საწარმოს შორის) სავალუტო რისკმა შესაძლოა დააკმაყოფილოს კონსოლიდებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმები იმ შემთხვევაში, თუ სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად მოსალოდნელი შემოსულობა ან ზარალი კონსოლიდირებისას მთლიანად არ გამოირიცხება ბასს 21-ის - *„უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“* - შესაბამისად. ბასს 21-ის თანახმად, კონსოლიდირების დროს, შიდაჯგუფურ ფულად მუხლთან დაკავშირებით მიღებული საკურსო სხვაობის შემოსულობა და ზარალი მთლიანად არ ელიმინირდება, როდესაც შიდაჯგუფურ ფულად მუხლთან დაკავშირებული ოპერაცია სრულდება ჯგუფში შემავალ ორ ისეთ საწარმოს შორის, რომლებსაც განსხვავებული სამუშაო ვალუტა გააჩნიათ. გარდა ამისა, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაღალი ალბათობით მოსალოდნელი შიდაჯგუფური პროგნოზირებული გარიგების სავალუტო რისკი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირებულ მუხლად, თუ ეს გარიგება გამოსახული არ არის გარიგების მონაწილე საწარმოს სამუშაო ვალუტაში და სავალუტო რისკი გავლენას იქონიებს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე.

მუხლების კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლებად

6.3.7 საწარმოს უფლება აქვს, ჰეჯირებულ მუხლად მიიჩნიოს ჰეჯირების ურთიერთობაში მონაწილე მუხლი მთლიანად ან მისი კომპონენტი (ნაწილი). მთლიანი მუხლი მოიცავს ფულადი ნაკადების, ან ამა თუ იმ მუხლის რეალური ღირებულების ყველა ცვლილებას. კომპონენტი მოიცავს რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილების ან ფულადი ნაკადების მთლიანი ცვალებადობის გარკვეულ ნაწილს. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს მხოლოდ შემდეგი ტიპის კომპონენტების (მათი კომბინაციების ჩათვლით) კლასიფიცირება შეუძლია ჰეჯირებულ მუხლად:

ა) მხოლოდ კონკრეტულ რისკზე ან რისკებზე (რისკის კომპონენტი) მისაკუთვნებელი ფულადი ნაკადების ან რეალური ღირებულების ცვლილება, იმ პირობით, თუ კონკრეტული საბაზრო სტრუქტურის გათვალისწინებით განხორციელებული შეფასების თანახმად, რისკის კომპონენტი განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადია (იხ. პუნქტები Ბ6.3.8-Ბ6.3.15). რისკის კომპონენტები გულისხმობს მხოლოდ

 © IFRS Foundation

გარკვეულ ფასზე, ან სხვა ცვლადზე ზემოთ ან ქვემოთ ფულადი ნაკადების ან რეალური ღირებულების ცვლილების კლასიფიცირებას ჰეჯირებულ მუხლად (ცალმხრივი რისკი);

ბ) ერთი ან რამდენიმე შერჩეული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები;

გ) ნომინალური ღირებულების ნაწილი, ანუ მუხლის ღირებულების კონკრეტული ნაწილი (იხ. პუნქტები ბ6.3.16-ბ6.3.20).

6.4 კრიტერიუმები ჰეჯირების აღრიცხვისთვის

6.4.1 **ჰეჯირების ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაში კლასიფიცირდება ჰეჯირების აღრიცხვად, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი:**

ა) ჰეჯირების ურთიერთობა მოიცავს მხოლოდ ისეთ ჰეჯირების ინსტრუმენტებსა და ჰეჯირებულ მუხლებს, რომლებიც აკმაყოფილებს შესაბამის საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს;

ბ) ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ჰეჯირების ურთიერთობას მინიჭებული აქვს ფორმალური კლასიფიკაცია და არსებობს ჰეჯირების ურთიერთობის, საწარმოს რისკის მართვის მიზნისა და ჰეჯირების განხორციელების სტრატეგიის დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს ჰეჯირების ინსტრუმენტი, ჰეჯირებული მუხლი, ჰეჯირებისთვის გამიზნული რისკის ხასიათი და აღწერილი იყოს მეთოდი, რომლის მეშვეობითაც საწარმო შეაფასებს, ჰეჯირების ურთიერთობა აკმაყოფილებს თუ არა ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებს (მათ შორის, მოცემული უნდა იყოს ჰეჯირების არაეფექტურობის მიზეზების ანალიზი და როგორ განსაზღვრავს საწარმო *ჰეჯირების კოეფიციენტს*);

გ) ჰეჯირების ურთიერთობა აკმაყოფილებს ჰეჯირების ეფექტურობის ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს:

(i) ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის არსებობს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება; (იხ. პუნქტები ბ6.4.4-ბ6.4.6)

(ii) აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებით გამოწვეულ ღირებულების ცვლილებაში არ დომინირებს საკრედიტო რისკის გავლენა; (იხ. პუნქტები ბ6.4.7-ბ6.4.8); და

(iii) განსახილველი ჰეჯირების ურთიერთობისთვის ჰეჯირების კოეფიციენტი იგივეა, რაც გამომდინარეობს ფაქტობრივად ჰეჯირებული მუხლების რაოდენობიდან და ამ მუხლების ჰეჯირებისთვის ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტების რაოდენობიდან. თუმცა, მოცემულმა ჰეჯირების ურთიერთობამ არ უნდა ასახოს ჰეჯირების არაეფექტურობის (მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა) გამომწვევი ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის წონებს შორის დისბალანსი, რაც გამოიწვევს ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან შეუსაბამო სააღრიცხვო შედეგებს (იხ. პუნქტები ბ6.4.9-ბ6.4.11).

6.5 ჰეჯირების ურთიერთობის აღრიცხვა

6.5.1 **საწარმო ჰეჯირების აღრიცხვას იყენებს ჰეჯირების ურთიერთობისთვის, რომელიც აკმაყოფილებს 6.4.1 პუნქტის მოთხოვნებს (რომელიც მოიცავს საწარმოს გადაწყვეტილებას, ჰეჯირების ურთიერთობისთვის ფორმალური კლასიფიკაციის მინიჭების შესახებ).**

6.5.2 **არსებობს სამი ტიპის ჰეჯირების ურთიერთობა:**

ა) რეალური ღირებულების ჰეჯირება: აღიარებული აქტივის ან ვალდებულების, ან აუღიარებელი მყარი ვალდებულების, ან ნებისმიერი ამგვარი მუხლის გარკვეული ნაწილის რეალური ღირებულების მოსალოდნელი ცვლილებების ჰეჯირება, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ რისკთან და შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე;

ბ) ფულადი ნაკადების ჰეჯირება: ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ცვალებადობის ჰეჯირება, რაც შეიძლება მიეკუთვნოს კონკრეტულ რისკს, რომელიც დაკავშირებულია მთლიან აღიარებულ აქტივთან ან ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით

მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან, ან მათ ნაწილთან/კომპონენტთან (როგორიცაა ყველა ან ზოგიერთი სამომავლო საპროცენტო გადასახდელი ცვალებადგანაკვეთიან ვალზე) და რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე;

გ) უცხოურ ქვედანაყოფში (როგორც განმარტებულია ბასს 21-ში) განხორციელებული ნეტო ინვესტიციების ჰეჯირება.

6.5.3 თუ ჰეჯირებული მუხლი წილობრივი ინსტრუმენტია, რომლისთვისაც 5.7.5 პუნქტის შესაბამისად საწარმო გადაწყვეტს რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვას, 6.5.2(ა) პუნქტში ნახსენები ჰეჯირებული რისკი უნდა იყოს ის რისკი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდენა სხვა სრულ შემოსავალზე. მხოლოდ და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღიარებული ჰეჯირების არაეფექტურობა აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

6.5.4 მყარი ვალდებულების სავალუტო რისკის ჰეჯირება შეიძლება აისახოს როგორც რეალური ღირებულების ჰეჯირება, ან ფულადი ნაკადების ჰეჯირება.

6.5.5 თუ ჰეჯირების ურთიერთობა აღარ აკმაყოფილებს ჰეჯირების კოეფიციენტთან დაკავშირებულ ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებს (იხ. პ. 6.4.1(გ)(iii)), მაგრამ მოცემული ჰეჯირების ურთიერთობისთვის რისკის მართვის მიზანი იგივე რჩება, საწარმომ უნდა გააკორექტიროს ჰეჯირების კოეფიციენტი ისე, რომ ჰეჯირების ურთიერთობა ისევ აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს (წინამდებარე სტანდარტში ეს პროცესი მოხსენიებულია როგორც „ხელახლა დაბალანსება“ - იხ. პუნქტები ბ6.5.7-ბ6.5.21).

6.5.6 საწარმომ ჰეჯირების აღრიცხვა უნდა შეწყვიტოს პერსპექტიულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა (ან ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი) აღარ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს (საჭიროების შემთხვევაში, ჰეჯირების ურთიერთობის ხელახალი დაბალანსების გათვალისწინების შემდეგ). ასე შეიძლება მაშინ მოხდეს მაგალითად, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტს ვადა გაუვა ან გაიყიდება, გაუქმდება ან დაიფარება. ამ მიზნით, ჰეჯირების ინსტრუმენტის ვადის შეცვლა, ან გაგრძელება ან სხვა ჰეჯირების ინსტრუმენტით შეცვლა არ ნიშნავს ვადის გასვლას ან გაუქმებას, თუ ამგვარი ჩანაცვლება ან ვადის გაგრძელება წარმოადგენს საწარმოს რისკის მართვის დოკუმენტირებული მიზნის ნაწილს, ან გამომდინარეობს ამ მიზნიდან. გარდა ამისა, ამავე მიზნებისათვის ჰეჯირების ინსტრუმენტი ვადაგასულად ან გაუქმებულად არ მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოქმედი კანონმდებლობის, ან ახალი კანონებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების ამოქმედების ფარგლებში, ჰეჯირების ინსტრუმენტში მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთი ან რამდენიმე კლირინგული კონტრაჰენტი შეცვლის თავდაპირველ კონტრაჰენტს და გახდება თითოეული მხარის ახალი კონტრაჰენტი. ამ მიზნებისთვის, კლირინგულ კონტრაჰენტად მიიჩნევა ცენტრალური კონტრაჰენტი (ზოგჯერ უწოდებენ „კლირინგულ ორგანიზაციას“, ან „კლირინგულ სააგენტოს“), ან, მაგალითად კლირინგული ორგანიზაციის წევრი/მონაწილე საწარმო ან საწარმოები, ან კლირინგული ორგანიზაციის მონაწილის კლიენტი, რომელიც მოქმედებს როგორც კონტრაჰენტი ცენტრალური კონტრაჰენტის მიერ კლირინგის განხორციელების საკითხში. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტის მონაწილე მხარეები თავის თავდაპირველ კონტრაჰენტებს სხვადასხვა კონტრაჰენტით ცვლიან, წინამდებარე პუნქტის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ თითოეული ახალი კონტრაჰენტი კლირინგს ახორციელებს ერთი და იმავე ცენტრალურ კონტრაჰენტთან;

ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტის ყველა სხვა ცვლილება, თუ ეს მოხდება, იზღუდება მხოლოდ ისეთი ცვლილებებით, რომლებიც აუცილებელია კონტრაჰენტის ზემოთ აღწერილი ჩანაცვლების განსახორციელებლად. ზემოაღნიშნული ცვლილებები შეზღუდულია ისეთი ცვლილებებით, რაც მოსალოდნელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტი თავდაპირველად ითვალისწინებდა კლირინგის განხორციელებას კლირინგის კონტრაჰენტთან. ამგვარ ცვლილებებს განეკუთვნება ცვლილებები უზრუნველყოფისადმი წაყენებულ მოთხოვნებში, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთების ურთიერთგადაფარვის უფლებებსა და ამოსაღებ გადასახადებთან მიმართებაში.

 © IFRS Foundation

ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჰეჯირების ურთიერთობაზე მთლიანად, ან მის ნაწილზე (ასეთ შემთხვევაში, ჰეჯირების ურთიერთობის დარჩენილი ნაწილისათვის გრძელდება ჰეჯირების აღრიცხვა).

6.5.7 საწარმომ უნდა გამოიყენოს:

ა) 6.5.10 პუნქტის მოთხოვნები, როდესაც იგი წყვეტს ჰეჯირების აღრიცხვას რეალური ღირებულების ჰეჯირებისთვის, რომლისთვისაც ჰეჯირებული მუხლი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტია (ან მისი ნაწილი); და

ბ) 6.5.12 პუნქტის მოთხოვნები, როდესაც იგი წყვეტს ჰეჯირების აღრიცხვას ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის.

რეალური ღირებულების ჰეჯირება

6.5.8 მანამდე, სანამ რეალური ღირებულების ჰეჯირება აკმაყოფილებს 6.4.1 პუნქტის კრიტერიუმებს, ჰეჯირების ურთიერთობა უნდა აისახოს შემდეგნაირად:

ა) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში (ან სხვა სრულ შემოსავალში, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტით ჰეჯირდება წილობრივი ინსტრუმენტი, რომლისთვისაც 5.7.5 პუნქტის შესაბამისად საწარმოს არჩეული აქვს რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში);

ბ) ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული ჰეჯირების შემოსულობით ან ზარალით უნდა გაკორექტირდეს ჰეჯირებული მუხლის საბალანსო ღირებულება (თუ შესაფერისია ეს მოთხოვნა) და ეს თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. თუ ჰეჯირებული მუხლი ფინანსური აქტივია (ან ფინანსური აქტივის კომპონენტი), რომელიც 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული ჰეჯირების შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, თუ ჰეჯირებული მუხლი წილობრივი ინსტრუმენტია, რომლისთვისაც საწარმოს 5.7.5 პუნქტის შესაბამისად არჩეული აქვს რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში, ეს თანხები უნდა დარჩეს სხვა სრულ შემოსავალში. როდესაც ჰეჯირებული მუხლი აუღიარებელი მყარი ვალდებულებაა (ან მისი ნაწილი), მყარი ვალდებულების რეალური ღირებულების მთელი ცვლილება, რომელიც დაგროვდა ჰეჯირებულ მუხლად მისი კლასიფიცირების შემდეგ, აღიარდება როგორც აქტივი ან ვალდებულება, ხოლო შესაბამისი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

6.5.9 როდესაც რეალური ღირებულების ჰეჯირების დროს ჰეჯირებული მუხლი საწარმოს მყარი ვალდებულებაა (ან მისი ნაწილი), რომელიც ეხება აქტივის შეძენას ან ვალდებულების აღებას, საწარმოს მიერ მყარი ვალდებულების შესრულებით წარმოქმნილი აქტივის ან ვალდებულების საწყისი საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმ მიზნით, რომ მოიცვას საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების აკუმულირებული ცვლილება.

6.5.10 თუ ჰეჯირებული მუხლი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტია (ან მისი ნაწილი), 6.5.8(ბ) პუნქტის შესაბამისად წარმოქმნილი ნებისმიერი კორექტირების თანხა უნდა ამორტიზირდეს მოგების ან ზარალის ანგარიშის მეშვეობით. ამორტიზაციის დაწყება შესაძლებელია კორექტირების საჭიროების წარმოქმნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს იმ მომენტისა, როდესაც შეწყდება ჰეჯირებული მუხლის კორექტირება ჰეჯირების შემოსულობით ან ზარალით. ამორტიზება (ჩამოწერა) ხდება ამორტიზების დაწყების თარიღისთვის გადაანგარიშებულ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. ანალოგიურად ხდება ფინანსური აქტივის (ან მისი კომპონენტის) ამორტიზება, რომელიც ჰეჯირებული მუხლია და 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მაგრამ იმ ოდენობამდე, რომელიც ასახავს ადრე 6.5.8(ბ) პუნქტის შესაბამისად აღიარებულ დაგროვილ შემოსულობას ან ზარალს, ნაცვლად იმისა, რომ გაკორექტირდეს საბალანსო ღირებულება.

ფულადი ნაკადების ჰეჯირება

6.5.11 მანამდე, სანამ ფულადი ნაკადების ჰეჯირება აკმაყოფილებს 6.4.1 პუნქტის კრიტერიუმებს, ჰეჯირების ურთიერთობა უნდა აისახოს შემდეგნაირად:

ა) ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის განცალკევებული კომპონენტი (ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი) კორექტირდება შემდეგი ორი სიდიდიდან (აბსოლუტურ გამოხატულებაში) უმცირეს სიდიდემდე:

(i) ჰეჯირების დაწყების მომენტიდან ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით აკუმულირებული შემოსულობები ან ზარალი; და

(ii) ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების აკუმულირებული ცვლილება (ანუ ჰეჯირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების კუმულაციური ცვლილების დღევანდელი ღირებულება) ჰეჯირების დაწყების მომენტიდან.

ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი, რომელიც განიხილება ეფექტურ ჰეჯირებად (ანუ ის ნაწილი, რომელიც იფარება (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის ცვლილებით), უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში;

გ) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული, დარჩენილი შემოსულობა ან ზარალი (ან ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც საჭიროა (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად გამოთვლილი ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის ცვლილების დასაბალანსებლად) წარმოადგენს ჰეჯირების არაეფექტურობას და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში;

დ) ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვში (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად აკუმულირებული თანხა უნდა აისახოს შემდეგნაირად:

(i) თუ პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირება შემდგომში იწვევს არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების აღიარებას, ან არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების შესახებ პროგნოზირებული გარიგება გახდება მყარი ვალდებულება, რომლისთვისაც რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა გამოიყენება, საწარმომ ეს თანხა უნდა ამოიღოს ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვიდან და პირდაპირ ჩართოს აქტივის ან ვალდებულების საწყის ან საბალანსო ღირებულებაში. ეს არ არის რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1) და, მაშასადამე, გავლენას არ ახდენს სხვა სრულ შემოსავალზე;

(ii) ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის, გარდა (i) ქვეპუნქტში განხილული შემთხვევისა, საწარმომ ზემოაღნიშნული თანხა ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვიდან უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1) იმავე პერიოდში ან პერიოდებში, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადები გავლენას იქონიებს მოგებაზე ან ზარალზე (მაგალითად, იმ პერიოდებში, როდესაც აღიარდება საპროცენტო შემოსავალი ან საპროცენტო ხარჯები, ან, როდესაც პროგნოზირებული გაყიდვა განხორციელდება);

(iii) თუმცა, თუ ზემოაღნიშნული თანხა ზარალია და საწარმო ვარაუდობს, რომ მთელი ზარალი, ან მისი ნაწილი არ დაიფარება ერთი ან რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, მან, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება, ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვიდან დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში უნდა გადაიტანოს ის თანხა, რომლის ამოღების იმედიც აღარ აქვს (იხ. ბასს 1).

6.5.12 როდესაც საწარმო წყვეტს ჰეჯირების აღრიცხვას ფულადი ნაკადების ჰეჯირებისთვის (იხ. პუნქტები 6.5.6 და 6.5.7(ბ)), მან ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვში აკუმულირებული თანხა უნდა ასახოს 6.5.11(ა) პუნქტის შესაბამისად, შემდეგნაირად:

ა) თუ მაინც მოსალოდნელია, რომ ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადები წარმო-იშობა, ზემოაღნიშნული თანხა უნდა დარჩეს ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვში

 © IFRS Foundation

მანამ, სანამ მომავალი ფულადი ნაკადები არ წარმოიქმნება, ან სანამ საწარმო გამოიყენებს 6.5.11(დ)(iii) პუნქტის მოთხოვნებს. როდესაც წარმოიქმნება მომავალი ფულადი ნაკადები, საწარმო გამოიყენებს 6.5.11(დ) პუნქტს.

ბ) თუ მოსალოდნელი აღარ არის, რომ ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადები წარმოიქმნება, საწარმომ ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვის თანხა დაუყოვნებლივ უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1). ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადი, რომლის მოხდენა მაღალი ალბათობით აღარ არის მოსალოდნელი, შესაძლოა მაინც ივარაუდებოდეს, რომ მოხდება.

უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციების ჰეჯირება

6.5.13 უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციების ჰეჯირება, ფულადი მუხლის ჰეჯირების ჩათვლით, რომელიც ნეტო ინვესტიციის ნაწილად მიიჩნევა (იხ. ბასს 21), უნდა აისახოს ფულადი ნაკადების ჰეჯირების მსგავსად:

ა) ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი, რომელიც განიხილება ეფექტურ ჰეჯირებად, უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში (იხ. პ. 6.5.11) ; და

ბ) არაეფექტური ნაწილი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

6.5.14 ჰეჯირების ინსტრუმენტის შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირების ეფექტურ ნაწილთან და აკუმულირებულია უცხოურ ვალუტაში გადაყვანის რეზერვში, უცხოური ქვედანაყოფის გაყიდვისას ან ნაწილობრივი გაყიდვისას, საწარმომ ბასს 21-ის 48-49-ე პუნქტების შესაბამისად, საკუთარი კაპიტალიდან უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1).

ოფციონის დროითი ღირებულების აღრიცხვა

6.5.15 როდესაც ოფციონის ხელშეკრულებისთვის საწარმო განაცალკევებს საკუთარ ღირებულებასა და დროით ღირებულებას და ჰეჯირების ინსტრუმენტად მხოლოდ ოფციონის საკუთარი ღირებულების ცვლილებებს განიხილავს (იხ. პუნქტი 6.2.4(ა)), მან ოფციონის დროითი ღირებულება უნდა ასახოს შემდეგნაირად (იხ. პუნქტები ბ6.5.29-ბ6.5.33):

ა) საწარმომ ოფციონის დროითი ღირებულება უნდა გამოაცალკევოს ოფციონის მეშვეობით ჰეჯირებული მუხლის ტიპის მიხედვით (იხ. პ. ბ6.5.29):

(i) გარიგებასთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლი; ან

(ii) დროის პერიოდთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლი.

ბ) ოფციონის დროითი ღირებულების რეალური ღირებულების ცვლილება, რომლის მეშვეობითაც ხდება გარიგებასთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ჰეჯირება, უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან და დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტის/მუხლის სახით. ოფციონის დროითი ღირებულებით წარმოქმნილი რეალური ღირებულების აკუმულირებული ცვლილება, რომელიც დაგროვილია საკუთარი კაპიტალის ცალკე მუხლის სახით (`თანხა~), უნდა აისახოს შემდეგნაირად:

(i) თუ ჰეჯირებული მუხლი შემდგომში გამოიწვევს არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების აღიარებას, ან არაფინანსური აქტივის ან არაფინანსური ვალდებულების შესახებ მყარ ვალდებულებას, რომლისთვისაც რეალური ღირებულების ჰეჯირების აღრიცხვა გამოიყენება, საწარმომ ზემოაღნიშნული თანხა უნდა ამოიღოს საკუთარი კაპიტალის ცალკე მუხლიდან და პირდაპირ ჩართოს აქტივის ან ვალდებულების საწყის ან საბალანსო ღირებულებაში. ეს არ არის რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1) და, მაშასადამე, გავლენას არ ახდენს სხვა სრულ შემოსავალზე;

(ii) ჰეჯირების ურთიერთობისთვის, გარდა (i) პუნქტში განხილული შემთხვევისა, საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტიდან ზემოაღნიშნული თანხა

უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1) იმავე პერიოდში ან იმ პერიოდებში, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადები გავლენას იქონიებს მოგებაზე ან ზარალზე (მაგალითად, იმ პერიოდებში, როდესაც პროგნოზირებული გაყიდვა განხორციელდება);

(iii) თუმცა, თუ მოსალოდნელი არ არის, რომ ზემოაღნიშნული თანხა ან მისი ნაწილი დაიფარება ერთი ან რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმომ, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება, დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში უნდა გადაიტანოს ის თანხა, რომლის ამოღების იმედიც აღარ აქვს (იხ. ბასს 1).

გ) ოფციონის დროითი ღირებულების რეალური ღირებულების ცვლილება, რომლის მეშვეობითაც ხდება დროის პერიოდთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ჰეჯირება, უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან და დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით. ოფციონის ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების თარიღისთვის არსებული დროითი ღირებულება, იმ ოდენობით, რომელიც დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან, უნდა ჩამოიწეროს რაციონალური საფუძვლით სისტემატურად იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც ოფციონის საკუთარი ღირებულების ჰეჯირების კორექტირებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოგებაზე ან ზარალზე (ან სხვა სრულ შემოსავალზე, თუ ჰეჯირებული მუხლი არის წილობრივი ინსტრუმენტი, რომლისთვისაც 5.7.5 პუნქტის შესაბამისად საწარმოს არჩეული აქვს რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში). შესაბამისად, საწარმომ თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში ამორტიზაციის თანხა საკუთარი კაპიტალის ცალკე კომპონენტიდან უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1). თუმცა, თუ ჰეჯირების აღრიცხვა შეწყდება ჰეჯირების ურთიერთობისთვის, რომელიც მოიცავს ოფციონის საკუთარი ღირებულების ცვლილებას, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტს, საწარმომ, ნეტო თანხა (ანუ აკუმულირებული ამორტიზაციის გათვალისწინებით), რომელიც დაგროვდა საკუთარი კაპიტალის ცალკე მუხლის სახით, დაუყოვნებლივ უნდა გადაიტანოს მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1).

ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდულ ელემენტსა და ფინანსური ინსტრუმენტის უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედის აღრიცხვა

6.5.16 როდესაც საწარმო ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდულ ელემენტსა და სპოტ ელემენტს ერთმანეთისგან განაცალკევებს და ჰეჯირების ინსტრუმენტის კლასიფიკაციას მხოლოდ სპოტ ელემენტის ღირებულების ცვლილებას ანიჭებს, ან, როდესაც საწარმო ფინანსური ინსტრუმენტიდან გამოყოფს უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედს და გამორიცხავს მას ამ ფინანსური ინსტრუმენტის ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირებიდან (იხ. პუნქტი 6.2.4(ბ)), მას შეუძლია 6.5.15 პუნქტის გამოყენება ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტის, ან უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედის მიმართ იმგვარადვე, როგორც გამოიყენება ოფციონის დროით ღირებულებასთან მიმართებით. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა გამოიყენოს ბ6.5.34-ბ6.5.39 პუნქტების მითითებები.

6.6 მუხლების ჯგუფის ჰეჯირება

მუხლების ჯგუფის ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების შესაძლებლობა

6.6.1 ჰეჯირებულ მუხლად მუხლების ჯგუფის (მათ შორის, მუხლების ჯგუფის, რომელიც ნეტო პოზიციას წარმოადგენს; იხ. პუნქტები ბ6.6.1-ბ6.6.8) კლასიფიცირება მხოლოდ იმ შემთხვევაში არის დასაშვები, თუ:

ა) იგი შედგება ისეთი მუხლებისაგან (მათ შორის, მუხლების ნაწილებისგან), რომლებიც ინდივიდუალურად ჰეჯირებადი მუხლებია;

 © IFRS Foundation

ბ) რისკის მართვის მიზნებისთვის ჯგუფში შემავალი მუხლების მართვა ხდება ერთობლივად; და

გ) ისეთი მუხლების ჯგუფის ფულადი ნაკადების ჰეჯირების დროს, რომლის ფულად ნაკადებში მოსალოდნელია, რომ ცვლილებები არ იქნება მთლიანად ჯგუფის ფულადი ნაკადების ცვლილების პროპორციული მიახლოებით, რის გამოც წარმოიქმნება ურთიერთგადამფარავი რისკების პოზიციები:

(i) ჰეჯირებული რისკი არის სავალუტო რისკი; და

(ii) აღნიშნული ნეტო პოზიციის კლასიფიცირება ზუსტად განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც პროგნოზირებულმა გარიგებებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოგებაზე ან ზარალზე, ასევე მათ ხასიათსა და სიდიდეზე (იხ. პუნქტები ბ6.6.7-ბ6.6.8).

ნომინალური ღირებულების კომპონენტის კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად

6.6.2 კომპონენტს, რომელიც წარმოადგენს მუხლების ჰეჯირებადი ჯგუფის გარკვეულ ხვედრით (პროცენტულ) წილს, დასაშვებია, რომ საწარმომ მიანიჭოს ჰეჯირებული მუხლის კლასიფიკაცია, თუ ამგვარი კლასიფიკაცია შესაბამისობაშია საწარმოს რისკების მართვის მიზანთან.

6.6.3 მუხლების მთლიანი ჯგუფის გარკვეული ფენისათვის (მაგალითად, ქვედა ფენისთვის) მხოლოდ იმ შემთხვევაში არის დასაშვები ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება, თუ:

ა) შესაძლებელია მისი ცალკე იდენტიფიცირება და საიმედოდ შეფასება;

ბ) რისკის მართვის მიზანია ფენის ჰეჯირება;

გ) ჯგუფში შემავალი მუხლები, საიდანაც გამოიყო ფენა, ექვემდებარება ერთი და იმავე ჰეჯირებულ რისკს (ისე, რომ ჰეჯირებული ფენის შეფასებაზე გავლენას არ ახდენს მთლიანი ჯგუფიდან რომელიმე კონკრეტული მუხლები, რომლებიც ქმნიან ჰეჯირებულ ფენას);

დ) არსებული მუხლების ჰეჯირებისთვის (მაგალითად, არაღიარებელი მყარი ვალდებულება ან აღიარებული აქტივი) საწარმოს შეუძლია განსაზღვროს და გააკონტროლოს მთლიანი ჯგუფის ის მუხლები, საიდანაც განისაზღვრა ჰეჯირებული ფენა (ისე, რომ საწარმოს შეუძლია დააკმაყოფილოს ჰეჯირების ურთიერთობის აღრიცხვის კრიტერიუმები); და

ე) ჯგუფში შემავალი მუხლები, რომლებიც შეიცავს წინასწარ გადახდის ოფციონებს, აკმაყოფილებს ნომინალური ღირებულების კომპონენტების კლასიფიკაციის მოთხოვნებს (იხ. პუნქტი ბ6.3.20).

წარდგენა

6.6.4 ურთიერთგადამფარავი რისკების პოზიციების მქონე მუხლების ჯგუფის ჰეჯირებისას (ანუ ნეტო პოზიციის ჰეჯირებისას), რომლის ჰეჯირებული რისკი გავლენას ახდენს მოგებისა და ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვადასხვა მუხლზე, აღნიშნულ ანგარიშგებაში ჰეჯირების შემოსულობა ან ზარალი უნდა აისახოს იმ მუხლებისაგან განცალკევებით, რომლებზეც გავლენას ახდენს ჰეჯირებულ მუხლები. შესაბამისად, აღნიშნულ ანგარიშგებაში უშუალოდ ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული მუხლი (მაგალითად, ამონაგები ან რეალიზებული საქონლის თვითღირებულება) უცვლელი რჩება.

6.6.5 აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომელთა ჰეჯირება რეალური ღირებულების ჰეჯირებისას ჯგუფურად ხდება, ინდივიდუალურ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აღიარდეს, როგორც ჯგუფის შემადგენელი შესაბამისი ინდივიდუალური მუხლების საბალანსო ღირებულების კორექტირება, 6.5.8(ბ) პუნქტის თანახმად.

ნულოვანი ნეტო პოზიცია

6.6.6 როდესაც ჰეჯირებული მუხლი არის ჯგუფი, რომელიც ნულოვან ნეტო პოზიციას წარმოადგენს (ანუ ჰეჯირებული მუხლები ერთმანეთში მთლიანად გადაფარავენ რისკს, რომელიც ჯგუფურად იმართება), საწარმოს მისი კლასიფიცირების უფლება აქვს ისეთ ჰეჯირების ურთიერთობაში, რომელიც არ მოიცავს ჰეჯირების ინსტრუმენტს, იმ პირობით, თუ:

ა) ჰეჯირება არის ნეტო რისკის მცოცავი ჰეჯირების სტრატეგიის ნაწილი, რომლის დროსაც საწარმო დროის გასვლასთან ერთად რეგულარულად ახდენს ერთი და იმავე ტიპის ახალი პოზიციების ჰეჯირებას (მაგალითად, როდესაც გარიგებების გადანაცვლება ხდება დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომლის ჰეჯირებასაც საწარმო ახორციელებს);

ბ) ჰეჯირებული ნეტო პოზიცია ნეტო რისკის მცოცავი ჰეჯირების სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში იცვლება ზომაში და საწარმო ნეტო რისკის ჰეჯირებისთვის იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, რომლებიც აკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმებს (ანუ, როდესაც ნეტო პოზიცია არ არის ნულის ტოლი);

გ) ამგვარი ნეტო პოზიციისთვის ჩვეულებრივ გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვა, თუ იგი ნული (ნულოვანი) არ არის და მისი ჰეჯირება ისეთი ინსტრუმენტებით ხდება, რომლებიც აკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმებს; და

დ) ნულოვანი ნეტო პოზიციის მიმართ ჰეჯირების აღრიცხვის არგამოყენება გამოიწვევდა სააღრიცხვო შედეგების შეუსაბამობას, რადგან აღრიცხვაში არ აღიარდებოდა ურთიერთგადამფარავი რისკების პოზიციები, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, აღიარდებოდა ნეტო პოზიციის ჰეჯირებისას.

6.7 საკრედიტო რისკის მქონე პოზიციის კლასიფიცირების შესაძლებლობა, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“

პირობები, როდესაც საწრმოს უფლება აქვს, საკრედიტო რისკის მქონე პოზიციებს მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“

6.7.1 თუ საწარმო მთლიანად ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი ნაწილის საკრედიტო რისკის (საკრედიტო რისკის მქონე პოზიციის) მართვის მიზნით იყენებს კრედიტის წარმოებულს, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უფლება აქვს აღნიშნულ ფინანსურ ინსტრუმენტს (ანუ მთელ ინსტრუმენტს, ან მის ნაწილს) მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ ამგვარი მართვის მოცულობის ფარგლებში, თუ:

ა) საკრედიტო რისკის მქონე პოზიციის სახელი (მაგალითად, მსესხებლის ან სესხის გაცემის ვალდებულების მფლობელის) ემთხვევა კრედიტის წარმოებულ ინსტრუმენტში მითითებულ საწარმოს („სახელით თანხვედრა“); და

ბ) ფინანსური ინსტრუმენტის კლასის რიგითობა შეესაბამება იმ ინსტრუმენტების კლასს, რომლის მიწოდებაც შესაძლებელია კრედიტის წარმოებული ინსტრუმენტის შესაბამისად.

საწარმოს აღნიშნული არჩევანის უფლება აქვს იმის მიუხედავად, მოცემული სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება თუ არა ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საკრედიტო რისკსაც მართავს საწარმო (მაგალითად, საწარმოს შეუძლია ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია მიანიჭოს სესხის გაცემის ვალდებულებას, რომელიც ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს არ განეკუთვნება). საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტისთვის ამგვარი კლასიფიკაციის მინიჭება შეუძლია თავდაპირველი აღიარებისას, ან შემდგომში, ან იმ დროის განმავლობაში, როდესაც ის არ არის აღიარებული. საწარმომ პარალელურად დოკუმენტურად უნდა დაადასტუროს მისი კლასიფიცირება.

 © IFRS Foundation

აღრიცხვა საკრედიტო რისკის მქონე პოზიციების, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“

6.7.2 თუ ფინანსური ინსტრუმენტი 6.7.1 პუნქტის შესაბამისად, საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ან ადრე ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული არ იყო, კლასიფიკაციის მინიჭების თარიღისთვის დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის. ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი დაუყოვნებლივ რეკლასიფიცირდება საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში, როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირება (იხ. ბასს 1)

6.7.3 საწარმომ უნდა შეწყვიტოს საკრედიტო რისკის ზრდის გამომწვევი ფინანსური ინსტრუმენტის, ან მისი ნაწილის შეფასება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ:

ა) 6.7.1 პუნქტში მოცემული პირობები აღარ არის დაკმაყოფილებული, მაგალითად:

(i) კრედიტის წარმოებულს, ან მასთან დაკავშირებულ, საკრედიტო რისკის გამომწვევ ფინანსურ ინსტრუმენტს ვადა გაუვიდა, ან გაიყიდა, შეწყდა და დაიფარა; ან

(ii) ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მართვა აღარ ხდება კრედიტის წარმოებულის გამოყენებით. მაგალითად, ასე შეიძლება მოხდეს მსესხებლის ან ვალდებულების მფლობელის საკრედიტო ხარისხის გაუმჯობესების, ან საწარმოზე კაპიტალის მიმართ დადგენილი მოთხოვნების ცვლილების გამო.

ბ) საჭირო აღარ არის საკრედიტო რისკის გამომწვევი ფინანსური ინსტრუმენტის შეფასება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (ანუ ამ დროის განმავლობაში საწარმოს ბიზნესმოდელი არ შეცვლილა, ამიტომ 4.4.1 პუნქტის შესაბამისად საჭირო არ იყო რეკლასიფიკაცია).

6.7.4 როდესაც საწარმო წყვეტს საკრედიტო რისკის გამომწვევი ფინანსური ინსტრუმენტის, ან მისი ნაწილის შეფასებას რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეფასების შეწყვეტის თარიღისათვის ამ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ხდება მისი ახალი საბალანსო ღირებულება. შემდგომში საწარმომ იგივე შეფასების მოდელი უნდა გამოიყენოს, რასაც იქამდე იყენებდა, სანამ ფინანსურ ინსტრუმენტს მიანიჭებდა კლასიფიკაციას, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (ახალი საბალანსო ღირებულების შედეგად გამოწვეული ამორტიზაციის ჩათვლით). მაგალითად, თავდაპირველად ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი დაუბრუნდება ამავე შეფასებას და მისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადაანგარიშება მოხდება ახალი საბალანსო ღირებულების მიხედვით, რომელიც ექნება რეალური ღირებულებით შეფასების შეწყვეტის თარიღისათვის.

მე-7 თავი ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ სტანდარტზე გადასვლა

7.1 ძალაში შესვლის თარიღი

7.1.1 საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2018 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო გადაწყვეტს ამ სტანდარტის უფრო ადრე გამოყენებას, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში და ერთდროულად გამოიყენოს სტანდარტის ყველა მოთხოვნა (თუმცა, ასევე იხილეთ 7.1.2, 7.2.21 და 7.3.2 პუნქტები). გარდა ამისა, საწარმომ იმავდროულად უნდა გამოიყენოს „გ“ დანართში მოცემული ცვლილებებიც.

7.1.2 7.1.1 პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, 2018 წლის 1 იანვარს, ან 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდებისთვის საწარმოს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ 5.7.1(გ), 5.7.7-

5.7.9, 7.2.14 და Ბ5.7.5-Ბ5.7.20 პუნქტების იმ მოთხოვნების ვადაზე ადრე გამოყენება, რომლებიც ეხება ისეთ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენას, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით ისე, რომ არ გამოიყენოს ამ სტანდარტის სხვა მოთხოვნები. თუ საწარმო აირჩევს მხოლოდ ზემოაღნიშნული პუნქტების გამოყენებას, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში და, ამასთან, მუდმივად უნდა წარმოადგინოს ფასს 7-ის (2010 წლის ოქტომბერში გამოცემული ფასს 9-ის შესაბამისად შესწორებული ვერსია) მე-10-11 პუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაცია. (იხ. ასევე პუნქტები 7.2.2 და 7.2.15.)

7.1.3 2013 წლის დეკემბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2010-2012-ის ციკლი*“ - გამოიწვია 4.2.1 და 5.7.5 პუნქტების შეცვლა, ფასს 3-ში შეტანილი ცვლილების შესაბამისად. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად იმ საწარმოთა გაერთიანებებისთვის, რომლებსაც ფასს 3-ის მოცემული ცვლილება ეხება.

7.1.4 2014 წლის მაისში გამოცემულმა ფასს 15-მა გამოიწვია 3.1.1, 4.2.1, 5.1.1, 5.2.1, 5.7.6, Ბ3.2.13, Ბ5.7.1, გ5 და გ42 პუნქტების შეცვლა და გ16 პუნქტისა და შესაბამისი სათაურის გაუქმება. დაემატა პუნქტები 5.1.3 და 5.7.1ა, ასევე განმარტება „ა“ დანართში. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 15-ს.

7.1.5 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - „*იჯარა*“ - გამოიწვია 2.1, 5.5.15, Ბ4.3.8, Ბ5.5.34 და Ბ5.5.46 პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

7.1.6 [*ეს პუნქტი ისეთ ცვლილებებს ეხება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული და ამიტომ გათვალისწინებული არ არის ამ გამოცემაში.*]

7.1.7 2017 წლის ოქტომბერში გამოცემულმა დოკუმენტმა - „*წინასწარგადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით*“ (ფასს 9-ის შესწორებები) - გამოიწვია 7.2.29–7.2.34 და Ბ4.1.12ა პუნქტების დამატება, ასევე Ბ4.1.11(ბ) და Ბ4.1.12(ბ) პუნქტების შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

7.2 გარდამავალი დებულებები

7.2.1 საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, ბასს 8-ის - „*საღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად, 7.2.4-7.2.26 და 7.2.28 პუნქტებში აღწერილი შემთხვევების გარდა. ეს სტანდარტი საწარმომ არ უნდა გამოიყენოს იმ მუხლების მიმართ, რომელთა აღიარებაც უკვე შეწყდა სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისათვის.

7.2.2 7.2.1, 7.2.3-7.2.28 და 7.3.2 პუნქტებში განსაზღვრული გარდამავალი დებულებების მიზნებისათვის, თავდაპირველი გამოყენების თარიღია ის, როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს წინამდებარე სტანდარტის მითითებულ მოთხოვნებს და უნდა იყოს იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომელიც დადგება მოცემული სტანდარტის გამოცემის შემდეგ. ფასს 9-ის გამოყენებისთვის საწარმოს მიერ არჩეული მიდგომის მიხედვით, გადასვლა შესაძლოა მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე თავდაპირველი გამოყენების თარიღს სხვადასხვა მოთხოვნისთვის.

გარდამავალი დებულებები კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის (მე-4 და მე-5 თავები)

7.2.3 თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის საწარმომ ამ თარიღისათვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს, ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს თუ არა 4.1.2(ა), ან 4.1.2ა(ა) პუნქტის პირობას. შეფასების შედეგად განსაზღვრული კლასიფიკაცია საწარმომ

 © IFRS Foundation

უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, იმის მიუხედავად, როგორ ბიზნესმოდელს იყენებდა საწარმო წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

7.2.4 თუ საწარმოს მიაჩნია, რომ თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეუძლებელია (როგორც ეს განმარტებულია ბასს 8-ში) ფულის დროითი ღირებულების მოდიფიცირებული ელემენტის შეფასება Ბ4.1.9ბ–Ბ4.1.9დ პუნქტების შესაბამისად იმ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, რომლებიც არსებობდა მოცემული ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, მაშინ საწარმომ ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით ისე, რომ არ გაითვალისწინოს Ბ4.1.9ბ–Ბ4.1.9დ პუნქტების მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფულის დროითი ღირებულების ელემენტის მოდიფიკაციას. (იხ. აგრეთვე ფასს 7-ის პუნქტი 42ს.)

7.2.5 თუ საწარმოს მიაჩნია, რომ თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის შეუძლებელია (როგორც ეს განმარტებულია ბასს 8-ში) ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას არსებულ ფაქტებზე და გარემოებებზე დაყრდნობით იმის შეფასება, წინასწარგადახდის ელემენტის (პირობის) რეალური ღირებულება უმნიშვნელო იყო თუ არა Ბ4.1.12(გ) პუნქტის შესაბამისად, მაშინ საწარმომ ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლები უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღირებისას არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით ისე, რომ მხედველობაში არ მიიღოს Ბ4.1.12 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომელიც ეხება წინასწარგადახდის პირობებს. (იხ. აგრეთვე ფასს 7-ის პუნქტი 42.ტ.)

7.2.6 როდესაც საწარმო რეალური ღირებულებით აფასებს ჰიბრიდულ ხელშეკრულებას 4.1.2ა, 4.1.4 ან 4.1.5 პუნქტების შესაბამისად, მაგრამ ჰიბრიდული ხელშეკრულების რეალური ღირებულება შეფასებული არ იყო შესადარის საანგარიშგებო პერიოდებში, მაშინ ჰიბრიდული ხელ-შეკრულების რეალური ღირებულება საანგარიშგებო პერიოდებში იქნება მისი კომპონენტების (მაგალითად, არაწარმოებული ძირითადი ხელშეკრულებისა და ჩართული წარმოებულის) რეალური ღირებულებების ჯამი, თითოეული შესადარისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ საწარმო გადაიანგარიშებს გასული პერიოდების მონაცემებს (იხ. პუნქტი 7.2.15).

7.2.7 თუ საწარმოს გამოყენებული აქვს 7.2.6 პუნქტი, მაშინ თავდაპირველი გამოყენების თარიღით საწარმომ საწყის გაუნაწილებელ მოგებაში (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში, საჭიროებისამებრ) უნდა აღიაროს სხვაობა, თავდაპირველი გამოყენების თარიღით განსაზღვრულ, მთლიანი ჰიბრიდული ხელშეკრულების რეალურ ღირებულებასა და თავდ-აპირველი გამოყენების თარიღით განსაზღვრულ, ჰიბრიდული ხელშეკრულების კომპონენ-ტების რეალური ღირებულებების ჯამს შორის, იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელსაც მიეკუთვნება თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

7.2.8 თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის საწარმოს უფლება აქვს, აირჩიოს შემდეგი კლასიფიკაცია:

ა) ფინანსური აქტივისთვის „როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, 4.1.5 პუნქტის შესაბამისად; ან

ბ) წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციისთვის „როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, 5.7.5 პუნქტის შესაბამისად.

კლასიფიკაციის შესახებ ამგვარი გადაწყვეტილება საწარმომ უნდა მიიღოს თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით. შერჩეული კლასიფიკაცია გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად.

7.2.9 თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის:

ა) თუ ფინანსური აქტივი არ აკმაყოფილებს 4.1.5 პუნქტის პირობას, საწარმომ უნდა გააუქმოს ფინანსური აქტივის ადრინდელი კლასიფიკაცია - რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

ბ) თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს 4.1.5 პუნქტის პირობას, საწარმოს უფლება აქვს, გააუქმოს ფინანსური აქტივის ადრინდელი კლასიფიკაცია - რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კლასიფიკაციის გაუქმების შესახებ ამგვარი გადაწყვეტილება საწარმომ უნდა მიიღოს თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით. შერჩეული კლასიფიკაცია გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად.

7.2.10 თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის:

ა) საწარმოს, 4.2.2(ა) პუნქტის შესაბამისად, შეუძლია ფინანსურ ვალდებულებას მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“;

ბ) საწარმომ უნდა გააუქმოს ფინანსური ვალდებულების ადრინდელი კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ასეთი გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებისას მიიღო ისეთი პირობის თანახმად, რომელიც ახლა აღწერილია 4.2.2(ა) პუნქტში და ასეთი კლასიფიკაცია სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ აკმაყოფილებს ამ პირობას;

გ) საწარმოს უფლება აქვს, გააუქმოს ფინანსური ვალდებულების ადრინდელი კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ასეთი გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებისას მიიღო ისეთი პირობის თანახმად, რომელიც ახლა აღწერილია 4.2.2(ა) პუნქტში და ასეთი კლასიფიკაცია სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აკმაყოფილებს ამ პირობას.

კლასიფიკაციის მინიჭებისა და გაუქმების შესახებ ამგვარი გადაწყვეტილება საწარმომ უნდა მიიღოს თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით. შერჩეული კლასიფიკაცია გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად.

7.2.11 თუ საწარმოსთვის შეუძლებელია (როგორც განმარტებულია ბასს 8-ში) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის რეტროსპექტულად გამოყენება, საწარმომ:

ა) ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია თითოეული წარდგენილი შესადარისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ უნდა მიიჩნიოს ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებად, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებად, თუ წინა პერიოდების მონაცემებს გადაიანგარიშებს;

ბ) ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის, საწარმომ უნდა მიიჩნიოს ფინანსური აქტივის ახალ მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებად, ან ფინანსური ვალდებულების ახალ ამორტიზებულ ღირებულებად სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის.

7.2.12 თუ საწარმო წინათ (ბასს 39-ის შესაბამისად) თვითღირებულებით აღრიცხავდა ისეთ წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებულ ინვესტიციას, რომლისთვისაც არ არსებობს იდენტური ინსტრუმენტის აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი (ანუ 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემი), ან წარმოებულ აქტივს, რომელიც დაკავშირებულია ამგვარ წილობრივ ინსტრუმენტთან და ასევე უნდა დაიფაროს ამგვარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემით), მან წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენებისას ეს ინსტრუმენტი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით. სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს იმ პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში, საჭიროებისამებრ), რომელსაც განეკუთვნება ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

7.2.13 თუ საწარმო წინათ ბასს 39-ის შესაბამისად თვითღირებულებით აღრიცხავდა წარმოებულ ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ისეთ წილობრივ ინსტრუმენტთან, რომლისთვისაც არ არსებობს იდენტური ინსტრუმენტის აქტიური ბაზრის კოტირებული საბაზრო ფასი (ანუ 1-ლი დონის ამოსავალი მონაცემი) და უნდა დაიფაროს ამგვარი წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემით, მან წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების

 © IFRS Foundation

თარიღისთვის ეს წარმოებული ვალდებულება უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით. სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს იმ პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, რომელსაც განეკუთვნება ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღი.

7.2.14 საწარმომ სტანდარტის პირველად გამოყენებისას, ამ თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით უნდა განსაზღვროს, 5.7.7 პუნქტის მოთხოვნები ხომ არ გამოიწვევს ან გაზრდის მოგებაში ან ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნული სტანდარტი საწარმომ უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად.

7.2.14ა თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის საწარმოს უფლება აქვს, 2.5 პუნქტით გათვალისწინებული კლასიფიკაცია მიანიჭოს საკუთარი შეხედულებისამებრ ამ თარიღისთვის უკვე არსებულ ხელშეკრულებებს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ კლასიფიკაციას მიანიჭებს ყველა ანალოგიურ ხელშეკრულებას. ამგვარი კლასიფიკაციის შედეგად წარმოქმნილი ნეტო აქტივების ცვლილებები უნდა აღიარდეს გაუნაწილებელ მოგებაში თავდაპირველი გამოყენების თარიღით.

7.2.15 7.2.1 პუნქტის მოთხოვნის მიუხედავად, საწარმომ, რომელიც იყენებს მოცემული სტანდარტის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნებს (რომლებიც მოიცავს 5.4 და 5.5 ნაწილების მოთხოვნებს ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასებისა და გაუფასურების შესახებ), განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს ფასს 7-ის 44მ-44პ პუნქტების მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია, მაგრამ საჭირო არ არის წინა პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება. საწარმოს წინა პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია წინა პერიოდის შემდგომ ინფორმაციაზე დაყრდნობის გარეშე. თუ საწარმო არ აკორექტირებს წინა პერიოდების მონაცემებს, მან გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში, საჭიროებისამებრ) უნდა აღიაროს სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის არსებულ საბალანსო ღირებულებას შორის, რომელსაც განეკუთვნება სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღი. თუმცა, თუ საწარმო აკორექტირებს (გადაიანგარიშებს) წინა პერიოდების მონაცემებს, გადაანგარიშებული ფინანსური ანგარიშგება უნდა ასახავდეს წინამდებარე სტანდარტის ყველა მოთხოვნას. თუ საწარმოს მიერ არჩეული მიდგომა, გამოიყენოს ფასს 9, სხვადასხვა მოთხოვნისთვის გამოიწვევს ერთზე მეტ თავდაპირველი გამოყენების თარიღს, საწარმომ ეს პუნქტი უნდა გამოიყენოს თავდაპირველი გამოყენების თითოეული თარიღისთვის (იხ. 7.2.2 პუნქტი). ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად საწარმომ 7.1.2 პუნქტის შესაბამისად გადაწყვიტა, წინამდებარე სტანდარტის სხვა მოთხოვნების გამოყენებამდე, ვადაზე ადრე გამოიყენოს მხოლოდ იმ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობის ან ზარალის წარდგენის მოთხოვნები, რომლებიც, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

7.2.16 თუ საწარმო ბასს 34-ის - „*შუალედური ფინანსური ანგარიშგება*“ - შესაბამისად ამზადებს შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებას, აუცილებელი არ არის ამ სტანდარტის მოთხოვნების გამოყენება შუალედური პერიოდების მიმართ, რომლებიც წინ უსწრებს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღს, თუ ამის გაკეთება შეუძლებელია (ბასს 8-ში მოცემული განმარტების შესაბამისად).

გაუფასურება (ნაწილი 5.5)

7.2.17 საწარმომ 5.5 ნაწილის გაუფასურების მოთხოვნები რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ბასს 8-ის შესაბამისად, 7.2.15 და 7.2.18–7.2.20 პუნქტების დებულებების გათვალისწინებით.

7.2.18 თავდაპირველი გამოყენების თარიღით საწარმომ უნდა გამოიყენოს გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, რათა განსაზღვროს საკრედიტო რისკი ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის (ან სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების შემთხვევაში, იმ თარიღით, როდესაც საწარმო გახდა აღნიშნული შეუქცევადი ვალდებულებების მხარე, 5.5.6 პუნქტის შესაბამისად) და შეუდაროს

წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის განსაზღვრულ საკრედიტო რისკს.

7.2.19 იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი განსახილველი ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმოს შეუძლია გამოიყენოს:

ა) 5.5.10 და ბ5.5.22–ბ5.5.24 პუნქტების მოთხოვნები; და

ბ) 5.5.11 პუნქტში აღწერილი უარყოფადი ვარაუდი, სახელშეკრულებო გადახდებთან მიმართებით, რომლებიც 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, თუ საწარმო გაუფასურებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს გამოიყენებს ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენის გზით, რომელიც ეფუძნება ვადაგადაცილებების შესახებ ინფორმაციას.

7.2.20 თუ თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აუცილებელი გახდება მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა იმის დასადგენად, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, საწარმომ თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ფინანსური ინსტრუმენტის აღიარების შეწყვეტამდე, უნდა აღიაროს ზარალის რეზერვი იმ ოდენობით, რომელიც ტოლია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც ამგვარ ფინანსურ ინსტრუმენტს დაბალი საკრედიტო რისკი გააჩნია საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ასეთ სიტუაციაში კი გამოიყენება 7.2.19(ა) პუნქტი).

გარდამავალი დებულებები ჰეჯირების აღრიცხვისთვის (მე-6 თავი)

7.2.21 როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ამ სტანდარტს, მას უფლება აქვს სააღრიცხვო პოლიტიკად აირჩიოს ისევ ბასს 39-ის ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენება, ამ სტანდარტის მე-6 თავის მოთხოვნების გამოყენების ნაცვლად. საწარმომ აღნიშნული პოლიტიკა უნდა გამოიყენოს ჰეჯირების ყველა ურთიერთობის მიმართ. საწარმომ, რომელიც ამ პოლიტიკას აირჩევს, ფასიკ 16 - *„უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება“* - უნდა გამოიყენოს იმ ცვლილებების გაუთვალისწინებლად, რომელთაც ეს ინტერპრეტაცია შესაბამისობაში მოჰყავს მოცემული სტანდარტის მე-6 თავის მოთხოვნებთან.

7.2.22 7.2.26 პუნქტში აღწერილი შემთხვევების გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში, საწარმომ წინამდებარე სტანდარტის ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს პერსპექტიულად.

7.2.23 იმისათვის, რომ საწარმომ ჰეჯირების აღრიცხვის მიდგომა გამოიყენოს მოცემული სტანდარტის ჰეჯირების მოთხოვნების თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან, ამ თარიღისთვის დაკმაყოფილებული უნდა იყოს ჰეჯირების აღრიცხვის ყველა კრიტერიუმი.

7.2.24 ჰეჯირების ურთიერთობა, რომელიც ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა ბასს 39-ის შესაბამისად და, ამავე დროს, ჰეჯირების ურთიერთობად კლასიფიცირდება ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისადაც (იხ. პუნქტი 6.4.1), ჰეჯირების ურთიერთობის ხელახალი დაბალანსებისთის აუცილებელი კორექტირებების გათვალისწინების შემდეგ ამ სტანდარტზე გადასვლისას (იხ. პუნქტი 7.2.25(ბ)), საწარმომ უნდა მიიჩნიოს ჰეჯირების ურთიერთობის გაგრძელებად.

7.2.25 ამ სტანდარტის ჰეჯირების მოთხოვნების პირველად გამოყენებისას:

ა) საწარმოს შეუძლია აღნიშნული მოთხოვნები გამოიყენოს ბასს 39-ის ჰეჯირების მოთხოვნების გამოყენების შეწყვეტის მომენტიდან; და

ბ) ბასს 39-ის შესაბამისად განსაზღვრული ჰეჯირების კოეფიციენტი უნდა მიიჩნიოს საწყის წერტილად განგრძობითი ჰეჯირების ურთიერთობის ჰეჯირების კოეფიციენტის ხელახალი დაბალანსების უზრუნველსაყოფად. ამგვარი დაბალანსებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

7.2.26 ამ სტანდარტის ჰეჯირების მოთხოვნების პერსპექტიული გამოყენების პრინციპიდან გამონაკლისის სახით:

 © IFRS Foundation

ა) საწარმომ ოფციონის დროითი ღირებულების აღრიცხვისათვის 6.5.15 პუნქტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, თუ ჰეჯირების ურთიერთობაში მხოლოდ ოფციონის საკუთარი ღირებულების ცვლილება იყო კლასიფიცირებული ჰეჯირების ინსტრუმენტად ბასს 39-ის შესაბამისად. რეტროსპექტული გამოყენების ზემოაღნიშნული მოთხოვნა ეხება მხოლოდ ჰეჯირების იმ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობდა ყველაზე ადრეული შესადარისი პერიოდისათვის, ან ამ თარიღის შემდეგ შემდეგ მოხდა მათი კლასიფიცირება;

ბ) საწარმოს შეუძლია 6.5.16 პუნქტის შესაბამისად ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტის აღრიცხვის გამოყენება რეტროსპექტულად, თუ ჰეჯირების ურთიერთობაში ბასს 39-ის შესაბამისად მხოლოდ ფორვარდული ხელშეკრულების სპოტ ელემენტის ცვლილება იყო კლასიფიცირებული ჰეჯირების ინსტრუმენტად. რეტროსპექტული გამოყენების ზემოაღნიშნული მოთხოვნა ეხება მხოლოდ ჰეჯირების იმ ურთიერთობებს, რომლებიც არსებობდა ყველაზე ადრეული შესადარისი პერიოდისათვის, ან ამ თარიღის შემდეგ მოხდა მათი კლასიფიცირება. გარდა ამისა, თუ საწარმო ირჩევს აღრიცხვის ამ მეთოდის რეტროსპექტულად გამოყენებას, მან ეს მეთოდი უნდა გამოიყენოს ჰეჯირების ყველა ურთიერთობისთვის, რომელიც აკმაყოფილებს ამ არჩევანის უფლების გამოყენების მოთხოვნებს (ანუ ამ სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელი არ არის ზემოაღნიშნული არჩევანის უფლების გამოყენება ცალკეული ჰეჯირების ურთიერთობის მიმართ). უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედების აღრიცხვისთვის დადგენილი წესის გამოყენება (იხ. პუნქტი 6.5.16) შესაძლებელია რეტროსპექტულად ჰეჯირების იმ ურთიერთობის მიმართ, რომლებიც არსებობდა ყველაზე ადრეული შესადარისი პერიოდისათვის, ან ამ თარიღის შემდეგ მოხდა მათი კლასიფიცირება;

გ) საწარმომ 6.5.6 პუნქტის მოთხოვნები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტი არ მიიჩნევა ვადაგასულად ან გაუქმებულად, თუ:

(i) მოქმედი კანონმდებლობის, ან ახალი კანონებისა თუ სხვა ნორმატიული აქტების ამოქმედების ფარგლებში ჰეჯირების ინსტრუმენტის მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან, რომ ერთი ან რამდენიმე კლირინგული კონტრაჰენტი შეცვლის თავდაპირველ კონტრაჰენტს და გახდება თითოეული მხარის ახალი კონტრაჰენტი; და

(ii) ჰეჯირების ინსტრუმენტის ყველა სხვა ცვლილება, თუ ეს მოხდება, იზღუდება მხოლოდ ისეთი ცვლილებებით, რომლებიც აუცილებელია კონტრაჰენტის ზემოთ აღწერილი ჩანაცვლების განსახორციელებლად.

საწარმოები, რომლებმაც ვადაზე ადრე გამოიყენეს ფასს 9 (2009 წ.), ფასს 9 (2010 წ.) ან ფასს 9 (2013 წ.)

7.2.27 საწარმომ 7.2.1-7.2.26 პუნქტების გარდამავალი დებულებები უნდა გამოიყენოს თავდაპირველი გამოყენების შესაბამისი თარიღისათვის. საწარმომ 7.2.3-7.2.14 და 7.2.17-7.2.26 პუნქტების გარდამავალი დებულებები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ერთხელ (ანუ, თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ის იმგვარად გამოყენებას, რომელიც გულისხმობს თავდაპირველი გამოყენების რამდენიმე თარიღს, მას აღარ შეუძლია ამ დებულებების ხელახლა გამოყენება, თუ ისინი უკვე გამოიყენა რომელიმე წინა თარიღისთვის). (იხ პუნქტები 7.2.2 და 7.3.2.)

7.2.28 საწარმომ, რომელმაც გამოიყენა ფასს 9 (2009 წ.), ფასს 9 (2010 წ.) ან ფასს 9 (2013 წ.) და შემდგომში იყენებს წინამდებარე სტანდარტს:

ა) უნდა გააუქმოს ფინანსური აქტივის ადრინდელი კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ასეთი კლასიფიკაცია წინათ განსაზღვრა ისეთი პირობის თანახმად, რომელიც აღწერილია 4.1.5 პუნქტში, მაგრამ ეს პირობა დაკმაყოფილებული აღარ არის წინამდებარე სტანდარტის გამოყენების შედეგად;

ბ) უფლება აქვს ფინანსურ აქტივს მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია წინათ არ აკმაყოფილებდა 4.1.5 პუნქტში აღწერილ პირობას, მაგრამ ახლა ეს პირობა დაკმაყოფილებულია წინამდებარე სტანდარტის გამოყენების შედეგად;

გ) უნდა გააუქმოს ფინანსური ვალდებულების ადრინდელი კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ასეთი კლასიფიკაცია წინათ განსაზღვრა ისეთი პირობის თანახმად, რომელიც აღწერილია 4.2.2(ა) პუნქტში, მაგრამ ეს პირობა დაკმაყოფილებული აღარ არის წინამდებარე სტანდარტის გამოყენების შედეგად;

დ) უფლება აქვს, ფინანსურ ვალდებულებას მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია წინათ არ აკმაყოფილებდა 4.2.2(ა) პუნქტში აღწერილ პირობას, მაგრამ ახლა ეს პირობა დაკმაყოფილებულია წინამდებარე სტანდარტის გამოყენების შედეგად.

კლასიფიკაციის მინიჭებისა და გაუქმების შესახებ ამგვარი გადაწყვეტილება საწარმომ უნდა მიიღოს ამ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით. შერჩეული კლასიფიკაცია გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად.

გარდამავალი დებულებები დოკუმენტისთვის - *„წინასწარგადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით“*

7.2.29 საწარმომ დოკუმენტი *„წინასწარგადახდის პირობები უარყოფითი ანაზღაურების შესაძლებლობით“* (ფასს 9-ის შესწორებები) უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად ბასს 8-ის შესაბამისად, 7.2.30–7.2.34 პუნქტებში მითითებული შემთხვევების გარდა.

7.2.30 საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს და იმავდროულად პირველად იყენებს წინამდებარე სტანდარტსაც, 7.2.31–7.2.34 პუნქტების ნაცვლად უნდა გამოიყენოს 7.2.1–7.2.28 პუნქტები.

7.2.31 საწარმომ, რომელიც პირველად იყენებს ამ ცვლილებებს წინამდებარე სტანდარტის პირველად გამოყენების შემდეგ, უნდა გამოიყენოს 7.2.31–7.2.34 პუნქტები. გარდა ამისა, საწარმომ უნდა გამოიყენოს ამ სტანდარტის სხვა გარდამავალი დებულებებიც, რომლებიც აუცილებელია მოცემული ცვლილებების გამოყენებისთვის. ამ მიზნით, საწარმომ, იქ სადაც მითითებულია პირველად გამოყენების თარიღი, უნდა იგულისხმოს იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი, რომელშიც პირველად იყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს (ამ ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღი).

7.2.32 რაც შეეხება ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით:

ა) საწარმომ უნდა გააუქმოს ფინანსური აქტივის ადრინდელი კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ასეთი კლასიფიკაცია წინათ განსაზღვრა 4.1.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, მაგრამ ეს პირობა დაკმაყოფილებული აღარ არის ზემოაღნიშნული ცვლილებების გამოყენების შედეგად;

ბ) საწარმოს უფლება აქვს ფინანსურ აქტივს, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია წინათ არ აკმაყოფილებდა 4.1.5 პუნქტით გათვალისწინებულ პირობას, მაგრამ ახლა ეს პირობა დაკმაყოფილებულია ზემოაღნიშნული ცვლილებების გამოყენების შედეგად;

გ) საწარმომ უნდა გააუქმოს ფინანსური ვალდებულების ადრინდელი, საკუთარი შეხედულებისამებრ მინიჭებული კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ასეთი კლასიფიკაცია წინათ განსაზღვრა 4.2.2(ა) პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად, მაგრამ ეს პირობა დაკმაყოფილებული აღარ არის ზემოაღნიშნული ცვლილებების გამოყენების შედეგად; და

დ) უფლება აქვს ფინანსურ ვალდებულებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, მიანიჭოს კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“,

 © IFRS Foundation

თუ ამგვარი კლასიფიკაცია წინათ არ აკმაყოფილებდა 4.2.2(ა) პუნქტით გათვალისწინებულირობას, მაგრამ ახლა ეს პირობა დაკმაყოფილებულია ზემოაღნიშნული ცვლილებების გამოყენების შედეგად.

კლასიფიკაციის მინიჭებისა და გაუქმების შესახებ ამგვარი გადაწყვეტილება საწარმომ უნდა მიიღოს ამ ცვლილებების თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით. შერჩეული კლასიფიკაცია გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად.

7.2.33 საწარმოს მოცემული ცვლილებების ასახვის მიზნით არ მოეთხოვება წინა პერიოდების ინფორმაციის გადაანგარიშება. საწარმოს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს წინა პერიოდების ინფორმაციის გადაანგარიშების უფლება, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია წინა პერიოდის შემდგომ ინფორმაციაზე დაყრდნობის გარეშე და გადაანგარიშებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს წინამდებარე სტანდარტის ყველა მოთხოვნას. თუ საწარმო არ გადაიანგარიშებს წინა პერიოდის მონაცემებს, მან გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტში, საჭიროებისამებრ) უნდა აღიაროს სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის არსებულ საბალანსო ღირებულებას შორის, რომელსაც განეკუთვნება სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღი.

7.2.34 წლიურ საანგარიშგებო პერიოდში, რომელსაც განეკუთვნება მოცემული ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღი, საწარმომ თითოეული კლასის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებსაც ეს ცვლილებები შეეხო, განმარტებით შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია ზემოაღნიშნული პირველად გამოყენების თარიღის მდგომარეობით:

ა) ადრინდელი შეფასებითი კატეგორია და საბალანსო ღირებულება, რომელიც განისაზღვრა უშუალოდ ამ ცვლილებების გამოყენების წინ;

ბ) ახალი შეფასებითი კატეგორია და საბალანსო ღირებულება, რომელიც განისაზღვრა უშუალოდ ამ ცვლილებების გამოყენების შემდეგ;

გ) ნებისმიერი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით, რომელიც ადრე საწარმოს საკუთარი შეხედულებისამებრ კლასიფიცირებული ჰქონდა როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით, მაგრამ უკვე აღარ არის ამგვარად კლასიფიცირებული საკუთარი შეხედულებისამებრ; და

დ) მიზეზები, რომელთა გამო, საწარმომ ფინანსურ აქტივებს ან ფინანსური ვალდებულებებს საკუთარი შეხედულებისამებრ მიანიჭა ან გაუუქმა კლასიფიკაცია „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

7.3 ფასიკ 9-ის, ფასს 9-ის (2009 წ.), ფასს 9-ისა (2010 წ.) და ფასს 9-ის (2013 წ.) გაუქმება

7.3.1 წინამდებარე სტანდარტმა ჩაანაცვლა ფასიკ 9 - *„ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების ხელახლა შეფასება“*. მოთხოვნები, რომლებიც 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ს დაემატა, მოიცავს იმ მოთხოვნებსაც, რომლებიც ადრე შეტანილი იყო ფასიკ 9-ის მე-5 და მე-7 პუნქტებში. შესაბამისად, ფასს 1-ში - *„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“* - გაერთიანდა მოთხოვნები, რომლებიც ადრე მოცემული იყო ფასიკ 9-ის მე-8 პუნქტში.

7.3.2 წინამდებარე სტანდარტმა ჩაანაცვლა ფასს 9 (2009 წ.), ფასს 9 (2010 წ.) და ფასს 9 (2013 წ.). თუმცა, იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე იწყება, საწარმოს უფლება აქვს აირჩიოს ფასს 9-ის ზემოაღნიშნული ადრინდელი ვერსიების გამოყენება, წინამდებარე სტანდარტის გამოყენების ნაცვლად, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოსთვის თავდაპირველი გამოყენების შესაბამისი თარიღი წინ უსწრებს 2015 წლის 1 თებერვალს.

დანართი ა
ტერმინების განმარტება

წინამდებარე დანართი ამ სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

12-თვიანი საკრედიტო ზარალი

ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის** ნაწილი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შემთხვევების შედეგად.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება

თანხა, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები, პლუს ან მინუს ზემოაღნიშნულ თავდაპირველ თანხასა და დაფარვის ვადის დადგომისას გადასახდელ თანხას შორის სხვაობის დაგროვილი ამორტიზაციის ოდენობა, რომელიც გამოთვლილია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კორექტირებულია **ზარალის რეზერვის** გათვალისწინებით.

სახელშეკრულებო აქტივები

უფლებები, რომლებიც ფასს 15-ის - *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“* - მოთხოვნების თანახმად, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად აღირიცხება, გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის აღიარებისა და შეფასების მიზნებისთვის.

(საკრედიტო რისკით) გაუფასურებული ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივი მიიჩნევა (საკრედიტო რისკით) გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად დაკვირვებადი (ემპირიული) მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

ა) ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;

ბ) სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორიცაა, მაგალითად ძირი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა, ან **გადახდის ვადაგადაცილება**;

გ) როდესაც კრედიტორ(ებ)ი, თავისი მსესხებლის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სახელშეკრულებო მიზეზების გამო, მსესხებელს ისეთ დათმობებს სთავაზობს (სთავაზობენ), რასაც სხვა შემთხვევაში არ გაითვალისწინებდა (გაითვალისწინებდნენ);

დ) მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;

ე) მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიძნელეების გამო; ან

ვ) ფინანსური აქტივის შეძენა ან შექმნა დიდი ფასდათმობით, რაც განცდილ **საკრედიტო ზარალს** ასახავს.

ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელი არ არის ერთი განცალკევებული მოვლენის იდენტიფიკაცია - პირიქით, ფინანსური აქტივის (საკრედიტო რისკით) გაუფასურება შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე მოვლენის ერთობლივი ზემოქმედებით.

© IFRS Foundation

საკრედიტო ზარალი სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოს მიერ მისაღებ ყველა სახელშეკრულებო ფულად ნაკადსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც საწარმო ვარაუდობს (ე.ი. ფულადი სახსრების დეფიციტი მთლიანად), რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან, **შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივებისთვის - საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით).** საწარმომ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით (როგორიცაა, მაგალითად წინასწარგადახდის, ვადის გაგრძელების, გამოხმობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მსგავსი შესაძლებლობები), ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. განხილული ფულადი ნაკადები უნდა მოიცავდეს საწარმოს მიერ გარანტიის სახით ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვიდან, ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს, რომლებიც სახელშეკრულებო პირობების განუყოფელი ნაწილია. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის საიმედოდ შეფასება. თუმცა, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის საიმედოდ შეფასება, საწარმომ გამოთვლებისთვის უნდა გამოიყენოს ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა.

საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები **ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებამდე,** რომელიც არის **შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივი.** საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივის ყველა სახელშეკრულებო პირობისა (როგორიცაა, მაგალითად წინასწარგადახდის, ვადის გაგრძელების, გამოხმობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მსგავსი შესაძლებლობები) და **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის** გათვალისწინებით; გაანგარიშებაში მხედველობაში უნდა მიიღოს ხელშეკრულების მხარეთა შორის გადახდილი ან მიღებული ყველანაირი საზღაური და ერთეული, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია (იხ. პუნქტები ბ5.4.1-ბ5.4.3), აგრეთვე **გარიგების დანახარჯები** და ყველა სხვა პრემია და ფასდათმობა. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის ფულადი ნაკადებისა და მოსალოდნელი ვადის საიმედოდ შეფასება. თუმცა, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის (ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის) მომავალი ფულადი ნაკადების, ან დარჩენილი ვადის საიმედოდ შეფასება, საწარმომ უნდა გამოიყენოს ფინანსური ინსტრუმენტის (ან ინსტრუმენტების ჯგუფის) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მონაცემები სრულ სახელშეკრულებო პერიოდზე.

აღიარების შეწყვეტა ადრე აღიარებული ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამოღება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ქვემოთ ჩამოთვლილი სამივე მახასიათებლის მქონე ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვა ხელშეკრულება, რომელიც წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება:

ა) მისი ღირებულება იცვლება რაიმე განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საბირჟო საქონლის ფასის, სავალუტო კურსის, ფასების ან განაკვეთების ინდექსის, საკრედიტო რეიტინგის და საკრედიტო ინდექსის, ან რაიმე სხვა

ცვლადი სიდიდის ცვლილების შესაბამისად, თუ არაფინანსური ცვლადის შემთხვევაში, ეს ცვლადი არ არის ხელშეკრულების რომელიმე მხარის სპეციფიკური მახასიათებელი (ზოგჯერ უწოდებენ „საბაზისო“ ცვლადს);

ბ) იგი არ საჭიროებს საწყის ნეტო ინვესტიციას, ან საჭიროებს ისეთ საწყის ნეტო ინვესტიციას, რომელიც უფრო მცირეა სხვა სახის ხელშეკრულებებთან შედარებით, რომლებიც, სავარაუდოდ, მსგავს რეაგირებას ახდენს საბაზრო ფაქტორების ცვლილებაზე; და

გ) მასთან დაკავშირებით ანგარიშსწორება განხორციელდება მომავალში, რომელიმე თარიღით.

დივიდენდები მოგების განაწილება წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებს შორის, გარკვეული კლასის კაპიტალში მათი კუთვნილი წილის პროპორციულად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი მეთოდი, რომელიც გამოიყენება **ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების** გამოსათვლელად, ასევე საპროცენტო ამონაგების ან საპროცენტო ხარჯების მიკუთვნებისა და აღიარებისთვის მოგებაში ან ზარალში შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, **ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე**, ან **ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე.** ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს საწარმომ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობის (როგორიცაა, მაგალითად წინასწარგადახდის, ვადის გაგრძელების, გამოხმობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მსგავსი შესაძლებლობები) გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი;** გაანგარიშებაში მხედველობაში უნდა მიიღოს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილი ან მიღებული ყველა სახის საზღაური და ერთეული, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია (იხ. პუნქტები ბ5.4.1-ბ5.4.3), აგრეთვე **გარიგების დანახარჯები** და ყველა სხვა პრემია და ფასდათმობა. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის ფულადი ნაკადებისა და მოსალოდნელი ვადის საიმედოდ შეფასება. თუმცა, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ფულადი ნაკადებისა და ფინანსური ინსტრუმენტის (ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის) მოსალოდნელი ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, საწარმომ უნდა გამოიყენოს ფინანსური ინსტრუმენტის (ან ინსტრუმენტების ჯგუფის) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მონაცემები სრულ სახელშეკრულებო პერიოდზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი **საკრედიტო ზარალის (დანაკარგების)** საშუალო შეწონილი სიდიდე, სადაც წონებად გამოიყენება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკები.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება ხელშეკრულება, რომელიც მოითხოვს, რომ ემიტენტმა წინასწარგანსაზღვრული თანხები გადაუხადოს მფლობელს იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელსაც მიიღებს იმის გამო, რომ გარკვეულმა დებიტორმა, სავალო ინსტრუმენტისთვის თავდაპირველად დადგენილი ან შეცვლილი პირობების შესაბამისად, დროულად ვერ გადაუხადა ვალი.

 © IFRS Foundation

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

ა) აკმაყოფილებს **სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულების** განმარტებას;

ბ) თავდაპირველი აღიარებისას, საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, 4.2.2 ან 4.3.5 პუნქტების შესაბამისად;

გ) 6.7.1 პუნქტის შესაბამისად, იგი თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომში, საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მყარი ვალდებულება

მბოჭავი ხელშეკრულება დადგენილი რაოდენობის რესურსების, დადგენილი ფასით გაცვლის შესახებ დადგენილი მომავალი თარიღისთვის ან თარიღებისათვის.

პროგნოზირებული გარიგება

არშემდგარი (არასავალდებულო), მაგრამ მოსალოდნელი მომავალი გარიგება.

ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება

ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება, გაუფასურების რეზერვის თანხით კორექტირებამდე.

ჰეჯირების კოეფიციენტი

ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულებასა და ჰეჯირებული მუხლის ღირებულებას შორის თანაფარდობა, გამოსახული მათი ხვედრითი წონებით.

სავაჭროდ გამიზნული

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, რომელიც:

ა) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ უახლოეს ვადებში გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით;

ბ) თავდაპირველი აღიარებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან

გ) **წარმოებული** ინსტრუმენტია (ისეთი წარმოებული ინსტრუმენტების გარდა, რომელიც არის ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება, ან საწარმოს მიერ არის კლასიფიცირებული და ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტია).

გაუფასურების შემოსულობა ან ზარალი

შემოსულობა ან ზარალი, რომელიც 5.5.8 პუნქტის შესაბამისად აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, ასევე 5.5 ნაწილის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად.

ზარალის რეზერვი

რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც დაკავშირებულია 4.1.2 პუნქტის შესაბამისად შეფასებულ ფინანსურ აქტივებთან, საიჯარო მოთხოვნებსა და **სახელშეკრულებო აქტივებთან,** 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების დაგროვილი ოდენობა, ასევე ანარიცხები სესხის გაცემის ვალდებულებებსა და **ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან** დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

მოდიფიცირებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი

თანხა, რომელიც წარმოიქმნება **ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების** კორექტირებისას, მხარეთა შეთანხმებით გადასინჯული ან მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ასახვის მიზნით. საწარმო ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას ხელახლა ანგარიშობს, როგორც გადასინჯული ან მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას, რომელიც დისკონტირდება მოცემული ფინანსური აქტივის თავდაპირველი **ეფექტური საპროცენტო განაკვეთით** (ან **საკრედიტი რისკით კორექტირებული** თავდაპირველი **ეფექტური საპროცენტო განაკვეთით - შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის**), ან, საჭიროების შემთხვევაში, 6.5.10 პუნქტის შესაბამისად გამოთვლილი შესწორებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფინანსური აქტივის ყველა სახელშეკრულებო პირობა (როგორიცაა, მაგალითად წინასწარგადახდის, ვადის გაგრძელების, გამოხმობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა მსგავსი შესაძლებლობები), მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი,** იმ შემთხვევევის გარდა, როდესაც ფინანსური აქტივი არის **შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივი,** რა შემთხვევაშიც საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე თავდაპირველად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიც, რომლის გათვალისწინებითაც გამოითვალა **საკრედიტო რისკით კორექტირებული** თავდაპირველი **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.**

ვადაგადაცილებული ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მიიჩნევა, თუ კონტრაჰენტმა არ გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივი

შეძენილი ან შექმნილი ფინანსური აქტივ(ებ)ი, რომელიც (რომლებიც) თავდაპირველი აღიარებისას **საკრედიტო რისკით არის** გაუფასურებული.

რეკლასიფიცირების თარიღი

პირველი საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღე, რომელიც მოჰყვება ბიზნესმოდელის იმგვარად შეცვლას, რის შედეგადაც საწარმოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიცირებას აიძულებს.

ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით

ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა ისეთი პირობების მქონე ხელშეკრულებით, რომლის თანახმად აქტივის მიწოდება მოითხოვება ისეთ ვადაში, რომელიც, საზოგადოდ, დადგენილია შესაბამისი ბაზრის წესებით, ან კონვენციით.

გარიგების დანახარჯები

წმინდა დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვასთან, ემისიასთან, ან გასვლასთან (იხ. პუნქტი Ბ5.4.8). წმინდა დანახარჯები ისეთი დანახარჯებია, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ საწარმო არ შეიძენდა, არ გამოუშვებდა, ან არ გაყიდდა ფინანსურ ინსტრუმენტს.

© IFRS Foundation

შემდეგი ტერმინები განმარტებულია ბასს 32-ის მე-11 პუნქტში, ფასს 7-ის „ა“ დანართში, ფასს 13-ის „ა“ დანართში, ან ფასს 15-ის „ა“ დანართში და წინამდებარე სტანდარტშიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რაც მინიჭებული აქვს ბასს 32-ში, ფასს 7-ში, ფასს 13-სა და ფასს 15-ში:

ა) საკრედიტო რისკი;[2]

ბ) წილობრივი ინსტრუმენტი;

გ) რეალური ღირებულება

დ) ფინანსური აქტივი;

ე) ფინანსური ინსტრუმენტი;

ვ) ფინანსური ვალდებულება;

ზ) გარიგების ფასი.

2. ეს ტერმინი (რა სახითაც ფასს 7-შია განმარტებული) გამოიყენება ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ცვლილებების გავლენის წარდგენისთვის დადგენილი მოთხოვნების აღწერაში, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (იხ. პუნქტი 5.7.7)

დანართი ბ
მითითებები გამოყენებაზე

წინამდებარე დანართი ამ სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.

მოქმედების სფერო (მე-2 თავი)

ბ2.1 ზოგიერთი ხელშეკრულება მოითხოვს კლიმატურ, გეოლოგიურ ან ფიზიკურ ცვლადებზე დამყარებულ გადახდას (კლიმატური ცვლადები ზოგჯერ განიხილება, როგორც „ამინდის წარმოებულები“.) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ხელშეკრულებები არ მოხვდება ფასს 4-ის მოქმედების სფეროში, ისინი ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება.

ბ2.2 მოცემული სტანდარტი არ ცვლის დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამების მოთხოვნებს, რომლებიც განეკუთვნება ბასს 26-ის - *„საპენსიო პროგრამების ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება“* - მოქმედების სფეროს და გაყიდვებიდან ან მომსახურებიდან მიღებული წლიური ამონაგების მოცულობაზე დამყარებული როიალტის ხელშეკრულებებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც აისახება ფასს 15-ის - *„ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“*.

ბ2.3 ზოგჯერ საწარმო ახორციელებს „სტრატეგიულ ინვესტირებას“ სხვა საწარმოს მიერ გამოშვებულ წილობრივ ინსტრუმენტებში იმ განზრახვით, რომ დაამყაროს ან შეინარჩუნოს გრძელვადიანი საოპერაციო (სამუშაო) ურთიერთობა საწარმოსთან, რომელშიც ინვესტიცია ჩადო. ინვესტორი საწარმო, ან ერთობლივი მეწილე ბასს 28-ს იყენებს იმისთვის, რომ განსაზღვროს, ამგვარი ინვესტიციის აღრიცხვისთვის მისაღებია თუ არა წილობრივი მეთოდის გამოყენება.

ბ2.4 წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება მზღვეველთა (სადაზღვევო კომპანიების) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, გარდა იმ უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც 2.1(ე) პუნქტის თანახმად არ გამოიყენება წინამდებარე სტანდარტი, ვინაიდან ისინი წარმოიშობა ფასს 4-ის - *„სადაზღვევო ხელშეკრულებები“* - მოქმედების სფეროში მყოფი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ბ2.5 ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებს შეიძლება გააჩნდეს მრავალნაირი სამართლებრივი ფორმა, როგორიცაა, მაგალითად გარანტია, ზოგიერთი ტიპის აკრედიტივი, ხელშეკრულება საკრედიტო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევისთვის, ან სადაზღვევო ხელშეკრულება. მათი სააღრიცხვო მიდგომა დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების სამართლებრივ ფორმაზე. ქვემოთ განხილულია შესაფერისი სააღრიცხვო მიდგომის მაგალითები (იხ. პუნქტი 2.1(ე)):

ა) თუნდაც ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება სადაზღვევო ხელშეკრულებას წარმოადგენდეს ფასს 4-ის განმარტებით, თუ გადაცემული რისკი არსებითია, ემიტენტი იყენებს ამ სტანდარტს. მიუხედავად ამისა, თუ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ემიტენტმა საწარმომ ადრე აშკარად დაასაბუთა, რომ იგი ამგვარ ხელშეკრულებებს სადაზღვევო ხელშეკრულებებად მიიჩნევს და გამოიყენა სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის შესაფერისი სააღრიცხვო მიდგომა, ემიტენტ საწარმოს ასეთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის შეუძლია აირჩიოს ან წინამდებარე სტანდარტის, ან ფასს 4-ის გამოყენება. თუ საწარმო მოცემულ სტანდარტს იყენებს, 5.1.1 პუნქტის თანახმად, ემიტენტმა საწარმომ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება თავდაპირველად რეალური ღირებულებით უნდა აღიაროს. თუ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება გაცემული იყო არადაკავშირებულ მხარეზე „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ცალკე ოპერაციის დროს, მისი თავდაპირველი რეალური ღირებულება, სავარაუდოდ, მიღებული პრემიის ტოლი იქნება, თუ საწინააღმდეგო მტკიცებულება არ არსებობს. შესაბამისად, თუ თავდაპირველად ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება არ იყო კლასიფიცირებული, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან საწარმო არ იყენებს 3.2.15-3.2.23 და ბ3.2.12-ბ3.2.17 პუნქტებს (როდესაც გადაცემისას ფინანსური აქტივი არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან იყენებს აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობის მიდგომას), ემიტენტმა საწარმომ ასეთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება უნდა შეაფასოს შემდეგი ორი სიდიდიდან უდიდესი თანხით:

 © IFRS Foundation

(i) 5.5 ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული თანხა; და

(ii) თავდაპირველად აღიარებული თანხა, გამოკლებული (თუ ეს შესაფერისია) ფასს 15-ის პრინციპების შესაბამისად აღიარებული დაგროვილი/მთლიანი შემოსავალი (იხ. 4.2.1(გ) პუნქტი);

ბ) კრედიტთან/სესხებთან დაკავშირებული ზოგიერთი გარანტია, გადახდის აუცილებელი წინაპირობის სახით, არ ითვალისწინებს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ მფლობელი ექვემდებარება საკრედიტო რისკს და ის თავის თავზე იღებს ზარალის ანაზღაურებას, თუ დებიტორი გარანტირებულ აქტივთან დაკავშირებულ თანხებს ვერ გადაიხდის გადახდის ვადის დადგომისას. ამგვარი გარანტიის ერთ-ერთი მაგალითია გარანტია, რომელიც გადახდას მოითხოვს წინასწარგანსაზღვრული საკრედიტო რეიტინგის ან კრედიტის ინდექსის ცვლილების შემთხვევაში. ამგვარი გარანტიები არ წარმოადგენს ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს, წინამდებარე სტანდარტში მოცემული განმარტების თანახმად და არც სადაზღვევო ხელშეკრულებებს, ფასს 4-ის განმარტების შესაბამისად. ისინი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებია და ემიტენტი მათთვის ამ სტანდარტს იყენებს;

გ) თუ ფინანსური გარანტიის ხელშეკრულება დადებული იყო საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებით, ემიტენტი ფასს 15-ს იყენებს იმის დასადგენად, როდის აღიაროს გარანტიებიდან მიღებული ამონაგები და როდის - საქონლის გაყიდვიდან მიღებული.

ბ2.6 მტკიცება იმის შესახებ, რომ ემიტენტი საწარმო ხელშეკრულებებს სადაზღვევო ხელ-შეკრულებებად მიიჩნევს, როგორც წესი, ჩანს მომხმარებლებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან ემიტენტის ურთიერთობებიდან, ხელშეკრულებებიდან, ბიზნესის დოკუმენ-ტაციიდან და ფინანსური ანგარიშგებიდან. გარდა ამისა, სადაზღვევო ხელშეკრულებები ხშირად ისეთ სააღრიცხვო მოთხოვნებს ექვემდებარება, რომლებიც განსხვავდება სხვა ტიპის ოპერაციებისთვის დადგენილი მოთხოვნებისგან, როგორიცაა, მაგალითად ბანკების ან კომერციული კომპანიების მიერ გაცემული ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, ემიტენტის ფინანსური ანგარიშგება, როგორც წესი, მოიცავს განცხადებას იმის თაობაზე, რომ ემიტენტმა გამოიყენა ის სააღრიცხვო მოთხოვნები.

აღიარება და აღიარების შეწყვეტა (მე-3 თავი)

თავდაპირველი აღიარება (ნაწილი 3.1)

ბ.3.1.1 3.1.1 პუნქტის პრინციპის თანახმად, საწარმო ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუ-მენტების ყველა სახელშეკრულებო უფლებასა და ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს, როგორც აქტივებსა და ვალდებულებებს, შესაბამისად. გამონაკლისია ისეთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს უშლის იმას, რომ ფინანსური აქტივების გადაცემა ბუღალტრულად აისახოს, როგორც გაყიდვა (იხ. პუნქტი ბ.3.2.14). თუ ფინანსური აქტივების გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, აქტივის მიმღები მხარე გადაცემულ აქტივს არ აღიარებს, როგორც საკუთარ აქტივს (იხ. პუნქტი ბ.3.2.15).

ბ.3.1.2 ქვემოთ განხილულია 3.1.1 პუნქტის პრინციპების გამოყენების მაგალითები:

ა) უპირობო მოთხოვნები და ვალდებულებები მაშინ აღიარდება, როგორც აქტივები ან ვალდებულები, როდესაც საწარმო ხდება ხელშეკრულების მონაწილე და, ამის შედეგად მას წარმოეშობა ფულადი სახსრების მიღების იურიდიული უფლება, ან ფულადი სახსრების გადახდის იურიდიული ვალდებულება;

ბ) საქონლის ან მომსახურების ყიდვის ან გაყიდვის მყარი (დაპირების) ვალდებულების შედეგად წარმოქმნილი აქტივები და აღებული ვალდებულებები, საზოგადოდ, არ აღიარდება სულ მცირე იმ დრომდე მაინც, სანამ ერთ-ერთი მხარე არ შეასრულებს გარიგების პირობებს. მაგალითად, საწარმო, რომელიც იღებს მყარ შეკვეთას, როგორც წესი, გარიგების გაფორმების მომენტში აქტივს არ აღიარებს (ხოლო შემკვეთი საწარმო არ აღიარებს ვალდებულებას), არამედ აღიარებას გადაავადებს მანამ, სანამ განხორციელდება შეკვეთილი საქონლის გაგზავნა ან მიწოდება, ან მომსახურების გაწევა. თუ არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის მყარი დაპირება (ვალდებულება) 2.4-27 პუნქტების თანახმად, ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, მისი ნეტო რეალური ღირებულების აქტივად ან ვალდებულებად აღიარება ხდება გარიგების თარი-ღით (იხ. პუნქტი ბ4.1.30(გ)). ამასთან, თუ მანამდე აუღიარებული მყარი ვალდებულება

საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლასიფიცირებული აქვს, როგორც ჰეჯირებული მუხლი, რეალური ღირებულების ჰეჯირებისას, ჰეჯირების დაწყების შემდეგ ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ნეტო რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება უნდა აღიარდეს, როგორც აქტივი ან ვალდებულება (იხ. პუნქტები 6.5.8(ბ) და 6.5.9);

გ) ამ სტანდარტის მოქმედების სფეროში შემავალი ფორვარდული გარიგება (იხ. პუნქტი 2.1) აქტივად ან ვალდებულებად აღიარდება გარიგების თარიღით და არა ანგარიშსწორების თარიღით. როდესაც საწარმო ხდება ფორვარდული ხელშეკრულების მონაწილე მხარე, უფლებისა და ვალდებულების რეალური ღირებულებები, უმეტეს შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა. მაშასადამე, ფორვარდული გარიგების ნეტო რეალური ღირებულება ნულს უტოლდება. თუ უფლებისა და ვალდებულების ნეტო რეალური ღირებულება ნულის ტოლი არ არის, მაშინ ხელშეკრულება უნდა აღიარდეს როგორც აქტივი ან ვალდებულება;

დ) ოფციონის ხელშეკრულება, რომელიც ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება (იხ. პუნქტი 2.1), მაშინ აღიარდება აქტივად ან ვალდებულებად, როდესაც ოფციონის მფლობელი ან ემიტენტი (გამყიდველი) ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარე;

ე) დაგეგმილი მომავალი ოპერაციები, მიუხედავად მათი ალბათობისა, არ წარმოადგენს აქტივებს ან ვალდებულებებს, რადგან საწარმო არ გამხდარა ხელშეკრულების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა ბაზრის სტანდარტული პირობებით

ბ3.1.3 ბ3.1.5 და ბ3.1.6 პუნქტების შესაბამისად, ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივის ყიდვა-გაყიდვის აღიარება ხდება გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით. შერჩეული მეთოდი საწარმომ უცვლელად უნდა გამოიყენოს ისეთი ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის ყველა ოპერაციასთან მიმართებით, რომლებიც ფინანსური აქტივების ერთსა და იმავე კატეგორიას მიეკუთვნება, მე-9 პუნქტში მოცემული რომელიმე განმარტების მიხედვით. ამ მიზნით, სავაჭროდ გამიზნული აქტივები წარმოქმნის ცალკე საკლასიფიკაციო კატეგორიას, რომელიც გამოიყოფა იმ აქტივებისგან, რომლებიც საწარმოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, აქვს კლასიფიცირებული, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. გარდა ამისა, ცალკე საკლასიფიკაციო კატეგორიას წარმოქმნის ის ინვესტიციებიც, რომლებიც აღირიცხება 5.7.5 პუნქტით გათვალისწინებული არჩევანის უფლების თანახმად.

ბ3.1.4 ხელშეკრულება, რომელიც ხელშეკრულების ღირებულების ცვლილების ნეტო ანგარიშსწორებას მოითხოვს, ან ამის უფლებას იძლევა, არ არის ხელშეკრულება ბაზრის სტანდარტული პირობებით. ამის ნაცვლად, ასეთი ხელშეკრულება გარიგების თარიღიდან ანგარიშსწორების თარიღამდე პერიოდში აღირიცხება, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი.

ბ3.1.5 გარიგების თარიღი ის თარიღია, როდესაც საწარმო თავის თავზე იღებს აქტივის ყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას. გარიგების თარიღით აღრიცხვა ნიშნავს (ა) მისაღები აქტივისა და მისთვის გადასახდელი თანხების გადახდის ვალდებულების აღიარებას გარიგების თარიღისათვის და (ბ) გაყიდული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მისი გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის აღიარებასა და მყიდველის მიმართ მოთხოვნის აღიარებას გარიგების თარიღით. როგორც წესი, აქტივსა და დაკავშირებულ ვალდებულებაზე პროცენტების დარიცხვა არ იწყება ანგარიშსწორების თარიღის დადგომამდე, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა ხდება.


ბ3.1.6 ანგარიშსწორების თარიღი არის თარიღი, როდესაც აქტივი მიეწოდება საწარმოს, ან საწარმო მიაწოდებს აქტივს. ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვა ნიშნავს (ა) მიღებული აქტივის აღიარებას საწარმოს მიერ მისი მიღების თარიღით და (ბ) აქტივის აღიარების შეწყვეტას და გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ან ზარალის აღიარებას იმ თარიღით, როდესაც საწარმომ გადასცა აქტივი. როდესაც საწარმო ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეთოდს იყენებს, მან გარიგების თარიღიდან ანგარიშსწორებამდე თარიღამდე პერიოდში მისაღები აქტივის რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება ისევე უნდა აღრიცხოს, როგორც აღრიცხავს შეძენილი აქტივის ღირებულების ცვლილებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული აქტივების ღირებულების ცვლილება არ აღიარდება; ეს ცვლილება, მოგებაში ან ზარალში აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან

 © IFRS Foundation

ზარალში ასახვით; სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც 4.1.2.ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ასევე წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ინვესტიციებისთვის, რომლებიც 5.7.5 პუნქტის შესაბამისად აისახება.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა (ნაწილი 3.2)

ბ3.2.1 შემდეგი სქემაზე ნაჩვენებია იმის მაგალითი, თუ როგორ და რა მოცულობით ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა.



შეთანხმებები, რომელთა თანახმადაც საწარმო ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, აღნიშნული ფულადი სახსრები გადაუხადოს ერთ ან რამდენიმე მიმღებ სუბიექტს (პუნქტი 3.2.4(ბ)).

ბ3.2.2 3.2.4(ბ) პუნქტში აღწერილი სიტუაცია (როდესაც საწარმო ინარჩუნებს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, მაგრამ იღებს სახელშეკრულებო ვალდებულებას, აღნიშნული ფულადი სახსრები გადაუხადოს ერთ ან რამდენიმე მიმღებ სუბიექტს) იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ, მაგალითად საწარმო სატრასტო კომპანიაა და ინვესტორებს აძლევს ბენეფიციურ წილებს თავის საკუთარ ფინანსურ აქტივებში და უზრუნველყოფს ამ ფინანსური აქტივების მომსახურებას. ამ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია 3.2.5 და 3.2.6 პუნქტების მოთხოვნები, ფინანსური აქტივები აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს.

ბ3.2.3 3.2.5 პუნქტის გამოყენებისას, საწარმო შეიძლება იყოს, მაგალითად ფინანსური აქტივის შემქმნელი, ან ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის შვილობილი საწარმო, რომელმაც შეიძინა ფინანსური აქტივი და ფულად სახსრებს გადასცემს არადაკავშირებულ მესამე მხარე ინვესტორებს.

საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება (პუნქტი 3.2.6)

ბ3.2.4 საწარმოს მიერ საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემის მაგალითებია:

ა) ფინანსური აქტივის უპირობო გაყიდვა;

ბ) ფინანსური აქტივის გაყიდვა მისი გამოსყიდვის შესაძლებლობის პირობასთან ერთად, გამოსყიდვის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით; და

გ) ფინანსური აქტივის გაყიდვა ძალიან არახელსაყრელ ქოლ ან ფუთ ოფციონთან ერთად (ე.ი. ოფციონი იმდენად არახელსაყრელია, რომ ვადის ამოწურვამდე მისი ხელსაყრელად გახდომა ძალიან საეჭვოა).

ბ3.2.5 საწარმოს მიერ საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის შენარჩუნების მაგალითებია:

ა) გაყიდვისა და უკუშესყიდვის ოპერაცია, როდესაც გამოსყიდვის ფასი ფიქსირებული ფასია, ან გაყიდვის ფასს დამატებული გამსესხებლის უკუგება;

ბ) ფასიანი ქაღალდების გასესხების შეთანხმება;

გ) ფინანსური აქტივის გაყიდვა მთლიანი უკუგების სვოპთან ერთად, რომლის თანახმადაც საწარმოს უკან უბრუნდება საბაზრო რისკი;

დ) ფინანსური აქტივის გაყიდვა ძალიან ხელსაყრელ ქოლ ან ფუთ ოფციონთან ერთად (ე.ი. ოფციონი იმდენად ხელსაყრელია, რომ ვადის ამოწურვამდე ძალიან საეჭვოა, რომ არახელსაყრელი გახდეს); და

ე) მოკლევადიანი მოთხოვნების გაყიდვა, რომლის დროსაც საწარმო იძლევა გარანტიას, მიმღებ სუბიექტს აუნაზღაუროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ბ3.2.6 თუ საწარმო დაადგენს, რომ გადაცემის შედეგად მან გადასცა გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, იგი შემდგომ პერიოდში აღარ აღიარებს გადაცემულ აქტივს, თუ რაიმე ახალი ოპერაციის შედეგად ისევ არ შეიძენს ამ გადაცემულ აქტივს.

კონტროლის გადაცემის შეფასება

ბ3.2.7 საწარმო გადაცემულ აქტივზე კონტროლს არ ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა. საწარმო გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის

 © IFRS Foundation

პრაქტიკული შესაძლებლობა. მიმღებ სუბიექტს გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, თუ ეს აქტივი იყიდება აქტიურ ბაზარზე, რადგან, მიმღებ სუბიექტს შეეძლება გადაცემული აქტივის გამოსყიდვა ბაზარზე იმ შემთხვევაში, თუ მას სჭირდება აქტივის დაბრუნება გადამცემი საწარმოსთვის. მაგალითად, მიმღებ სუბიექტს შეიძლება გააჩნდეს გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, თუ გადაცემულ აქტივს აქვს შესაძლებლობა, რომელიც საწარმოს მისი გამოსყიდვის უფლებას აძლევს, მაგრამ მიმღებ სუბიექტს, ოფციონის გამოყენების შემთხვევაში, გადაცემული აქტივის თავისუფლად მოპოვება შეუძლია ბაზარზე. მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, თუ გადამცემი საწარმო ინარჩუნებს ასეთ შესაძლებლობას (ოფციონს) და მის მიერ შესაძლებლობის (ოფციონის) გამოყენების შემთხვევაში, მიმღებ სუბიექტს გადაცემული აქტივის ადვილად მოპოვება ბაზარზე არ შეუძლია.

B3.2.8 მიმღებ სუბიექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, თუ მას შეუძლია მთლიანი გადაცემული აქტივის მიყიდვა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, ამ შესაძლებლობის გამოყენება შეუძლია ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხი ის არის, პრაქტიკულად რისი გაკეთების უნარი აქვს მიმღებ სუბიექტს და არა ის, რა სახელშეკრულებო უფლებები გააჩნია მას გადაცემულ აქტივთან მიმართებაში, ან რა სახელშეკრულებო შეზღუდვები არსებობს. კერძოდ:

ა) გადაცემული აქტივის გაყიდვის სახელშეკრულებო უფლებას მცირე პრაქტიკული ეფექტი აქვს, თუ გადაცემული აქტივისათვის არ არსებობს ბაზარი; და

ბ) გადაცემული აქტივის გაყიდვის შესაძლებლობას მცირე პრაქტიკული ეფექტი აქვს, თუ მიმღებ სუბიექტს თავისუფლად არ შეუძლია ამ შესაძლებლობის გამოყენება. ამ მიზნებისთვის:

(i) მიმღები სუბიექტის შესაძლებლობა, გაყიდოს გადაცემული აქტივი, უნდა იყოს სხვების ქმედებისგან დამოუკიდებელი (ე.ი. გაყიდვის შესაძლებლობა უნდა იყოს ცალმხრივი); და

(ii) მიმღებ სუბიექტს გადაცემული აქტივის გაყიდვა უნდა შეეძლოს მის გადაცემაზე დამატებითი შემზღუდველი პირობების დაწესების გარეშე (როგორიცაა, მაგალითად პირობები იმის შესახებ, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული გადაცემული აქტივი, ან ან შესაძლებლობის მიმცემი პირობა, რომელიც მიმღებ სუბიექტს აქტივის გამოსყიდვის უფლებას აძლევს).

B3.2.9 ის ფაქტი, რომ მიმღები სუბიექტის მიერ გადაცემული აქტივის გაყიდვა ნაკლებად სარწმუნოა, თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ აქტივის გადამცემმა სუბიექტმა კონტროლი შეინარჩუნა გადაცემულ აქტივზე. თუმცა, თუ ფუთ-ოფციონის ან გარანტიის ხელშეკრულება მიმღებ სუბიექტს გადაცემული აქტივის გაყიდვას უკრძალავს, მაშინ გადამცემი სუბიექტი ინარჩუნებს კონტროლს გადაცემულ აქტივზე. მაგალითად, თუ ფუთ-ოფციონი ან გარანტია საკმარისად ღირებულია, იგი მიმღებ სუბიექტს გადაცემული აქტივის გაყიდვის საშუალებას არ აძლევს, რადგან, პრაქტიკულად, მიმღები სუბიექტი გადაცემულ აქტივს მესამე მხარეს არ მიჰყიდის, ანალოგიური ოფციონის ან სხვა შემზღუდავი პირობების დამატების გარეშე. ამის ნაცვლად, მიმღები სუბიექტი შეინარჩუნებს გადაცემულ აქტივს, რათა თვითონ მიიღოს გარანტიით ან ფუთ-ოფციონით გათვალისწინებული თანხები. ამ შემთხვევაში, გადამცემი სუბიექტი ინარჩუნებს კონტროლს გადაცემულ აქტივზე.

აქტივების გადაცემა, რომელიც განაპირობებს აღიარების შეწყვეტას

B3.2.10 საწარმოს შეუძლია შეინარჩუნოს გადაცემულ აქტივებზე საპროცენტო გადასახდელების ნაწილის მიღების უფლება, როგორც აღნიშნული აქტივების მომსახურების ანაზღაურება. საპროცენტო გადასახდელების ნაწილი, რომელსაც საწარმო დათმობს მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტისას, ან გადაცემისას, უნდა გადანაწილდეს მომსახურების აქტივზე ან მომსახურების ვალდებულებაზე. საპროცენტო გადასახდელების ნაწილი, რომელსაც საწარმო არ დათმობს, წარმოადგენს „მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის სტრიპთან“ დაკავშირებულ მოთხოვნას. მაგალითად, თუ საწარმო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტისას, ან გადაცემის შემთხვევაში არ თმობს არანაირ საპროცენტო შემოსავალს, მთლიანი საპროცენტო

სპრედი წარმოადგენს „მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის სტრიპთან“ დაკავშირებულ მოთხოვნას. 3.2.13 პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, მომსახურების აქტივისა და „მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის სტრიპთან“ დაკავშირებული მოთხოვნის რეალური ღირებულებები გამოიყენება მოთხოვნის საბალანსო ღირებულების გასანაწილებლად მომსახურების აქტივის აღიარებაშეწყვეტილ ნაწილსა და იმ ნაწილს შორის, რომლის აღიარება ისევ გრძელდება. თუ არ არსებობს მომსახურებისთვის დადგენილი საზღაური ან საეჭვოა, რომ მომსახურების საზღაური საწარმოს სათანადოდ აუნაზღაურებს მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს, მომსახურების ვალდებულება უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით.

ბ3.2.11 3.2.13 პუნქტის გამოყენების მიზნებისთვის, აქტივის აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისა და შენარჩუნებული ნაწილის რეალური ღირებულებების შესაფასებლად, საწარმომ 28-ე პუნქტთან ერთად უნდა გამოიყენოს რეალური ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული ფასს 13-ის მოთხოვნები.

აქტივების გადაცემა, რომელიც არ განაპირობებს აღიარების შეწყვეტას

ბ3.2.12 3.2.15 პუნქტში აღწერილი პრინციპი გამოიყენება შემდეგნაირად: თუ საწარმოს მიერ გაცემული გარანტია, რომელიც ეხება გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, ხელს უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას იმის გამო, რომ საწარმო ინარჩუნებს გადაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, გრძელდება გადაცემული აქტივის მთლიანად აღიარება, ხოლო მიღებული ანაზღაურება აღიარდება, როგორც ვალდებულება.

გადაცემულ აქტივებში შენარჩუნებული მონაწილეობა

ბ3.2.13 ქვემოთ განხილულ მაგალითებში ნაჩვენებია, როგორ აფასებს საწარმო გადაცემულ აქტივსა და დაკავშირებულ ვალდებულებას, 3.2.16 პუნქტის შესაბამისად.

ყველა აქტივი

ა) თუ საწარმოს მიერ გაცემული გარანტია, აანაზღაუროს გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი, ხელს უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას მასში საწარმოს მიერ შენარჩუნებული მონაწილეობის ფარგლებში, გადაცემული აქტივი გადაცემის თარიღისთვის უნდა შეფასდეს შემდეგი ორი სიდიდიდან უმცირესით: (1) აქტივის საბალანსო ღირებულება და (2) აქტივის გადაცემისას მიღებული ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, რომლის დაბრუნებაც შეიძლება მოეთხოვოს საწარმოს („საგარანტიო თანხა“). დაკავშირებული ვალდებულება თავდაპირველად შეფასდება საგარანტიო თანხაზე გარანტიის რეალური ღირებულების დამატებით მიღებული ოდენობით (რაც, ჩვეულებრივ, გარანტიისთვის მიღებული ანაზღაურების ტოლია). შემდგომში გარანტიის საწყისი რეალური ღირებულება აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ მომენტში, როდესაც საწარმო შეასრულებს თავის ვალდებულებას (ფასს 15-ის პრინციპების შესაბამისად), ხოლო აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდება გაუფასურების რეზერვის თანხით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული აქტივები

ბ) თუ საწარმოს მიერ გაყიდული ფუთ-ოფციონის ვალდებულება ან ქოლ-ოფციონის უფლება ხელს უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას და საწარმო გადაცემულ აქტივს აფასებს ამორტიზებული ღირებულებით, დაკავშირებულ ვალდებულებას საწარმო აფასებს თვითღირებულებით (ე.ი. მიღებული ანაზღაურება), რომელიც კორექტირებულია გადაცემული აქტივის თვითღირებულებასა და ოფციონის ვადის ამოწურვის თარიღის შესაბამის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ამორტიზაციის თანხით. მაგალითად, დავუშვათ, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება გადაცემის თარიღისთვის არის 98 ფე, ხოლო მიღებული ანაზღაურება შეადგენს 95 ფე-ს. აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ოფციონის გამოყენების თარიღისთვის იქნება 100 ფე. დაკავშირებული ვალდებულების საწყისი

 © IFRS Foundation

საბალანსო ღირებულება უდრის 95 ფე-ს და სხვაობა 95 ფე-სა და 100 ფე-ს შორის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ ოფციონი აღსრულდება, სხვაობა დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ოფციონის გამოყენების ფასს შორის უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივები

გ) თუ საწარმოს მიერ ქოლ-ოფციონით შენარჩუნებული უფლება ხელს უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას და საწარმო გადაცემულ აქტივს რეალური ღირებულებით აფასებს, აქტივის შეფასება გრძელდება მისი რეალური ღირებულებით. დაკავშირებული ვალდებულების შეფასება ხდება (1) ოფციონის გამოყენების ფასით, რომელსაც აკლდება ოფციონის დროითი ღირებულება, თუ ოფციონის გამოყენების ფასი ხელსაყრელი ან ნეიტრალურია, (2) გადაცემული აქტივის რეალური ღირებულებით, რომელსაც აკლდება ოფციონის დროითი ღირებულება, თუ ოფციონის გამოყენების ფასი არახელსაყრელია. დაკავშირებული ვალდებულების შეფასების კორექტირება უზრუნველყოფს იმას, რომ აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულება იქნება ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულება. მაგალითად, თუ საბაზისო აქტივის რეალური ღირებულება 80 ფე-ია, ოფციონის გამოყენების ფასი 95 ფე და ოფციონის დროითი ღირებულება 5 ფე, დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება 75 ფე (80 ფე – 5 ფე), ხოლო გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულება - 80 ფე (ანუ მისი რეალური ღირებულება).

დ) თუ საწარმოს მიერ გამოშვებული ფუთ-ოფციონი ხელს უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას და საწარმო გადაცემულ აქტივს რეალური ღირებულებით აფასებს, დაკავშირებული ვალდებულების შეფასება ხდება ოფციონის გამოყენების ფასზე ოფციონის დროითი ღირებულების დამატებით. აქტივის რეალური ღირებულების შეფასების ოდენობა შეზღუდულია რეალურ ღირებულებასა და ოფციონის გამოყენების ფასს შორის უმცირეს თანხამდე, ვინაიდან საწარმოს არა აქვს გადაცემული აქტივის რეალური ღირებულების ნაზრდ თანხაზე მოთხოვნის უფლება, რომლითაც მისი რეალური ღირებულება გადასცდება ოფციონის გამოყენების ფასს. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულება იქნება ფუთ-ოფციონის ვალდებულების რეალური ღირებულება. მაგალითად, თუ საბაზისო აქტივის რეალური ღირებულება 120 ფე-ია, ოფციონის გამოყენების ფასი 100 ფე და ოფციონის დროითი ღირებულება 5 ფე, დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება 105 ფე (100 ფე + 5 ფე), ხოლო გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულება - 100 ფე (ამ შემთხვევაში, ოფციონის გამოყენების ფასი).

ე) თუ შესყიდული ქოლ-ოფციონისა და გაყიდული ფუთ-ოფციონის სახით არსებული ქოლარი ხელს უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას და საწარმო გადაცემულ აქტივს აფასებს რეალური ღირებულებით, იგი აგრძელებს აქტივის შეფასებას რეალური ღირებულებით. დაკავშირებული ვალდებულება შეფასდება (1) ქოლ-ოფციონის გამოყენების ფასისა და ფუთ-ოფციონის რეალური ღირებულების დაჯამებით, რომელსაც აკლდება ქოლ-ოფციონის დროითი ღირებულება, იმ შემთხვევაში, თუ ქოლ-ოფციონის გამოყენების ფასი ხელსაყრელი ან ნეიტრალური, ან (2) აქტივის რეალური ღირებულებისა და ფუთ-ოფციონის რეალური ღირებულების დაჯამებით, რომელსაც აკლდება ქოლ-ოფციონის დროითი ღირებულება, თუ ქოლ-ოფციონის გამოყენების ფასი არახელსაყრელია. დაკავშირებული ვალდებულების კორექტირება უზრუნველყოფს იმას, რომ აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულება იყოს საწარმოს მიერ ფლობილი და გაყიდული (გამოშვებული) ოფციონების რეალური ღირებულების ტოლი. მაგალითად, დავუშვათ, საწარმო გადასცემს რეალური ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივს, იმავდროულად ყიდულობს ქოლ-ოფციონს 120 ფე-ის ტოლი გამოყენების ფასით და უშვებს ფუთ-ოფციონს, რომლის გამოყენების ფასია 80 ფე. ასევე, წარმოვიდგინოთ, რომ გადაცემის თარიღისთვის აქტივის რეალური ღირებულება 100 ფე-ია. ფუთ-ოფციონისა და ქოლ-ოფციონის დროითი ღირებულება არის 1ფე და 5ფე, შესაბამისად. ამ

შემთხვევაში, საწარმო აქტივს აღიარებს 100 ფე-ის ოდენობით (აქტივის რეალური ღირებულება) და ვალდებულებას 96 ფე-ის ოდენობით [(100 ფე + 1 ფე) –5 ფე]. შედეგად მიიღება აქტივის ნეტო ღირებულება 4 ფე, რაც საწარმოს მიერ ფლობილი და გაყიდული ოფციონების რეალური ღირებულებაა.

ფინანსური აქტივების ყველა გადაცემა

B3.2.14 როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული გადამცემი სუბიექტის სახელშეკრულებო უფლებები ან ვალდებულებები განცალკევებით არ აღირიცხება, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, თუ გადაცემიდან წარმოშობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისა და გადაცემული აქტივის ან ვალდებულების ერთად აღიარება გამოიწვევს ერთი და იმავე უფლებების ან ვალდებულებების ორჯერ აღიარებას. მაგალითად, გადამცემი სუბიექტის მიერ შენარჩუნებულმა გამოხმობის შესაძლებლობამ შეიძლება ხელი შეუშალოს იმას, რომ ფინანსური აქტივების გადაცემა აისახოს, როგორც აქტივების გაყიდვა. ამ შემთხვევაში, ქოლ-ოფციონი განცალკევებით არ აღიარდება, როგორც წარმოებული აქტივი.

B3.2.15 თუკი ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, მიმღები სუბიექტი გადაცემულ აქტივს არ აღიარებს, როგორც საკუთარ აქტივს. მიმღები სუბიექტი წყვეტს გადახდილი ფულადი სახსრების ან სხვა გადახდილი ანაზღაურების აღიარებას და აღიარებს მოთხოვნას გადამცემი სუბიექტის მიმართ. თუ გადამცემ სუბიექტს გააჩნია უფლებაც და ვალდებულებაც იმისა, რომ მთლიან გადაცემულ აქტივზე ფიქსირებული თანხის გადახდით აღიდგინოს კონტროლი (მაგალითად, გამოსყიდვის შეთანხმებით), მიმღებ სუბიექტს მოთხოვნის შეფასება შეუძლია ამორტიზებული ღირებულებით, თუ იგი აკმაყოფილებს 4.1.2 პუნქტის კრიტერიუმებს.

მაგალითები

B3.2.16 ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ნაჩვენებია მოცემული სტანდარტის აღიარების შეწყვეტის პრინციპების გამოყენება:

ა) *გამოსყიდვის შეთანხმებები და ფასიანი ქაღალდების გასესხება.* თუ ფინანსური აქტივი გაიყიდა ისეთი ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ითვალისწინებს მის გამოსყიდვას ფიქსირებული ფასით ან გაყიდვის ფასს დამატებული გამსესხებლის უკუგების ტოლი თანხით, ან ფინანსური აქტივი გადაცემულია სესხის სახით ისეთი ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს გადამცემი სუბიექტისთვის მის უკან დაბრუნებას, მაშინ მისი აღიარება არ წყდება, რადგან გადამცემი სუბიექტი ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. თუ მიმღები სუბიექტი აქტივის გაყიდვის ან დაგირავების უფლებას იძენს, გადამცემი სუბიექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ახდენს აქტივის რეკლასიფიცირებას, მაგალითად ასახავს, როგორც გასესხებულ აქტივს, ან გამოსყიდვასთან დაკავშირებულ მოთხოვნას;

ბ) *გამოსყიდვის შეთანხმებები და ფასიანი ქაღალდების გასესხება - არსებითად იდენტური აქტივები.* თუ ფინანსური აქტივი გაიყიდა ისეთი ხელშეკრულების თანახმად, რომელიც ითვალისწინებს იმავე აქტივის, ან პრაქტიკულად იდენტური აქტივის გამოსყიდვას ფიქსირებული ფასით, ან გაყიდვის ფასს დამატებული გამსესხებლის უკუგების ტოლი თანხით, ან საწარმომ სესხად მიიღო ან გაასესხა ფინანსური აქტივი ისეთი ხელშეკრულებით, რომელიც ითვალისწინებს გადამცემი სუბიექტისთვის იმავე აქტივის, ან პრაქტიკულად იდენტური აქტივის უკან დაბრუნებას, მისი აღიარება არ წყდება, რადგან გადამცემი სუბიექტი ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს;

გ) *გამოსყიდვის შეთანხმებები და ფასიანი ქაღალდების გასესხება - ჩანაცვლების უფლება.* თუ ფიქსირებული ფასით ან გაყიდვის ფასს დამატებული გამსესხებლის უკუგების ტოლი ფასით გამოსყიდვის ხელშეკრულება, ან ფასიანი ქაღალდების გასესხების შესახებ ანალოგიური ოპერაცია მიმღებ სუბიექტს უფლებას აძლევს, გადაცემული აქტივი ჩაანაცვლოს ისეთი აქტივით, რომელიც გადაცემული აქტივის მსგავსია და გამოსყიდვის თარიღისთვის გადაცემული აქტივის ტოლი რეალური ღირებულება ექნება, გაყიდული

 © IFRS Foundation

ან გასესხებული აქტივის აღიარება არ წყდება, რადგან გადამცემი სუბიექტი ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს;

დ) *რეალური ღირებულებით გამოსყიდვის უპირატესი უფლება.* თუ საწარმო ყიდის ფინანსურ აქტივს და ინარჩუნებს მხოლოდ გადაცემული აქტივის რეალური ღირებულებით გამოსყიდვის უპირატეს უფლებას, თუ მიმღები სუბიექტი შემდგომში გაყიდის მას, საწარმო წყვეტს აქტივის აღიარებას, რადგან მან უკვე გადასცა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი;

ე) *ფიქტიური გაყიდვის ოპერაცია.* ფინანსური აქტივის გამოსყიდვას მისი გაყიდვიდან მოკლე პერიოდში ზოგჯერ ფიქტიურ გაყიდვას უწოდებენ. ამგვარი გამოსყიდვა ხელს არ უშლის აღიარების შეწყვეტას იმ პირობით, თუ თავდაპირველი ოპერაცია აკმაყოფილებდა აღიარების შეწყვეტის მოთხოვნებს. თუმცა, თუ ფინანსური აქტივის გაყიდვის ხელშეკრულებასთან ერთად ფორმდება იმავე აქტივის გამოსყიდვის ხელშეკრულება ფიქსირებული ფასით, ან გაყიდვის ფასს დამატებული გამსესხებლის უკუგების ტოლი ფასით, აქტივის აღიარება არ წყდება;

ვ) *ძალიან ხელსაყრელი ფუთ-ოფციონები და ქოლ-ოფციონები.* თუ შესაძლებელია, რომ გადამცემმა სუბიექტმა ფინანსური აქტივი უკან გამოითხოვოს და ქოლ-ოფციონის გამოყენების ფასი ძალიან ხელსაყრელია, ამგვარი გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, რადგან გადამცემი სუბიექტი ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. ანალოგიურად, თუ მიმღებ სუბიექტს შეუძლია ფინანსური აქტივის უკან დაბრუნება და ფუთ-ოფციონის გამოყენების ფასი ძალიან ხელსაყრელია, გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, რადგან გადამცემი სუბიექტი ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს;

ზ) *ძალიან არახელსაყრელი ფუთ-ოფციონები და ქოლ-ოფციონები.* ფინანსური აქტივის ისეთი პირობით გადაცემა, რომლის დროსაც მიმღები სუბიექტი მხოლოდ ძალიან არახელსაყრელ ფუთ-ოფციონს, ან გადამცემი სუბიექტი მხოლოდ ძალიან არახელსაყრელ ქოლ-ოფციონს ფლობენ, განაპირობებს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას. ამის მიზეზი ისაა, რომ გადამცემი სუბიექტი გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს;

თ) *ბაზარზე ადვილად ხელმისაწვდომი აქტივები, რომლის ქოლ-ოფციონი არ არის არც ძალიან ხელსაყრელი და არც ძალიან არახელსაყრელი.* თუ საწარმო ფლობს ქოლ-ოფციონს აქტივზე, რომელიც ბაზარზე ადვილად ხელმისაწვდომია და ოფციონის გამოყენების ფასი არც ძალიან ხელსაყრელია და არც ძალიან არახელსაყრელი, ასეთი აქტივის აღიარება წყდება. ამის მიზეზი ისაა, რომ (1) საწარმო არც ინარჩუნებს და არც გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და (2) არც კონტროლს ინარჩუნებს. თუმცა, თუ აქტივი ბაზარზე ადვილად ხელმისაწვდომი არ არის, აღიარების შეწყვეტა აკრძალულია აქტივის ღირებულების იმ ნაწილის ფარგლებში, რომელზეც საწარმო ფლობს ქოლ-ოფციონს, რადგან საწარმო კონტროლს ინარჩუნებს აქტივზე;

ი) *ძნელად ხელმისაწვდომი აქტივები, რომლის ფუთ-ოფციონი არ არის არც ძალიან ხელსაყრელი და არც ძალიან არახელსაყრელი.* თუ საწარმო გადასცემს ფინანსურ აქტივს, რომელიც ბაზარზე ძნელად ხელმისაწვდომია და, ამავე დროს, უშვებს ფუთ-ოფციონს, რომლის გამოყენების ფასი არ არის ძალიან არახელსაყრელი, საწარმო არც გადასცემს და არც ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. საწარმო იმ შემთხვევაში ინარჩუნებს კონტროლს აქტივზე, თუ ფუთ-ოფციონი საკმაოდ ღირებულია (სასარგებლოა), იმ თვალსაზრისით, რომ მიმღებ სუბიექტს ხელს შეუშლის აქტივის გაყიდვაში, რა შემთხვევაშიც აქტივის აღიარება გაგრძელდება, აქტივში გადამცემი სუბიექტის შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობის ფარგლებში (იხ. პუნქტი ბ3.2.9). საწარმო იმ შემთხვევაში გადასცემს კონტროლს აქტივზე, თუ ფუთ-ოფციონი არ არის საკმაოდ ღირებული (სასარგებლო), იმ თვალსაზრისით, რომ მიმღებ სუბიექტს ხელი შეუშალოს აქტივის გაყიდვაში, რა შემთხვევაშიც აქტივის აღიარება წყდება;

კ) *აქტივები, რომლებიც რეალური ღირებულების ფუთ-ოფციონის ან ქოლ-ოფციონის, ან გამოსყიდვის ფორვარდული ხელშეკრულების საგანია.* ფინანსური აქტივის ისეთი პირობით გადაცემა, რომელიც მხოლოდ ფუთ-ოფციონის ან ქოლ-ოფციონის, ან გამოსყიდვის ფორვარდული ხელშეკრულების საგანია, რომელთა გამოყენების ან გამოსყიდვის ფასი ტოლია გამოსყიდვის თარიღისთვის განსაზღვრული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების, იწვევს აღიარების შეწყვეტას, რადგან აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი გადაცემულია;

ლ) *ქოლ-ოფციონები და ფუთ-ოფციონები, რომლისთვისაც ანგარიშსწორება ფულადი სახსრებით ხდება.* ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემისას, რომელიც ფუთ-ოფციონის ან ქოლ-ოფციონის, ან გამოსყიდვის ფორვარდული ხელშეკრულების საგანია და უნდა დაიფაროს ნეტო ფულადი ანგარიშსწორებით, საწარმო აფასებს, შეინარჩუნა თუ გადასცა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი. თუ საწარმო გადაცემულ აქტივზე არ ინარჩუნებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, იგი განსაზღვრავს, ინარჩუნებს თუ არა კონტროლს გადაცემულ აქტივზე. ის ფაქტი, რომ ფუთ-ოფციონის ან ქოლ-ოფციონის, ან გამოსყიდვის ფორვარდული ხელშეკრულებისთვის ანგარიშსწორება ნეტო ფულადი სახსრებით უნდა მოხდეს, ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ საწარმომ კონტროლი გადასცა (იხ. პუნქტები ბ3.2.9 და ზემოთ (ზ), (თ) და (ი) ქვეპუნქტები);

მ) *ანგარიშსწორების პირობების აცილება.* ანგარიშსწორების პირობების აცილება წარმოადგენს უპირობო გამოსყიდვის (ქოლ) ოფციონს, რომელიც გარკვეული შეზღუდვების პირობებში, საწარმოს გადაცემული აქტივების უკან გამოთხოვის უფლებას აძლევს. იმ პირობით, თუ ასეთი ოფციონის შედეგად ისეთი სიტუაცია იქმნება, როდესაც საწარმოს არც შენარჩუნებული და არც გადაცემული არა აქვს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, იგი აღიარების შეწყვეტას ხელს უშლის მხოლოდ გამოსყიდვის ღირებულების ფარგლებში (იმის დაშვებით, რომ მიმღებ სუბიექტს არ შეუძლია აქტივების გაყიდვა). მაგალითად, თუ გადაცემული სასესხო აქტივის საბალანსო ღირებულება და მასთან დაკავშირებული შემოსულობა 100,000 ფე-ის ტოლია და შესაძლებელია ნებისმიერი ინდივიდუალური სესხის უკან გამოთხოვა, ამასთან, სესხების მთლიანი ოდენობა, რომლის გამოსყიდვაც შეიძლება, არ უნდა აღემატებოდეს 10,000 ფე-ს, აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს მხოლოდ სესხების ნაწილი, კერძოდ, 90,000 ფე;

ნ) *გამოხმობა ოპერაციის დასახურად.* თუ საწარმო გადამცემი მხარეა, რომელიც ახორციელებს გადაცემული აქტივის მომსახურებას, იგი შეიძლება ფლობდეს მთელი დარჩენილი გადაცემული აქტივების გამოხმობის უფლებას (ქოლ-ოფციონს) ოპერაციის დასახურად, თუკი აქტივების დაუფარავი ნაწილის ღირებულება დაეცემა დადგენილ დონემდე, რა შემთხვევაშიც, აღნიშნული აქტივების მომსახურების დანახარჯები საწარმოსთვის გადაიქცევა ტვირთად, მომსახურებიდან მისაღებ სარგებელთან შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოხმობის ოფციონის შედეგად არ იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც საწარმოს არც შენარჩუნებული და არც გადაცემული არა აქვს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკი და სარგებელი, ხოლო მიმღებ სუბიექტს არ შეუძლია აქტივების გაყიდვა, იგი ხელს უშლის აღიარების შეწყვეტას მხოლოდ აქტივების იმ ღირებულების ფარგლებში, რომლებიც წარმოადგენს ქოლ-ოფციონის საგანს;

ო) *შენარჩუნებული სუბორდინირებული მონაწილეობის წილები და საკრედიტო გარანტიები.* საწარმომ მიმღებ სუბიექტს შეიძლება მიაწოდოს კრედიტის საგარანტიო საშუალება გადაცემულ აქტივში მისი წილის ნაწილობრივ, ან სრულად სუბორდინირებით. მეორე მხრივ, საწარმომ მიმღებ სუბიექტს შეიძლება მიაწოდოს კრედიტის საგარანტიო საშუალებები საკრედიტო გარანტიის (თავდებობის) სახით, რომელიც შეიძლება შეუზღუდავი იყოს, ან გარკვეული ოდენობის თანხით იყოს შეზღუდული. თუ საწარმო გადაცემულ აქტივზე ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, გრძელდება აქტივის მთლიანად აღიარება. თუ საწარმო გადაცემულ აქტივზე ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ

 © IFRS Foundation

ზოგიერთ, მაგრამ არა ყველა რისკსა და სარგებელს და ინარჩუნებს კონტროლს, აღიარების შეწყვეტა იკრძალება ფულადი სახსრებისა თუ სხვა აქტივების ღირებულების იმ ნაწილის ფარგლებში, რომლის გადახდაც შეიძლება მოეთხოვოს საწარმოს;

პ) *მთლიანი უკუგების სვოპი.* საწარმოს შეუძლია ფინანსური აქტივი მიჰყიდოს მიმღებ სუბიექტს და მასთან ერთად გააფორმოს მთლიანი უკუგების სვოპის ხელშეკრულება, რომლის თანახმად საწარმო მიიღებს საბაზისო აქტივთან დაკავშირებულ მთლიან საპროცენტო ფულად ნაკადებს, ფიქსირებული გადასახდელების ან ცვალებადი განაკვეთის მქონე გადასახდელების სანაცვლოდ და, ამასთან, საწარმო იღებს თავის თავზე საბაზისო აქტივის რეალური ღირებულების ნებისმიერ ზრდას, ან შემცირებას. ასეთ შემთხვევაში, იკრძალება მთელი აქტივის აღიარების შეწყვეტა;

ჟ) *საპროცენტო განაკვეთის სვოპი.* საწარმოს შეუძლია მიმღებ სუბიექტს გადასცეს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივი და მასთან ერთად გააფორმოს საპროცენტო განაკვეთის სვოპის ხელშეკრულება, რათა პროცენტები მიიღოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და გადაიხადოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით, პირობითი თანხის მიხედვით, რომელიც გადაცემული ფინანსური აქტივის ძირი თანხის ტოლი იქნება. საპროცენტო განაკვეთის სვოპი ხელს არ უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას იმ პირობით, თუ სვოპის შეთანხმებით გადასახდელი თანხები დამოკიდებული არ არის გადაცემულ აქტივთან დაკავშირებით გადასახდელ თანხებზე;

რ) *ამორტიზებული საპროცენტო განაკვეთის სვოპი.* საწარმოს შეუძლია მიმღებ სუბიექტს გადასცეს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივი, რომლისთვისაც ანგარიშსწორება მოხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში და, ამავე დროს, მიმღებ პირთან ერთად გააფორმოს ამორტიზებული საპროცენტო განაკვეთის სვოპის ხელშეკრულება, რათა პროცენტები მიიღოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და გადაიხადოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით, ნომინალური თანხის მიხედვით. თუ სვოპის ნომინალური ღირებულება ისე ამორტიზდება, რომ იგი დროის ნებისმიერ მომენტში გადაცემული აქტივის დაუფარავ ძირ თანხას უტოლდება, ამგვარი სვოპის შედეგად, საზოგადოდ, საწარმო ინარჩუნებს ვადაზე ადრე დაფარვის მნიშვნელოვან რისკს. ასეთ შემთხვევაში საწარმო აგრძელებს მთლიანი გადაცემული აქტივის აღიარებას, ან აქტივის აღიარებას აგრძელებს მასში შენარჩუნებული მონაწილეობის მოცულობის შესაბამისად. პირიქით, თუ სვოპის ნომინალური ღირებულების ამორტიზაცია მიბმული არ არის გადაცემული აქტივის დაუფარავ ძირ თანხასთან, ასეთი სვოპი არ გამოიწვევს ისეთ სიტუაციას, რომ საწარმომ შეინარჩუნოს აქტივთან დაკავშირებით ვადაზე ადრე დაფარვის რისკი. ამგვარად, ეს ხელს არ უშლის გადაცემული აქტივის აღიარების შეწყვეტას, თუ სვოპზე გადასახდელი თანხები დამოკიდებული არ არის გადაცემულ აქტივთან დაკავშირებით გადასახდელ პროცენტის ოდენობაზე და სვოპი არ იწვევს ისეთ სიტუაციას, რომ საწარმომ შეინარჩუნოს გადაცემულ აქტივთან დაკავშირებული საკუთრების რაიმე სხვა მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;

ს) *ჩამოწერა.* საწარმოს არა აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს მთლიანად ან ნაწილობრივ აინაზღაურებს.

B3.2.17 ამ პუნქტში განხილულია ფინანსურ აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობის მიდგომის გამოყენების საილუსტრაციო მაგალითები, როდესაც საწარმოს შენარჩუნებული მონაწილეობა მხოლოდ ფინანსური აქტივის ნაწილს ეხება.

წარმოვიდგინოთ, რომ საწარმოს გააჩნია წინასწარგადახდის შესაძლებლობის მქონე სესხების პორტფელი, რომელთა კუპონური შემოსავალი და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 10 პროცენტი, ხოლო ძირი თანხა და ამორტიზებული ღირებულება 10,000 ფე. საწარმო ერთვება გარიგებაში, რომლის თანახმად 9,115 ფე-ის გადახდის ნაცვლად მიმღები სუბიექტი იღებს ამოღებული ძირი თანხის 9,000 ფე-ისა და ასევე მასზე 9.5 პროცენტის მიღების უფლებას. საწარმო ინარჩუნებს ნებისმიერ ძირითად გადასახდელ 1,000 ფე-ს პლუს 10 პროცენტის მიღების უფლებასა და დარჩენილ ძირითად 9,000 ფე-ზე 0,5 პროცენტ ნამეტ სპრედს. ამოღებული წინასწარი გადასახდელები გადანაწილდება საწარმოსა და მიმღებ სუბიექტს შორის პროპორციულად 1:9 კოეფიციენტით, მაგრამ ნებისმიერი გადაუხდელი თანხა უნდა გამოიქვითოს საწარმოს 1,000 ფე პროცენტიდან, სანამ პროცენტი არ ამოიწურება. სესხების რეალური ღირებულება გარიგების თარიღისთვის უდრის 10,100 ფე-ს, ხოლო 0,5 პროცენტი ნამეტი სპრედის რეალური ღირებულება 40 ფე-ს.

საწარმო ადგენს, რომ მან გადასცა საკუთრებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი (მაგალითად, წინასწარგადახდის მნიშვნელოვანი რისკი), მაგრამ ამასთან შეინარჩუნა საკუთრებასთან დაკავშირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი (შენარჩუნებული სუბორდინირებული მონაწილეობის გამო) და შეინარჩუნა კონტროლი. შესაბამისად, იგი იყენებს აქტივში შენარჩუნებული მონაწილეობის მიდგომას.

ამ სტანდარტის გამოყენების მიზნით, საწარმო გარიგებას განიხილავს, როგორც (ა) 1,000 ფე ღირებულების მთლიანად პროპორციული პროცენტის შენარჩუნებას, პლუს (ბ) შენარჩუნებული ნაწილის სუბორდინირებას, რათა მიმღებ სუბიექტს საკრედიტო ზარალის დასაფარად მიაწოდოს კრედიტის საგარანტიო საშუალება.

საწარმო ანგარიშობს, რომ მთლიანი მიღებული კომპენსაციიდან (9,115 ფე) 9,090 ფე (90% × 10,100) წარმოადგენს კომპენსაციას სრულად პროპორციული 90-პროცენტიანი წილისათვის. დარჩენილი საკომპენსაციო გადასახდელი (25 ფე) საკომპენსაციო გადასახდელებია მის მიერ შენარჩუნებული ნაწილის სუბორდინირებისთვის, იმ მიზნით, რომ მიმღებ სუბიექტს მიაწოდოს კრედიტის საგარანტიო საშუალება საკრედიტო ზარალის ასანაზღაურებლად. გარდა ამისა, 0,5 პროცენტი ნამეტი სპრედი საკომპენსაციო გადასახდელია კრედიტის საგარანტიო საშუალების სანაცვლოდ. ამგვარად, კრედიტის საგარანტიო საშუალების სანაცვლოდ მიღებული მთლიანი საკომპენსაციო თანხა იქნება 65 ფე (25 ფე + 40 ფე).

საწარმო შემოსულობას ან ზარალს ანგარიშობს 90 პროცენტი წილის გაყიდვიდან მიღებული ფულადი ნაკადებიდან. თუ დავუშვებთ, რომ ცალკე გადაცემული 90-პროცენტიანი წილისა და შენარჩუნებული 10-პროცენტიანი წილის რეალური ღირებულების დადგენა გადაცემის თარიღისთვის შეუძლებელია, საწარმო აქტივის საბალანსო ღირებულებას ფასს 9-ის 3.2.14 პუნქტის შესაბამისად შემდეგნაირად გაანაწილებს:

	რეალური ღირებულება	*პროცენტი*	*გადანაწილებული საბალანსო ღირებულება*
გადაცემული ნაწილი	9,090	90%	9,000
შენარჩუნებული ნაწილი	1,010	10%	1,000
სულ	**10,100**		**10,000**

საწარმო ფულადი ნაკადების 90 პროცენტი წილის გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობას ან ზარალს ანგარიშობს საკომპენსაციო შემოსავლებიდან გადაცემულ ნაწილზე გადანაწილებული საბალანსო ღირებულების გამოქვითვით, ე.ი. 90 ფე (9,090 ფე - 9,000 ფე). საწარმოს მიერ შენარჩუნებული ნაწილის საბალანსო ღირებულება უდრის 1,000 ფე-ს.

გაგრძელება

 © IFRS Foundation

ამას გარდა, საწარმო აღიარებს აქტივში მონაწილეობის შენარჩუნებას, რაც გამოწვეულია საკრედიტო ზარალისთვის მისი შენარჩუნებული ნაწილის სუბორდინირებით. შესაბამისად, იგი აღიარებს 1,000 ფე ღირებულების აქტივს (ფულადი სახსრების მაქსიმალურ ოდენობას, რომელსაც იგი ვერ მიიღებს სუბორდინირების გამო) და 1,065 ფე ღირებულების დაკავშირებულ ვალდებულებას (რაც წარმოადგენს ფულადი სახსრების მაქსიმალურ ოდენობას, რომელსაც იგი ვერ მიიღებს სუბორდინირების გამო, ე.ი. 1,000 ფე პლუს სუბორდინაციის რეალური ღირებულება 65 ფე).

საწარმო ზემოთ განხილულ ინფორმაციას მოცემული გარიგების აღრიცხვისათვის იყენებს შემდეგნაირად:

	დებეტი	*კრედიტი*
თავდაპირველი აქტივი	-	9,000
სუბორდინაციისათვის აღიარებული აქტივი, ან დარჩენილი ნაწილი	1,000	-
მიღებული საკომპენსაციო გადასახდელების აქტივი ნამეტი სპრედის ფორმით	40	-
მოგება ან ზარალი (შემოსულობა გადაცემაზე)	-	90
ვალდებულება	-	1,065
მიღებული ფულადი სახსრები	9,115	-
სულ	**10,155**	**10,155**

უშუალოდ ოპერაციის შემდეგ, აქტივის საბალანსო ღირებულება იქნება 2,040 ფე, რომელიც შეიცავს შენარჩუნებულ ნაწილზე მიკუთვნებულ 1,000 ფე-ს და ასევე 1,040 ფე-ს, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს მიერ შენარჩუნებულ დამატებით მონაწილეობას, რაც განაპირობა საკრედიტო ზარალის ანაზღაურების მიზნით შენარჩუნებული ნაწილის სუბორდინირებამ (და შეიცავს 40 ფე ნამეტ სპრედს).

შემდგომ პერიოდებში საწარმო კრედიტის საგარანტიო საშუალების სანაცვლოდ მიღებულ საკომპენსაციო გადასახდელებს (65 ფე) აღიარებს დროის პროპორციულობის მეთოდით, აღიარებულ აქტივს პროცენტს დაარიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღიარებულ აქტივებთან დაკავშირებით აღიარებს გაუფასურების ზარალს. ამ უკანასკნელი შემთხვევის საილუსტრაციოდ წარმოვიდგინოთ, რომ მომდევნო წელს დაფიქსირდა საბაზისო სესხების გაუფასურების ზარალი 300 ფე-ის ოდენობით. საწარმო აღიარებულ აქტივს ამცირებს 600 ფე-ით (300 ფე უკავშირდება საწარმოს მიერ შენარჩუნებულ წილს, ხოლო 300 ფე - აქტივში დამატებით შენარჩუნებულ მონაწილეობას, რაც გამოწვეულია გაუფასურების ზარალისთვის შენარჩუნებული წილის სუბორდი-ნირებით), ხოლო აღიარებულ ვალდებულებას ამცირებს 300 ფე-ით. ნეტო შედეგი არის მოგებაში ან ზარალში 300 ფე-ის ოდენობის ხარჯის ასახვა გაუფასურების ზარალთან დაკავშირებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (ნაწილი 3.3)

ბ3.3.1 ფინანსური ვალდებულება (ან მისი ნაწილი) უქმდება, როდესაც დებიტორი:

ა) ფარავს ვალდებულებას (ან მის ნაწილს), როგორც წესი, კრედიტორისათვის ფულადი სახსრების გადახდის, სხვა ფინანსური აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიწოდებით; ან

ბ) სასამართლო პროცესის ან კრედიტორის მეშვეობით იურიდიულად თავისუფლდება თავდაპირველი ვალდებულების (ან მისი ნაწილის) პასუხისმგებლობისაგან. (თუ დებიტორი იძლევა გარანტიას, აღნიშნული პირობა შეიძლება მაინც დაკმაყოფილდეს)

Გ3.3.2 თუ სავალო ინსტრუმენტის ემიტენტი გამოისყიდის ამ ინსტრუმენტს, ვალი გაუქმდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ემიტენტი ამ ინსტრუმენტის ბაზრის შემქმნელია, ან ვარაუდობს ახლო მომავალში მის ხელახლა გაყიდვას.

Გ3.3.3 მესამე მხარისთვის თანხების გადახდა, მათ შორის სატრასტო კომპანიისთვის (ზოგჯერ უწოდებენ „არსებითად ანულირებას“), თავისთავად არ ამცირებს კრედიტორის წინაშე დებიტორის თავდაპირველ ვალდებულებას, თუ არ არსებობს იურიდიული განთავისუფლება.

Გ3.3.4 თუ დებიტორი მესამე მხარეს ვალდებულების აღებისათვის უხდის თანხებს და თავის კრედიტორს ატყობინებს, რომ მესამე მხარემ აღიარა მისი სავალო ვალდებულება, დებიტორი არ წყვეტს სავალო ვალდებულების აღიარებას, თუ Გ3.3.1(ბ) პუნქტის პირობები დაკმაყოფილებული არ არის. დებიტორი აუქმებს ვალს, თუ იგი მესამე მხარეს ვალდებულების აღებისათვის უხდის თანხებს და იღებს იურიდიულ განთავისუფლებას თავისი კრედიტორისაგან. თუმცა, თუ დებიტორი თანხმდება, რომ ვალთან დაკავშირებით გადასახდელი თანხები გადაუხადოს მესამე მხარეს, ან პირდაპირ მის ადრინდელ კრედიტორს, დებიტორი აღიარებს ახალ სავალო ვალდებულებას მესამე მხარის წინაშე.

Გ3.3.5 თუ გადაცემულ ფინანსურ აქტივთან მიმართებით დაკმაყოფილებული არ არის 3.2.1-3.2.23 პუნქტების აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმები, საწარმოს შეუძლია ახალი ვალდებულების აღიარება იმის მიუხედავად, თუ სასამართლოს წესით, ან კრედიტორისაგან მიღებული იურიდიული განთავისუფლება იწვევს ვალდებულების აღიარების შეწყვეტას. თუ აღნიშნული კრიტერიუმები არ არის დაკმაყოფილებული, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება და საწარმო გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებით აღიარებს ახალ ვალდებულებას.

Გ3.3.6 3.3.2 პუნქტის მიზნებისათვის, პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

Გ3.3.7 ზოგ შემთხვევაში, კრედიტორი დებიტორს ათავისუფლებს მიმდინარე გადასახდელების ვალდებულებისაგან, მაგრამ დებიტორი იღებს გადახდის საგარანტიო ვალდებულებას, თუ თავდაპირველი ვალდებულების ამღები მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდება. ამ შემთხვევაში, დებიტორი:

ა) აღიარებს ახალ ფინანსურ ვალდებულებას მის მიერ აღებული საგარანტიო ვალდებულების რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით; და

ბ) აღიარებს შემოსულობას ან ზარალს, შემდეგი ორი სიდიდის სხვაობაზე დაყრდნობით: (1) გადახდილი კომპენსაცია და (2) თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას გამოკლებული ახალი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულება.

 © IFRS Foundation

კლასიფიკაცია (მე-4 თავი)

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია (ნაწილი 4.1)

ფინანსური აქტივების მართვისთვის გამოყენებული საწარმოს ბიზნესმოდელი

ბ4.1.1 4.1.1(ა) პუნქტის თანახმად, საწარმომ ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული საწარმოს ბიზნესმოდელის საფუძველზე, გარდა 4.1.5 პუნქტში აღწერილი შემთხვევებისა. საწარმო უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ბასს 24-ში - *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“*) მიერ განსაზღვრული ბიზნესმოდელის საფუძველზე აფასებს, ფინანსური აქტივები აკმაყოფილებს თუ არა 4.1.2(ა) პუნქტის, ან 4.1.2.ა(ა) პუნქტის პირობას.

ბ4.1.2 საწარმოს მიერ გამოყენებული ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნის მისაღწევად. საწარმოს ბიზნესმოდელი დამოკიდებული არ არის ინდივიდუალური ინსტრუმენტის მიმართ ხელმძღვანელობის განზრახვაზე. შესაბამისად, ეს პირობა არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას და უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე. ამასთან, კონკრეტული საწარმო ფინანსური აქტივების მართვის მიზნებისთვის შესაძლოა იყენებდეს რამდენიმე ბიზნესმოდელს. შესაბამისად, კლასიფიკაცია არ უნდა განხორციელდეს მთლიანად საწარმოს დონეზე. მაგალითად, საწარმო შეიძლება ფლობდეს ინვესტიციების პორტფელს, რომლის მართვის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ასევე ინვესტიციების სხვა პორტფელსაც, რომელიც გამიზნულია სავაჭროდ, რეალური ღირებულების ცვლილებების რეალიზების მიზნით. ანალოგიურად, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ფინანსური აქტივების პორტფელის დაყოფა უფრო მცირე ზომის პორტფელებად, რათა აისახოს ფინანსური აქტივების მართვის დონე. მაგალითად, ამის გაკეთება შეიძლება შესაფერისი იყოს იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ქმნის ან იძენს იპოთეკური სესხების პორტფელს და ამ სესხებიდან ზოგიერთს მართავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ხოლო სხვა სესხებს - გაყიდვის მიზნით.

ბ4.1.2ა საწარმოს ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ საწარმოს ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. მაშასადამე, ამგვარი შეფასება არ ეყრდნობა ისეთ სცენარებს, რომელთა წარმოქმნასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, არ მოელის, როგორიცაა, მაგალითად „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული მდგომარეობის“ სცენარები. მაგალითად, როდესაც საწარმო ვარაუდობს, რომ გაყიდის ფინანსური აქტივების კონკრეტულ პორტფელს მხოლოდ სტრესული მდგომარეობის სცენარის დროს, ამგვარი სცენარი გავლენას არ მოახდენს საწარმოს მიერ აღნიშნული აქტივების ბიზნესმოდელის შეფასებაზე, თუკი საწარმო, გონივრულ ფარგლებში, მოელის, რომ მსგავსი სცენარი არ მატერიალიზდება. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით საწარმოს მოლოდინებისგან (მაგალითად, როდესაც საწარმო უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ ფინანსურ აქტივებს ყიდის, ვიდრე მოელოდა აქტივების კლასიფიკაციის მომენტში), ეს არ გამოიწვევს შეცდომას საწარმოს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში (იხ. ბასს 8) და არც მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში საწარმოს დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას (ე.ი. აქტივები, რომლებიც საწარმომ გასულ პერიოდებში აღიარა და კვლავ მის მფლობელობაშია), ვინაიდან საწარმომ გაითვალისწინა მოცემული ბიზნესმოდელის შეფასების დროს მისთვის ხელმისაწვდომი ყველა სათანადო ინფორმაცია. თუმცა, როდესაც საწარმო ახლად გა-მოშვებული ან ახლად შეძენილი ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს აფასებს, მან, სხვა სათანადო ინფორმაციასთან ერთად, უნდა გაითვალისწინოს ინფორმაცია იმის შესახებ, ფულადი ნაკადები როგორ წარმოიქმნა წარსულში.

ბ4.1.2ბ საწარმოს მიერ გამოყენებული ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი წარმოადგენს ფაქტს და არა უბრალოდ მტკიცებას. როგორც წესი, ეს ჩანს საწარმოს ღონისძიებებიდან, რომლებსაც იგი ატარებს ამ ბიზნესმოდელის მიზნების მისაღწევად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელის შესაფასებლად საწარმოს აუცილებლად დასჭირდება მსჯელობა და, ამასთან, ამგვარი შეფასება არ განისაზღვრება რომელიმე ერთი ფაქტორით ან საქმიანობით. პირიქით, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს შეფასების მომენტში მისთვის ხელმისაწვდომი ყველა სათანადო მტკიცებულება. ამგვარი სათანადო ინფორმაცია, სხვასთან ერთად, მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) როგორ ხდება ბიზნესმოდელისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შედეგების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;

ბ) რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) შედეგებზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა; და

გ) რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების (მენეჯერების) ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების რეალურ ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას).

ბიზნესმოდელი, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად

ბ4.1.2გ ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ფინანსური აქტივების მართვა ხორციელდება მოცემული ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე ფულადი ნაკადების გენერირებისთვის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების გზით, ანუ, საწარმო მოცემული პორტფელის ფარგლებში აქტივებს მართავს კონკრეტული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად (ნაცვლად იმისა, რომ პორტფელის საერთო უკუგების მართვა ხდებოდეს აქტივების როგორც ფლობის (შენარჩუნების), ისე გაყიდვის გზით). იმის დასადგენად, ფულადი ნაკადები წარმოიქმნება თუ არა ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების შედეგად, აუცილებელია გასული პერიოდების გაყიდვების სიხშირის, ღირებულებისა და ვადების, ასევე მათი გაყიდვის მიზნებისა და სამომავლო გაყიდვების შესახებ საწარმოს მოლოდინების გათვალისწინება. თუმცა, მხოლოდ გაყიდვები, თავისთავად, არ განსაზღვრავს ბიზნესმოდელს და ამიტომ არ შეიძლება მათი იზოლირებულად განხილვა. ამის ნაცვლად, ინფორმაცია ადრინდელი გაყიდვებისა და სამომავლო გაყიდვების მოლოდინების შესახებ იძლევა მტკიცებულებას იმის შესახებ, როგორ მიიღწევა საწარმოს მიერ განსაზღვრული, დოკუმენტირებული მიზანი მოცემული ფინანსური აქტივების მართვასთან მიმართებაში, კერძოდ, როგორ წარმოიქმნება ფულადი ნაკადები. საწარმომ ადრინდელ გაყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაცია უნდა გააანალიზოს ამ გაყიდვების მიზეზების კონტექსტში და ასევე იმ დროისთვის არებული პირობების დღევანდელ პირობებთან შედარების გზით.

ბ4.1.3 მართალია, საწარმოს ბიზნესმოდელის მიზანი შეიძლება იყოს ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, მაგრამ აუცილებელი არ არის, ყველა ამ ფინანსურ ინსტრუმენტს საწარმო ფლობდეს დაფარვის ვადამდე. ამგვარად, ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით საწარმოს ბიზნესმოდელი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ყიდის ფინანსურ აქტივებს, ან მომავალშია მოსალოდნელი მათი გაყიდვა.

ბ4.1.3ა აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ბიზნესმოდელის მიზანი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საწარმო ყიდის ფინანსურ აქტივებს მათი საკრედიტო რისკის ზრდის შემთხვევაში. იმის დასადგენად, გაზრდილია თუ არა აქტივების საკრედიტო რისკი, საწარმო ითვალისწინებს გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, მათ შორის საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებულ) ინფორმაციას. გაყიდვების სიხშირისა და ღირებულების მიუხედავად, საკრედიტო რისკის გაზრდით განპირობებული აქტივების გაყიდვები არ ეწინააღმდეგება ბიზნესმოდელს, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, რადგან ფინანსური აქტივების საკრედიტო

 © IFRS Foundation

ხარისხი გავლენას ახდენს საწარმოს უნარზე, მიიღოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები. საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებები, რომელთა მიზანია აქტივების საკრედიტო ხარისხის გაუარესებით გამოწვეული პოტენციური საკრედიტო ზარალის მინიმიზაცია, ამგვარი ბიზნესმოდელის განუყოფელი ნაწილია. ფინანსური აქტივის გაყიდვა იმის გამო, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს საწარმოს დოკუმენტირებული საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრულ საკრედიტო ხარისხის კრიტერიუმებს, საკრედიტო რისკის ზრდის გამო ფინანსური აქტივების გაყიდვის ერთ-ერთი მაგალითია. თუმცა, თუ საწარმოს არა აქვს ამგვარი პოლიტიკა, შეიძლება სხვამხრივ დასჭირდეს იმის დემონსტრირება, რომ გაყიდვა განაპირობა საკრედიტო რისკის ზრდამ.

B4.1.3B ფინანსური აქტივების სხვა მიზეზებით გაყიდვაც, მაგალითად საკრედიტო რისკის კონცენტრაციის მართვის მიზნით (როდესაც ამ აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი გაზრდილი არ არის), შეიძლება ასევე შეესაბამებოდეს ისეთ ბიზნესმოდელს, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. კერძოდ, ამგვარი გაყიდვები იმ შემთხვევაში შეიძლება შეესაბამებოდეს ისეთ ბიზნესმოდელს, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, თუ გაყიდვები ხშირი არ არის (თუნდაც მნიშვნელოვანი იყოს ღირებულების თვალსაზრისით), ან მნიშვნელოვანი არ არის ღირებულების თვალსაზრისით, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლიობაში (თუნდაც ხშირი იყოს გაყიდვები). თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პორტფელიდან ფინანსური აქტივების გაყიდვები იშვიათი არ არის და მათი მოცულობა (ღირებულება) უმნიშვნელო არ არის (ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში), საწარმომ უნდა შეაფასოს, ამგვარი გაყიდვები შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზანს, ხოლო თუ შეესაბამება, როგორ. ამგვარი ანალიზისა და შეფასებისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ფინანსური აქტივების გაყიდვა მესამე მხარის მოთხოვნით ხდება, თუ თვითონ საწარმოს გადაწყვეტილებით. კონკრეტულ პერიოდში გაყიდვების სიხშირის ან ღირებულების გაზრდა ყოველთვის არ ნიშნავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფინანსური აქტივების ფლობის მიზანთან შეუსაბამობას, თუკი საწარმოს შეუძლია აღნიშნული გაყიდვების მიზეზების ახსნა და იმის დემონსტრირება, თუ რატომ არ ასახავს მოცემული გაყიდვები საწარმოს ბიზნესმოდელის ცვლილებას. გარდა ამისა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფინანსური აქტივების ფლობის მიზნის შესაბამისი შეიძლება იყოს ისეთი გაყიდვებიც, რომლებიც განხორციელდება ფინანსური აქტივების დაფარვის ვადის დადგომამდე მახლობელ პერიოდში და გაყიდვებიდან მიღებული ამონაგები დაახლოებით ტოლია დარჩენილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების.

B4.1.4 ქვემოთ განხილული მაგალითები ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საწარმოს ბიზნესმოდელის მიზანი შეიძლება იყოს ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. მაგალითების სია ამომწურავი არ არის. გარდა ამისა, ამ მაგალითების მიზანი არ არის ყველა ისეთი ფაქტორის განხილვა, რომლებიც შეიძლება შესაფერისი იყოს საწარმოს ბიზნესმოდელის შეფასებისთვის, ან ფაქტორების შედარებითი მნიშვნელობის განსაზღვრა.

მაგალითი	ანალიზი
1-ლი მაგალითი საწარმო ინვესტიციას ფლობს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. საწარმოს მოთხოვნილებები დაფინანსებაზე პროგნოზირებადია და მისი ფინანსური აქტივების დაფარვის ვადა შეესაბამება საწარმოს შეფასებულ მოთხოვნილებებს დაფინანსებაზე. საწარმოს საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებების მიზანია საკრედიტო ზარალის მინიმიზაცია. წარსულში, როგორც წესი, საწარმო ფინანსურ აქტივებს იმ შემთხვევაში ყიდდა, როდესაც	მართალია, საწარმო, ლიკვიდობის კუთხით, სხვა ინფორმაციასთან ერთად, ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებასაც იღებს მხედველობაში (ანუ ფულადი სახსრების ოდენობას, რომელსაც საწარმო იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ დასჭირდება აქტივების გაყიდვა), მაგრამ საწარმოს მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. ფინანსური აქტივის გაყიდვა წინააღმდეგობაში არ მოვა ზემოაღნიშნულ მიზანთან, თუკი აქტივების გაყიდვა განხორციელდა აქტივების საკრედიტო

მაგალითი	ანალიზი
ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი იმდენად გაიზრდებოდა, რომ ეს აქტივები აღარ აკმაყოფილებდა საწარმოს დოკუმენტირებული საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრულ საკრედიტო ხარისხის კრიტერიუმებს. გარდა ამისა, საწარმოს დაფინანსების მოთხოვნილებების გაუთვალისწინებელი ცვლილებების გამო საწარმო იშვიათად ყიდდა ფინანსურ აქტივებს. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის წარდგენილ ანგარიშებში ძირითადი ადგილი ეთმობა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს და სახელშეკრულებო უკუგებას. ამასთან, საწარმო, სხვა ინფორმაციასთან ერთად, თვალ-ყურს ადევნებს ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებსაც.	რისკის ზრდის გამო, მაგალითად, თუ აქტივები აღარ აკმაყოფილებდა საწარმოს დოკუმენტირებული საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრულ საკრედიტო ხარისხის კრიტერიუმებს. ამ მიზანთან წინააღმდეგობაში არ მოვა არც იშვიათი გაყიდვები, რომლებიც განპირობებულია დაფინანსების მოთხოვნილებების გაუთავალისწინებელი ცვლილებებით (მაგალითად, სტრესული მდგომარეობის სცენარის შემთხვევაში), თუნდაც ასეთი გაყიდვები მნიშვნელოვანი იყოს ღირებულების თვალსაზრისით.
მე-2 მაგალითი საწარმოს ბიზნესმოდელი ითვალისწინებს ფინანსური აქტივების, როგორიცაა სესხები, პორტფელების შეძენას. აღნიშნული პორტფელები შეიძლება მოიცავდეს ან არ მოიცავდეს (საკრედიტო რისკით) გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს. როდესაც სესხებთან დაკავშირებული თანხების გადახდა დროულად არ ხდება, საწარმო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღებას ცდილობს სხვადასხვა ხერხით, მაგალითად დებიტორთან ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით ან სხვა საშუალებებით დაკავშირებით. საწარმოს მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ამ პორტფელიდან არც ერთ სესხს არ მართავს მათი გაყიდვის შედეგად ფულადი ნაკადების მისაღებად. ზოგ შემთხვევაში, საწარმო დებს საპროცენტო განაკვეთების სვოპის ხელშეკრულებებს, რათა შეცვალოს ამ პორტფელში შემავალი გარკვეული ფინანსური აქტივების ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.	საწარმოს ბიზნესმოდელის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. ანალოგიურად გაანალიზდება ისეთი სიტუაცია, როდესაც საწარმო არ ვარაუდობს ყველა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მიღებას (მაგალითად, როდესაც თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების ნაწილი გაუფასურებულია). გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ საწარმო პორტფელის ფულადი ნაკადების მოდიფიცირების მიზნით ხელშეკრულებას დებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ, თავისთავად, არ ნიშნავს საწარმოს ბიზნესმოდელის შეცვლას.
მე-3 მაგალითი საწარმოს ბიზნესმოდელის მიზანია მომხმარებლებზე სესხების გაცემა და შემდგომში ამ სესხების მიყიდვა სეკურიტიზაციით დაკავებული საწარმოსთვის. სეკურიტიზაციის საწარმო ინვესტორებისათვის უშვებს ფინანსურ ინსტრუმენტებს. სესხის გამცემი საწარმო აკონტროლებს სეკურიტიზაციის საწარმოს და, მაშასადამე, ახდენს მის კონსოლიდირებას.	კონსოლიდირებულმა ჯგუფმა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით გასცა სესხები. ამასთან, სესხების გამცემი საწარმოს მიზანია ფულადი ნაკადების მიღება, სესხების პორტფელიდან სეკურიტიზაციის საწარმოზე სესხების მიყიდვის გზით; შესაბამისად, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის არ მიიჩნევა, რომ პორტფელის მართვა ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

 © IFRS Foundation

მაგალითი	ანალიზი
სეკურიტიზაციის საწარმო სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს იღებს სესხებიდან და გადასცემს თავის ინვესტორებს. ამ მაგალითში იგულისხმება, რომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრძელდება სესხების აღიარება, ვინაიდან სეკურიტიზაციის საწარმო არ წყვეტს მათ აღიარებას.	
მე-4 მაგალითი საფინანსო დაწესებულება ფინანსურ აქტივებს ფლობს თავისი ლიკვიდობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით „სტრესული მდგომარეობის“ სცენარის (როგორიცაა, მაგალითად, საბანკო დეპოზიტების მასობრივად გატანა) მატერიალიზების შემთხვევაში. საწარმო არ ვარაუდობს ამ აქტივების გაყიდვას, გარდა ზემოხსენებული სცენარის შემთხვევისა. საწარმო აწარმოებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მონიტორინგს და მისი მიზანია ფინანსური აქტივების მართვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. საწარმო ამ აქტივების შედეგებს აფასებს მიღებული საპროცენტო ამონაგებისა და რეალიზებული საკრედიტო ზარალის საფუძველზე. ამასთან, საწარმო ასევე აწარმოებს ფინანსური აქტივების რეალური ღირებულებების მონიტორინგსაც, ლიკვიდობის თვალსაზრისით, რათა უზრუნველყოს, რომ საწარმოს ლიკვიდობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი იყოს ფულადი თანხა, რომელსაც მიიღებს, თუ აქტივების გაყიდვა დასჭირდება სტრესული მდგომარეობის სცენარში. საწარმო, ლიკვიდობის სადემონსტრაციოდ, პერიოდულად ყიდის ღირებულების თვალსაზრისით უმნიშვნელო ფინანსურ აქტივებს.	საწარმოს ბიზნესმოდელის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ანალიზი არ შეიცვლებოდა, თუნდაც ადრინდელ სტრესული მდგომარეობის სცენარში საწარმოს თავისი ლიკვიდობის მიზნებისთვის გაეყიდა ღირებულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები. ანალოგიურად, ღირებულების თვალსაზრისით უმნიშვნელო აქტივების პერიოდული გაყიდვის ოპერაციებიც არ ეწინააღმდეგება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფინანსური აქტივების ფლობის მიზანს. პირიქით, როდესაც საწარმო ფინანსურ აქტივებს ფლობს ყოველდღიური ლიკვიდობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ხშირი გაყიდვები, მნიშვნელოვანი ღირებულებით. საწარმოს ბიზნესმოდელის მიზანი არ არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ანალოგიურად, როდესაც საწარმოს მარეგულირებლი ორგანო ავალდებულებს ფინანსური აქტივების რეგულარულად გაყიდვას იმის სადემონსტრაციოდ, რომ ფინანსური აქტივები ლიკვიდურია და გაყიდული აქტივების ღირებულება მნიშვნელოვანია, საწარმოს ბიზნესმოდელის მიზანი არ არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ამგვარი ანალიზისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ფინანსური აქტივების გაყიდვა მესამე მხარის მოთხოვნით ხდება, თუ თვითონ საწარმოს გადაწყვეტილებით.

ბიზნესმოდელი, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით

B4.1.4A საწარმო ფინანსურ აქტივებს შეიძლება ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობდეს, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. ამ ტიპის ბიზნესმოდელი იმას ნიშნავს, რომ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ მოცემული ბიზნესმოდელის განუყოფელი ნაწილია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვა. უამრავი მიზანია ისეთი, რომელიც შეიძლება ამ ტიპის ბიზნესმოდელის შესაბამისი იყოს. მაგალითად, ბიზნესმოდელის მიზანი შეიძლება იყოს

ლიკვიდობის ყოველდღიური მოთხოვნილებების მართვა, საპროცენტო შემოსავლიანობის კონკრეტული დონის შენარჩუნება, ან ფინანსური აქტივების დურაციის შესაბამისობის უზრუნველყოფა ამ ფინანსური აქტივების მეშვეობით დაფინანსებული ფინანსური ვალდებულებების დურაციასთან. ამგვარი მიზნის მისაღწევად საწარმო თან მოაგროვებს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს და თან გაყიდის ფინანსურ აქტივებს.

ბ4.1.4ბ იმ ბიზნესმოდელისგან განსხვავებით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ზემოაღნიშნული ბიზნესმოდელი, როგორც წესი, ითვალისწინებს ჯამურად დიდი ღირებულების ფინანსური აქტივების გაყიდვას უფრო მეტი სიხშირით. ეს იმით არის განპირობებული, რომ ფინანსური აქტივების გაყიდვა მოცემული ბიზნესმოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილია და არა შემთხვევითობა. თუმცა, ამგვარი ბიზნესმოდელი არ ითვალისწინებს არანაირ ზღვარს გაყიდვის იმ ოპერაციების სიხშირის ან ღირებულების მიმართ, რაც შეიძლება დასაშვები იყოს ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში, რადგან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვა მისი მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილებია.

ბ4.1.4გ ქვემოთ განხილულია ისეთი სიტუაციების მაგალითები, როდესაც საწარმოს ბიზნესმოდელის მიზნის მიღწევა შესაძლებელია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. მაგალითების სია ამომწურავი არ არის. გარდა ამისა, ამ მაგალითების მიზანი არ არის ყველა ისეთი ფაქტორის განხილვა, რომლებიც შეიძლება შესაფერისი იყოს საწარმოს ბიზნესმოდელის შეფასებისთვის, ან ფაქტორების შედარებითი მნიშვნელობის განსაზღვრა.

მაგალითი	ანალიზი
მე-5 მაგალითი საწარმო ვარაუდობს, რომ რამდენიმე წელი-წადში მოუწევს კაპიტალური დანახარჯების გაწევა. საწარმო თავის ჭარბ ფულად სახსრებს აბანდებს მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში, რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს დანახარჯების დაფინანსება. ბევრი ამგვარი ფინანსური აქტივის გამოყენების სახელშეკრულებო ვადა აღემატება საწარმოს მიერ ნავარაუდევ საინვესტიციო პერიოდს. საწარმო ფინანსურ აქტივებს შეინარჩუნებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ამასთან, თუ შესაძლებლობა გაჩნდება, ფინანსურ აქტივებს გაყიდის მიღებული ფულადი სახსრების ინვესტირებისათვის უფრო მაღალი უკუგების მქონე ფინანსურ აქტივებში. პორტფელზე პასუხისმგებელი პირების ანაზღაურება ეფუძნება პორტფელის საერთო უკუგებას.	მოცემული ბიზნესმოდელის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. საწარმო ინვესტირებული ფულადი სახსრების გამოყენების საჭიროების დადგომამდე, მუდმივად გადაწყვეტილებებს მიიღებს იმისდა მიხედვით, პორტფელის მაქსიმალური უკუგება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით მიიღწევა, თუ ფინანსური აქტივების გაყიდვით. განვიხილოთ საპირისპირო სიტუაცია, როდესაც საწარმო ფულადი სახსრების გასვლას მოელის ხუთი წლის შემდეგ, კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად და ჭარბ ფულად სახსრებს აბანდებს მოკლევადიან ფინანსურ აქტივებში. როდესაც ინვესტიციების დაფარვის ვადა დგება, საწარმო ხელახალ ინვესტირებას ახორციელებს ახალ მოკლევადიან ფინანსურ აქტივებში. საწარმო ამ სტრატეგიას მიმართავს მანამ, სანამ კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად არ დასჭირდება ფულადი სახსრები და ამ დროს კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად იყენებს იმ ფინანსური აქტივებიდან მიღებულ ფულად სახსრებს, რომელთა დაფარვის ვადაც დადგა. დაფარვის ვადის დადგომამდე საწარმო ყიდის მხოლოდ უმნიშვნელო ღირებულების ფინანსურ აქტივებს (თუ არ გაიზრდება საკრედიტო რისკი). ამ განსხვავებული ბიზნესმოდელის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად.

 © IFRS Foundation

მაგალითი	ანალიზი
მე-6 მაგალითი საფინანსო დაწესებულება ფინანსურ აქტივებს ფლობს თავისი ლიკვიდობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. საწარმო ცდილობს ლიკვიდობის მოთხოვნილებების მართვაზე დანახარჯების შემცირებას და, ამგვარად, აქტიურად მართავს პორტფელის უკუგებას. პორტფელის უკუგება შედგება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიღებული ფულადი სახსრებისა და ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობების ან ზარალისგან. აქედან გამომდინარე, საწარმო ფინანსურ აქტივებს ინარჩუნებს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და ფინანსურ აქტივებს ყიდის უფრო მაღალი შემოსავლიანობის დონის მქონე ფინანსურ აქტივებში ხელახლა ინვესტირებისთვის, ან ამ ფინანსური აქტივების დურაციის უკეთესი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად თავისი ვალდებულებების დურაციასთან. წარსულში ეს სტრატეგია იწვევდა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ფინანსური აქტივების ხშირად გაყიდვას. მოსალოდნელია, რომ გაყიდვის ამგვარი ოპერაციები მომავალშიც გაგრძელდება.	ბიზნესმოდელის მიზანია პორტფელის უკუგების მაქსიმალურად გაზრდა ლიკვიდობის ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და საწარმო ამ მიზანს აღწევს, როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. სხვა სიტყვებით, ამ ბიზნესმოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილებია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვა.
მე-7 მაგალითი მზღვეველი (სადაზღვევო კომპანია) ფინანსურ აქტივებს ფლობს სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების დასაფინანსებლად. მზღვეველი ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების სახით მიღებულ ფულად სახსრებს იყენებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების დასაფარად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას. იმისთვის, რომ უზრუნველყოს, რომ ფინანსური აქტივებიდან მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საკმარისი იყოს აღნიშნული ვალდებულებების დასაფარად, მზღვეველი რეგულარულად ახორციელებს ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვის მნიშვნელოვან ოპერაციებს, ფინანსური აქტივების პორტფელის ხელახალი დაბალანსების მიზნით და ფულად სახსრებზე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საჭიროების შემთხვევაში.	ბიზნესმოდელის მიზანია სადაზღვევო ხელშეკრულებების ვალდებულებების დაფინანსება. ამ მიზნის მისაღწევად საწარმო დადგენილ ვადაში იღებს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს და ფინანსურ აქტივებს ყიდის აქტივების პორტფელის სასურველი სტრუქტურის შესანარჩუნებლად. ამგვარად, ამ ბიზნესმოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილებია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვა.

სხვა ბიზნესმოდელები

Ბ4.1.5 ფინანსური აქტივები იმ შემთხვევაში ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ მათი მართვა არ ხდება ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვა (მაგრამ ასევე იხილეთ პუნქტი 5.7.5). ერთ-ერთი ბიზნესმოდელი, რომელიც ფინანსური აქტივების შეფასებას იწვევს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის მოდელი, რომლის ფარგლებშიც საწარმო ფინანსურ აქტივებს მართავს ფულადი ნაკადების მიღების მიზნით აქტივების გაყიდვის შედეგად. საწარმო გადაწყვეტილებებს იღებს აქტივების რეალური ღირებულებების საფუძველზე და აქტივებს მართავს მათი რეალური ღირებულების რეალიზებისთვის. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, საწარმოს მიზანი აქტიურ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს იწვევს. მართალია, საწარმო სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივების ფლობის პერიოდშიც მიიღებს, მაგრამ ამგვარი ბიზნესმოდელის მიზანი არ მიიღწევა ერთდროულად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. ეს იმით არის განპირობებული, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ამ ბიზნესმოდელის მიზნის მიღწევის განუყოფელი ნაწილი არ არის, არამედ თანმდევი (მეორეხარისხოვანი) ოპერაციაა .

Ბ4.1.6 ფინანსური აქტივების ისეთი პორტფელის მიზანი, რომლის მართვა და შედეგების შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება (როგორც აღწერილია 4.2.2(ბ) პუნქტში), არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა ერთდროულად. საწარმო ძირითად ყურადღებას უთმობს რეალური ღირებულების შესახებ ინფორმაციას და ამ ინფორმაციას იყენებს აქტივების შედეგების შესაფასებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად. გარდა ამისა, არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და არც ერთდროულად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა არ არის აქტივების ისეთი პორტფელის მიზანი, რომელიც აკმაყოფილებს სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივების განმარტებას. ფინანსური აქტივების ამგვარი პორტფელისთვის, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება მხოლოდ თანმდევი (მეორეხარისხოვანი) ოპერაციაა, რომელიც ხორციელდება ბიზნესმოდელის მიზნის მიღწევის პროცესში. მაშასადამე, ფინანსური აქტივების ასეთი პორტფელები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას

Ბ4.1.7 4.1.1(ბ) პუნქტის თანახმად, საწარმომ ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია უნდა განსაზღვროს მისი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, თუ მოცემულ ფინანსურ აქტივს მართავს ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკ-რულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, ისეთი შემთხვევების გარდა, რომლებზეც 4.1.5 პუნქტის მოთხოვნები ვრცელდება. 4.1.2(ბ) და 4.1.2ა(ბ) პუნქტების შესაბამისად, საწარმომ ამისათვის უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას.

Ბ4.1.7ა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. საბაზისო სასესხო შეთანხმებაში, როგორც წესი, ანაზღაურება ფულის დროითი ღირებულებისა (იხ. პუნქტები Ბ4.1.9ა – Ბ4.1.9ე) და საკრედიტო რისკის სანაცვლოდ პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. თუმცა, ამგვარ შეთანხმებებში გადასახდელი პროცენტები შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი (ტიპური) რისკებისა (მაგალითად, ლიკვიდობის რისკის) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან.

 © IFRS Foundation

ამასთან, პროცენტები შეიძლება მოიცავდეს ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც. ექსტრემალურ ეკონომიკურ პირობებში პროცენტები შეიძლება უარყოფითი იყოს, თუ, მაგალითად, ფინანსური აქტივის მფლობელი პირდაპირ ან არაპირდაპირ გარკვეულ საკომისიოს იხდის თავისი ფულის გარკვეული პერიოდით განთავსებისთვის (და ეს თანხა აღემატება კომპენსაციას, რომელსაც მფლობელი იღებს ფულის დროითი ღირებულების, საკრედიტო რისკის, სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკებისა და დანახარჯებისათვის). თუმცა, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც იწვევს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დაქვემდებარებას ისეთ რისკებზე ან ცვალებადობაზე, რაც დაკავშირებული არ არის საბაზისო სასესხო შეთანხმებასთან, როგორიცაა, მაგალითად აქციების ფასების ან საბირჟო საქონლის ფასების ცვლილებები, არ წარმოქმნის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდაა. საწარმოს მიერ გამოშვებული ან შეძენილი ფინანსური აქტივი შეიძლება საბაზისო სასესხო შეთანხმებას წარმოადგენდეს იმის მიუხედავად, იურიდიული ფორმით არის თუ არა სესხი.

B4.1.7B 4.1.3(ა) პუნქტის შესაბამისად, ძირი თანხა წარმოადგენს ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებას თავდაპირველი აღიარებისას. თუმცა, ძირი თანხა შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირი თანხის დასაფარად).

B4.1.8 საწარმომ იმ ვალუტაში უნდა შეაფასოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი.

B4.1.9 ლევერიჯი ზოგიერთი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებელია. ლევერიჯი ზრდის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რის შედეგადაც მათ პროცენტის ეკონომიკური მახასიათებლები არ გააჩნია. განცალკევებული ოფციონის, ფორვარდული და სვოპის ხელშეკრულებები ისეთი ფინანსური აქტივების მაგალითებია, რომლებიც მოიცავს ამგვარი ლევერიჯის ეფექტს. მაშასადამე, ასეთი ხელშეკრულებები არ აკმაყოფილებს 4.1.2(ბ) და 4.1.2ა(ბ) პუნქტების პირობებს და შემდგომში არ შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ანაზღაურება ფულის დროითი ღირებულებისთვის

B4.1.9ა ფულის დროითი ღირებულება პროცენტის ისეთი ელემენტია, რომელიც კომპენსაციას უზრუნველყოფს მხოლოდ გარკვეული დროის გასვლისათვის. ამგვარად, ფულის დროითი ღირებულების ელემენტი არ ანაზღაურებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ სხვა რისკებსა და დანახარჯებს. იმის შესაფასებლად, ეს ელემენტი უზრუნველყოფს თუ არა კომპენსაციას მხოლოდ გარკვეული დროის გასვლისთვის, საწარმო მიმართავს მსჯელობას და აანალიზებს შესაფერის ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია მოცემული საპროცენტო განაკვეთი.

B4.1.9B თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ფულის დროითი ღირებულების ელემენტი შეიძლება მოდიფიცირებული სახით იყოს წარმოდგენილი (ანუ არ იყოს სრულყოფილი). ასეთი სიტუაცია მაშინ წარმოიქმნება, როდესაც, მაგალითად ფინანსური აქტივის საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად ხელახლა დგინდება, მაგრამ მისი გადასინჯვის პერიოდების სიხშირე არ შეესაბამება საპროცენტო განაკვეთის ვადიანობას (მაგალითად, საპროცენტო განაკვეთი ხელახლა დგინდება ყოველთვიურად ერთწლიანი განაკვეთის ოდენობით), ან, როდესაც ფინანსური აქტივის საპროცენტო განაკვეთი პერიოდულად ხელახლა დგინდება და დაიყვანება კონკრეტული მოკლე და გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების საშუალო სიდიდემდე. ასეთ შემთხვევებში, საწარმომ უნდა გააანალიზოს ზემოაღნიშნული მოდიფიკაცია, რათა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ზოგ შემთხვევაში, საწარმომ ამის დადგენა შეიძლება შეძლოს ფულის დროითი ღირებულების ელემენტის ხარისხობრივი შეფასებით, ხოლო, სხვა შემთხვევებში, შეიძლება აუცილებელი გახდეს რაოდენობრივი შეფასება.

ბ4.1.9გ ფულის დროითი ღირებულების მოდიფიცირებული ელემენტის შეფასების მიზანია იმის დადგენა, რამდენად განსხვავებული იქნებოდა სახელშეკრულებო (არადისკონტირებული) ფულადი ნაკადები იმ (არადისკონტირებული) ფულადი ნაკადებისგან, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა, თუ არ განხორციელდებოდა ფულის დროითი ღირებულების ელემენტის მოდიფიცირება (საორიენტაციო ფულადი ნაკადები). მაგალითად, როდესაც შესაფასებელ ფინანსურ აქტივს აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ხელახლა დგინდება ყოველთვიურად, ერთწლიანი საპროცენტო განაკვეთის ოდენობით, საწარმო ამ ფინანსურ აქტივს შეუდარებს იდენტური სახელშეკრულებო პირობებისა და იდენტური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მისი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი ხელახლა დგინდება ყოველთვიურად, ერთწლიანი საპროცენტო განაკვეთის ოდენობით. თუ ფულის დროითი ღირებულების მოდიფიცირებულ ელემენტს შეუძლია ისეთი სახელშეკრულებო (არადისკონტირებული) ფულადი ნაკადების წარმოქმნა, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება (არადისკონ-ტირებული) საორიენტაციო ფულადი ნაკადებისგან, მაშინ ფინანსური აქტივი არ დააკმაყოფილებს 4.1.2(ბ) და 4.1.2.ა(ბ) პუნქტების პირობებს. ამის დასადგენად, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ფულის დროითი ღირებულების მოდიფიცირებული ელემენტის გავლენა თითოეულ საანგარიშგებო პერიოდში და ერთობლივად ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ამგვარად, საპროცენტო განაკვეთის დადგენის მიზეზს, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელობა არა აქვს ამ ანალიზისთვის. თუ მცირე ანალიზიდან ან ანალიზის გარეშე ცხადად ჩანს, რომ შესაფასებელი ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო (არადისკონტირებული) ფულადი ნაკადები შეიძლება (ან არ შეიძლება), რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს (არადისკონტირებული) საორიენტაციო ფულადი ნაკადებისგან, საწარმოს არ ევალება დეტალური შეფასების განხორციელება.

ბ4.1.9დ ფულის დროითი ღირებულების მოდიფიცირებული ელემენტის შეფასებისას საწარმომ ისეთი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა სამომავლო სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე. მაგალითად, როდესაც საწარმო ხუთწლიან ობლიგაციას აფასებს, რომლის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი ყოველ ექვს თვეში ხელახლა დგინდება ხუთწლიანი საპროცენტო განაკვეთის ოდენობით, საწარმო ვერ დაასკვნის, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას მარტო იმიტომ, რომ შეფასების მომენტში საპროცენტო განაკვეთის მრუდი ისეთია, რომ ხუთწლიან საპროცენტო განაკვეთსა და ექვსთვიან საპროცენტო განაკვეთს შორის განსხვავება მნიშვნელოვანი არ არის. ამის ნაცვლად, საწარმომ ასევე უნდა განიხილოს, ხუთწლიან საპროცენტო განაკვეთსა და ექვსთვიან საპროცენტო განაკვეთს შორის თანაფარდობა იმდენად შეიცვლება თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე, რომ სახელშეკრულებო (არადისკონტირებული) ფულადი ნაკადები ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მნიშვნელოვნად იყოს განსხვავებული (არადისკონტირებული) საორიენტაციო ფულადი ნაკადებისგან. თუმცა, საწარმომ, ყველა შესაძლო სცენარის ნაცვლად, უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ გონივრულად მოსალოდნელი სცენარები. თუ საწარმო მივა იმ დასკვნამდე, რომ სახელშეკრულებო (არადისკონტირებული) ფულადი ნაკადები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს (არადისკონტირებული) საორიენტაციო ფულადი ნაკადებისგან, მაშინ მოცემული ფინანსური აქტივი არ აკმაყოფილებს 4.1.2(ბ) და 4.1.2.ა(ბ) პუნქტების პირობებს და, ამგვარად, მისი შეფასება არ შეიძლება ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბ4.1.9ე ზოგიერთ იურისდიქციაში საპროცენტო განაკვეთებს მთავრობა ან მარეგულირებელი ორგანო აწესებს. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთების ამგვარი სახელმწიფო რეგულირება შეიძლება იყოს ფართო მასშტაბის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი, ან შეიძლება შემოღებული იყოს საწარმოთა წასახალისებლად, ეკონომიკის კონკრეტულ სექტორში ინვესტიციების განხორციელების მიზნით. ზოგიერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ფულის დროითი ღირებულების ელემენტის მიზანი არ არის მხოლოდ გარკვეული დროის გასვლისთვის კომპენსაციის უზრუნველყოფა. თუმცა, ბ4.1.9ა-ბ4.1.9დ პუნქტების მიუხედავად, რეგული-რებული საპროცენტო განაკვეთი უნდა განიხილებოდეს ფულის დროითი ღირებულების ელემენტის შემცვლელად 4.1.2(ბ) და 4.1.2.ა(ბ) პუნქტებით განსაზღვრული პირობის გამო-ყენების მიზნებისთვის, თუ ეს რეგულირებული საპროცენტო განაკვეთი იძლევა ანაზღაურებას,

 © IFRS Foundation

რაც ფართოდ შეესაბამება დროის დინებას და არ წარმოქმნის დაქვემდებარებას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ისეთ რისკებზე, ან ცვალებადობაზე, რომლებიც არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობებს.

სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც იწვევს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადების ან ოდენობის შეცვლას

Ბ4.1.10 თუ ფინანსური აქტივი შეიცავს სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადების ან ოდენობის შეცვლა (მაგალითად, როდესაც აქტივთან დაკავშირებით შესაძლებელია წინასწარგადახდა, დაფარვის ვადის დადგომამდე, ან შესაძლებელია მისი ვადის გაგრძელება), მაშინ საწარმომ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე, ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო პირობების შედეგად, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ამის დასადგენად, საწარმომ უნდა შეაფასოს ყველანაირი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები: რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას როგორც სახელშეკრულებო პირობების შეცვლამდე, ისე შეცვლის შემდეგ. საწარმოს ასევე შეიძლება დასჭირდეს ნებისმიერი პირობითი მოვლენის (ანუ მაპროვოცირებელი მოვლენის) შეფასება, რომელსაც შეუძლია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადების ან ოდენობის შეცვლა. მართალია, თვითონ ზემოაღნიშნული პირობითი მოვლენის ხასიათი გადამწყვეტი ფაქტორი არ არის იმის შეფასებისას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, მაგრამ მას შეუძლია ინდიკატორის ფუნქციის შესრულება. მაგალითად, ერთმანეთს შევუდაროთ ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საპროცენტო განაკვეთი ხელახლა დგინდება და იცვლება უფრო მაღალი განაკვეთით, თუ მოვალე გამოტოვებს კონკრეტული რაოდენობის გადახდებს და ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის საპროცენტო განაკვეთი ხელახლა დგინდება უფრო მაღალი განაკვეთით, თუ ხელშეკრულებაში მითითებული აქციების ინდექსი მიაღწევს გარკვეულ დონეს. უფრო მოსალოდნელია, რომ პირველ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები იქნება მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა იმ კავშირის გამო, რაც არსებობს გადახდის დაგვიანებასა და საკრედიტო რისკის ზრდას შორის. (იხ. აგრეთვე პუნქტი Ბ4.1.18.)

Ბ4.1.11 ქვემოთ განხილულია ისეთი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი სახელშეკრულებო პირობების საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას:

ა) ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროითი ღირებულებისა და გარკვეულ პერიოდში ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის გავლენის, სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი (ტიპური) რისკებისა და დანახარჯების, ასევე მოგების მარჟის კომპენსაციას (საკრედიტო რისკის გავლენის კომპენსაციის განსაზღვრა მხოლოდ თავდაპირველი აღიარებისას არის შესაძლებელი და, შესაბამისად, შეიძლება ფიქსირებული სიდიდე იყოს);

ბ) სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ემიტენტს (ე.ი. დებიტორს) სავალო ინსტრუმენტის წინასწარ დაფარვის უფლებას აძლევს, ან მფლობელს (ე.ი კრედიტორს) ემიტენტისთვის სავალო ინსტრუმენტის დაბრუნების უფლებას აძლევს დაფარვის ვადის დადგომამდე და საავანსო თანხა, პრაქტიკულად, წარმოადგენს მხოლოდ დაუფარავი ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, რაც შეიძლება მოიცავდეს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებულ ანაზღაურებასაც, გონივრული ოდენობით; და

გ) სახელშეკრულებო პირობა, რომელიც ემიტენტს ან მფლობელს სავალო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვადის გაგრძელების უფლებას აძლევს (ე.ი. ვადის გაგრძელების შესაძლებლობა). ამასთან, ვადის გაგრძელების შესაძლებლობის პირობები გადაწეული ვადის განმავლობაში ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს წარმოქმნის, რომლებიც

წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, რაც შეიძლება მოიცავდეს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ დამატებით ანაზღაურებასაც, გონივრული ოდენობით.

Ბ4.1.12 Ბ4.1.10 პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, ფინანსური აქტივი, რომელიც სხვა მხრივ დააკმაყოფილებდა 4.1.2(ბ) და 4.1.2.ა(ბ) პუნქტების პირობებს, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ იმის გამო, რომ სახელშეკრულებო პირობა ემიტენტს სავალო ინსტრუმენტის წინასწარ დაფარვის უფლებას აძლევს (ან ავალდებულებს), ან მფლობელს სავალო ინსტრუმენტის ემიტენტისთვის დაბრუნების უფლებას აძლევს (ან ავალდებულებს), დაფარვის ვადის დადგომამდე, ნებადართულია, რომ შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (თუ დაკმაყოფილდება 4.1.2(ა) ან 4.1.2ა(ა) პუნქტის პირობა), თუკი:

ა) საწარმო ფინანსურ აქტივს იძენს ან ქმნის სახელშეკრულებო ნომინალური ღირებულების მიმართ განსაზღვრული პრემიით ან დისკონტით;

ბ) საავანსო თანხა, პრაქტიკულად, წარმოადგენს სახელშეკრულებო ნომინალურ ღირებულებას და დარიცხულ (მაგრამ გადაუხდელ) სახელშეკრულებო პროცენტის თანხებს, რაც შეიძლება მოიცავდეს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებულ ანაზღაურებასაც, გონივრული ოდენობით; და

გ) როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს ფინანსურ აქტივს, ავანსის ელემენტის რეალური ღირებულება უმნიშვნელოა.

Ბ4.1.12ა იმის მიუხედავად, თუ რა მოვლენამ ან გარემოებამ გამოიწვია ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა, ხელშეკრულების მონაწილე მხარემ, Ბ4.1.11ბხ) და Ბ4.1.12(ბ) პუნქტების გამოყენების მიზნებისთვის, შესაძლოა გადაიხადოს **ან** მიიღოს გონივრული ოდენობის ანაზღაურება ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის. მაგალითად, რომელიმე მხარემ შესაძლოა იმ შემთხვევაში გადაიხადოს **ან** მიიღოს გონივრული ოდენობის ანაზღაურება, როდესაც გადაწყვეტს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას (ან სხვა ქმედებით გამოიწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას).

Ბ4.1.13 ქვემოთ განხილულია ისეთი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. მაგალითების სია ამომწურავი არ არის.

ფინანსური ინსტრუმენტი	**ანალიზი**
„ა“ ინსტრუმენტი „ა“ ინსტრუმენტი არის განსაზღვრული დაფარვის თარიღის მქონე ობლიგაცია. ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა მიბმულია იმ ვალუტის (ფულადი ერთეულის) ინფლაციის ინდექსზე, რომელშიც გამოსახულია ფინანსური ინსტრუმენტი. ინფლაციასთან კავშირი ლევერიჯებული არ არის და ძირი თანხა დაცულია.	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის მიბმა არალევერიჯებულ ინფლაციის ინდექსზე იწვევს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე დონემდე დაყვანას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფინანსური ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთი ასახავს „რეალურ“ საპროცენტო განაკვეთს. შესაბამისად, პროცენტის თანხები წარმოადგენს ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული ფულის დროითი ღირებულების კომპენსაციას. თუმცა, თუ პროცენტების გადახდა ინდექსირებულია რაიმე სხვა ცვლადის მიხედვით, როგორიცაა დებიტორის საქმიანობის შედეგები

 © IFRS Foundation

ფინანსური ინსტრუმენტი	ანალიზი
	(მაგალითად, დებიტორის წმინდა შემოსავალი), ან წილობრივი ინსტრუმენტების ინდექსი, მაშინ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დებიტორის საქმიანობის შედეგების მიხედვით ინდექსირება იწვევს ისეთ კორექტირებას, რომელიც მფლობელს აუნაზღაურებს მხოლოდ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის ცვლილებას და, მაშასადამე, ამგვარი ფულადი ნაკადები იქნება მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტების გადახდა. ეს იმით არის განპირობებული, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ისეთ უკუგებას ასახავს, რომელიც არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმებას (იხ. პუნქტი ბ4.1.7ა).
„ბ“ ინსტრუმენტი „ბ“ ინსტრუმენტი არის განსაზღვრული დაფარვის თარიღისა და ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტი, რომელიც მსესხებელს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მუდმივად არჩევის შესაძლებლობას აძლევს. მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ხელახლა დადგენის ნებისმიერი თარიღისათვის, მსესხებელს შეუძლია აირჩიოს, 3 თვის განმავლობაში გადაიხადოს სამთვიანი LIBOR, ან ერთი თვის განმავლობაში - ერთთვიანი LIBOR.	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, ვინაიდან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე გადახდილი პროცენტები ასახავს ფულის დროითი ღირებულების, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი (ტიპური) რისკებისა და დანახარჯების, ასევე მოგების მარჟის კომპენსაციას (იხ. პუნქტი ბ4.1.7ა). ის ფაქტი, რომ LIBOR ხელახლა დგინდება ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე, თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ფინანსური ინსტრუმენტი არ აკმაყოფილებს ამგვარი კლასიფიკაციის პირობებს. თუმცა, თუ მსესხებელს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ აირჩიოს ერთთვიანი საპროცენტო განაკვეთით გადახდა, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ყოველ სამ თვეში, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების სიხშირე არ შეესაბამება საპროცენტო განაკვეთის ვადიანობას. შესაბამისად, მოდიფიცირებას განიცდის ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი ფულის დროითი ღირებულების ელემენტი. ანალოგიურად, თუ ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი ეყრდნობა ისეთ ვადას, რომელმაც შეიძლება გადააჭარბოს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილ ვადას (მაგალითად, თუ ხუთი წლის დაფარვის ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტისთვის პროცენტების გადახდა ცვალებადი განაკვეთით ხდება, რომელიც პერიოდულად იცვლება, მაგრამ ყოველთვის ასახავს დაფარვის ხუთწლიან

ფინანსური ინსტრუმენტი	ანალიზი
	ვადას), მოდიფიცირდება „ფულის დროითი ღირებულების (ამსახველი) ელემენტი“. ეს იმით არის განპირობებული, რომ თითოეულ პერიოდში გადასახდელი პროცენტები დაკავშირებული არ არის პროცენტების დარიცხვის პერიოდთან. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ ხარისხობრივად ან რაოდენობრივად უნდა შეაფასოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, კერძოდ, შეუდაროს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის ფულად ნაკადებს, რომელიც ყველა ასპექტში განსახილველი ინსტრუმენტის იდენტურია, გარდა იმისა, რომ მისი საპროცენტო განაკვეთის ვადიანობა ემთხვევა საპროცენტო პერიოდს, რათა დაადგინოს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას (თუმცა, რეგულირებადი საპროცენტო განაკვეთების შესახებ სახელმძღვანელო მითითებებისთვის იხილეთ პუნქტი ბ4.1.9ე). მაგალითად, თუ საწარმო იხილავს ხუთწლიან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ობლიგაციას, რომლის საპროცენტო განაკვეთი ყოველ ექვს თვეში ხელახლა დგინდება, მაგრამ ყოველთვის ასახავს ობლიგაციის დაფარვის ხუთწლიან ვადას, საწარმომ შესადარებლად უნდა გამოიყენოს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლის საპროცენტო განაკვეთი ყოველ ექვს თვეში ერთხელ ხელახლა დგინდება და დაიყვანება ექვსთვიან საპროცენტო განაკვეთზე, მაგრამ ყველა დანარჩენ ასპექტში განსახილველი ფინანსური ინსტრუმენტის იდენტურია. თუმცა, ანალოგიურად ჩატარდება ანალიზი, თუ მსესხებელს აქვს გამსესხებლის რამდენიმე გამოქვეყნებულ საპროცენტო განაკვეთს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა (მაგალითად, მსესხებელს უფლება აქვს, აირჩიოს გამსესხებლის გამოქვეყნებული ერთთვიანი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, ან გამსესხებლის გამოქვეყნებული სამთვიანი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი).
„გ“ ინსტრუმენტი „გ“ ინსტრუმენტი არის განსაზღვრული დაფარვის თარიღის მქონე ობლიგაცია, რომლისთვისაც გადახდა ხდება ცვალებადი საბაზრო საპროცენტო	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, როგორც: ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტის, ისე ბ) ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტის

© IFRS Foundation

ფინანსური ინსტრუმენტი	ანალიზი
განაკვეთით. აღნიშნულ ცვალებად საპროცენტო განაკვეთს გააჩნია მაქსიმალური ზედა ზღვარი („ქეფი“).	წარმოადგენს ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, ვინაიდან გადახდილი პროცენტები ასახავს ფულის დროითი ღირებულებისა და ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის გავლენის, სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი (ტიპური) რისკებისა და დანახარჯების, ასევე მოგების მარჟის კომპენსაციას. (იხ. პუნქტი ბ4.1.7ა) ამგვარად, ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც წარმოადგენს (ა) და (ბ) ინსტრუმენტების კომბინაციას (ანუ ობლიგაციას, რომელსაც გააჩნია საპროცენტო განაკვეთის ქეფი), შესაძლოა გააჩნდეს ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ასეთმა სახელშეკრულებო პირობამ ფულადი ნაკადების ცვალებადობა შეიძლება შეამციროს ცვალებად საპროცენტო განაკვეთზე შეზღუდვის დაწესებით (მაგალითად , საპროცენტო განაკვეთისთვის ზედა ზღვრის („ქეფი“), ან ქვედა ზღვრის („ფლორი“) დადგენით, ან გაზარდოს ფულადი ნაკადების ცვალებადობა, იმის გამო, რომ ფიქსირებული განაკვეთი ცვალებადი ხდება.
„დ“ ინსტრუმენტი „დ“ ინსტრუმენტი არის სრული რეგრესის უფლების მქონე სესხი, რომელიც უზრუნველყოფილია გირაოთი.	ის ფაქტი, რომ სრული რეგრესის უფლების მქონე სესხი უზრუნველყოფილია, თავისთავად, გავლენას არ ახდენს იმის დადგენაზე, არის თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა.
„ე“ ინსტრუმენტი „ე“ ინსტრუმენტი გამოუშვა ბანკმა, რომლის საქმიანობა რეგულირებას ექვემდებარება და მას განსაზღვრული დაფარვის თარიღი გააჩნია. ინსტრუმენტს გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი და ყველა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადი სავალდებულოა. თუმცა, ემიტენტზე ვრცელდება კანონმდებლობა, რომლის თანახმად ნებადართული, ან სავალდებულოა, რომ ეროვნულმა მარეგულირებელმა ორგანომ, გარკვეულ გარემოებებში, ზარალის გადახდა დააკისროს გარკვეული ინსტრუმენტების, მათ შორის, „ე“ ინსტრუმენტის მფლობელებს.	ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელმა უნდა გააანალიზოს **სახელშეკრულებო პირობები**, რათა განსაზღვროს, სახელშეკრულებო პირობების შედეგად წარმოიქმნება თუ არა ფულადი ნაკადები, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდაა და, ამგვარად, შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობებს. ამ ანალიზში გათვალისწინებული არ იქნება ის გადასახდელი თანხები, რომლებიც წარმოიქმნება მხოლოდ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ „ე“ ინსტრუმენტის მფლობელზე დაკისრებული ზარალის შედეგად. ეს იმიტომ, რომ უფლებამოსილება და მისგან გამომდინარე გადახდა არ არის ფინანსური ინსტრუმენტის

ფინანსური ინსტრუმენტი	ანალიზი
მაგალითად, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს გააჩნია „ე“ ინსტრუმენტის ნომინალური ღირებულების ჩამოწერის უფლებამოსილება, ან მისი ფიქსირებული რაოდენობის კონვერტირების უფლებამოსილება ემიტენტის ჩვეულებრივ აქციებად, თუ ეროვნული უფლებამოსილი ორგანო განსაზღვრავს, რომ ემიტენტი ძლიერ ფინანსურ სირთულეებს განიცდის, მას ესაჭიროება დამატებითი საზედამხედველო კაპიტალი, ან იმყოფება გაკოტრების ზღვარზე.	სახელშეკრულებო პირობები. პირიქით, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ იქნება მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა, როდესაც, ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების თანახმად, ნებადართულია ან სავალდებულოა, რომ ემიტენტმა ან სხვა საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელს დააკისროს ზარალის გადახდა (მაგალითად, ნომინალური ღირებულების ჩამოწერით, ან ინსტრუმენტის კონვერტირებით ემიტენტის ჩვეულებრივი აქციების ფიქსირებულ რაოდენობაზე), იმ პირობით, თუ ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო პირობები „რეალურია“, მაშინაც კი, თუ უმნიშვნელოა ამგვარი ზარალის გადახდის დავალდებულების ალბათობა.

B4.1.14 ქვემოთ განხილულია ისეთი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. მაგალითების სია ამომწურავი არ არის.

ფინანსური ინსტრუმენტი	ანალიზი
„ვ“ ინსტრუმენტი „ვ“ ფინანსური ინსტრუმენტი არის ემიტენტის წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებულ რაოდენობაში კონვერტირებადი ობლიგაცია.	მფლობელმა კონვერტირებადი ობლიგაცია უნდა გააანალიზოს მთლიანობაში. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, ვინაიდან ისინი ისეთ უკუგებას ასახავს, რომელიც არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობებს (იხ. პუნქტი B4.1.7ა). ე.ი. ეს უკუგება დაკავშირებულია ემიტენტის საკუთარი კაპიტალის აქციების ღირებულებასთან.
„ზ“ ინსტრუმენტი „ზ“ ფინანსური ინსტრუმენტი არის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთი არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შებრუნებული სიდიდე (ანუ სესხის საპროცენტო განაკვეთი საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფება).	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. საპროცენტო გადასახდელები არ არის ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული ფულის დროითი ღირებულების კომპენსაცია.

 © IFRS Foundation

ფინანსური ინსტრუმენტი	ანალიზი
„თ“ ინსტრუმენტი „თ“ ფინანსური ინსტრუმენტი უვადო ინსტრუმენტია, მაგრამ ემიტენტს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მისი გამოხმობა და მფლობელისთვის ნომინალურ ღირებულებას დამატებული დარიცხული გადასახდელი პროცენტების ეკვივალენტური თანხის გადახდა. „თ“ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით გადახდა წარმოეზს საბაზრო საპროცენტო განაკვეთით, მაგრამ პროცენტის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ უშუალოდ ამგვარი გადახდის შემდეგ ემიტენტი დარჩება გადახდისუნარიანი. გადავადებული პროცენტი არ იწვევს დამატებითი პროცენტების დარიცხვას.	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ეს იმით არის განპირობებული, რომ ემიტენტს შეიძლება მოსთხოვონ პროცენტების გადახდის გადავადება და ამ გადავადებული პროცენტის თანხებზე მას არ დაერიცხება დამატებითი პროცენტი. ამიტომ პროცენტის თანხების გადახდა არ არის ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული ფულის დროითი ღირებულების კომპენსაცია. თუ გადავადებულ თანხებზე დაირიცხება დამატებითი პროცენტი, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები შეიძლება იყოს ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. ის ფაქტი რომ „თ“ ინსტრუმენტი უვადოა, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. ფაქტობრივად, უვადო ფინანსურ ინსტრუმენტს გააჩნია მუდმივად (მრავალჯერადად) ვადის გაგრძელების ოფციონი. ასეთმა ოფციონმა შეიძლება წარმოქმნას ისეთი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც იქნება მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა, თუ პროცენტების გადახდა სავალდებულოა და გადახდა უნდა განხორციელდეს უვადოდ (მუდმივად). ასევე, ის ფაქტი, რომ „თ“ ინსტრუმენტი გამოთხოვადია, იმას არ ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის გამოთხოვადია ისეთი თანხით, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ძირი თანხის დაუფარავი ნაწილისა და მასთან დაკავშირებული დარიცხული პროცენტების თანხისგან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფინანსური ინსტრუმენტის გამოთხოვის მომენტში გადასახდელი თანხა შეიცავს ისეთი ოდენობის თანხას, რომელიც მფლობელს საკმარისად აუნაზღაურებს ინსტრუმენტის (ხელშეკრულების) ვადაზე ადრე შეწყვეტას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები შესაძლოა მაინც იყოს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. (იხ. ასევე პუნქტი ბ4.1.12.)

Б4.1.15 ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსურ აქტივს შეიძლება გააჩნდეს ისეთი ფულადი ნაკადები, რომლებიც, ხელშეკრულების თანახმად, ძირ თანხად და პროცენტად მიიჩნევა, მაგრამ არ წარმოადგენდეს ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას იმ გაგებით, როგორც აღწერილია წინამდებარე სტანდარტის 4.1.2(ბ), 4.1.2.ა.(ბ) და 4.1.3 პუნქტებში.

Б4.1.16 ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს კონკრეტულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციას ან ფულად სახსრებს და, მაშასადამე, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. მაგალითად, თუ სახელშეკრულებო პირობების თანახმად, ფინანსური აქტივის ფულადი ნაკადები იზრდება ავტომობილების რიცხვის ზრდის შესაბამისად, რომლებიც გამოიყენებენ გარკვეულ ფასიან გზას, ასეთი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობებს. შესაბამისად, ეს ინსტრუმენტი არ დააკმაყოფილებს 4.1.2(ბ) და 4.1.2ა(ბ) პუნქტის პირობებს. ამგვარი სიტუაციის მაგალითია, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა შეზღუდულია მხოლოდ დებიტორის კონკრეტული აქტივებით, ან კონკრეტული აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრებით (მაგალითად, „რეგრესის უფლების არმქონე“ ფინანსური აქტივი).

Б4.1.17 თუმცა, ის ფაქტი, რომ ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების არმქონეა, თავისთავად, არ ნიშნავს იმას, რომ ფინანსური აქტივი არ დააკმაყოფილებს 4.1.2(ბ) და 4.1.2ა(ბ) პუნქტების პირობებს. ასეთ შემთხვევებში, კრედიტორს მოეთხოვება კონკრეტული საბაზისო აქტივების ან ფულადი ნაკადების შეფასება იმის დასადგენად, აქტივიდან მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის თუ არა ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. თუ ფინანსური აქტივის პირობები წარმოშობს სხვა სახის ფულად ნაკადებს, ან ზღუდავს ფულად ნაკადებს ისე, რომ ისინი არ შეესაბამება ძირი თანხისა და დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, ფინანსური აქტივი არ აკმაყოფილებს 4.1.2(ბ) და 4.1.2ა(ბ) პუნქტების პირობებს. აღნიშნულ შეფასებაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, საბაზისო აქტივი ფინანსური აქტივია თუ არაფინანსური.

Б4.1.18 სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებელი გავლენას არ ახდენს ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე, თუ მას მხოლოდ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა შეუძლია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე. ამის დასადგენად, საწარმომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის შესაძლო გავლენა უნდა განიხილოს თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის და ერთობლივად ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. გარდა ამისა, თუ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადის მახასიათებლის შესაძლო გავლენა სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფრო მეტია, ვიდრე უმნიშვნელო (რომელიმე ერთ საანგარიშგებო პერიოდში, ან ჯამურად, მაგრამ ფულადი ნაკადის მახასიათებელი არ არის რეალური, ეს გავლენას არ იქონიებს ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე. მიიჩნევა, რომ ფულადი ნაკადის მახასიათებელი რეალური არ არის, თუ იგი ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს მხოლოდ უკიდურესად იშვიათი, ძალიან ანომალური და ძალიან ნაკლებად მოსალოდნელი მოვლენის მოხდენის შემთხვევაში.

Б4.1.19 სესხის გაცემის თითქმის ყველა ოპერაციის დროს, კრედიტორის ინსტრუმენტის კლასიფიცირება ხდება დებიტორის სხვა კრედიტორების ინსტრუმენტებთან მიმართებით. სხვა ინსტრუმენტებთან შედარებით დაბალი რანგის (კლასის) ინსტრუმენტს შესაძლოა გააჩნდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომელიც წარმოადგენს ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, თუ დებიტორის მხრიდან არგადახდა ხელშეკრულების დარღვევაა და ინსტრუმენტის მფლობელს, დებიტორის გაკოტრების შემთხვევაშიც კი, გააჩნია სახელშეკრულებო უფლება ძირი თანხის დაუფარავი ნაწილისა და პროცენტის მიღებაზე. მაგალითად, სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც კრედიტორს მიიჩნევს ჩვეულებრივ (არაპრივილეგირებულ) კრედიტორად, მიიჩნევა ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის ფულადი ნაკადების მქონე მოთხოვნად. ამგვარი კლასიფიკაცია სამართლიანი იქნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დებიტორი იღებს უზრუნველყოფილ სესხს, რომელიც, გაკოტრების შემთხვევაში, უზრუნველყოფის საგანზე უპირატესობას ანიჭებს ამ სესხის მფლობელს, ჩვეულებრივი (არაპრივილეგირებული) კრედიტორების მოთხოვნებთან შედარებით, მაგრამ გავლენას არ ახდენს ჩვეულებრივი კრედიტორის სახელშეკრულებო უფლებაზე ძირი თანხის დაუფარავ ნაწილსა და სხვა გადავადებულ თანხებზე.

 © IFRS Foundation

ხელშეკრულებით დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტები

Ბ4.1.20 ზოგიერთი ტიპის ოპერაციებში ემიტენტმა საწარმომ შეიძლება ფინანსური აქტივების მფლობელთათვის გადასახდელი თანხები პრიორიტეტებად დაყოს ხელშეკრულებით დაკავშირებული სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით, რომლებიც წარმოქმნის საკრედიტო რისკის კონცენტრაციას (ტრანშეები). თითოეულ ტრანშეს გააჩნია დაქვემდებარებული (სუბორდინირებული) ადგილი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს ემიტენტის მიერ მიღებული ფულადი სახსრების ტრანშეებს შორის განაწილების რიგითობას. ასეთ შემთხვევებში, ტრანშეს მფლობელს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ძირი თანხა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის მიღების უფლება, თუ ემიტენტი მიიღებს საკმარის ფულად სახსრებს უფრო ზემდგომი რანგის ტრანშეების დასაკმაყოფილებლად.

Ბ4.1.21 ამგვარი ოპერაციების დროს, ტრანშეს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ფულადი ნაკადების ისეთი მახასიათებლები, რომლებიც წარმოადგენს ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, თუ:

ა) კლასიფიცირებისათვის განსახილველ ტრანშესთან დაკავშირებით (ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტთა გაერთიანების განხილვის გარეშე) სახელშეკრულებო პირობები წარმოქმნის ისეთ ფულად ნაკადებს, რომლებიც არის მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა (ე.ი ტრანშესთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებული არ არის საბირჟო საქონლის ინდექსთან);

ბ) საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფს გააჩნია Ბ4.1.23 და Ბ4.1.24 პუნქტებში აღწერილი ფულადი ნაკადების მახასიათებლები; და

გ) საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფში შემავალი ტრანშისთვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკი ტოლია ან ნაკლებია საბაზისო ფინანსურ ინსტრუმენტთა ჯგუფის საკრედიტო რისკის (მაგალითად, კლასიფიკაციის მინიჭების მიზნით შესაფასებელი ტრანშის საკრედიტო რეიტინგი ტოლია ან მეტია იმ საკრედიტო რეიტინგზე, რომელიც მიენიჭებოდა საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის დასაფინანსებლად გამოყენებულ ერთ ტრანშს).

Ბ4.1.22 ფულადი ნაკადების წარმომქმნელ საბაზისო ინსტრუმენტთა ჯგუფის დასადგენად საწარმომ უნდა ჩაატაროს ანალიზი. ეს იქნება საბაზისო ფინანსურ ინსტრუმენტთა ჯგუფი.

Ბ4.1.23 საბაზისო ინსტრუმენტთა ჯგუფი უნდა მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ინსტრუმენტს, რომელსაც გააჩნია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას.

Ბ4.1.24 საბაზისო ინსტრუმენტთა ჯგუფი შესაძლოა ასევე მოიცავდეს ინსტრუმენტებს, რომლებიც:

ა) Ბ4.1.23 პუნქტში აღწერილი ფულადი ნაკადების ცვალებადობას ამცირებს და როდესაც გაერთიანებულია Ბ4.1.23 პუნქტში მითითებულ ინსტრუმენტებთან, იწვევს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას (ე.ი საპროცენტო განაკვეთის ქეფი ან ფლორი, ან ხელშეკრულება, რომელიც ამცირებს Ბ4.1.23 პუნქტის ზოგიერთი ან ყველა ინსტრუმენტის საკრედიტო რისკს); ან

ბ) ათანაბრებს ტრანშეების ფულად ნაკადებს Ბ4.1.23 პუნქტში აღწერილ საბაზისო ინსტრუმენტთა ჯგუფის ფულად ნაკადებთან, რათა მართოს მხოლოდ შემდეგი განსხვავებები:

(i) საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, თუ ცვალებადი;

(ii) ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფულადი ნაკადები, ამ ვალუტის ინფლაციის ჩათვლით; ან

(iii) ფულადი ნაკადების წარმოქმნის პერიოდულობა.

Ბ4.1.25 თუ ჯგუფის რომელიმე ინსტრუმენტი არ აკმაყოფილებს Ბ4.1.23 ან Ბ4.1.24 პუნქტის პირობებს, მაშინ Ბ4.1.21(ბ) პუნქტის პირობა შესრულებული არ არის. ამგვარი შეფასების ჩასატარებლად

შეიძლება აუცილებელი არ იყოს ცალკეული ინსტრუმენტის დეტალურად გაანალიზება. თუმცა, საწარმომ უნდა გამოიყენოს მსჯელობა და ისეთი დონის ანალიზი ჩაატაროს, რაც საკმარისი იქნება იმის დასადგენად, ჯგუფში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები აკმაყოფილებს თუ არა Ბ4.1.23–Ბ4.1.24 პუნქტების პირობებს (იხ. ასევე პუნქტი Ბ4.1.18 სახელმძღვანელო მითითებების გასაცნობად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ისეთი მახასიათებლების შესახებ, რომლებიც მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს).

Ბ4.1.26 თუ მფლობელს თავდაპირველი აღიარებისას არ შეუძლია Ბ4.1.21 პუნქტის პირობების შეფასება, ტრანშე უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საბაზისო ინსტრუმენტთა ჯგუფი შეიძლება იმგვარად იცვლებოდეს, რომ აღარ აკმაყოფილებდეს Ბ4.1.23 და Ბ4.1.24 პუნქტების პირობებს, ასეთი ტრანშე არ აკმაყოფილებს Ბ4.1.21 პუნქტის პირობებს და უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუმცა, თუ საბაზისო ჯგუფი შეიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ისეთი აქტივებით, რომლებიც არ აკმაყოფილებს Ბ4.1.23-4.1.24 პუნქტების პირობებს, ამგვარი აქტივების მფლობელად გახდომის შესაძლებლობა საწარმომ არ უნდა გაითვალისწინოს ამ პუნქტის მოთხოვნების გამოყენების მიზნით, თუკი საწარმოს ეს ტრანში არ შეუძენია ამ უზრუნველყოფაზე კონტროლის განხორციელების განზრახვით.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირების შესაძლებლობა, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით “ (ნაწილები 4.1 და 4.2)

Ბ4.1.27 წინამდებარე სტანდარტის 4.1.5 და 4.2.2 პუნქტები საწარმოს უფლებას აძლევს, ფინანსური აქტივი, ფინანსური ვალდებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფი (ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები ან ორივე) შეაფასოს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ამის შედეგად უფრო შესაბამისი ინფორმაცია მიიღება.

Ბ4.1.28 საწარმოს მიერ გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რომ ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას მიანიჭოს კატეგორია „როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანის მსგავსი პროცედურაა (თუმცა, სააღრიცხვო პოლიტიკისგან განსხვავებით, არ მოითხოვება, რომ ამგვარი კლასიფიკაცია გამოიყენებოდეს ყველა მსგავსი გარიგებისთვის). როდესაც საწარმო ამგვარ არჩევანს მიმართავს, ბასს 8-ის 14(ბ) პუნქტის თანახმად, შერჩეულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა, საწარმოს მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მაგალითად, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, 4.2.2 პუნქტი განსაზღვრავს ორ გარემოებას, როდესაც შესრულდება უფრო შესაბამისი ინფორმაციის უზრუნველყოფის მოთხოვნა. 4.2.2 პუნქტის თანახმად, კლასიფიკაციის არჩევანის გასაკეთებლად საწარმოს სჭირდება იმის დემონსტრირება, რომ ამ მოთხოვნებიდან ერთ-ერთს (ან ორივეს) აკმაყოფილებს.

კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს

Ბ4.1.29 ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შეფასება და მის რეალურ ღირებულებაში მომხდარი აღიარებული ცვლილებების კლასიფიკაცია განისაზღვრება შესაბამისი ცალკეული აქტივის/ვალდებულების კლასიფიკაციისა და იმის საფუძველზე, არის თუ არა ეს მუხლი საწარმოს მიერ კლასიფიცირებული ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი. ზემოაღნიშნულმა მოთხოვნებმა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა გამოიწვიოს შეფასების ან აღიარების პრინციპების გამოყენებაში შეუსაბამობები (ზოგჯერ უწოდებენ „სააღრიცხვო შეუსაბამობას“), მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ საწარმო არ გამოიყენებდა არჩევანის უფლებას და ფინანსურ აქტივს არ შეაფასებდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებული იქნებოდა, როგორც შემდგომში რეალური ღირებულებით

 © IFRS Foundation

შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ხოლო ვალდებულება, რომელსაც საწარმო ამგვარ აქტივთან დაკავშირებულად მიიჩნევდა, შეფასდებოდა ამორტიზებული ღირებულებით (რეალური ღირებულების ცვლილებები კი არ აღიარდებოდა). ასეთ შემთხვევებში, საწარმო შეიძლება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ფინანსური ანგარიშგება უფრო შესაბამის ინფორმაციას უზრუნველყოფს, თუ აქტივიც და ვალდებულებაც შეფასებული იქნებოდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

B4.1.30 შემდეგი მაგალითები გვიჩვენებს, როდის არის შესაძლებელი ზემოაღნიშნული პირობის შესრულება. საწარმოს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია ამ პირობის გამოყენება და ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუკი ის დაიცავს 4.1.5 ან 4.2.2(ა) პუნქტით დადგენილ პრინციპს:

ა) საწარმოს, სადაზღვევო ხელშეკრულებების შესაბამისად, აქვს ვალდებულებები, რომელთა შეფასება მოიცავს მიმდინარე ინფორმაციას (როგორც ნებადართულია ფასს 4-ის 24-ე პუნქტით), ასევე ფინანსური აქტივები, რომლებსაც საწარმო ამ ვალდებულებებთან დაკავშირებულად მიიჩნევს და ისინი, სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირებული იქნებოდა, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ან ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული;

ბ) საწარმოს გააჩნია ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები ან ორივე, რომლებიც ექვემდებარება ამა თუ იმ საერთო რისკს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის რისკს, რაც მათ რეალურ ღირებულებაში საპირისპირო ცვლილებებს იწვევს, რომლებიც ერთმანეთს გადაფარავს. თუმცა, მხოლოდ ზოგიერთი ინსტრუმენტი ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (მაგალითად, ისინი, რომლებიც წარმოებული ინსტრუმენტებია, ან კლასიფიცირებულია როგორც სავაჭროდ გამიზნული). გარდა ამისა, შეიძლება ისეთი სიტუაციაც არსებობდეს, როდესაც დაკმაყოფილებული არ არის ჰეჯირების აღრიცხვისათვის დადგენილი კრიტერიუმები, მაგალითად, იმის გამო, რომ არ სრულდება 6.4.1 პუნქტში დადგენილი ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნები;

გ) საწარმოს გააჩნია ფინანსური აქტივები, ფინანსური ვალდებულებები ან ორივე, რომლებიც ინაწილებენ ამა თუ იმ რისკს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის რისკს, რაც მათ რეალურ ღირებულებაში საპირისპირო ცვლილებებს იწვევს, რომლებიც ერთმანეთს გადაფარავს. ამასთან, ფინანსური აქტივებიდან ან ფინანსური ვალდებულებებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს, რადგან ისინი არ არის რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. გარდა ამისა, ჰეჯირების აღრიცხვის არარსებობის გამო, შემოსულობისა და ზარალის აღიარებისას წარმოიქმნება მნიშვნელოვანი შეუსაბამობები. მაგალითად, საწარმოს სესხების გარკვეული ჯგუფი დაფინანსებული აქვს სავაჭრო ობლიგაციების გამოშვებით, რომელთა რეალური ღირებულების ცვლილებები ერთმანეთს გადაფარავს. თუ, ამავე დროს, საწარმო ობლიგაციებს რეგულარულად ყიდულობს და ყიდის, ხოლო სესხებს იშვიათად (ან არასდროს) ყიდის და ყიდულობს, ანგარიშგებაში როგორც სესხების, ასევე ობლიგაციების რეალური ღირებულებით წარდგენა, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღმოფხვრის შემოსულობის ან ზარალის აღიარების პერიოდთან დაკავშირებულ შეუსაბამობებს, რაც იმ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა, თუ ორივე ამორტიზებული ღირებულებით შეფასდებოდა, ხოლო შემოსულობა ან ზარალი აღიარდებოდა ობლიგაციების თითოეული შესყიდვის დროს.

B4.1.31 წინა პუნქტში განხილულ შემთხვევებში, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი აღიარებასთან თუ შეფასებასთან დაკავშირებული შეუსაბამობების აღმოფხვრა ან მნიშვნელოვნად შემცირება და შედარებით უფრო შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა, თუ საწყისი აღიარებისას კლასიფიკაციის განსაზღვრის დროს, ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. პრაქტიკაში, საწარმოს არ სჭირდება შეფასებასთან ან აღიარებასთან დაკავშირებული შეუსაბამობების გამომწვევი ყველა აქტივისა და ვალდებულების ზუსტად ერთსა და იმავე დროს შეფასება. ნებადართულია დაყოვნება გონივრულობის ფარგლებში, თუ თითოეული გარიგება საწყისი აღიარების დროს კლასიფიცირებული იქნება, როგორც რეალური

ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით და იმ დროისათვის მოსალოდნელია, რომ ნებისმიერი დარჩენილი გარიგება შედგება.

B4.1.32 მისაღები არ იქნება შეუსაბამობების გამომწვევი მხოლოდ ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ამის გაკეთება არ აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად არ შეამცირებს ამ შეუსაბამობებს და, მაშასადამე, არ მოგვცემს უფრო შესაბამის ინფორმაციას. თუმცა, დასაშვებია ანალოგიური ფინანსური აქტივების ან ანალოგიური ფინანსური ვალდებულებების გარკვეული რაოდენობის კლასიფიცირება ამდაგვარად, თუ ამით მიიღწევა შეუსაბამობების მნიშვნელოვანი შემცირება (და პოტენციურად ამ შეუსაბამობების იმაზე მეტად შემცირება, ვიდრე სხვა დასაშვები კლასიფიკაციის გამოყენებით). მაგალითად, დავუშვათ, საწარმოს აქვს დიდი რაოდენობის ანალოგიური ფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთლიანი ღირებულება შეადგენს 100 ფე-ს და დიდი რაოდენობის ანალოგიური ფინანსური აქტივები, რომელთა ჯამური ოდენობა 50 ფე-ია, მაგრამ ისინი შეფასებულია სხვადასხვა საფუძვლის გამოყენებით. საწარმოს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს შეფასებასთან დაკავშირებული შეუსაბამობები, თუ საწყისი აღიარებისას ყველა აქტივს, მაგრამ ზოგიერთ ვალდებულებას (მაგალითად, ცალკეულ ვალდებულებებს, რომელთა ჯამური სიდიდე 45 ფე-ს შეადგენს), საკუთარი შეხედულებისამებრ, ანიჭებს კლასიფიკაციას „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“. თუმცა, ვინაიდან მხოლოდ მთლიანი ფინანსური ინსტრუმენტისთვის არის შესაძლებელი კლასიფიცირება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამიტომ ამ მაგალითში საწარმომ აღნიშნული კლასიფიკაცია უნდა მიანიჭოს მთლიანად ერთ ან მეტ ვალდებულებას. არ შეიძლება ამ კლასიფიკაციის მინიჭება ვალდებულების რომელიმე კომპონენტისთვის (მაგალითად, მხოლოდ ერთ რისკზე მისაკუთვნებელი ღირებულების ცვლილებებისათვის, როგორიცაა, საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთი), ან ვალდებულების რაიმე პროპორციული ნაწილისათვის (პროცენტული წილისთვის).

როდესაც ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის, ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის მართვა და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება

B4.1.33 საწარმოს შეუძლია ფინანსური ვალდებულებების ჯგუფი ან ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფი მართოს და მისი შედეგები იმგვარად შეაფასოს, რომ აღნიშნული ჯგუფის რეალური ღირებულებით შეფასებამ, მოგებაში ან ზარალში ასახვით, განაპირობოს უფრო შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა. ამ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია იმ მეთოდზე, რომლის მეშვეობითაც საწარმო მართავს და აფასებს შედეგს და არა ფინანსური ინსტრუმენტების ბუნებაზე.

B4.1.34 მაგალითად, საწარმომ შეიძლება აღნიშნული პირობა გამოიყენოს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებისთვის, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს 4.2.2(ბ) პუნქტის მოთხოვნებს და საწარმოს გააჩნია ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ინაწილებენ ერთ ან მეტ რისკს და ამ რისკების მართვა და შეფასება აქტივებისა და ვალდებულებების მართვის დოკუმენტირებული პოლიტიკის შესაბამისად ხდება რეალური ღირებულების საფუძველზე. ამის მაგალითი შეიძლება იყოს საწარმო, რომელმაც გამოუშვა „სტრუქტურიზებული პროდუქტები“, რომლებიც შეიცავს არაერთჯერად ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტებს და მასთან დაკავშირებულ რისკებს მართავს რეალური ღირებულების საფუძველზე, წარმოებული და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ერთობლივად გამოყენებით.

B4.1.35 როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს პირობა ეყრდნობა საწარმოს მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მართვისა და საქმიანობის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებულ მეთოდს. შესაბამისად, საწარმომ (იმ პირობით, თუ საწყისი აღიარების დროს იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიცირების მოთხოვნას), რომელიც ზემოაღნიშნული პირობის საფუძველზე ფინანსურ ვალდებულებებს ანიჭებს კლასიფიკაციას „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, ამ პირობის საფუძველზე ანალოგიური კლასიფიკაცია უნდა მიანიჭოს ყველა ფინანსურ ვალდებულებას, რომელთა მართვა და შეფასება ერთად ხდება და რომლებიც აკმაყოფილებს ამგვარი კლასიფიკაციის კრიტერიუმებს.

 © IFRS Foundation

B4.1.36 აუცილებელი არ არის, რომ საწარმოს სტრატეგიის დოკუმენტაცია ძალიან დეტალური იყოს, მაგრამ იგი საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ წარმოჩინდეს 4.2.2(ბ) პუნქტის შესრულება. ამგვარი დოკუმენტირება არ მოითხოვება ყველა ინდივიდუალური ერთეულისთვის, არამედ შეიძლება მომზადებული იყოს პორტფელის საფუძველზე. მაგალითად, თუ ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგების მართვის სისტემა, რომელიც დამტკიცებულია საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის მიერ, აშკარად მოწმობს, რომ მისი საქმიანობის შედეგები ფასდება საერთო შემოსავლის (უკუგების) საფუძველზე, 4.2.2(ბ) პუნქტის მოთხოვნის დაცვის დემონსტრირებისთვის სხვა დოკუმენტაცია არ მოითხოვება.

ჩართული წარმოებულები (ნაწილი 4.3)

B4.3.1 თუ საწარმო ხდება ჰიბრიდული (კომბინირებული) ხელშეკრულების მონაწილე, რომლის ძირითადი ხელშეკრულება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში მყოფ აქტივს არ წარმოადგენს, 4.3.3 პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ დაადგინოს ნებისმიერი ამგვარი ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, შეაფასოს, მოითხოვება თუ არა მისი გამოყოფა ძირითადი ხელშეკრულებიდან, ხოლო იმ ხელშეკრულებებისთვის, საიდანაც მოითხოვება ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის გამოყოფა, ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი საწყისი აღიარების დროს და შემდეგშიც შეაფასოს რეალური ღირებულებით.

B4.3.2 თუ ძირითად ხელშეკრულებას არ გააჩნია მყარი ან წინასწარგანსაზღვრული დაფარვის ვადა და იგი წარმოადგენს საწარმოს ნეტო აქტივებში ნარჩენ წილს, მაშინ მისი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები წარმოადგენს წილობრივი ინსტრუმენტის მახასიათებლებსა და მასთან დაკავშირებულ რისკებს და ჩართულ წარმოებულს უნდა გააჩნდეს იმავე საწარმოსთან დაკავშირებული კაპიტალის მახასიათებლები, რათა მიჩნეულ იქნეს ძირითად ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად. თუ ძირითადი ხელშეკრულება არ არის წილობრივი ინსტრუმენტი და აკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტის განმარტებას, მაშინ მისი ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები სავალო ინსტრუმენტის ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები იქნება.

B4.3.3 ჩართული წარმოებული ოფციონის გარეშე (მაგალითად, როგორიცაა ჩართული ფორვარდი ან სვოპი) მისი ძირითადი ხელშეკრულებიდან გამოიყოფა ხელშეკრულებით დადგენილი, ან ნაგულისხმევი არსებითი პირობების საფუძველზე ისე, რომ საწყისი აღიარების დროს გააჩნდეს ნულოვანი რეალური ღირებულება. ჩართული წარმოებული ოფციონი (მაგალითად, როგორიცაა ჩართული ფუთი, ქოლი, ქეფი, ფლორი ან სვოპციონი) ძირითადი ხელშეკრულებიდან გამოიყოფა ოფციონის დადგენილი პირობების თანახმად. ძირითადი ინსტრუმენტის საწყისი საბალანსო ღირებულება იქნება ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის გამოყოფის შემდეგ დარჩენილი ღირებულება.

B4.3.4 საზოგადოდ, ერთ კომბინირებულ ხელშეკრულებაში ჩართული მრავალი წარმოებული განიხილება, როგორც ერთი, რთული ჩართული წარმოებული. თუმცა, ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი (იხ. ბასს 32) აღირიცხება იმ წარმოებულებისაგან განცალკევებით, რომლებიც კლასიფიცირდება აქტივებად ან ვალდებულებებად. ამასთან, თუ კომბინირებულ ხელშეკრულებას გააჩნია ერთზე მეტი ჩართული წარმოებული და აღნიშნული წარმოებულები დაკავშირებულია განსხვავებული დანაკარგების (ზარალის) რისკთან, იოლად გამოყოფადია და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, ისინი ცალ-ცალკე აღირიცხება.

B4.3.5 ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები ძირითად ხელშეკრულებასთან არ არის მჭიდროდ დაკავშირებული (პუნქტი 4.3.3(ა)). ამ მაგალითებში, საწარმო ჩართულ წარმოებულებს განიხილავს ძირითადი ხელშეკრულებისაგან განცალკევებით, იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია 4.3.3(ბ) და (გ) პუნქტების მოთხოვნები:

ა) ფინანსურ ინსტრუმენტში ჩართული დაბრუნების შესაძლებლობის პირობა, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს, ემიტენტს მოსთხოვოს ინსტრუმენტის გამოსყიდვა ფულადი სახსრებისა თუ სხვა აქტივების მეშვეობით, რომლებიც იცვლება საკუთარი

კაპიტალის, საქონლის ფასის ან ინდექსის ცვლილების შესაბამისად, არ არის მჭიდროდ დაკავშირებული ძირითად სავალო ინსტრუმენტთან;

ბ) სავალო ინსტრუმენტის დაფარვის დარჩენილი ვადის გაზრდის უფლება, ან ავტომატური პირობა მჭიდროდ დაკავშირებული არ არის ძირითად სავალო ინსტრუმენტთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ვადის გაზრდის მომენტში იმავდროულად ხდება საპროცენტო განაკვეთის კორექტირება მიახლოებით მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთამდე. თუ საწარმო უშვებს სავალო ინსტრუმენტს, ხოლო სავალო ინსტრუმენტის მფლობელი მესამე მხარეს მიჰყიდის სავალო ინსტრუმენტზე ქოლ-ოფციონს, ემიტენტი ქოლ-ოფციონს მიიჩნევს სავალო ინსტრუმენტის დაფარვის ვადის გაგრძელებად, იმ პირობით, თუ ემიტენტს შეიძლება მოეთხოვოს სავალო ინსტრუმენტის ხელახალ გაყიდვაში მონაწილეობის მიღება ან ხელშეწყობა, რაც გამოწვეულია სავალო ინსტრუმენტის ქოლ-ოფციონის გამოყენებით;

გ) ძირითად სავალო ინსტრუმენტში ან სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართული წილობრივი ინსტრუმენტების ფასით ინდექსირებული საპროცენტო ან ძირითადი გადასახდელები, რომელთა თანახმადაც პროცენტის ან ძირი თანხის გადახდა ინდექსირებულია წილობრივი ინსტრუმენტების ღირებულების მიმართ, ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტთან მჭიდროდ დაკავშირებული არ არის, რადგან ძირითადი ხელშეკრულებისა და ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი რისკები ერთმანეთისაგან განსხვავებულია;

დ) ძირითად სავალო ინსტრუმენტში ან სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართული საქონლის ფასით ინდექსირებული საპროცენტო ან ძირითადი გადასახდელები, რომლის თანახმადაც პროცენტის ან ძირი თანხის გადახდა ინდექსირებულია საქონლის (მაგალითად, ოქროს) ფასების მიმართ, ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტთან მჭიდროდ დაკავშირებული არ არის, რადგან ძირითადი ხელშეკრულებისა და ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტისათვის დამახასიათებელი რისკები ერთმანეთისაგან განსხვავებულია;

ე) ძირითად სავალო ხელშეკრულებაში, ან ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართული გამოხმობის, დაბრუნების ან ვადაზე ადრე დაფარვის შესაძლებლობის პირობა ძირითად ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებული არ არის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

(i) აღნიშნული პირობის აღსრულების ფასი ოფციონის გამოყენების ყოველი თარიღისათვის დაახლოებით ტოლია ძირითადი სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების, ან ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულების საბალანსო ღირებულების; ან

(ii) ვადაზე ადრე დაფარვის შესაძლებლობის პირობის აღსრულების ფასი გამსესხებელს არ აუნაზღაურებს ძირითადი ხელშეკრულების დარჩენილ ნაწილზე დაკარგული პროცენტების მიახლოებით დღევანდელ ღირებულებას. დაკარგული პროცენტი არის წინასწარ გადახდილი ძირი თანხის ნამრავლი საპროცენტო განაკვეთების სხვაობაზე. საპროცენტო განაკვეთების სხვაობა არის ძირითადი ხელშეკრულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ნამეტი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე, რომელსაც საწარმო მიიღებდა მსგავს ხელშეკრულებაში, წინასწარგადახდილი ძირი თანხის რეინვესტირებით წინასწარგადახდის თარიღისთვის, ძირითადი ხელშეკრულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

იმის შეფასება, გამოხმობის ან დაბრუნების შესაძლებლობის პირობა არის თუ არა ძირითად სავალო ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებული, ხდება ბასს 32-ის შესაბამისად, კონვერტირებადი სავალო ინსტრუმენტიდან წილობრივი კომპონენტის გამოყოფამდე.

ვ) საკრედიტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც ჩართულია ძირითად სავალო ინსტრუმენტში და ერთ-ერთ მხარეს („ბენეფიციარს“) უფლებას აძლევს, სხვა მხარეს („თავდებს“) გადასცეს საკრედიტო რისკი, დაკავშირებული იმ კონკრეტულ მითითებულ აქტივთან, რომელიც შეიძლება მას არ ეკუთვნოდეს, არ მიიჩნევა ძირითად

 © IFRS Foundation

სავალო ინსტრუმენტთან მჭიდროდ დაკავშირებულად. ასეთი საკრედიტო წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდებს (გარანტიის გამცემს) უფლებას აძლევს, თავის თავზე აიღოს საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მითითებულ აქტივთან, მიუხედავად იმისა, რომ აქტივი მას არ ეკუთვნის.

B4.3.6 კომბინირებული ხელშეკრულების მაგალითია ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, ემიტენტს უკან დაუბრუნოს ფინანსური ინსტრუმენტი ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების მიღების სანაცვლოდ, რაც იცვლება საკუთარი კაპიტალის ან საბირჟო საქონლის ინდექსის ცვლილების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია გაიზარდოს ან შემცირდეს („დაბრუნებადი ინსტრუმენტი“). თუ ემიტენტი, საწყისი აღიარების დროს, დაბრუნებად ინსტრუმენტს არ ანიჭებს კლასიფიკაციას, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას B4.3.3 პუნქტის შესაბამისად მოეთხოვება ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა (ე.ი. ინდექსირებული ძირი თანხა), რადგან ძირითადი ხელშეკრულება, B4.3.2 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს სავალო ინსტრუმენტს და ინდექსირებული გადასახდელი ძირი თანხა B4.3.5(ა) პუნქტის შესაბამისად მჭიდროდ დაკავშირებული არ არის ძირითად სავალო ინსტრუმენტთან. იმის გამო, რომ გადასახდელი ძირი თანხა შეიძლება გაიზარდოს და შემცირდეს, ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი წარმოადგენს წარმოებულს შესაძლებლობის პირობის (ოფციონის) გარეშე, რომლის ღირებულება ინდექსირებულია შესაბამისი ძირითადი ცვლადის მიმართ.

B4.3.7 დაბრუნებადი ინსტრუმენტის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს ისევ უკან დაუბრუნოს ემიტენტ საწარმოს (როგორიცაა, მაგალითად ღია ტიპის ერთობლივი ფონდი, ან პაის ღირებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საინვესტიციო პროდუქტი) ფულადი სახსრების მიღების სანაცვლოდ, რომელიც საწარმოს ნეტო აქტივების ღირებულების პროპორციული წილის ტოლია, ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის გამოცალკევება და თითოეული კომპონენტის ცალკე აღრიცხვა იწვევს კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებას გამოსყიდვის ღირებულებით, რომელიც გადასახადელი იქნებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ მფლობელი გამოიყენებდა თავის უფლებას, ემიტენტისთვის უკან დაებრუნებინა ინსტრუმენტი.

B4.3.8 შემდეგ მაგალითებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ეკონომიკური მახასიათებლები და რისკები მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირითადი ხელშეკრულების ეკონომიკურ მახასიათებლებსა და რისკებთან. ამ მაგალითებში საწარმო ჩართულ წარმოებულს არ აღრიცხავს ძირითადი ხელშეკრულებისაგან განცალკევებით.

ა) საპროცენტო განაკვეთზე ან საპროცენტო განაკვეთის ინდექსზე მიბმული ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია პროცენტების ოდენობის შეცვლა, რომლებიც შეიძლება სხვა შემთხვევაში გადახდილი ან მიღებული ყოფილიყო პროცენტიანი ძირითადი სავალო ხელშეკრულებიდან, ან სადაზღვევო ხელშეკრულებიდან, ძირითად ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად მიიჩნევა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შესაძლებელია კომბინირებული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ანგარიშსწორება ისეთი წესით, როდესაც მფლობელი ვერ აინაზღაურებს პრაქტიკულად ყველა აღიარებულ ინვესტიციას, ან, როდესაც ჩართულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, როგორც მინიმუმი, შეუძლია ძირითად ხელშეკრულებაზე მფლობელის უკუგების საწყისი განაკვეთის გაორმაგება და უკუგების ისეთი განაკვეთის წარმოქმნა, რომელიც, სულ მცირე, ორჯერ მაინც აღემატება ძირითადი ხელშეკრულების მსგავსი პირობების მქონე ხელშეკრულების უკუგების საბაზრო განაკვეთს;

ბ) სავალო ან სადაზღვევო ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული ჩართული ფლორი ან ქეფი ძირითად ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად მიიჩნევა, თუკი ხელშეკრულების (ინსტრუმენტის) გამოშვების მომენტში ქეფი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეზე იმყოფება ან მას აღემატება, ხოლო ფლორი საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეზე იმყოფება, ან მასზე დაბალია; ამასთან, ქეფი თუ ფლორი არ არის ლევერიჯებული ძირითადი ხელშეკრულების მიმართ. ანალოგიურად, აქტივის (მაგალითად, საბირჟო საქონლის) ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს აქტივზე გადასახდელი ან მისაღები ფასისთვის ზედა და ქვედა ზღვარს (ქეფსა და ფლორს), მჭიდროდ

დაკავშირებულად მიიჩნევა ძირითად ხელშეკრულებასთან, თუ ქეფიცა და ფლორიც დასაწყისში (ხელშეკრულების გაფორმების მომენტში) იყო „არახელსაყრელი“ და არ არის ლევერიჯებული.

გ) უცხოური ვალუტის ჩართული წარმოებული, რომელიც წარმოქმნილს უცხოურ ვალუტაში გამოსახული, გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტების ნაკადს და ჩართულია ძირითად (ხელშეკრულება) სავალო ინსტრუმენტში (მაგალითად, ორვალუტიანი ობლიგაცია), მიიჩნევა ძირითად სავალო ინსტრუმენტთან მჭიდროდ დაკავშირებულად. ასეთი წარმოებული არ გამოიყოფა ძირითადი ინსტრუმენტიდან, რადგან ბასს 21 - „*უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები*“ - მოითხოვს, რომ ფულადი მუხლიდან უცხოური ვალუტით მიღებული ამონაგები და ზარალი აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

დ) ძირითად ხელშეკრულებაში ჩართული უცხოური ვალუტის წარმოებული, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებას ან არაფინანსურ ინსტრუმენტს (მაგალითად, არაფინანსური მუხლის ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულება, როდესაც ფასი განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში), მჭიდროდ დაკავშირებულია ძირითად ხელშეკრულებასთან, იმ პირობით, თუ იგი არ არის ლევერიჯებული, არ შეიცავს შესაძლებლობის პირობას (ოფციონს) და მოითხოვს გადახდებს, რომლებიც განსაზღვრულია ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ვალუტაში:

(i) აღნიშნული ხელშეკრულების ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის სამუშაო ვალუტა;

(ii) ვალუტა, რომელშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით კომერციული გარიგებების დროს განსაზღვრულია შესყიდული ან მიღებული საქონლისა თუ მომსახურების ფასი (მაგალითად, ნედლი ნავთობის გარიგებებში - აშშ დოლარში); ან

(iii) ვალუტა, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ეკონომიკურ გარემოში არაფინანსური მუხლების ყიდვა-გაყიდვის დროს და რომელზეც იდება გარიგებები (ე.ი. შედარებით სტაბილური და ლიკვიდური ვალუტა, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ადგილობრივი კომერციული გარიგებების ან საგარეო ვაჭრობის დროს);

ე) მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის სტრიპში, ან მხოლოდ ძირი თანხის სტრიპში ჩართული ვადაზე ადრე დაფარვის შესაძლებლობის პირობა (ოფციონი) ძირითად ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად მიიჩნევა, იმ პირობით, თუ (1) ფინანსური ინსტრუმენტიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების უფლების გამოყოფით წარმოქმნილი ძირითადი ხელშეკრულება, თავისთავად, არ შეიცავს ჩართულ წარმოებულს და (2) არ შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებსაც არ ითვალისწინებს ძირითადი სავალო ხელშეკრულება.

ვ) ძირითად საიჯარო ხელშეკრულებაში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ძირითად ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად მიიჩნევა, თუ ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი წარმოადგენს: (1) ინფლაციასთან დაკავშირებულ ინდექსს, როგორიცაა საიჯარო გადასახდელების ინდექსი, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიმართ (იმ პირობით, რომ იჯარა არ არის ლევერიჯებული და ინდექსი უკავშირდება მოცემული საწარმოს ეკონომიკური გარემოს ინფლაციას); (2) შესაბამის გაყიდვებზე დაფუძნებულ ცვლად საიჯარო გადახდას, ან (3) ცვალებად საპროცენტო განაკვეთზე დაფუძნებულ ცვლად საიჯარო გადახდას.

ზ) ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტში, ან ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართულ პაისთან დაკავშირების შესაძლებლობა (პირობა) ძირითად ინსტრუმენტთან, ან ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად მიიჩნევა, თუ ამ ერთეულებში გამოსახული გადასახდელი თანხები შეფასებულია პაის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც ასახავს ფონდის აქტივების რეალურ ღირებულებას. პაისთან დაკავშირების შესაძლებლობა სახელშეკრულებო პირობაა, რომელიც მოითხოვს შიდა ან გარე საინვესტიციო ფონდის პაიში გამოსახული თანხების გადახდას.

 © IFRS Foundation

თ) სადაზღვევო ხელშეკრულებაში ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად მიიჩნევა, თუ ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი და ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულება იმდენად ურთიერთდამოკიდებულია, რომ საწარმოს ჩართული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შეფასება (ე.ი. ძირითადი ხელშეკრულების გაუთვალისწინებლად) არ შეუძლია.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს ჩართულ წარმოებულებს

Ბ4.3.9 როგორც Ბ4.3.1 პუნქტში იყო აღნიშნული, როდესაც საწარმო ხდება ისეთი კომბინირებული ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რომლის ძირითადი ხელშეკრულება წარმოადგენს აქტივს, რომელიც არ განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს და მოიცავს ერთ ან მეტ ჩართულ წარმოებულს, 4.3.3 პუნქტის შესაბამისად საწარმომ უნდა დაადგინოს ნებისმიერი ამგვარი ჩართული წარმოებული და განსაზღვროს, საჭიროა თუ არა მისი გამოყოფა ძირითადი ხელშეკრულებისგან. იმ ხელშეკრულებებისთვის, საიდანაც მოითხოვება ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის გამოყოფა, საწარმომ საწყისი აღიარების დროს და შემდეგშიც ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით. ეს მოთხოვნები შეიძლება უფრო რთული იყოს, ან იმაზე უფრო ნაკლებად საიმედო მაჩვენებლებს გვაძლევდეს, ვიდრე მთლიანი ინსტრუმენტის რეალური ღირებულებით შეფასება, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამის გამო, წინამდებარე სტანდარტი საწარმოს უფლებას აძლევს, მთლიან ინსტრუმენტს მიანიჭოს კლასიფიკაცია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

Ბ4.3.10 ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება შეიძლება იმის მიუხედავად, 4.3.3 პუნქტი მოითხოვს თუ კრძალავს ძირითადი ხელშეკრულებიდან ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის გამოყოფას. ამასთან, 4.3.5 პუნქტი არ გამოდგება იმის დასასაბუთებლად, რომ საწარმომ კომბინირებული ხელშეკრულების კლასიფიცირება მოახდინოს, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით ისეთ სიტუაციებში, რომლებიც განსაზღვრულია 4.3.5(ა) და (ბ) პუნქტებში, რადგან ამის გაკეთება არ შეამცირებს სირთულეს, არც საიმედოობას არ აამაღლებს.

ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ხელახლა შეფასება

Ბ4.3.11 4.3.3 პუნქტის თანახმად, როდესაც საწარმო პირველად ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარე, მან უნდა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის გამოყოფა ძირითადი ხელშეკრულებიდან და მისი ცალკე აღრიცხვა. შემდგომში ხელახლა შეფასება აკრძალულია, თუ ხელშეკრულების პირობები არ იცვლება იმგვარად, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ფულად ნაკადებს, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, იქნებოდა მოთხოვნილი ხელშეკრულებით. ასეთ სიტუაციაში საჭიროა ხელახლა შეფასება. იმის დასადგენად, ფულადი ნაკადების მოდიფიკაცია მნიშვნელოვანია თუ არა, საწარმო იხილავს ჩართულ წარმოებულთან, ძირითად ხელშეკრულებასთან ან ორივესთან დაკავშირებულ მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილების მოცულობას და განსაზღვრავს, ცვლილება მნიშვნელოვანია თუ არა ხელშეკრულებიდან ადრე მოსალოდნელ ფულად ნაკადებთან მიმართებით.

Ბ4.3.12 Ბ4.3.11 პუნქტი არ გამოიყენება ისეთ ხელშეკრულებებში ჩართულ წარმოებულებთან მიმართებით, რომლებიც შეძენილია:

ა) საწარმოთა გაერთიანების დროს (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ფასს 3-ში - „*საწარმოთა გაერთიანება*“);

ბ) საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების ან საქმიანობების გაერთიანებისას, როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ფასს 3-ის Ბ1-Ბ4 პუნქტებში; ან

გ) ერთობლივი საქმიანობის ჩამოყალიბებისას, როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ფასს 11-ში - *„ერთობლივი საქმიანობა“*, ან მათი შესაძლო გადაფასებების მიმართ შეძენის თარიღისთვის.[3]

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია (ნაწილი 4.4)

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ბ4.4.1 4.4.1 პუნქტი საწარმოს ავალდებულებს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული საწარმოს ბიზნესმოდელის მიზნების ცვლილებისას. მოსალოდნელია, რომ ამგვარი ცვლილებები ძალიან იშვიათი იქნება. აღნიშნული ცვლილებები უნდა განსაზღვროს საწარმოს ზედა დონის ხელმძღვანელმა პერსონალმა, საწარმოს შიდა და გარე ფაქტორების ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვანი უნდა იყოს საწარმოს საქმიანობისთვის და თვალსაჩინო უნდა იყოს გარეშე მხარეთათვის. შესაბამისად, საწარმოს ბიზნესმოდელი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ საწარმო იწყებს ან წყვეტს ისეთ საქმიანობას, რომელიც მნიშვნელოვანია მის ოპერაციებთან მიმართებით; მაგალითად, როდესაც საწარმომ შეიძინა, გაყიდა ან შეწყვიტა საქმიანობის რომელიმე მიმართულება. ქვემოთ განხილულია საწარმოს ბიზნესმოდელის ცვლილების მაგალითები:

ა) საწარმოს გააჩნია კომერციული სესხების პორტფელი, რომელსაც ფლობს ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით. საწარმო ყიდულობს კომპანიას, რომელიც მართავს კომერციულ სესხებს და მისი ბიზნესმოდელია სესხების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. კომერციული სესხების პორტფელი აღარ არის გასაყიდად გამიზნული და მისი მართვა, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ხორციელდება შეძენილ კომერციულ სესხებთან ერთად;

ბ) საფინანსო მომსახურების დაწესებულება გადაწყვეტილებას იღებს, დახუროს საცალო იპოთეკური სესხების განყოფილება. განყოფილება აღარ გასცემს ახალ სესხებს და საფინანსო დაწესებულება აქტიურად ცდილობს იპოთეკური სესხების პორტფელის გაყიდვას.

ბ4..4.2 ბიზნესმოდელის მიზნის ცვლილება ძალაში უნდა შევიდეს რეკლასიფიკაციის თარიღამდე. მაგალითად, თუ საფინანსო დაწესებულება 15 თებერვალს გადაწყვეტს საცალო იპოთეკური სესხების განყოფილების დახურვას და, შესაბამისად, 1 აპრილისათვის (ე.ი საწარმოს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის პირველი დღისთვის) ახდენს ყველა აქტივის რეკლასიფიკაციას, საწარმომ 15 თებერვლის შემდეგ არ უნდა გასცეს ახალი საცალო იპოთეკური სესხები, ან სხვაგვარად აწარმოოს წინა ბიზნესმოდელის შესაბამისი ოპერაციები.

ბ4.4.3 ბიზნესმოდელის ცვლილებას არ წარმოადგენს:

ა) კონკრეტულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებით საწარმოს განზრახვის შეცვლა (საბაზრო პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაშიც კი);

ბ) ფინანსური აქტივებისათვის კონკრეტული ბაზრის დროებით გაქრობა;

გ) ფინანსური აქტივების გადაცემა საწარმოს ფარგლებში, სხვადასხვა ნაწილს შორის, რომლებსაც განსხვავებული ბიზნესმოდელი გააჩნიათ.

შეფასება (მე-5 თავი)

საწყისი შეფასება (ნაწილი 5.1)

ბ5.1.1 თავდაპირველი შეფასების დროს ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება, როგორც წესი, არის გარიგების ფასი (ე.ი. გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება, ასევე იხილეთ პუნქტი ბ5.1.2 და ფასს 13). თუმცა, თუ გადახდილი ან მიღებული

3. ფასს 3 არეგულირებს საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილ ხელშეკრულებებს, რომლებსაც გააჩნია ჩართული წარმოებული ონსტრუმენტები.

 © IFRS Foundation

ანაზღაურების ნაწილი უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის გარდა სხვა რამეს, საწარმომ უნდა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება. მაგალითად, გრძელვადიანი სესხის ან მოთხოვნის რეალური ღირებულება (რომელიც არ ითვალისწინებს პროცენტების გადახდას) შეიძლება შეფასდეს, როგორც მომავალში მისაღები ყველა ფულადი ნაკადის დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რეიტინგის მქონე ინსტრუმენტების (მაგალითად, ვალუტით, ვადით, საპროცენტო განაკვეთითა და სხვა ფაქტორებით მსგავსი) საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი დამატებითი გასესხებული თანხა წარმოადგენს ხარჯს ან შემოსავლების შემცირებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს რაიმე სხვა ტიპის აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ბ5.1.2 თუ საწარმო სესხს გასცემს საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით (მაგალითად, 5 პროცენტით, როდესაც მსგავსი სესხისათვის საბაზრო განაკვეთი 8 პროცენტია) და კომპენსაციის სახით იღებს წინასწარ საზღაურს, საწარმო სესხს აღიარებს მისი რეალური ღირებულებით, ე.ი. მიღებული საზღაურის გამოკლებით.

ბ5.1.2ა თავდაპირველი შეფასების დროს ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი, როგორც წესი, გარიგების ღირებულებაა (ე.ი. გადახდილი ან მიღებული კომპენსაციის რეალური ღირებულება, ასევე იხ. ფასს 13). თუ საწარმო გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან, როგორც აღნიშნულია 5.1.1ა პუნქტში, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტი ამ თარიღისთვის უნდა აღრიცხოს შემდეგნაირად:

ა) 5.1.1 პუნქტის მიხედვით შეფასების შემთხვევაში, თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. საწარმომ თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობა უნდა აღიაროს როგორც შემოსულობა ან ზარალი;

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, 5.1.1 პუნქტის შესაბამისად შეფასების დროს - რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ გადავადებული სხვაობა უნდა აღიაროს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

შემდგომი შეფასება (ნაწილები 5.2 და 5.3)

ბ5.2.1 თუ ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც ადრე აღიარებული იყო ფინანსურ აქტივად, შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და მისი რეალური ღირებულება ნულზე დაბლა ეცემა, იგი წარმოადგენს 4.2.1 პუნქტის შესაბამისად შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებას. თუმცა, კომბინირებული ხელშეკრულება, რომლის ძირითადი ხელშეკრულება წარმოადგენს წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროში შემავალ აქტივს, ყოველთვის ფასდება 4.3.2 პუნქტის შესაბამისად.

ბ5.2.2 შემდეგ მაგალითში ნაჩვენებია, როგორ აისახება ისეთ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები საწყისი და შემდგომი შეფასებისას, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო რეალური ღირებულების ცვლილებები 5.7.5 ან 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად აისახება სხვა სრულ შემოსავალში. საწარმო ყიდულობს აქტივს 100 ფე-ად პლუს შესყიდვის საკომისიო 2 ფე. თავდაპირველად საწარმო აქტივს აღიარებს 102 ფე-ით. საანგარიშგებო პერიოდი მთავრდება ერთი დღის შემდეგ, როდესაც აქტივის კოტირებული საბაზრო ფასი არის 100 ფე. თუ აქტივი გაიყიდებოდა, საწარმო გადაიხდიდა 3 ფე საკომისიოს. ამ თარიღისთვის აქტივი შეფასდება 100 ფე ღირებულებით (გაყიდვის შესაძლო საკომისიოს გაუთვალისწინებლად) და საწარმო აღიარებს 2 ფე ზარალს სხვა სრულ შემოსავალში. თუ ფინანსური აქტივი 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა

სრულ შემოსავალში ასახვით, გარიგების დანახარჯები ამორტიზდება მოგების ან ზარალის ანგარიშის მეშვეობით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

Б5.2.2ა ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შემდგომი შეფასება და Б5.1.2ა პუნქტში აღწერილი შემოსულობისა და ზარალის შემდგომი აღიარება შესაბამისობაში უნდა იყოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში და ამგვარ ინვესტიციებზე დადებული ხელშეკრულებები

Б5.2.3 წილობრივ ინსტრუმენტებში ფლობილი ყველა ინვესტიცია და ამგვარ ინვესტიციებზე დადებული ხელშეკრულებები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს რეალური ღირებულების მართებული შეფასება. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის, ან არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

Б5.2.4. ინდიკატორები, რომლებიც იმის მიმანიშნებელია, რომ თვითღირებულება შეიძლება არ იყოს რეალური ღირებულების რეპრეზენტაციული:

ა) ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მნიშვნელოვანი ცვლილება ბიუჯეტთან, გეგმებთან და საკონტროლო ორიენტირებთან შედარებით;

ბ) ცვლილება მოლოდინში, რომ ინვესტირებული საწარმოს ტექნიკური პროდუქტის საკონტროლო მაჩვენებლები მიღწეული იქნება;

გ) ინვესტირებული საწარმოს კაპიტალის, პროდუქციის ან პოტენციური პროდუქციის ბაზრის მნიშვნელოვანი ცვლილებები;

დ) მნიშვნელოვანი ცვლილებები გლობალურ ეკონომიკაში, ან ეკონომიკურ გარემოში, სადაც საქმიანობს ინვესტირებული საწარმო;

ე) მნიშვნელოვანი ცვლილებები შესადარისი საწარმოების საქმიანობაში, ან საერთო საბაზრო შეფასებებში;

ვ) ინვესტირებული საწარმოს შიდა ფაქტორები, როგორიცაა თაღლითობა, კომერციული დავები, კანონმდებლობა, ხელმძღვანელობის ან სტრატეგიის ცვლილებები;

ზ) ინვესტირებული საწარმოს საკუთარ კაპიტალზე განხორციელებული გარე გარიგებების მტკიცებულებები, თავად ინვესტირებული საწარმოს მონაწილეობით (როგორიცაა, მაგალითად აქციების ახალი ემისია), ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემით მესამე მხარეთა შორის.

Б5.2.5 Б5.2.4 პუნქტში მოცემული სია ამომწურავი არ არის. საწარმომ უნდა გამოიყენოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობისა და ოპერაციების შესახებ არსებული ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ამგვარი ფაქტორების არსებობა შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ თვითღირებულება არ ასახავს რეალურ ღირებულებას. ასეთ შემთხვევებში, საწარმომ უნდა შეაფასოს რეალური ღირებულება.

Б5.2.6 თვითღირებულება არასოდეს არის კოტირებულ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების (ან კოტირებულ წილობრივ ინსტრუმენტებზე დადებული ხელშეკრულებების) რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასება (ნაწილი 5.4)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

Б5.4.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებისას საწარმო ადგენს იმ საზღაურებს, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილებია. ფინანსური მომსახურების საზღაურის აღწერა შეიძლება არ ასახავდეს გაწეული

 © IFRS Foundation

მომსახურების ხასიათსა და არსს. საზღაური, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აისახება, როგორც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტი რეალური ღირებულებით ფასდება, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთ შემთხვევებში, საზღაური აღიარდება ამონაგების ან ხარჯის სახით მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას.

ბ5.4.2 შემდეგი სახის საზღაურები ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილებია:

ა) წარმოქმნის საზღაური, რომელიც საწარმომ მიიღო ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით. მსგავსი საზღაური შეიძლება მოიცავდეს ისეთი ღონისძიებების ანაზღაურებას, როგორიცაა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება, გარანტიების, გირაოსა და უზრუნველყოფის სხვა შეთანხმებების შეფასება და გაფორმება, ფინანსური ინსტრუმენტის პირობების შესახებ მოლაპარაკება, დოკუმენტაციის მომზადება და დამუშავება, ასევე ოპერაციის გაფორმება. ეს საზღაურები წარმოქმნილ ფინანსურ ინსტრუმენტში მონაწილეობის წამოწყების განუყოფელი ნაწილებია;

ბ) საკომისიო, რომელიც საწარმომ მიიღო სესხის გაცემის ვალდებულების აღებასთან დაკავშირებით, როდესაც სესხის გაცემის ვალდებულება შეფასებული არ არის 4.2.1(ა) პუნქტის შესაბამისად და მოსალოდნელია, რომ საწარმო დადებს კონკრეტულ სასესხო შეთანხმებას. აღნიშნული საზღაური (საკომისიო) მიიჩნევა საწარმოს მხრიდან ფინანსური ინსტრუმენტის შეძენის მუდმივი მზადყოფნის კომპენსაციად. თუ სესხის გაცემის ვალდებულების ვადა ამოიწურება და საწარმოს სესხი არა აქვს გაცემული, მოცემული საზღაური ამონაგების სახით აღიარდება ამ ვადის გასვლისას;

გ) წარმოქმნის საზღაური, რომელიც საწარმომ გადაიხადა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან დაკავშირებით. ამგვარი საზღაური წარმოქმნილ ფინანსურ ვალდებულებაში მონაწილეობის წამოწყების განუყოფელი ნაწილია. საწარმო განაცალკევებს ისეთ საზღაურებსა და დანახარჯებს, რომლებიც ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილებია და წარმოქმნის საზღაურებსა და გარიგების დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი მომსახურების გაწევის უფლებასთან, როგორიცაა, მაგალითად ინვესტიციების მართვის მომსახურება.

ბ5.4.3 საზღაური, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი არ არის, აისახება ფასს 15-ის შესაბამისად და მოიცავს შემდეგი სახის საზღაურებს:

ა) სესხის მომსახურების საკომისიო;

ბ) სესხის გაცემის ვალდებულების აღებასთან დაკავშირებული საკომისიო, როდესაც სესხის გაცემის ვალდებულება შეფასებული არ არის 4.2.1(ა) პუნქტის შესაბამისად და მოსალოდნელი არ არის, რომ საწარმო დადებს კონკრეტულ სასესხო შეთანხმებას; და

გ) სესხის სინდიცირებასთან დაკავშირებული საკომისიო, რომელიც მიიღო იმ საწარმომ, რომელიც სესხის მიღების საკითხებს აგვარებს და თავისთვის არ იტოვებს სესხის პაკეტის არც ერთ ნაწილს (ან იტოვებს სესხის ნაწილს, რომელსაც ისეთივე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აქვს შესადარისი რისკისთვის, როგორც სესხის სხვა მონაწილეებს).

ბ5.4.4 ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენების დროს, საწარმო, როგორც წესი, ახდენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში მონაწილე ნებისმიერი საზღაურის, გადახდილი ან მიღებული სხვა თანხების, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების ამორტიზებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე. თუმცა, შეიძლება უფრო მოკლე პერიოდის გამოყენებაც, იმ შემთხვევაში, თუ ამ პერიოდს უკავშირდება ზემოაღნიშნული საზღაურები, გადახდილი ან მიღებული სხვა თანხები, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები. ასეთი სიტუაცია იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ცვლადი, რომელთანაც დაკავშირებულია ეს საზღაურები, გადახდილი ან მიღებული სხვა თანხები, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები

ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის ვადის დადგომამდე გადაანგარიშდება და დაიყვანება საბაზრო საპროცენტო განაკვეთამდე. ასეთ შემთხვევაში, შესაფერისი ამორტიზაციის პერიოდი იქნება საპროცენტო განაკვეთების ამგვარი შემდგომი გადაანგარიშების თარიღამდე პერიოდი. მაგალითად, თუ ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის პრემია ან ფასდათმობა ასახავს პროცენტებს, რომლებიც ამ ფინანსურ ინსტრუმენტს დაერიცხა პროცენტის უკანასკნელად გადახდის თარიღის შემდეგ, ან საბაზრო განაკვეთების ცვლილებებს, რომლებიც დაფიქსირდა ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის საბაზრო განაკვეთებთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ, მისი ამორტიზება უნდა მოხდეს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მიხედვით კორექტირების შემდგომ თარიღამდე პერიოდის განმავლობაში. ეს იმით აიხსნება, რომ პრემია ან ფასდათმობა უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის კორექტირების შემდგომ თარიღამდე პერიოდს, რადგან ამ თარიღისთვის ცვლადი, რომელსაც პრემია ან დისკონტი უკავშირდება (ე.ი. საპროცენტო განაკვეთები), ხელახლა განისაზღვრება საბაზრო განაკვეთების მიხედვით. თუმცა, თუ პრემია ან დისკონტი წარმოიქმნება ფინანსურ ინსტრუმენტში მითითებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის საკრედიტო სპრედის, ან სხვა ცვლადების ცვლილების შედეგად, რომლებიც არ გადაანგარიშდება საბაზრო განაკვეთების მიხედვით, მათი ამორტიზება უნდა მოხდეს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

B5.4.5 ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების პერიოდული გადაფასება იმ მიზნით, რომ აისახოს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები, იწვევს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შეცვლას. თუ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარებულია ისეთი თანხით, რომელიც ეკვივალენტურია დაფარვის ვადის დადგომისას მისაღები (მოთხოვნის) ან გადასახდელი (ვალდებულების) ძირი თანხის, მაშინ მომავალი საპროცენტო გადასახდელების ხელახლა შეფასება, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე.

B5.4.6 თუ საწარმო აკორექტირებს შეფასებულ გადასახდელ და მისაღებ თანხებს (თუ ეს არ არის 5.4.3 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული მოდიფიკაცია და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შეცვლა), მან უნდა გააკორექტიროს ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება, ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება, რათა აისახოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ფაქტობრივი და შესწორებული შეფასებები. საწარმომ უნდა გადაიანგარიშოს ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება და ასახოს მომავალი შეფასებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებული იქნება ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით - შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის), ან, საჭიროების შემთხვევაში, 6.5.10 პუნქტის შესაბამისად გამოითვლება გადასინჯული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როგორც შემოსავალი ან ხარჯი.

B5.4.7 ზოგ შემთხვევაში, ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას მიიჩნევა გაუფასურებულ აქტივად, რადგან საკრედიტო რისკი ძალიან მაღალია და, მისი შეძენის შემთხვევაში, შეძენა ხდება დიდი ფასდაკლებით. საწარმომ თავდაპირველად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა გაითვალისწინოს ფულადი ნაკადების შეფასებაში იმ ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისას, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას მიიჩნევა შეძენილ, ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებად. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მხოლოდ იმიტომ გამოიყენება, რომ ფინანსურ აქტივს თავდაპირველი აღიარებისას მაღალი საკრედიტო რისკი აქვს.

გარიგების დანახარჯები

B5.4.8 გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და

 © IFRS Foundation

დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

ჩამოწერა

B5.4.9 ჩამოწერა შეიძლება დაკავშირებული იყოს მთელ ფინანსურ აქტივთან ან მის ნაწილთან. მაგალითად, საწარმო გეგმავს ფინანსური აქტივის უზრუნველყოფის იძულებით აღსრულებას და მოელის, რომ ფინანსური აქტივის 30 პროცენტზე მეტს ვერ ამოიღებს უზრუნველყოფიდან. თუ საწარმოს არ გააჩნია ფინანსური აქტივიდან სხვა ფულადი ნაკადების ამოღების გონივრული პერსპექტივა, მან უნდა ჩამოწეროს მოცემული ფინანსური აქტივის დარჩენილი 70 პროცენტი.

გაუფასურება (ნაწილი 5.5)

შეფასება კოლექტიურ და ინდივიდუალურ საფუძველზე

B5.5.1 იმასათვის, რომ საწარმომ აღიაროს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იმის გამო, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, შეიძლება აუცილებელი გახდეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის კოლექტიურ საფუძველზე შეფასება იმ ინფორმაციის გაანალიზებით, რომელიც საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მიმანიშნებელია, მაგალითად ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის ან ქვეჯგუფისთვის. ამგვარი პროცედურა უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ საწარმო დააკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების მიზანს, როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ საკრედიტო რისკის ამგვარი მნიშვნელოვანი ზრდის მტკიცებულებები ჯერ არ არსებობს ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე.

B5.5.2 საზოგადოდ, ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მანამდე აღიარდება, სანამ ფინანსური ინსტრუმენტი ვადაგადაცილებული გახდება. როგორც წესი, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მანამდე იზრდება, სანამ ფინანსური ინსტრუმენტი ვადაგადაცილებული გახდება, ან მსესხებლის ვალის დაფარვის სხვა დამაბრკოლებელი სპეციფიკური ფაქტორები გამოვლინდება (მაგალითად, სესხის მოდიფიცირება ან რესტრუქტურიზაცია). ამიტომ, როდესაც საწარმოსთვის მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომია გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რომელიც უფრო მომავალზეა ორიენტირებული, ვიდრე ინფორმაცია ვადაგადაცილებ(ებ)ის შესახებ, მან ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენოს საკრედიტო რისკის ცვლილებების შესაფასებლად.

B5.5.3 თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტის ხასიათიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, ფინანსური ინსტრუმენტების კონკრეტული ჯგუფების საკრედიტო რისკის შესახებ რა ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი, საწარმომ ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შეიძლება ვერ შეძლოს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ცვლილებების დადგენა მანამდე, სანამ ფინანსური ინსტრუმენტები ვადაგადაცილებული გახდება. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, როგორიცაა ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები, რომელთა საკრედიტო რისკის შესახებ (ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე) მცირე ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი, ან საერთოდ არ არსებობს განახლებული ინფორმაცია, რომელიც რეგულარულად გროვდება და გაანალიზდება მანამდე, სანამ მომხმარებელი არ დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს. თუ ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის ცვლილებები მანამდე არ აისახა, სანამ ფინანსური ინსტრუმენტი არ გახდა ვადაგადაცილებული, ზარალის რეზერვი, რომელიც გამოთვლილია მხოლოდ ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ საკრედიტო ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამართლიანად ვერ ასახავს თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარ საკრედიტო რისკის ცვლილებებს.

B5.5.4 ზოგჯერ საწარმოს არ გააჩნია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი გონივრული და ღირებული ინფორმაცია იმისთვის, რომ ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეაფასოს ინდივიდუალური ინსტრუმენტების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა აღიარდეს კოლექტიურ საფუძველზე, რაც გულისხმობს საკრედიტო რისკის შესახებ ყოველმხრივი ინფორმაციის განხილვას. საკრედიტო რისკის შესახებ ზემოაღნიშნული ყოველმხრივი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ვადაგადაცილებული გადასახდელების შესახებ ინფორმაციას, არამედ მთელ შესაფერის საკრედიტო ინფორმაციას, მათ შორის მაკროეკონომიკურ საპროგნოზო ინფორმაციას, რათა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებით გამოწვეული შედეგი მიახლოებული იყოს იმ სიტუაციასთან, როდესაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება ინდივიდუალური ინსტრუმენტის დონეზე.

B5.5.5 იმისათვის, რომ საწარმომ კოლექტიურ საფუძველზე განსაზღვროს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და აღიაროს ზარალის რეზერვი, საწარმოს შეუძლია ფინანსური ინსტრუმენტების დაჯგუფება საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლების საფუძველზე, ანალიზის გასაადვილებლად, რომლის მიზანია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დროულად გამოვლენა. საწარმომ ბუნდოვანი არ უნდა გახადოს ეს ინფორმაცია რისკის განსხვავებული მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების დაჯგუფებით. საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება, მაგალითად შემდეგი მახასიათებლები:

ა) ფინანსური ინსტრუმენტის ტიპი;

ბ) საკრედიტო რისკის რეიტინგი;

გ) უზრუნველყოფის ტიპი;

დ) თავდაპირველი აღიარების თარიღი;

ე) დაფარვის დარჩენილი ვადა;

ვ) დარგი;

ზ) მსესხებლის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; და

თ) უზრუნველყოფის ღირებულება ფინანსურ აქტივთან შედარებით, თუ ეს გავლენას ახდენს სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის ალბათობაზე (მაგალითად, რეგრესის უფლების არმქონე სესხები ზოგიერთ იურისდიქციაში, ან უზრუნველყოფის კოეფიციენტები - სესხის ძირი თანხის შეფარდება უზრუნველყოფის ღირებულებასთან).

B5.5.6 5.5.4 პუნქტის თანახმად, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა აღიარდეს ყველა იმ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ამ მიზნის მისაღწევად, იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ვერ შეძლებს საკრედიტო რისკის საერთო მახასიათებლების მიხედვით ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების დაჯგუფებას, რომელთა საკრედიტო რისკი მიჩნეულია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა აღიაროს ფინანსური აქტივების იმ ნაწილთან მიმართებაში, რომელთა საკრედიტო რისკი მიჩნეულია, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის შემადგენლობა, რომლებსაც საწარმო გააერთიანებს იმ მიზნით, რომ კოლექტიურ საფუძველზე დაადგინოს, შეიცვალა თუ არა საკრედიტო რისკი, შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, როდესაც ხელმისაწვდომი გახდება ახალი ინფორმაცია ცალკეულ ფინანსურ ინსტრუმენტზე ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფებზე.

ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების დრო

B5.5.7 იმის შეფასება, აუცილებელია თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება, უნდა ეყრდნობოდეს თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ალბათობის ან რისკის

 © IFRS Foundation

მნიშვნელოვან ზრდას (მიუხედავად იმისა, ფინანსური ინსტრუმენტის ფასი გაკორექტირდა თუ არა საკრედიტო რისკის ზრდის ასახვის მიზნით) და არა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ფაქტს, ან მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. როგორც წესი, საკრედიტო რისკი იქამდე იქნება მნიშვნელოვნად გაზრდილი, სანამ ფინანსური აქტივი გაუფასურდება, ან დადგება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ფაქტი.

Ბ5.5.8 სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის საწარმო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილებებს განიხილავს იმ სესხთან მიმართებაში, რომელთანაც დაკავშირებულია სესხის გაცემის მოცემული ვალდებულება. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისთვის საწარმო განიხილავს იმ რისკის ცვლილებებს, რომ კონკრეტული მოვალე ვერ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს.

Ბ5.5.9 თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ცვლილების მნიშვნელოვნება დამოკიდებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკზე თავდაპირველი აღიარებისას. ამგვარად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის მოცემული გარკვეული ცვლილება, აბსოლუტურ მაჩვენებლებში, უფრო მნიშვნელოვანი იქნება იმ ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელსაც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის დაბალი თავდაპირველი რისკი ჰქონდა, იმასთან შედარებით, რომელსაც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის მაღალი თავდაპირველი რისკი ჰქონდა.

Ბ5.5.10 შესადარისი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ხანგრძლივია ინსტრუმენტის ვადა. მაგალითად, 10-წლიანი მოსალოდნელი ვადის მქონე AAA კლასის ობლიგაციისთვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე AAA კლასის ობლიგაციის, რომლის მოსალოდნელი ვადაა ხუთი წელი.

Ბ5.5.11 მოსალოდნელ ვადასა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკს შორის ურთიერთკავშირის გამო საკრედიტო რისკის ცვლილების შეფასება არ შეიძლება უბრალოდ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის აბსოლუტური რისკის ცვლილების შედარებით, რაც დროთა განმავლობაში დაფიქსირდა. მაგალითად, როდესაც 10-წლიანი მოსალოდნელი ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი თავდაპირველი აღიარებისას იდენტურია ამ ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის მომდევნო პერიოდში, როდესაც მისი დარჩენილი მოსალოდნელი ვადა მხოლოდ ხუთი წელია, ეს შეიძლება საკრედიტო რისკის ზრდის მიმანიშნებელი იყოს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი, როგორც წესი, დროთა განმავლობაში მცირდება, თუ საკრედიტო რისკი არ იცვლება, ხოლო ფინანსური ინსტრუმენტის დაფარვის ვადა ახლოვდება. თუმცა, ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა მნიშვნელოვანი გადახდის ვალდებულებები დაფარვის ვადასთან ახლოსაა, შეიძლება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი სულაც არ შემცირდეს დროის გასვლისას. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა განიხილოს სხვა ხარისხობრივი ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა.

Ბ5.5.12 საწარმოს სხვადასხვა მიდგომის გამოყენების უფლება აქვს იმის გასაანალიზებლად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას. საწარმოს განსხვავებული მიდგომების გამოყენების უფლება აქვს განსხვავებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. მიდგომა, რომელშიც ამოსავალი ინფორმაციის სახით არ გამოიყენება ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ალბათობის მაჩვენებელი, როგორიცაა, მაგალითად საკრედიტო ზარალის კოეფიციენტის განსაზღვრის მიდგომა, წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუკი საწარმოს შეუძლია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის გამოცალკევება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალზე ზემომქმედი სხვა ფაქტორების ცვლილებებისგან, როგორიცაა, მაგალითად უზრუნველყოფა და, ამასთან, შეფასებისას გაითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

ა) თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილებას;

ბ) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ვადას; და

გ) მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომ გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკზე.

ბ5.5.13 მეთოდები, რომლებსაც საწარმო გამოიყენებს იმის დასადგენად, თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის (ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის) მახასიათებლებსა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევების ხასიათს, რომლებიც დაფიქსირდა წარსულში შესადარის ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში. 5.5.9 პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებთან მიმართებაშიც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ტენდენცია კონცენტრირებული არ არის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე რომელიმე კონკრეტულ პერიოდში, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილება მომდევნო 12 თვის განმავლობაში შეიძლება იყოს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილების გონივრული მიახლოებითი მაჩვენებელი. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს უფლება აქვს, მომდევნო 12 თვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილებები გამოიყენოს იმის დასადგენად, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, თუკი გარემოებები არ მიანიშნებს იმაზე, რომ ამგვარი შეფასება აუცილებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

ბ5.5.14 თუმცა, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისთვის, ან გარკვეულ გარემოებებში შეიძლება მიზანშეწონილი არ იყოს მომდევნო 12 თვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილებების გამოყენება იმის დასადგენად, აუცილებელია თუ არა ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება. მაგალითად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილება მომდევნო 12 თვის განმავლობაში შეიძლება შესაფერისი საფუძველი არ იყოს იმის შესაფასებლად, 12 თვეზე მეტი ხნის ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა, როდესაც:

ა) ფინანსური ინსტრუმენტი გადახდის მნიშვნელოვან ვალდებულებებს ითვალისწინებს მხოლოდ მომდევნო 12 თვის შემდეგ;

ბ) შეცვლილია შესაფერისი მაკროეკონომიკური ან საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები, რაც სათანადოდ არ არის ასახული მომდევნო 12 თვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკში; ან

გ) საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ფაქტორების ცვლილებები გავლენას ახდენს (ან უფრო მკვეთრ გავლენას ახდენს) ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკზე მხოლოდ 12 თვის გასვლის შემდეგ.

იმის განსაზღვრა, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ

ბ5.5.15 როდესაც საწარმო ადგენს, აუცილებელია თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება, მან უნდა განიხილოს მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკზე, 5.5.17(გ) პუნქტის შესაბამისად. საწარმოს არ ევალება ინფორმაციის დაუსრულებლად ძიება იმის დასადგენად, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა.

ბ5.5.16 საკრედიტო რისკის ანალიზი მრავალფაქტორული კომპლექსური ანალიზია; ანალიზისთვის ესა თუ ის კონკრეტული ფაქტორი უფრო შესაფერისი ან მნიშვნელოვანია თუ არა სხვა ფაქტორებთან შედარებით, დამოკიდებული იქნება პროდუქტის ტიპზე, ფინანსური

 © IFRS Foundation

ინსტრუმენტისა და მსესხებლის მახასიათებლებზე, ასევე გეოგრაფიულ რეგიონზე. საწარმომ უნდა განიხილოს მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რომელიც შესაფერისია შესაფასებელი კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისთვის. თუმცა, ზოგჯერ შეუძლებელია ზოგიერთი ფაქტორის ან ინდიკატორის დადგენა ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. ასეთ შემთხვევაში, ფაქტორები ან ინდიკატორები საწარმომ უნდა შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტების შესაფერისი პორტფელის, პორტფელთა ჯგუფის ან პორტფელის ნაწილისთვის, რათა განსაზღვროს, დაკმაყოფილებულია თუ არა 5.5.3 პუნქტის მოთხოვნა, რომელიც ეხება ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებას.

B5.5.17 ქვემოთ მოცემულია იმ ინფორმაციის არასრული სია, რომელიც შეიძლება შესაფერისი იყოს საკრედიტო რისკის ცვლილების შეფასებისთვის:

ა) თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის შიდა ფასის ინდიკატორების მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც, სხვასთან ერთად, მოიცავს საკრედიტო სპრედს, რომელიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა, თუ მსგავსი პირობების მქონე და იმავე კონტრაჰენტთან დაკავშირებული კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტი, ან ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტი საანგარიშგებო თარიღისთვის საწარმოს მიერ ახლად შექმნილი ან გამოშვებული იქნებოდა;

ბ) არსებული ფინანსური ინსტრუმენტის განაკვეთების ან პირობების სხვა ცვლილებები, რაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის ცვლილების გამო მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ფინანსური ინსტრუმენტი საანგარიშგებო თარიღისთვი საწარმოს მიერ ახლად შექმნილი ან გამოშვებული იქნებოდა (როგორიცაა, მაგალითად უფრო მკაცრი სახელშეკრულებო პირობები, უზრუნველყოფის ან გარანტიის გაზრდილი ღირებულება (თანხა), ან ზარალის შემოსავლით დაფარვის უფრო მაღალი კოეფიციენტი);

გ) იმავე მოსალოდნელი ვადის მქონე კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის, ან ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის გარე საბაზრო ინდიკატორების მნიშვნელოვანი ცვლილებები. საკრედიტო რისკის საბაზრო ინდიკატორების ცვლილებები, სხვასთან ერთად, მოიცავს:

(i) საკრედიტო სპრედს;

(ii) საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის სვოპის ფასებს მსესხებლისთვის;

(iii) დროის პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება ნაკლები იყო მის ამორტიზებულ ღირებულებაზე და რა დონის იყო ზემოაღნიშნული განსხვავება; და

(iv) მსესხებელთან დაკავშირებული სხვა საბაზრო ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად მსესხებლის სავალო და წილობრივი ინსტრუმენტების ფასის ცვლილებები;

დ) ფინანსური ინსტრუმენტის გარე საკრედიტო რეიტინგის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილება;

ე) მსესხებლის შიდა საკრედიტო რეიტინგის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი შემცირება, ან საწარმოს მიერ შიდა მოხმარებისთვის საკრედიტო რისკის შესაფასებლად გამოყენებული მომხმარებელთა ქცევის ქულების შემცირება. შიდა საკრედიტო რეიტინგები და შიდა მოხმარებისათვის განკუთვნილი მომხმარებელთა ქცევის ქულების გამოყენება უფრო საიმედოა, თუ ისინი დაკავშირებულია გარე რეიტინგებთან ან გამყარებულია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ფაქტების გამოკვლევით;

ვ) კომერციული, ფინანსური ან ეკონომიკური პირობების არსებული ან საპროგნოზო ნეგატიური ცვლილებები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მსესხებლის მიერ სავალო ვალდებულებების შესრულების უნარის მნიშვნელოვან ცვლილებას გამოიწვევს,

როგორიცაა, მაგალითად საპროცენტო განაკვეთის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ზრდა, ან უმუშევრობის დონის ფაქტობრივი, ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზრდა;

ზ) მსესხებლის საოპერაციო შედეგების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილება. მაგალითად, ამონაგების ან მარჟების ფაქტობრივი ან მოსალოდნელი შემცირება, საოპერაციო რისკების გაზრდა, საბრუნავი კაპიტალის დეფიციტის, აქტივების ხარისხის გაუარესება, საბალანსო ლევერიჯის გაზრდა, ლიკვიდობა, მართვასთან დაკავშირებული პრობლემები, ან საწარმოს საქმიანობის მასშტაბების ან ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებები (მაგალითად, ბიზნესის რომელიმე სეგმენტის საქმიანობის შეწყვეტა), რაც მსესხებლის მიერ სავალო ვალდებულებების შესრულების უნარის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს;

თ) იმავე მსესხებლის სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა;

ი) მსესხებლის მარეგულირებელი, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური გარემოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ცვლილება, რაც მსესხებლის მიერ სავალო ვალდებულებების შესრულების უნარის მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს, როგორიცაა, მაგალითად მსესხებლის გასაყიდ პროდუქტზე მოთხოვნის შემცირება, ტექნოლოგიის ცვლილების გამო;

კ) ვალდებულების გასამყარებლად გამოყენებული უზრუნველყოფის ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება, ან მესამე მხარის მიერ გაცემული გარანტიების ან კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებების მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მსესხებლის ეკონომიკურ მოტივაციას, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაგეგმილი თანხები, ან სხვაგვარად ახდენს გავლენას ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ალბათობაზე. მაგალითად, როდესაც უზრუნველყოფის ღირებულება მცირდება უძრავ ქონებაზე (სახლებზე) ფასების შემცირების გამო, ზოგიერთ იურისდიქციაში მსესხებლებს უფრო მეტი მოტივაცია აქვთ თავიანთი იპოთეკური სესხის ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

ლ) აქციონერის (ან ფიზიკური პირის მშობლების) მიერ გაცემული გარანტიის ხარისხის მნიშვნელოვანი ცვლილება, როდესაც მოცემულ აქციონერს (ან მის მშობლებს) გააჩნია მოტივაცია და ფინანსური შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა თავიდან აიცილოს დამატებითი კაპიტალის ან ფულადი სახსრების მეშვეობით;

მ) მნიშვნელოვანი ცვლილებები, როგორიცაა, მაგალითად მშობელი საწარმოს ან სხვა დაკავშირებული მხარისგან ფინანსური მხარდაჭერის შემცირება, ან კრედიტის საგარანტიო საშუალებების ხარისხის გაუმჯობესების ფაქტობრივი, ან მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც მოსალოდნელია, რომ შეამცირებს მსესხებლის მოტივაციას, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაგეგმილი თანხები. კრედიტის საგარანტიო საშუალებები, ან მხარდაჭერა მოიცავს გარანტიის გამცემი მხარის ფინანსური მდგომარეობის გაანალიზებას და/ან სეკურიტიზაციის ფარგლებში გამოცემული წილის შემთხვევაში, იმის განსაზღვრას, მოსალოდნელია თუ არა, რომ სუბორდინირებული სესხები შეძლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შთანთქმას (კომპენსირებას) (მაგალითად, ფასიანი ქაღალდის ქვემდებარე სესხებზე);

ნ) სესხის დოკუმენტაციის მოსალოდნელი ცვლილებები, მათ შორის სახელშეკრულებო ვადების მოსალოდნელი დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სახელშეკრულებო პირობების შეცვლა, ან სახელშეკრულებო პირობებიდან განთავისუფლება, ან პროცენტების გადახდისგან დროებით გათავისუფლება, საპროცენტო განაკვეთის ეტაპობრივად გაზრდა, რაც მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას ან გარანტიებს, ან ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ბაზის სხვა ცვლილებები;

ო) მსესხებლის საქმიანობის მოსალოდნელი შედეგების და ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის ჯგუფში გაერთიანებული მსესხებლების გადახდის სტატუსის ცვლილებები (მაგალითად, სახელშეკრულებო გადახდების ვადაგადაცილების

 © IFRS Foundation

შემთხვევების რაოდენობის, ან მოცულობის მოსალოდნელი ზრდა, ან საკრედიტო ზარათის მფლობელი იმ მსესხებლების მოსალოდნელი რიცხოვნობის მნიშვნელოვნად გაზრდა, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიუახლოვდებიან ან გადააჭარბებენ კრედიტის ლიმიტს, ან გადაიხდიან ყოველთვიურ მინიმალურ თანხებს);

პ) ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით საწარმოს მიერ გამოყენებული საკრედიტო რისკის მართვის მიდგომის ცვლილება. ე.ი. ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის ცვლილების ახლადაღმოცენებული ინდიკატორების საფუძველზე, მოსალოდნელია, რომ ახალი მიდგომით საწარმოს საკრედიტო რისკის მართვის პრაქტიკა უფრო აქტიური გახდება, ან აქცენტი გაკეთდება მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის მართვაზე, მათ შორის, უფრო გულმოდგინედ განხორციელდება ფინანსური ინსტრუმენტის მონიტორინგი და კონტროლი, ან საწარმო უშუალოდ ჩაერევა მსესხებლის საქმიანობაში;

ჟ) ინფორმაცია ვადაგადაცილებული გადასახდელების შესახებ, მათ შორის უარყოფადი ვარაუდი, როგორც ეს განმარტებულია 5.5.11 პუნქტში.

B5.5.18 ზოგ შემთხვევაში, საწარმოსთვის ხელმისაწვდომი ხარისხობრივი და არასტატისტიკური რაოდენობრივი ინფორმაცია შეიძლება საკმარისი იყოს იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური ინსტრუმენტი ზარალის რეზერვის აღიარების კრიტერიუმებს მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. ამგვარად, აუცილებელი არ არის, რომ ინფორმაციამ გაიაროს სტატისტიკური მოდელი, ან საკრედიტო რეიტინგის პროცესი, იმისათვის, რომ საწარმომ განსაზღვროს, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი. გარკვეულ სიტუაციაში, საწარმოს შეიძლება დასჭირდეს სხვა ინფორმაციის გათვალისწინება, მათ შორის თავისი სტატისტიკური მოდელებიდან ან საკრედიტო რეიტინგის პროცესიდან მიღებული ინფორმაციის. მეორე მხრივ, საწარმოს უფლება აქვს, შეფასება განახორციელოს ზემოაღნიშნული ორივე ტიპის ინფორმაციის საფუძველზე, ე.ი. გააანალიზოს ხარისხობრივი ფაქტორები, რომლებიც არ აისახება შიდა რეიტინგის მინიჭების პროცედურის მეშვეობით და შიდა რეიტინგის სპეციფიკური კატეგორია საანგარიშგებო თარიღით; ამასთან, გაითვალისწინოს საკრედიტო რისკის მახასიათებლები თავდაპირველი აღიარებისას, თუ ორივე ტიპის ინფორმაცია შესაფერისია.

უარყოფადი ვარაუდი 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებასთან დაკავშირებით

B5.5.19 5.5.11 პუნქტში მითითებული უარყოფადი ვარაუდი არ არის აბსოლუტური ინდიკატორი იმისა, რომ უნდა აღიარდეს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, თუმცაღა მიჩნეულია, რომ გადასახდელების 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილება ბოლო წერტილია, როდესაც უნდა აღიარდეს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, თუნდაც საწარმო იყენებდეს საპროგნოზო ინფორმაციას (მათ შორის, ინფორმაციას მაკროეკონომიკური ფაქტორების შესახებ ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის დონეზე).

B5.5.20 საწარმოს ამ ვარაუდის უარყოფის უფლება აქვს. თუმცა, საწარმოს ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც მისთვის ხელმისაწვდომია გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რომელიც იმაზე მიანიშნებს, რომ სახელშეკრულებო გადასახდელების 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების მიუხედავად, ეს არ ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდას. მაგალითად, როდესაც გადაუხდელობა გამოწვეული იყო მსესხებლის ადმინისტრაციული დაუდევრობით და არა მისი ფინანსური პრობლემებით, ან საწარმოსთვის ხელმისაწვდომია წარსული პერიოდების მტკიცებულებები, რომლებიც იმას მოწმობს, რომ არ არსებობს კორელაცია ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის მნიშვნელოვნად გაზრდასა და 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებულ ფინანსურ აქტივებს შორის, მაგრამ მტკიცებულებები ამგვარ კორელაციას აჩვენებს იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდელები 60 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული.

B5.5.21 საწარმოს არ შეუძლია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდისა და ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების მომენტის იმ თარიღთან დამთხვევა, როდესაც ფინანსური აქტივი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასუ-

რებულად, ან სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის შიდა განმარტებასთან, რომელსაც საწარმო იყენებს.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც დაბალი საკრედიტო რისკი გააჩნიათ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით

Б5.5.22 5.5.10 პუნქტის მიზნებისთვის, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მიიჩნევა, რომ დაბალია, როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის დაბალი რისკი აქვს, მსესხებელს უახლოეს მომავალში სტაბილური შესაძლებლობები გააჩნია სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული თავისი ვალდებულებების შესასრულებლად, ხოლო უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკური და ბიზნესის პირობების უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ გამოიწვიოს მსესხებლის მიერ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის შემცირება. ფინანსური ინსტრუმენტები არ მიიჩნევა დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ, როდესაც მათ ზარალის დაბალი რისკი აქვთ მხოლოდ უზრუნველყოფის ღირებულების გამო და ფინანსური ინსტრუმენტი ამ უზრუნ-ველყოფის გარეშე არ იქნებოდა მიჩნეული დაბალი საკრედიტო რისკის მატარებლად. ასევე, ფინანსური ინსტრუმენტები არ მიიჩნევა დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის უფრო დაბალი რისკი აქვთ, ვიდრე მოცმული საწარმოს სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს, ან იმ იურისდიქციის საკრედიტო რისკთან შედარებით, სადაც საწარმო ეწევა საქმიანობას.

Б5.5.23 იმისათვის, რომ განსაზღვროს, ფინანსურ ინსტრუმენტს გააჩნია თუ არა დაბალი საკრედიტო რისკი, საწარმოს საკრედიტო რისკის შიდა რეიტინგების ან სხვა მეთოდოლოგიის გამოყენების უფლება აქვს, რომელიც შესაბამისი იქნება დაბალი საკრედიტო რისკის მთელ მსოფლიოში მიღებულ განმარტებასთან და ითვალისწინებს შესაფასებელი ფინანსური ინსტრუმენტების რისკებსა და ტიპს. ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის გარე რეიტინგია „საინვესტიციო რანგის მქონე“ ისეთი ფინანსური ინსტრუმენტის მაგალითია, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ. თუმცა, იმისათვის, რომ ფინანსური ინსტრუმენტი მიჩნეული იყოს დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ, აუცილებელი არ არის, მას გარე რეიტინგი ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტი დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ უნდა იყოს მიჩნეული ბაზრის მონაწილის თვალთახედვიდან, ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით.

Б5.5.24 ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებით მისი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ აღიარდება მხოლოდ იმიტომ, რომ იგი დაბალი საკრედიტო რისკის მატარებლად იყო მიჩნეული გასულ საანგარიშგებო პერიოდში და დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ არ მიიჩნევა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა განსაზღვროს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა და, მაშასადამე, მოითხოვება თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება 5.5.3 პუნქტის შესაბამისად.

მოდიფიცირება

Б5.5.25 გარკვეულ გარემოებებში, მხარეთა შეთანხმებით ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების გადასინჯვამ, ან მოდიფიცირებამ შეიძლება არსებული ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა გამოიწვიოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად. როდესაც ფინანსური აქტივის მოდიფიცირება არსებული ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას და შემდგომ მოდიფიცირებული ფინანსური აქტივის აღიარებას იწვევს, წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის მოდიფიცირებული აქტივი მიიჩნევა „ახალ“ ფინანსურ აქტივად.

Б5.5.26 შესაბამისად, მოდიფიცირების თარიღი მიჩნეულ უნდა იქნეს ამ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღად, მოდიფიცირებული აქტივის მიმართ გაუფასურების მოთხოვნების გამოყენებისას. როგორც წესი, ეს ნიშნავს ზარალის რეზერვის შეფასებას 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური ოდენობით მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება 5.5.3 პუნქტის მოთხოვნები, ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებასთან დაკავშირებით. თუმცა, გარკვეულ უჩვეულო გარემოებებში, მოდიფიცირების შემდეგ, რომელიც თავდაპირველი ფინანსური აქტივის

 © IFRS Foundation

აღიარების შეწყვეტას გამოიწვევს, შეიძლება გაჩნდეს მტკიცებულება იმისა, რომ მოდიფიცირებული აქტივი გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას და, მაშასადამე, ფინანსური აქტივი უნდა აღიარდეს, როგორც საწარმოში შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივი. ასე შეიძლება მოხდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც, მაგალითად პრობლემურმა აქტივმა განიცადა არსებითი მოდიფიცირება, რამაც გამოიწვია თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა. ასეთ შემთხვევაში, მოდიფიცირების შედეგად შეიძლება წარმოიქმნას ახალი ფინანსური აქტივი, რომელიც გაუფასურებული იქნება თავდაპირველი აღიარების დროს.

ბ5.5.27 თუ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხარეთა შეთანხმებით გადაისინჯა, ან სხვა მხრივ მოდიფიცირდა, მაგრამ არ განხორციელდა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, მაშინ ფინანსური აქტივი ავტომატურად არ მიიჩნევა დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ. საწარმომ მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი ყველანაირი გონივრული და ღირებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა შეაფასოს, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს გულისხმობს წარსული პერიოდებისა და საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენებას და საკრედიტო რისკის შეფასებას ფინანსური აქტივის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე, რაც მოიცავს ისეთი გარემოებების შესახებ ინფორმაციას, რამაც გამოიწვია აღნიშნული მოდიფიცირება. მტკიცებულებები იმისა, რომ ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების კრიტერიუმები აღარ არის დაკმაყოფილებული, შეიძლება იყოს ინფორმაცია უკანასკნელი და დროული გადახდების შესახებ, მოდიფიცირებული სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად. როგორც წესი, მომხმარებელმა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თანამიმდევრულად უნდა წარმოაჩინოს თავი, როგორც კარგმა გადამხდელმა მანამდე, სანამ საწარმო საკრედიტო რისკს შემცირებულად მიიჩნევს. მაგალითად, გამოტოვებული ან არასრული გადახდების ისტორია, როგორც წესი, არ იგნორირდება მხოლოდ იმის გამო, რომ სახელშეკრულებო პირობების მოდიფიცირების შემდეგ ერთი დროული გადახდა განხორციელდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ბ5.5.28 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ალბათობებით შეწონილ საკრედიტო ზარალის შეფასებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე (მაგალითად, მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება). ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა საწარმოსთვის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის. ვინაიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ითვალისწინებს გადასახდელი თანხების ოდენობას და გადახდის ვადებს, საკრედიტო ზარალი იმ შემთხვევაშიც წარმოიქმნება, როდესაც საწარმო მოელის, რომ სრულად მიიღებს თანხას, მაგრამ უფრო გვიან, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული.

ბ5.5.29 ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საკრედიტო ზარალი არის შემდეგ თანხებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება:

ა) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც ხელშეკრულების შესაბამისად არის გადასახდელი საწარმოსათვის; და

ბ) ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის.

ბ5.5.30 აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის საკრედიტო ზარალი არის შემდეგ თანხებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება:

ა) სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც საწარმოსთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მფლობელი სესხს აითვისებს; და

ბ) ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

Ბ5.5.31 საწარმოს მიერ შეფასებული სესხის გაცემის ვალდებულების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შესაბამისობაში უნდა იყოს სესხის გაცემის ვალდებულების გამოყენების მოლოდინთან, ანუ მასში გათვალისწინებული უნდა იყოს სესხის გაცემის ვალდებულების ის ნაწილი, რომლის გამოყენებაც მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღის მომდევნო 12 თვეში, როდესაც საწარმო აფასებს 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობას, ასევე სესხის გაცემის ვალდებულების ის ნაწილი, რომლის გამოყენებაც (ათვისებაც) მოსალოდნელია სესხის გაცემის ვალდებულების არსებობის მანძილზე - როდესაც საწარმო აფასებს სესხის გაცემის ვალდებულების მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიდიდეს.

Ბ5.5.32 ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების შემთხვევაში საწარმოს გადახდა ევალება მხოლოდ მოვალის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში იმ ფინანსური ინსტრუმენტის პირობების მიხედვით, რომლისთვისაც გაცემულია გარანტია. შესაბამისად, ფულადი სახსრების დეფიციტი არის მოსალოდნელი გადახდები, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელს აუნაზღაურებს განცდილ საკრედიტო ზარალს, იმ თანხების გამოკლებით, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ინსტრუმენტის მფლობელისგან, მოვალისგან ან სხვა მხარისაგან. როდესაც აქტივი სრულად არის გარანტირებული, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისთვის ფულადი სახსრების დეფიციტის შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს იმ აქტივთან დაკავშირებული ფულადი სახსრების დეფიციტის შეფასებასთან, რომელიც გარანტიის საგანია.

Ბ5.5.33 ისეთი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, რომელიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, მაგრამ არ არის შეძენილი ან საწარმოში შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივი, საწარმომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეაფასოს, როგორც სხვაობა აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც გაუფასურების შემოსულობა ან ზარალი.

Ბ5.5.34 საიჯარო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვის შეფასებისას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისათვის გამოყენებული ფულადი ნაკადები შესაბამისობაში უნდა იყოს იმ ფულად ნაკადებთან, რომლებიც ფასს 16-ის -*„იჯარა“* - შესაბამისად გამოიყენება საიჯარო მოთხოვნების შესაფასებლად.

Ბ5.5.35 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას საწარმოს უფლებას აქვს, გამოიყენოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა, თუ იგი 5.5.17 პუნქტის პრინციპების შესაბამისი იქნება. ერთ-ერთი ამგვარი გამარტივებული მიდგომის მაგალითია სავაჭრო მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა ანარიცხების (რეზერვების) მატრიცის გამოყენებით. საწარმო საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს (რომლებიც გაკორექტირდება Ბ5.5.51–Ბ5.5.52 პუნქტების შესაბამისად) გამოიყენებს სავაჭრო მოთხოვნისთვის 12-თვიანი საკრედიტო ზარალის, ან ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, შესაბამისად. მაგალითად, რეზერვების მატრიცაში შეიძლება მითითებული იყოს რეზერვის ფიქსირებული განაკვეთები, იმისდა მიხედვით, რამდენი დღით არის სავაჭრო მოთხოვნა ვადაგადაცილებული (მაგალითად, 1 პროცენტი, თუ ვადაგადაცილებული არ არის, 2 პროცენტი, თუ 30 დღეზე ნაკლები ხნით არის ვადაგადაცილებული, 3 პროცენტი, თუ 30 დღეზე მეტი, მაგრამ 90 დღეზე ნაკლები ხნით არის ვადაგადაცილებული, 20 პროცენტი, თუ 90-180 დღით არის ვადაგადაცილებული და ა.შ.). თავისი მომხმარებლების ბაზის მრავალფეროვნებაზე დაყრდნობით საწარმო აქტივებს დააჯგუფებს შესაფერის ჯგუფებად, თუ საკრედიტო ზარალის მიღების წარსული გამოცდილება ზარალის ხასიათის მნიშვნელოვან განსხვავებებს აჩვენებს მომხმარებელთა განსხვავებული სეგმენტებისთვის. მაგალითად, აქტივების დასაჯგუფებლად შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება: გეოგრაფიული რეგიონი, პროდუქტის ტიპი, მომხმარებლის რეიტინგი, უზრუნველყოფა ან სავაჭრო საკრედიტო რისკების დაზღვევა და მომხმარებლის ტიპი (მაგალითად, ბითუმად მოვაჭრე, ან საცალო მოვაჭრე).

 © IFRS Foundation

ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმარტება

Ბ5.5.36 იმის დასადგენად, ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა, 5.5.9 პუნქტი მოითხოვს, რომ საწარმომ განიხილოს თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის ცვლილება.

Ბ5.5.37 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკის განსაზღვრის მიზნებისათვის საწარმომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ისეთი განმარტება უნდა გამოიყენოს, რომელიც შესაბამისობაში იქნება განმარტებასთან, რომელიც გამოიყენება განსახილველ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული შიდა საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის, ამასთან, გაითვალისწინოს ხარისხობრივი ინდიკატორები (მაგალითად, სახელეკრულებო ფინანსური დათქმები), საჭიროებისამებრ. თუმცა, არსებობს უარყოფადი ვარაუდი, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ფაქტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმოს აქვს გონივრული და ღირებული ინფორმაცია იმის დემონსტრირებისათვის, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის უფრო შესაფერისია უფრო ხანგრძლივი ვადის კრიტერიუმის გამოყენება. აღნიშნული მიზნებისთვის გამოყენებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმარტება საწარმომ უცვლელად უნდა გამოიყენოს ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია, რომელიც იმის მიმანიშნებელია, რომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის სხვა განმარტება უფრო შესაფერისია კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

პერიოდი, რომლისთვისაც უნდა შეფასდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

Ბ5.5.38 5.5.19 პუნქტის შესაბამისად, მაქსიმალური პერიოდი, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, არის მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საწარმო ექვემდებარება საკრედიტო რისკს. სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის ეს არის მაქსიმალური სახელშეკრულებო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საწარმოს გააჩნია კრედიტის გაცემის მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულება.

Ბ5.5.39 თუმცა, 5.5.20 პუნქტის შესაბამისად, ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი შეიცავს როგორც სესხს, ისე სესხის გაცემის ვალდებულების აუთვისებელ კომპონენტს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწარმოს შესაძლებლობის გამო, მოითხოვოს სესხის დაფარვა და გააუქმოს სესხის გაცემის ვალდებულების აუთვისებელი კომპონენტი, საკრედიტო ზარალის რისკზე საწარმოს დაქვემდებარების პერიოდი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო პერიოდით. მაგალითად, დაკრედიტების განახლებადი მექანიზმები, როგორიცაა საკრედიტო ბარათები და ოვერდრაფტი, ხელშეკრულების შესაბამისად შეიძლება გამსესხებელმა გააუქმოს სულ მცირე ერთი დღით ადრე შეტყობინებით. თუმცა, პრაქტიკაში გამსესხებლები კრედიტებს უფრო ხანგრძლივი პერიოდით გასცემენ და შეიძლება გააუქმონ მხოლოდ მსესხებლის საკრედიტო რისკის გაზრდის შემდეგ, რაც შეიძლება უკვე ძალიან გვიანი იყოს იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მთლიანად ან ნაწილობრივ. როგორც წესი, ამგვარ ფინანსურ ინსტრუმენტებს, ფინანსური ინსტრუმენტის ხასიათიდან, მისი მართვის მეთოდებისა და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე, შემდეგი მახასიათებლები გააჩნია:

ა) ფინანსურ ინსტრუმენტებს არ გააჩნია ფიქსირებული ვადა ან დაფარვის სტრუქტურა (სქემა) და, ჩვეულებრივ, ხელშეკრულება მათი გაუქმებისთვის მოკლე ვადას ითვალისწინებს (მაგალითად, ერთ დღეს);

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობა არ გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტის მართვის ჩვეულებრივ ყოველდღიურ რეჟიმში და ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოსათვის ცნობილი გახდება საკრედიტო რისკის გაზრდის შესახებ ინფორმაცია დაკრედიტების მოცემული მექანიზმის დონეზე; და

გ) ფინანსური ინსტრუმენტების მართვა ხორციელდება კოლექტიურ საფუძველზე.

ბ5.5.40 როდესაც საწარმო ადგენს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც საწარმო მოელის, რომ დაექვემდებარება საკრედიტო რისკს, მაგრამ რომლისთვისაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ შემცირდება საწარმოს ჩვეულებრივი საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებით, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს წარსული ინფორმაცია და გამოცდილება შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

ა) პერიოდი, რომლის განმავლობაში საწარმო ექვემდებარებოდა საკრედიტო რისკს ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტების გამო;

ბ) საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაზრდის შემდეგ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის ფაქტის დადგომამდე პერიოდის ხანგრძლივობა, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; და

გ) საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებები, რომელთა გატარებასაც საწარმო ვარაუდობს ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის გაზრდის შემდეგ, როგორიცაა, მაგალითად აუთვისებელი ლიმიტების შემცირება ან გაუქმება.

ალბათობებით შეწონილი შედეგი

ბ5.5.41 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზანი არ არის არც ყველაზე უარესი და არც საუკეთესო სცენარის შეფასება. პირიქით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ყოველთვის უნდა ასახავდეს იმის შესაძლებლობას, რომ საკრედიტო ზარალი წარმოიქმნება და ასევე იმის შესაძლებლობასაც, რომ არავითარი საკრედიტო ზარალი არ წარმოიქმნება მაშინაც კი, როდესაც ყველაზე მეტად მოსალოდნელი შედეგი ის არის, რომ საკრედიტო ზარალი არ წარმოიქმნება.

ბ5.5.42 5.5.17(ა) პუნქტის თანახმად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება უნდა ასახავდეს მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის ანალიზის შედეგად. პრაქტიკაში შეიძლება აუცილებელი არ იყოს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად საწარმომ რთული ანალიზი ჩაატაროს. ზოგიერთ შემთხვევაში, შედარებით მარტივი მოდელირება შეიძლება საკმარისი აღმოჩნდეს, დიდი რაოდენობის სცენარების დეტალური იმიტაციის გარეშე. მაგალითად, რისკის საერთო მახასიათებლების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების დიდი ჯგუფისთვის ალბათობით შეწონილი სიდიდის გონივრული შეფასება შეიძლება იყოს საშუალო საკრედიტო ზარალი. სხვა სიტუაციებში, ალბათ, აუცილებელი იქნება ისეთი სცენარების განსაზღვრა, რომლებიც გვიჩვენებს კონკრეტული შედეგების შესაფერისი ფულადი ნაკადების ოდენობასა და მათი წარმოქმნის ვადებს და ამ შედეგების ხდომილობის ალბათობების შეფასებას. 5.5.18 პუნქტის შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სულ მცირე ორ მოსალოდნელ შედეგს მაინც უნდა ასახავდეს.

ბ5.5.43 ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად საწარმომ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის რისკი უნდა შეაფასოს ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ვადისთვის. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილია და გვიჩვენებს მთელი არსებობის მანძილზე ფულადი სახსრების დეფიციტს, რომელიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ფაქტი დადგება საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეში (ან უფრო ხანმოკლე პერიოდში, თუ ფინანსური ინსტრუმენტის ვადა 12 თვეზე ნაკლებია) და წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ალბათობებით შეწონილ სიდიდეს. ამგვარად, 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არ არის არც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელსაც საწარმო მიიღებს იმ ფინანსური ინსტრუმენტიდან, რომლის მიმართაც ვარაუდობს, რომ სახელშეკრულებო პირობები არ შესრულდება მომდევნო 12 თვეში და არც ფულადი სახსრების დეფიციტი, რომლის წარმოქმნაც პროგნოზირებულია მომდევნო 12 თვისთვის.

ფულის დროითი ღირებულება

ბ5.5.44 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირება უნდა განხორციელდეს საანგარიშგებო თარიღამდე და არა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის მოსალოდნელ

 © IFRS Foundation

თარიღამდე, ან რომელიმე სხვა თარიღამდე, თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ან მასთან მიახლოებული განაკვეთით. როდესაც ფინანსურ ინსტრუმენტს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს, მაშინ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირება უნდა განხორციელდეს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც განისაზღვრება Б5.4.5 პუნქტის შესაბამისად.

Б5.5.45 შეძენილი ან საწარმოს მიერ გამოშვებული გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირება უნდა განხორციელდეს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რაც განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

Б5.5.46 საიჯარო მოთხოვნისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირება უნდა განხორციელდეს იმავე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც საწარმომ გამოიყენა ფასს 16-ის შესაბამისად მოცემული საიჯარო მოთხოვნის შეფასებისას.

Б5.5.47 სესხის გაცემის ვალდებულებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირება უნდა განხორციელდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, ან მასთან მიახლოებული განაკვეთით, რომელიც გამოყენებული იქნება მოცემული სესხის გაცემის ვალდებულების შესრულების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარებისას. ეს იმით არის განპირობებული, რომ გაუფასურების მოთხოვნების გამოყენების მიზნებისთვის, სესხის გაცემის ვალდებულების გამოყენების (ათვისების) შემდეგ აღიარებული ფინანსური აქტივი მიჩნეულ უნდა იქნეს ამ ვალდებულების გაგრძელებად და არა ახალ ფინანსურ ინსტრუმენტად. ამგვარად, ფინანსური აქტივისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა შეფასდეს სესხის გაცემის ვალდებულების თავდაპირველი საკრედიტო რისკის გათვალისწინებით იმ თარიღიდან, როდესაც საწარმო გახდა მოცემული შეუქცევადი სახელშეკრულებო ვალდებულების ერთ-ერთი მხარე.

Б5.5.48 ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების ან სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის, რომელთა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირება უნდა განხორციელდეს ისეთი განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ასევე მოცემული ფულადი ნაკადებისთვის დამახასიათებელ რისკებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ აღნიშნული რისკები გათვალისწინებული იქნება დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეშვეობით და არა იმ ფულადი სახსრების დეფიციტის კორექტირებით, რომელიც დისკონტირდება.

გონივრული და ღირებული ინფორმაცია

Б5.5.49 წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის გონივრული და ღირებული ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით, გონივრულ ფარგლებში, ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, მათ შორის ინფორმაცია წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პირობების პროგნოზების შესახებ. ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, მიიჩნევა, რომ ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

Б5.5.50 საწარმო ვალდებული არ არის, გამოიყენოს საპროგნოზო ინფორმაცია, რომელიც ეხება სამომავლო პირობებს ფინანსური ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი არსებობის მანძილზე. ~~მ~~ოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის აუცილებელი განსჯის ხარისხი დამოკიდებულია დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. საპროგნოზო პერიოდის ზრდასთან ერთად, მცირდება დეტალური ინფორმაციის წვდომის შესაძლებლობა და იზრდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად აუცილებელი განსჯის ხარისხი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის საწარმოს არ ევალება დეტალური შეფასება შორეული მომავლის პერიოდებისთვის - ამგვარი პერიოდებისთვის საწარმოს შეუძლია ხელმისაწვდომი დეტალური ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრული პროგნოზების ექსტრაპოლაცია.

Б5.5.51 საწარმოს არ ევალება ინფორმაციის დაუსრულებლად ძიება, თუმცა მან უნდა გაითვალისწინოს მიზანშეუწონელი დანახარჯების და ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი ყველანაირი

გონივრული და ღირებული ინფორმაცია, რომელიც შესაფერისია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, მათ შორის მოსალოდნელი წინასწარი გადახდების გავლენა. გამოყენებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მოცემული მსესხებლისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ფაქტორებს, საერთო ეკონომიკურ პირობებსა და საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით როგორც მიმდინარე პირობების, ისე საპროგნოზო მიმართულებების შეფასებას. საწარმოს შეუძლია მონაცემთა სხვადასხვა წყაროს გამოყენება, მათ შორის, როგორც შიდა (საწარმოსთვის სპეციფიკური), ისე გარე წყაროების. მონაცემთა შესაძლო წყაროებს განეკუთვნება საწარმოს შიდა წარსული გამოცდილება საკრედიტო ზარალთან მიმართებაში, შიდა რეიტინგები, საკრედიტო ზარალთან მიმართებაში სხვა საწარმოთა გამოცდილება და გარე რეიტინგები, ანგარიშები და სტატისტიკა. საწარმოებს, რომელთაც მწირი საკუთარი მონაცემების წყაროები გააჩნიათ, ან საერთოდ არ გააჩნიათ, შეუძლიათ ანალოგიური საწარმოების გამოცდილების გამოყენება, შესადარის ფინანსურ ინსტრუმენტთან (ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფთან) მიმართებაში.

ბ5.5.52 წარსული პერიოდების ინფორმაცია მნიშვნელოვანი მეგზური ან საფუძველია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის. თუმცა, საწარმომ უნდა გააკორექტიროს წარსული პერიოდების ინფორმაცია, მაგალითად ინფორმაცია საკრედიტო ზარალის წარმოქმნის წარსული გამოცდილების შესახებ - მიმდინარე ემპირიული მონაცემების საფუძველზე, რათა აისახოს მიმდინარე პირობების გავლენა და საწარმოს პროგნოზები სამომავლო პირობების შესახებ, რომლებსაც გავლენა არ მოუხდენია იმ გასულ პერიოდზე, რომელსაც მოცემული წარსული მონაცემები ეყრდნობა; მეორე მხრივ, გამოირიცხოს გასული პერიოდის ისეთი პირობების გავლენა, რომელიც შესაფერისი არ არის მომავალი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისთვის. ზოგ შემთხვევაში, საუკეთესო გონივრული და ღირებული ინფორმაცია შეიძლება იყოს წარსული პერიოდის დაუკორექტირებელი ინფორმაცია, რაც დამოკიდებულია წარსული ინფორმაციის ხასიათსა და იმაზე, როდის ჩატარდა გამოთვლები, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით არსებულ გარემოებებთან შედარებით და განსახილველი ფინანსური ინსტრუმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებების შეფასებები უნდა ასახავდეს და მიმართულების თვალსაზრისით შეესაბამებოდეს ემპირიული მონაცემების ცვლილებებს პერიოდიდან პერიოდამდე (როგორიცაა, მაგალითად უმუშევრობის დონის, უძრავი ქონების ფასების, საქონლის ფასების, გადახდის სტატუსისა ან სხვა ფაქტორების ცვლილებები, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტის, ან ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის საკრედიტო ზარალზე მიანიშნებს, ასევე ამგვარი ცვლილებების სიდიდეში მომხდარი ცვლილებები). საწარმომ რეგულარულად უნდა გააანალიზოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებული თავისი მეთოდიკა და დაშვებები, რათა შეამციროს საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის განსხვავებები.

ბ5.5.53 როდესაც საწარმო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის საკრედიტო ზარალის წარმოქმნის წარსული პერიოდების გამოცდილებას იყენებს, მნიშვნელოვანია, რომ წარსული პერიოდების საკრედიტო ზარალის დონეების შესახებ ინფორმაცია გამოიყენოს ისეთ ჯგუფებთან მიმართებით, რომლებიც იმ ჯგუფების ანალოგიურად არის განსაზღვრული, რომელთა მიმართაც წარსულში გამოვლინდა საკრედიტო ზარალის შესაბამისი დონეები. შესაბამისად, გამოყენებულმა მეთოდმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური აქტივების თითოეული ჯგუფის დაკავშირება ფინანსური აქტივების იმ ჯგუფების წარსული საკრედიტო ზარალის ინფორმაციასთან, რომელთაც რისკის მსგავსი მახასიათებლები აქვთ და ასევე შესაბამის ემპირიულ (დაკვირვებად) მონაცემებთან, რომლებიც ასახავს მიმდინარე პირობებს.

ბ5.5.54 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს საწარმოს საკუთარ მოლოდინს საკრედიტო ზარალთან მიმართებაში. თუმცა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების დროს მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი გონივრული და ღირებული ინფორმაციის გათვალისწინებასთან ერთად, საწარმომ მხედველობაში უნდა მიიღოს ასევე ემპირიული საბაზრო ინფორმაციაც, კონკრეტული ინსტრუმენტის ან ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის შესახებ.

 © IFRS Foundation

უზრუნველყოფა

Ბ5.5.55 მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისათვის მოსალოდნელი ფულადი სახსრების დეფიციტის შეფასება უნდა ასახავდეს იმ ფულად ნაკადებსაც, რომლის მიღებაც მოსალოდნელია უზრუნველყოფიდან და კრედიტის საგარანტიო სხვა საშუალებებიდან, რომლებიც სახელშეკრულებო პირობების ნაწილია და საწარმო ცალკე არ აღიარებს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი ფულადი სახსრების დეფიციტის შეფასება ასახავს იმ ფულადი ნაკადების ოდენობას და მიღების ვადებს, რომლის მიღება მოსალოდნელია უზრუნველყოფის სახით გამოყენებულ აქტივზე საკუთრების უფლების (აღსრულების) მოპოვების შედეგად, აღნიშნული უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, იმის მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის აღსრულება (ანუ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებაში გათვალისწინებულია უზრუნველყოფის აღსრულების ალბათობა და ამის შედეგად წარმოქმნილი ფულადი ნაკადები). აქედან გამომდინარე, ამ ანალიზში უნდა აისახოს ნებისმიერი ფულადი ნაკადი, რომლის მიღებაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის სახით გამოყენებული ქონების გაყიდვიდან სახელშეკრულებო დაფარვის ვადების გასვლის შემდეგ. უზრუნველყოფა, რომელსაც საწარმო მიიღებს იძულებითი აღსრულების პროცედურის შედეგად არ აღიარდება შესაბამისი უზრუნველყოფილი ფინანსური ინსტრუმენტისაგან განცალკევებული აქტივის სახით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც იგი აკმაყოფილებს წინამდებარე ან სხვა სტანდარტებით დადგენილ აქტივის აღიარების შესაბამის კრიტერიუმებს.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია (წაწილი 5.6)

Ბ5.6.1 როდესაც საწარმო ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას ახდენს 4.4.1 პუნქტის შესაბამისად, 5.6.1 პუნქტით მოითხოვება, რომ აღნიშნული რეკლასიფიკაცია პერსპექტიულად გამოიყენოს საწარმომ რეკლასიფიკაციის თარიღიდან. შეფასების ორივე კატეგორია, „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ მოითხოვს, რომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა, ორივე შეფასებით კატეგორიას გაუფასურების ერთნაირი მოთხოვნები ეხება. მაშასადამე, როდესაც საწარმო ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაციას ახდენს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიასა და სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებულ კატეგორიას შორის:

ა) საპროცენტო ამონაგების აღიარება არ შეიცვლება და, ამგვარად, საწარმო გააგრძელებს იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას;

ბ) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება არ შეიცვლება, რადგან შეფასების ორივე კატეგორიისთვის გაუფასურების ერთი და იგივე მიდგომა გამოიყენება. თუმცა, როდესაც ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიაში, რეკლასიფიკაციის თარიღიდან ზარალის რეზერვი აღიარდება, როგორც მოცემული ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების კორექტირება. როდესაც ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კატეგორიიდან კატეგორიაში „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, ზარალის რეზერვის აღიარება შეწყდება (და, ამგვარად, აღარ იქნება აღიარებული, როგორც მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულების კორექტირება), მაგრამ ამის ნაცვლად აღიარდება, როგორც დაგროვილი გაუფასურების თანხა (იმავე ოდენობით) სხვა სრულ შემოსავალში და განმარტებით შენიშვნებში აისახება რეკლასიფიკაციის თარიღიდან.

Ბ5.6.2 თუმცა, საწარმოს არ მოეთხოვება საპროცენტო ამონაგების ან გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის ცალკე აღიარება ისეთი ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. შესაბამისად, როდესაც საწარმო ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს კატეგორიიდან „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება რეკლასიფიკაციის თარიღით განსაზღვრული მოცემული აქტივის რეალური ღირებულების საფუძველზე. ამასთან, ფინანსურ აქტივთან მიმართებით რეკლასიფიკაციის თარიღიდან

სტანდარტის 5.5 ნაწილის გამოყენების მიზნებისთვის, რეკლასიფიკაციის თარიღი მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღად.

შემოსულობა და ზარალი (ნაწილი 5.7)

ბ5.7.1 5.7.5 პუნქტი საწარმოს თავდაპირველი აღიარებისას შეუქცევადი არჩევანის უფლებას აძლევს, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს ისეთ წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული ინვესტიციის რეალურ ღირებულებაში შემდგომში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც არ არის სავაჭროდ გამიზნული. აღნიშნული გადაწყვეტილება საწარმომ თითოეული ინსტრუმენტებისთვის ცალ-ცალკე უნდა მიიღოს. შემდგომში დაუშვებელია სხვა სრულ შემოსავალში ასახული თანხების გადატანა მოგებაში ან ზარალში. თუმცა, საწარმოს შეუძლია აკუმულირებული თანხის გადატანა საკუთარი კაპიტალის ფარგლებში მუხლიდან მუხლში. ამგვარ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული დივიდენდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, 5.7.6 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დივიდენდი აშკარად წარმოადგენს ინვესტიციის თვითღირებულების ნაწილის ანაზღაურებას.

ბ5.7.1.ა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო იყენებს 4.1.5 პუნქტს, 4.1.2ა პუნქტის თანახმად ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როდესაც ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებით ისეთი ფულადი ნაკადები წარმოიქმნება, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას და აქტივის მართვა ისეთი ბიზნესმოდელის ფარგლებში ხდება, რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. შეფასების ამ კატეგორიის დროს სათანადო ინფორმაცია (თანხები) მოგებაში ან ზარალში აღიარდება ისე, თითქოს ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით იყოს შეფასებული, ხოლო ფინანსური აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რეალური ღირებულებით შეფასდება. 5.7.10–5.7.11 პუნქტების შესაბამისად, მოგებაში ან ზარალში აღიარებული შემოსულობების ან ზარალის გარდა, სხვა შემოსულობა ან ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობები ან ზარალი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში. აღნიშნული ასახავს იმ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც მოგებაში ან ზარალში აღიარდებოდა აღიარების შეწყვეტისას იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით იქნებოდა შეფასებული.

ბ5.7.2 ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც ფულადი მუხლებია ბასს 21-ის შესაბამისად და განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში, საწარმო იყენებს ბასს 21-ს. ბასს 21-ის თანახმად, ფულად აქტივებსა თუ ვალდებულებებთან დაკავშირებით საკურსო სხვაობით განპირობებული ნებისმიერი შემოსულობა და ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში. გამონაკლისია ფულადი მუხლი, რომელიც განიხილება ჰეჯირების ინსტრუმენტად ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას (იხ. პუნქტი 6.5.11), ან ნეტო ინვესტიციის ჰეჯირებისას (იხ. პუნქტი 6.5.13), ან წილობრივი ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ჰეჯირებისას, რომლისთვისაც 5.7.5 პუნქტის შესაბამისად საწარმოს არჩეული აქვს რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში (იხ. პუნქტი 6.5.8).

ბ5.7.2ა საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობებისა და ზარალის ბასს 21-ის შესაბამისად აღიარების მიზნებისათვის, 4.1.2ა პუნქტის შესაბამისად რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივი მიიჩნევა ფულად მუხლად. შესაბამისად, ამგვარი ფინანსური აქტივი აისახება, როგორც ამორტიზებული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში შეფასებული აქტივი. ამორტიზებულ ღირებულებასთან დაკავშირებული საკურსო სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ხოლო საბალანსო ღირებულების სხვა ცვლილებები აღიარდება 5.7.10 პუნქტის შესაბამისად.

ბ5.7.3 5.7.5 პუნქტი საწარმოს შეუქცევადი არჩევანის უფლებას აძლევს, სხვა სრულ შემოსავალში ასახოს წილობრივ ინსტრუმენტში განხორციელებული გარკვეული ინვესტიციის რეალურ ღირებულებაში შემდგომში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ინვესტიცია არ არის ფულადი მუხლი. შესაბამისად, 5.7.5 პუნქტის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული

 © IFRS Foundation

შემოსულობა ან ზარალი მოიცავს ნებისმიერ დაკავშირებულ უცხოური ვალუტის გაცვლის (საკურსო სხვაობის) კომპონენტს.

Б5.7.4 თუ არაწარმოებულ ფულად აქტივსა და არაწარმოებულ ფულად ვალდებულებას შორის არსებობს ჰეჯირების ურთიერთობა, აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების უცხოური ვალუტის კომპონენტში მომხდარი ცვლილებები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით

Б5.7.5 როდესაც საწარმო ახდენს ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირებას რეალური ღირებულებით შეფასებულად, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მან უნდა განსაზღვროს ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ხომ არ გამოიწვევს ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას მოგებაში ან ზარალში. სააღრიცხვო შეუსაბამობა წარმოიქმნება ან იზრდება, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში იწვევს უფრო დიდ შეუსაბამობას მოგებაში ან ზარალში იმასთან შედარებით, რასაც გამოიწვევდა აღნიშნული თანხების მოგებაში ან ზარალში ასახვა.

Б5.7.6 ამის დასადგენად საწარმომ უნდა შეაფასოს, იგი ელოდება თუ არა, რომ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტი, მოგებაში ან ზარალში გადაიფარება სხვა ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებებით, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ამგვარი მოლოდინი უნდა ეფუძნებოდეს ვალდებულებისა და სხვა ფინანსური აქტივის მახასიათებლებს შორის ეკონომიკურ ურთიერთკავშირს.

Б5.7.7 აღნიშნული გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებისას მიიღება და შემდგომში არ გადაისინჯება. პრაქტიკაში, აუცილებელი არ არის, რომ საწარმოს სააღრიცხვო შეუსაბამობების გამომწვევი ყველა აქტივისა და ვალდებულების გარიგება ზუსტად ერთსა და იმავე დროს იყოს დადებული. ნებადართულია გონივრულობის ფარგლებში დაყოვნება, თუ მოსალოდნელი იქნება, რომ ნებისმიერი დარჩენილი გარიგება შედგება. საწარმომ მუდმივად უნდა გამოიყენოს შეფასების ის მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებს იმის დასადგენად, ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ხომ არ იწვევს ან ზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობებს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, როდესაც განსხვავებული ეკონომიკური ურთიერთკავშირი არსებობს სხვა ფინანსური ინსტრუმენტების მახასიათებლებსა და იმ ფინანსური ვალდებულების მახასიათებლებს შორის, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, საწარმოს შეუძლია განსხვავებული მეთოდების გამოყენება. ფასს 7 საწარმოს ავალდებულებს, რომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახოს რაოდენობრივი ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ.

Б5.7.8 თუ წარმოიქმნება ან გაიზრდება ამგვარი შეუსაბამობა, საწარმოს მოეთხოვება რეალურ ღირებულებაში მომხდარი ყველა ცვლილების (ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტების ჩათვლით) ასახვა მოგებაში ან ზარალში. თუ არ წარმოიქმნება ან არ გაიზრდება ამგვარი შეუსაბამობა, საწარმოს ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტის ასახვა მოეთხოვება სხვა სრულ შემოსავალში.

Б5.7.9 დაუშვებელია სხვა სრულ შემოსავალში ასახული თანხების შემდგომში მოგებაში ან ზარალში გადატანა. თუმცა, საწარმოს შეუძლია აკუმულირებული თანხის გადატანა საკუთარი კაპიტალის ფარგლებში მუხლიდან მუხლში.

Б5.7.10 შემდეგ მაგალითში აღწერილია სიტუაცია, როდესაც მოგებაში ან ზარალში წარმოიქმნება სააღრიცხვო შეუსაბამობები, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტები აისახება სხვა სრულ შემოსავალში. იპოთეკური ბანკი სესხებს გასცემს მომხმარებლებზე და აღნიშნულ სესხებს აფინანსებს ბაზარზე თანმხვედრი მახასიათებლების (ე.ი დაუფარავი თანხა, გადახდის გრაფიკი, ვადა და ვალუტა) მქონე ობლიგაციების გაყიდვით. სესხის სახელშეკრულებო პირობები მის მფლობელს სესხის წინასწარ დაფარვის (ე.ი დააკმაყოფილოს ბანკის მიმართ მისი ვალდებულება) შესაძლებლობას აძლევს ბაზარზე შესაბამისი ობლიგაციის რეალური ღირებულებით შეძენისა და იპოთეკური ბანკისათვის მისი გადაცემით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარგადახდის უფლების შედეგად, თუ

ობლიგაციის საკრედიტო რეიტინგი ეცემა (და შესაბამისად იპოთეკური ბანკის ობლიგაციის რეალური ღირებულება მცირდება), იპოთეკური ბანკის სესხის აქტივის რეალური ღირებულებაც მცირდება. აქტივის რეალური ღირებულების ცვლილება ასახავს მომხმარებლის სახელშეკრულებო უფლებას, წინასწარ დაფაროს სესხი შესაბამისი ობლიგაციის რეალური ღირებულებით (რომელიც ამ მაგალითში შემცირდა) შეძენით და ამ ობლიგაციის გადაცემით იპოთეკური ბანკისთვის. შესაბამისად, მოგებაში ან ზარალში ვალდებულების (ობლიგაციის) საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი გადაიფარება შესაბამისი ფინანსური აქტივის (სესხის) რეალური ღირებულების ცვლილებებით. მოგებაში ან ზარალში წარმოიქმნებოდა სააღრიცხვო შეუსაბამობა, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი აისახებოდა სხვა სრულ შემოსავალში. შესაბამისად, იპოთეკურ ბანკს მოეთხოვება, მოგებაში ან ზარალში ასახოს ვალდებულების რეალურ ღირებულებაში მომხდარი ყველა ცვლილება (ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტის ჩავლით).

Ბ5.7.11 Ბ5.7.10 პუნქტში აღწერილ მაგალითში, ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტსა და ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილებას შორის არსებობს სახელშეკრულებო კავშირი (ე.ი იპოთეკური სესხის მომხმარებლის სახელშეკრულებო უფლება, წინასწარ დაფაროს სესხი, ობლიგაციის რეალური ღირებულებით შესყიდვით და მისი გადაცემით იპოთეკურ ბანკზე). თუმცა, სააღრიცხვო შეუსაბამობა შესაძლოა წარმოიქმნას სახელშეკრულებო კავშირის არარსებობის პირობებშიც.

Ბ5.7.12 5.7.7 და 5.7.8 პუნქტების გამოყენების მიზნებისთვის, სააღრიცხვო შეუსაბამობა არ წარმოიქმნება საწარმოს მიერ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტის გასაზომად გამოყენებული მეთოდის გამო. მოგებაში ან ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობა წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი (როგორც განსაზღვრულია ფასს 7-ში) გადაიფარება სხვა ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებით. მხოლოდ შეფასების მეთოდის გამო წარმოქმნილი შეუსაბამობა (ე.ი იმის გამო, რომ საწარმო რეალური ღირებულების ცვლილებაში არ გამოყოფს ვალდებულების საკრედიტო რისკისა და სხვა ფაქტორების ცვლილების გავლენას) გავლენას არ ახდენს 5.7.7 და 5.7.8 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად სააღრიცხვო შეუსაბამობების განსაზღვრაზე. მაგალითად, საწარმოს შეუძლია ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებები არ გამოჯნოს ლიკვიდობის რისკის ცვლილებებისგან. თუ საწარმო ორივე ფაქტორის კომბინირებულ ეფექტს ასახავს სხვა სრულ შემოსავალში, შესაძლოა წარმოიქმნას სააღრიცხვო შეუსაბამობა, რადგან ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილება შესაძლოა ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებას მოიცავდეს და აღნიშნული აქტივების რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილება ასახული იყოს მოგებაში ან ზარალში. თუმცა, ამგვარი შეუსაბამობა გამოწვეულია შეფასების მეთოდის ცდომილებით და არა Ბ5.7.6 პუნქტში აღწერილი ურთიერთგადამფარავი ურთიერთკავშირით და, შესაბამისად, გავლენას არ ახდენს სააღრიცხვო შეუსაბამობების განსაზღვრაზე, რაც მოითხოვება 5.7.7 და 5.7.8 პუნქტებში.

ტერმინის „საკრედიტო რისკი“ მნიშვნელობა (პუნქტები 5.7.7 და 5.7.8)

Ბ5.7.13 ფასს 7 საკრედიტო რისკს განსაზღვრავს შემდეგნაირად: „რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს“. 5.7.7(ა) პუნქტის მოთხოვნები უკავშირდება იმის რისკს, რომ ემიტენტი ვერ შეძლებს ამ კონკრეტული ვალდებულების შესრულებას. ეს აუცილებლად ემიტენტის გადახდისუნარიანობასთან არ არის დაკავშირებული. მაგალითად, თუ საწარმო უშვებს უზრუნველყოფილ და არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას, რომლებიც სხვა მხრივ იდენტურია, აღნიშნული ორი ვალდებულების საკრედიტო რისკი განსხვავებული იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი და იმავე საწარმოს მიერ არის გამოშვებული. უზრუნველყოფილი ვალდებულების საკრედიტო რისკი ნაკლები იქნება არაუზრუნველყოფილი ვალდებულების საკრედიტო რისკზე. უზრუნველყოფილი ვალდებულების საკრედიტო რისკი შესაძლოა ნულთან ახლოს იყოს.

Ბ5.7.14 5.7.7(ა) პუნქტის მოთხოვნების გამოყენების მიზნებისთვის, საკრედიტო რისკი განსხვავდება კონკრეტული აქტივის შედეგისთვის დამახასიათებელი რისკისგან. კონკრეტული აქტივის შედეგისთვის დამახასიათებელი რისკი დაკავშირებული არ არის საწარმოს მიერ კონკრეტული

 © IFRS Foundation

ვალდებულების შესრულებასთან, არამედ დაკავშირებულია იმის რისკთან, რომ კონკრეტული აქტივი ან აქტივების ჯგუფი ცუდ შედეგებს მოიტანს, ან საერთოდ არანაირს.

Б5.7.15 შემდეგი მაგალითები კონკრეტული აქტივის შედეგისთვის დამახასიათებელი რისკის მაგალითებია:

ა) ვალდებულება აქტივის შედეგებთან დაკავშირებული მახასიათებლით, როდესაც ხელშეკრულებით ინვესტორებისთვის გადასახდელი თანხა განისაზღვრება კონკრეტული აქტივების შედეგების საფუძველზე. ვალდებულების რეალურ ღირებულებაზე ზემოაღნიშნული მახასიათებლის გავლენა წარმოადგენს კონკრეტული აქტივის შედეგისთვის დამახასიათებელ რისკს და არა საკრედიტო რისკს;

ბ) სტრუქტურიზებული საწარმოს მიერ გამოშვებული ვალდებულება შემდეგი მახასიათებლებით: საწარმო სამართლებრივად იმგვარად არის იზოლირებული, რომ მისი აქტივები, გაკოტრების შემთხვევაშიც კი, დაცულია მხოლოდ ინვესტორების სასარგებლოდ. საწარმო არ აწარმოებს სხვა ოპერაციებს და არ შეიძლება მისი აქტივების დაგირავება. ინვესტორებზე თანხა გადასახდელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული აქტივები გამოიმუშავებს ფულად სახსრებს. შესაბამისად, ვალდებულების რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები, ძირითადად, ასახავს აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებებს. ვალდებულების რეალურ ღირებულებაზე აქტივების გამოყენების გავლენა წარმოადგენს კონკრეტული აქტივის შედეგისთვის დამახასიათებელ რისკს და არა საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტის განსაზღვრა

Б5.7.16 5.7.7(ა) პუნქტის მოთხოვნების გამოყენების მიზნებისთვის, საწარმომ უნდა განსაზღვროს ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება საკრედიტო რისკის ცვლილებას:

ა) როგორც რეალური ღირებულების ცვლილების ნაწილი, რომელიც დაკავშირებული არ არის საბაზრო რისკის გამომწვევი საბაზრო პირობების ცვლილებასთან (იხ. Б5.7.17 და Б5.7.18 პუნქტები); ან

ბ) რაიმე სხვა მეთოდით, რომელიც საწარმოს რწმენით უფრო სამართლიანად ასახავს ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილებას, რომელიც გამოწვეულია საკრედიტო რისკის ცვლილებით.

Б5.7.17 საბაზრო რისკის გამომწვევი ცვლილებები მოიცავს საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის, სხვა საწარმოს ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საქონლის ფასის, სავალუტო კურსის ან ფასების ინდექსის, ან განაკვეთების ცვლილებებს.

Б5.7.18 თუ ამა თუ იმ ვალდებულებისთვის საბაზრო პირობების მნიშვნელოვანი ცვლილებები მხოლოდ ემპირიული (საორიენტაციო) საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებია, 5.7.16(ა) პუნქტის თანხა შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) პირველ რიგში, საწარმო პერიოდის დასაწყისისთვის ვალდებულების რეალური ღირებულებისა და სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების გამოყენებით გამოითვლის ვალდებულების უკუგების შიდა განაკვეთს. იგი აღნიშნულ უკუგების განაკვეთს გამოაკლებს საწყისი პერიოდისათვის არსებულ ემპირიულ (საორიენტაციო) საპროცენტო განაკვეთს, რათა განსაზღვროს კონკრეტულად ინსტრუმენტთან დაკავშირებული უკუგების შიდა განაკვეთი;

ბ) შემდეგ საწარმო გამოითვლის ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას, პერიოდის ბოლოსთვის ვალდებულების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადებისა და დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ტოლია (1) პერიოდის ბოლოსთვის ემპირიული (საორიენტაციო) საპროცენტო განაკვეთისა და (2) ინსტრუმენტთან დაკავშირებული უკუგების შიდა განაკვეთის ჯამის, რომელიც (ა) პუნქტის შესაბამისად არის განსაზღვრული;

გ) პერიოდის ბოლოს ვალდებულების რეალურ ღირებულებასა და (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ თანხას შორის სხვაობა არის რეალური ღირებულების

ცვლილება, რომელიც დაკავშირებული არ არის ემპირიული (საორიენტაციო) საპროცენტო განაკვეთის ცვლილებასთან. იგი არის 5.7.7(ა) პუნქტის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში ასაღიარებელი თანხა.

ბ5.7.19 ბ5.7.18 პუნქტში მოცემულ მაგალითში იგულისხმება, რომ რეალური ღირებულების ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია ინსტრუმენტის საკრედიტო რისკისა და ემპირიული (საორიენტაციო) საპროცენტო განაკვეთის გარდა სხვა ფაქტორებით, მნიშვნელოვანი არ არის. ეს მეთოდი არ იქნება მისაღები, თუ სხვა ფაქტორებით გამოწვეული ცვლილებები მნიშვნელოვანია. ასეთ შემთხვევებში, საწარმოს მოეთხოვება სხვა მეთოდების გამოყენება, რომლებიც უფრო სამართლიანად შეაფასებს ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებების ეფექტებს/გავლენას (იხ. პუნქტი ბ5.7.16(ბ)). მაგალითად, თუ მაგალითში გამოყენებული ინსტრუმენტი შეიცავს ჩართულ წარმოებულს, 5.7.7(ა) პუნქტის შესაბამისად სხვა სრულ შემოსავალში ასასახი თანხის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებები.

ბ5.7.20 როგორც რეალური ღირებულების შეფასების ყველა შემთხვევაში, საწარმოს მიერ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეულ რეალური ღირებულების ცვლილების ნაწილის შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული შესაბამისი ემპირიული ამოსავალი მონაცემები და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი არაემპირიული მონაცემების გამოყენება.

ჰეჯირების აღრიცხვა (მე-6 თავი)

ჰეჯირების ინსტრუმენტები (ნაწილი 6.2)

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტებად კლასიფიცირების კრიტერიუმებს

ბ6.2.1 განცალკევებულ ჰეჯირების ინსტრუმენტებად არ შეიძლება კომბინირებულ ხელშეკრულებებში ჩართული ისეთი წარმოებულების კლასიფიცირება, რომლებიც განცალკევებით არ აღირიცხება.

ბ6.2.2 საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები არ წარმოადგენს საწარმოს ფინანსურ აქტივებსა თუ ვალდებულებებს და, შესაბამისად, არ შეიძლება მათი კლასიფიცირება ჰეჯირების ინსტრუმენტებად.

ბ6.2.3 სავალუტო რისკის ჰეჯირებისას, არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სავალუტო რისკის კომპონენტი განისაზღვრება ბასს 21-ის შესაბამისად.

გაყიდული ოფციონები

ბ6.2.4 ზოგიერთი გაყიდული ოფციონის გარდა, წინამდებარე სტანდარტი არ ზღუდავს გარემოებებს, როდესაც წარმოებული ინსტრუმენტი, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, შეიძლება კლასიფიცირდეს ჰეჯირების ინსტრუმენტად. გაყიდული ოფციონი არ აკმაყოფილებს ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, თუ იგი არ მიიჩნევა შეძენილი ოფციონის გადამფარავ ოფციონად, მათ შორის სხვა ფინანსურ ინსტრუმენტში ჩართული ოფციონი (მაგალითად, გაყიდული ქოლ-ოფციონი, რომელიც გამოიყენება გამოსყიდვადი ვალდებულების ჰეჯირებისთვის).

ჰეჯირების ინსტრუმენტებად კლასიფიცირება

ბ6.2.5 როდესაც საწარმო სავალუტო რისკის ჰეჯირების გარდა, ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, ისეთი არაწარმოებული ფინანსური აქტივის ან არაწარმოებული ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირებას ახდენს ჰეჯირების ინსტრუმენტად, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას შეუძლია მხოლოდ მთლიანად არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი პროპორციული ნაწილის კლასიფიცირება ჰეჯირების ინსტრუმენტად.

ბ6.2.6 ერთი ჰეჯირების ინსტრუმენტი ჰეჯირების ინსტრუმენტად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ერთზე მეტი რისკის ჰეჯირებისას, იმ პირობით, თუ კონკრეტულად ხდება ჰეჯირების ინსტრუმენტისა

 © IFRS Foundation

და რისკის პოზიციის ჰეჯირებულ მუხლად განსაზღვრა. აღნიშნული ჰეჯირების მუხლები შესაძლოა სხვადასხვა ჰეჯირების ურთიერთობების ელემენტები იყოს.

ჰეჯირებული მუხლები (ნაწილი 6.3)

ჰეჯირებადი მუხლები

Ბ6.3.1 საწარმოთა გაერთიანების დროს საწარმოს შესყიდვის მყარი ვალდებულება არ შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სავალუტო რისკი, იმის გამო, რომ სხვა სახის ჰეჯირებული რისკების კონკრეტულად განსაზღვრა და შეფასება შეუძლებელია. აღნიშნული სხვა რისკები წარმოადგენს საერთო ბიზნესრისკებს.

Ბ6.3.2 წილობრივი მეთოდით აღრიცხული ინვესტიცია არ შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი რეალური ღირებულების ჰეჯირებისას იმის გამო, რომ წილობრივი მეთოდის დროს მოგებაში ან ზარალში აღიარდება მეკავშირე საწარმოს ინვესტორის კუთვნილი წილი მოგებაში ან ზარალში და არა ინვესტიციის რეალური ღირებულების ცვლილებები. მსგავს მიზეზთა გამო, რეალური ღირებულების ჰეჯირების დროს კონსოლიდირებულ შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია არ შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი, ვინაიდან კონსოლიდაციის დროს შვილობილი საწარმოს მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და არა ინვესტიციის რეალური ღირებულების ცვლილებები. უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება განსხვავებულია, რადგან იგი წარმოადგენს უცხოური ვალუტის მოსალოდნელი დანაკარგების ჰეჯირებას და არა რეალური ღირებულების ჰეჯირებას, ინვესტიციის ღირებულების ცვლილებისთვის.

Ბ6.3.3 6.3.4 პუნქტი საწარმოს შესაძლებლობას აძლევს ჰეჯირებულ მუხლად მიიჩნიოს აგრეგირებული რისკის პოზიცია, რაც წარმოადგენს რისკისა და წარმოებული ინსტრუმენტის კომბინაციას. ასეთი ჰეჯირებული მუხლის კლასიფიცირებისას საწარმო აფასებს, აგრეგირებული რისკის პოზიცია იმგვარად აერთიანებს თუ არა რისკსა და წარმოებულ ინსტრუმენტს, რომ წარმოქმნიდეს განსხვავებულ აგრეგირებული რისკის პოზიციას, რომელიც კონკრეტული რისკისთვის (ან რისკებისთვის) იმართება როგორც ერთი რისკი. ამ შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია ჰეჯირებული მუხლი განსაზღვროს აგრეგირებული რისკის პოზიციის საფუძველზე, მაგალითად:

ა) საწარმოს შეუძლია, 15 თვის შემდეგ მოახდინოს ყავის გარკვეული რაოდენობის შესყიდვის მაღალი ალბათობით მოსალოდნელი გარიგების ფასის რისკის (აშშ დოლარში) ჰეჯირება ყავაზე 15-თვიანი ფიუჩერსული ხელშეკრულების დადებით. რისკის მართვის მიზნებისთვის ყავის შესყიდვის მაღალი ალბათობით მოსალოდნელი გარიგება და ყავაზე ფიუჩერსული ხელშეკრულება ერთობლიობაში შესაძლოა მიჩნეულ იქნეს 15-თვიანი, აშშ დოლარში გამოსახული ფიქსირებული თანხის სავალუტო რისკად (ე.ი როგორც აშშ დოლარში გამოსახული ფიქსირებული თანხის ფულადი ნაკადი, რომელიც საწარმოდან გავა 15 თვის შემდეგ);

ბ) უცხოურ ვალუტაში გამოსახულ 10-წლიან ფიქსირებულგანაკვეთიან სავალო ვალდებულების რისკთან მიმართებაში, საწარმოს შეუძლია სავალუტო რისკის ჰეჯირება სავალო ინსტრუმენტის მთელი ვადის განმავლობაში, თუმცა სამუშაო ვალუტაში გამოსახული ფიქსირებულგანაკვეთიანი ვალდებულების რისკის მართვა მხოლოდ მოკლე-საშუალოვადიან პერიოდში ესაჭიროება (მაგალითად ორი წელი) და სამუშაო ვალუტაში გამოსახული ცვალებადგანაკვეთიანი რისკის - დაფარვის ვადამდე დარჩენილ პერიოდში. ზემოაღნიშნული თითოეული ორწლიანი ინტერვალის ბოლოს (ანუ ორწლიან მცოცავ საფუძველზე) საწარმო ჰერჯირებისთვის განსაზღვრავს მომდევნო ორი წლის საპროცენტო განაკვეთის რისკს (როდესაც საპროცენტო განაკვეთის დონე ისეთია, რომ საწარმოს სურს ფიქსირებულგანაკვეთიანი პროცენტი). ამგვარ სიტუაციაში საწარმომ შეიძლება დადოს 10-წლიანი საპროცენტო განაკვეთის სვოპის გარიგება, რომელიც ითვალისიწნებს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გაცვლას ცვალებად საპროცენტო განაკვეთზე, რაც საწარმოს საშუალებას მისცემს, ფიქსირებულგანაკვეთიანი უცხოური ვალუტის ვალი შეცვალოს სამუშაო ვალუტაში გამოსახული ცვალებადგანა-კვეთიანი ფინანსურ ინსტრუმენტით. ეს გადაიფარება ორწლიანი საპროცენტო განაკვეთის სვოპის გარიგებით, რომელიც სამუშაო ვალუტის ბაზაზე, ცვალებადი

განაკვეთის მქონე ვალს ცვლის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ვალზე. ფაქტობრივად, რისკის მართვის მიზნებისთვის, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ვალი და 10-წლიანი ფიქსირებული/ცვალებადთან ვალუტების საპროცენტო განაკვეთის სვოპი ერთობლიობაში განიხილება, როგორც 10-წლიანი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალის სამუშაო ვალუტის რისკი.

B6.3.4 როდესაც ჰეჯირებული მუხლის კლასიფიცირება აგრეგირებული რისკის პოზიციის საფუძველზე ხდება, საწარმო ჰეჯირების ეფექტურობისა და არაეფექტურობის შეფასების მიზნით განიხილავს აგრეგირებული რისკის პოზიციის შემადგენელი მუხლების გაერთიანებულ გავლენას. თუმცა, აგრეგირებული რისკის პოზიციის შემადგენელი მუხლები მაინც განცალკევებულად აღირიცხება. ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად:

ა) აგრეგირებული რისკის პოზიციის შემადგენელი წარმოებულები აღიარდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული ცალკე აქტივები ან ვალდებულებები; და

ბ) თუ აგრეგირებული რისკის პოზიციის შემადგენელ მუხლებს შორის არსებობს ჰეჯირების ურთიერთობა, მეთოდი, რომლითაც წარმოებული ინსტრუმენტი მიეკუთვნება აგრეგირებული რისკის პოზიციას, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული წარმოებული ინსტრუმენტის ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების მეთოდს, აგრეგირებული რისკის პოზიციის დონეზე. მაგალითად, თუ საწარმო აგრეგირებული რისკის პოზიციის შემადგენელ მუხლებს შორის ჰეჯირების ურთიერთობის არსებობისას, წარმოებული ინსტრუმენტის ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირებისას გამორიცხავს მის ფორვარდულ ელემენტს, მან ფორვარდული ელემენტი უნდა გამორიცხოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოცემულ წარმოებულ ინსტრუმენტს რთავს აგრეგირებული რისკის პოზიციაში, როგორც ჰეჯირებულ მუხლს. სხვა სიტყვებით, აგრეგირებული რისკის პოზიცია უნდა მოიცავდეს წარმოებულ ინსტრუმენტს მთლიანად ან მის ნაწილს.

B6.3.5 6.3.6 პუნქტში აღნიშნულია, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგების სავალუტო რისკი ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირებულ მუხლად, თუ ეს გარიგება გამოსახული არ არის გარიგების მონაწილე საწარმოს სამუშაო ვალუტაში და სავალუტო რისკი გავლენას იქონიებს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე. ამ კონტექსტში, საწარმო შეიძლება იყოს მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ერთობლივი საქმიანობა ან ფილიალი. თუ პროგნოზირებულ შიდაჯგუფურ გარიგებაში სავალუტო რისკი გავლენას არ ახდენს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე, არ შეიძლება შიდაჯგუფური გარიგების მიჩნევა ჰეჯირებულ მუხლად. როგორც წესი, ეს არის როიალტის, პროცენტის გადახდის შემთხვევები, ან ერთი და იმავე ჯგუფის წევრებს შორის მმართველობითი ხარჯები, თუ მასთან დაკავშირებული სხვა გარე გარიგება არ არსებობს. ამასთან, როდესაც პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგების სავალუტო რისკი გავლენას იქონიებს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე, მაშინ შესაძლებელია პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგების კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად. ამის მაგალითია ჯგუფის წევრებს შორის მარაგების ყიდვა-გაყიდვის პროგნოზი, თუ ამას წინ უსწრებს მარაგების გაყიდვა ჯგუფის გარეთ სხვა მხარეზე. ანალოგიურად, ამა თუ იმ მოწყობილობის ჯგუფის შიგნით გაყიდვის პროგნოზირებულმა გარიგებამ, რომელსაც ჯგუფში შემავალი საწარმო ჯგუფის სხვა საწარმოებისათვის აწარმოებს, შეიძლება გავლენა იქონიოს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე. მაგალითად, ეს შეიძლება იმიტომ მოხდეს, რომ მოწყობილობას ცვეთას დაარიცხავს მყიდველი საწარმო და მოწყობილობასთან დაკავშირებით თავდაპირველად აღიარებული თანხა შეიძლება შეიცვალოს, თუ პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგება გამოსახული არ იქნება მყიდველი საწარმოს სამუშაო ვალუტით.

B6.3.6 თუ პროგნოზირებული შიდაჯგუფური გარიგება აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს, მაშინ, 6.5.11 პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება, ან ამოიღება სხვა სრული შემოსავლიდან. შესაბამისი პერიოდი ან პერიოდები, როდესაც ჰეჯირებული გარიგების სავალუტო რისკი გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე, არის პერიოდი, როდესაც იგი გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ მოგებაზე ან ზარალზე.

 © IFRS Foundation

ჰეჯირებული მუხლების კლასიფიცირება

Ბ6.3.7 კომპონენტი არის მთლიანი ჰეჯირებული მუხლის ნაწილი. შესაბამისად, კომპონენტი ასახავს იმ მუხლის მხოლოდ ზოგიერთ რისკს, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს, ან რისკებს ასახავს მხოლოდ გარკვეული მოცულობით (მაგალითად, როდესაც ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირდება ამა თუ იმ მუხლის პროპორციული ნაწილი).

რისკის კომპონენტები

Ბ6.3.8 ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებისათვის რისკის კომპონენტი უნდა იყოს ფინანსური ან არაფინანსური მუხლის განცალკევებით იდენტიფიცირებადი კომპონენტი და მუხლის ფულადი ნაკადების ან რეალური ღირებულების ცვლილებები, რომლებიც აღნიშნულ რისკის კომპონენტში ცვლილებებს უკავშირდება, უნდა იყოს საიმედოდ შეფასებადი.

Ბ6.3.9 იმისთვის, რომ განსაზღვროს, რისკის კომპონენტი აკმაყოფილებს თუ არა ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმებს, საწარმომ რისკის კომპონენტი უნდა შეაფასოს კონკრეტული საბაზრო სტრუქტურის პირობებში, რომელსაც უკავშირდება რისკი, ან რისკები და სადაც ხდება ჰეჯირება. ამგვარი გადაწყვეტილება მოითხოვს შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების შეფასებას, რომლებიც განსხვავებული იქნება რისკებისა და ბაზრების მიხედვით.

Ბ6.3.10 რისკის კომპონენტის ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებისას საწარმო განიხილავს, რისკის კომპონენტი არის თუ არა ხელშეკრულებით მკაფიოდ განსაზღვრული (ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტები), ან ნაგულისხმევია თუ არა ისინი იმ მუხლის რეალური ღირებულების ან ფულად ნაკადებში, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან (რისკის კომპონენტები, რომლებიც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული). რისკის კომპონენტები, რომლებიც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, შესაძლოა დაკავშირებული იყოს ისეთ მუხლებთან, რომლებიც არ წარმოადგენს ხელშეკრულებას (მაგალითად, პროგნოზირებული გარიგებები), ან ხელშეკრულებებთან, რომლებიც კომპონენტს მკაფიოდ არ განსაზღვრავს (მაგალითად, მყარი ვალდებულება, რომელიც სხვადასხვა ცვლადთან დაკავშირებული ფასების ფორმულის ნაცვლად მოიცავს მხოლოდ ერთ ფასს). მაგალითად:

ა) „ა“ საწარმოს გააჩნია ბუნებრივი აირის მიწოდებაზე გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის ფასიც განისაზღვრება ხელშეკრულებით კონკრეტული ფორმულის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს საქონელსა და სხვა ფაქტორებს (მაგალითად, თხევად გაზს, მაზუთსა და სხვა კომპონენტებს, როგორიცაა ტრანსპორტირების დანახარჯები). „ა“ საწარმო აღნიშნულ ხელშეკრულებაში თხევადი გაზის კომპონენტის ჰეჯირებას ახდენს ფორვარდული გარიგების გამოყენებით. იმის გამო, რომ თხევადი გაზის კომპონენტი განსაზღვრულია მიწოდების ხელშეკრულების პირობებით და გარემოებებით, იგი არის ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტი. აქედან გამომდინარე, ფასის ფორმულის გამო, „ა“ საწარმო დაასკვნის, რომ თხევადი გაზის ფასის რისკი არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი. ამავე დროს, თხევადი გაზის ფორვარდული ხელშეკრულებისთვის არსებობს ბაზარი. აქედან გამომდინარე, „ა“ საწარმო დაასკვნის, რომ თხევადი გაზის ფასის რისკი არის საიმედოდ შეფასებადი. შესაბამისად, მიწოდების ხელშეკრულებაში თხევადი გაზის ფასის რისკი არის ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებადი რისკის კომპონენტი;

ბ) „ბ“ საწარმო წარმოების პროგნოზის საფუძველზე ახდენს ყავის მომავალი შესყიდვის ჰეჯირებას. ჰეჯირება იწყება პროგნოზირებული შესყიდვის მოცულობის ნაწილის მიწოდებამდე 15 თვით ადრე. „ბ“ საწარმო დროთა განმავლობაში ზრდის ჰეჯირებულ მოცულობას (მიწოდების თარიღის მოახლოებასთან ერთად). „ბ“ საწარმო ყავის ფასის რისკის სამართავად იყენებს ორ სხვადასხვა სახის ხელშეკრულებას:

(i) ყავის საბირჟო (ვადიან) ფიუჩერსულ ხელშეკრულებებს; და

(ii) კონკრეტულ საწარმოო ქვედანაყოფში კოლუმბიიდან ყავა არაბიკას მიწოდების ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულებები ყავის ფასს ადგენს ფასის ფორმულის გამოყენებით, რომლის თანახმად ტონა ყავაზე ფასი განისაზღვრება შემდეგნაირად: ყავის საბირჟო ფიუჩერსული ხელშეკრულებების ფასს

დამატებული ფიქსირებული ფასის განსხვავება, დამატებული ლოჯისტიკის მომსახურების ცვლადი საზღაური.

ყავის მიწოდების ხელშეკრულება არის მომავალში შესასრულებელი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც „ბ“ საწარმო ფიზიკურად იღებს ყავას; მიმდინარე პერიოდის მოსავალთან დაკავშირებული მიწოდებებისთვის, ყავის მიწოდების ხელშეკრულების დადება „ბ“ საწარმოს შესაძლებლობას აძლევს, ზუსტად განსაზღვროს ფასის განსხვავება, შესყიდული ყავის ფაქტობრივ ხარისხსა (ყავა არაბიკა კოლუმბიიდან) და შესადარის (საორიენტაციო) ხარისხს შორის, რომელიც ყავის საბირჟო ფიუჩერსული ხელშეკრულებების ძირითადი ფაქტორია. თუმცა, მომავალ მოსავალთან დაკავშირებული მიწოდებებისთვის, ყავის მიწოდების ხელშეკრულებები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, შეუძლებელია ფასის განსხვავების განსაზღვრა. მიმდინარე და მომავალ მოსავალთან დაკავშირებული მიწოდებებისთვის ყავის ფასის რისკის საორიენტაციო ხარისხის კომპონენტის ჰეჯირებისთვის „ბ“ საწარმო იყენებს ყავის საბირჟო ფიუჩერსულ ხელშეკრულებას. „ბ“ საწარმო ადგენს, რომ იგი დგას სამი განსხვავებული რისკის წინაშე: საორიენტაციო ხარისხის ცვლილების ამსახველი ყავის ფასის რისკი, საორიენტაციო ხარისხის ყავის ფასსა და მის მიერ ფაქტობრივად მიღებული კოლუმბიის ყავა არაბიკას ფასს შორის სხვაობის (სპრედის) ამსახველი ყავის ფასის რისკისა და ლოჯისტიკის მომსახურების ცვალებადი დანახარჯების რისკი. მიმდინარე მოსავალთან დაკავშირებული მიწოდებებისთვის, მას შემდეგ რაც „ბ“ საწარმო დადებს ყავის მიწოდების ხელშეკრულების გარიგებას, საორიენტაციო ხარისხის ამსახველი ყავის ფასის რისკი იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტი, რადგან ფასის ფორმულა შეიცავს ინდექსაციას ყავის საბირჟო ფიუჩერსული ხელშეკრულებების ფასის მიმართ. „ბ“ საწარმო დაასკვნის, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი. მომავალ მოსავალთან დაკავშირებული მიწოდებებისთვის, „ბ“ საწარმოს ჯერ არა აქვს დადებული ყავის მიწოდების რაიმე ხელშეკრულება (ე.ი აღნიშნული მოწოდებები არის პროგნოზირებული გარიგებები). შესაბამისად, საორიენტაციო ხარისხის ამსახველი ყავის ფასის რისკი არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტი. „ბ“ საწარმოს მიერ ბაზრის სტრუქტურის ანალიზი ითვალისწინებს, როგორ არის შეფასებული მის მიერ კონკრეტული ყავის მომავალი მიწოდებები, რომელსაც ის იღებს. შესაბამისად, ბაზრის სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე, „ბ“ საწარმო დაასკვნის, რომ პროგნოზირებული გარიგება შეიცავს საორიენტაციო ხარისხის ამსახველ ყავის ფასის რისკს, რომელიც არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული. მაშასადამე, „ბ“ საწარმოს ყავის მიწოდების ხელშეკრულებებისა და ასევე პროგნოზირებული გარიგებებისათვის ჰეჯირების ურთიერთობათა კლასიფიკაცია შეუძლია რისკის კომპონენტთა საფუძველზე (საორიენტაციო ხარისხის ამსახველი ყავის ფასის რისკი).

გ) „გ“ საწარმო თვითმფრინავის საწვავის მომავალი შესყიდვის ჰეჯირებას ახდენს მიწოდებამდე 24 თვით ადრე, მისი მოსალოდნელი მოხმარების საფუძველზე და დროთა განმავლობაში ზრდის ჰეჯირების მოცულობას. „გ“ საწარმო აღნიშნული რისკის ჰეჯირებისათვის, ჰეჯირების დროით პერიოდზე დაყრდნობით, იყენებს ორი სხვადასხვა სახის ხელშეკრულებას, რომელიც გავლენას ახდენს წარმოებული ინსტრუმენტის საბაზრო ლიკვიდობაზე. გრძელვადიანი პერიოდისათვის (12-24 თვე) „გ“ საწარმო იყენებს ნედლი ნავთობის ხელშეკრულებებს, ვინაიდან მხოლოდ მათ გააჩნიათ საკმარისი საბაზრო ლიკვიდობა. 6-12 თვემდე პერიოდისათვის „გ“ საწარმო იყენებს თხევადი გაზის ხელშეკრულებებს, რადგან მათ გააჩნიათ საკმარისი ლიკვიდობა. 6 თვემდე პერიოდისათვის „გ“ საწარმო იყენებს თვითმფრინავის საწვავის ხელშეკრულებებს. საწარმო ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბაზრის სტრუქტურის ანალიზს და შესაბამისი ფაქტებისა და გარემოებების შეფასებას ახორციელებს შემდეგნაირად:

(i) „გ“ საწარმო საქმიანობს ისეთ რეგიონში, სადაც „ბრენტის“ მარკა არის ნედლი ნავთობის საორიენტაციო ნედლეული. ნედლი ნავთობი არის საორიენტაციო/საბაზისო ნედლეული, რომელიც გავლენას ახდენს გადამუშავებული ნავთობის სხვადასხვა პროდუქტის ფასზე, რადგან მათი მთავარი შემადგენელი

 © IFRS Foundation

კომპონენტია. თხევადი გაზი არის საორიენტაციო გადამუშავებული ნავთობ-პროდუქტი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება როგორც ნავთობის დისტილატებზე ფასის მაჩვენებელი. რეგიონში, სადაც „გ“ საწარმო ეწევა საქმიანობას, ზემოაღნიშნული ასევე გაითვალისწინება ნედლი ნავთობისა და სხვადასხვა ნავთობპროდუქტის ბაზარზე არსებული სხვადასხვა ტიპის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში, ასე, მაგალითად:

- ნედლი ნავთობის საორიენტაციო ფიუჩერსული ხელშეკრულება, რომელიც არის ბრენტის მარკის ნედლი ნავთობი;
- საორიენტაციო თხევადი გაზის ფიუჩერსული ხელშეკრულება, რომელიც დისტილატებისთვის ფასის ორიენტირად გამოიყენება, მაგალითად თვითმფრინავის საწვავის სპრედი წარმოებული ფარავს თვითმფრინავის საწვავისა და საორიენტაციო თხევადი გაზის ფასებს შორის სხვაობას; და
- თხევადი გაზის გადამუშავების სპედის წარმოებული (ე.ი წარმოებული ნედლი ნავთობისა და თხევადი გაზის ფასთა შორის სხვაობისთვის – გადამუშავების/რაფინირების მარჟა), რომელიც ინდექსირებულია ბრენტის მარკის ნედლი ნავთობის მიმართ.

(ii) გადამუშავებული ნავთობპროდუქტების ფასი დამოკიდებული არაა იმაზე, კონკრეტული გადამამუშავებელი საწარმო რომელი ტიპის ნედლ ნავთობს ფლობს, რადგან გადამუშავებული ნავთობპროდუქტები (როგორიცაა თხევადი გაზი და თვითმფრინავის საწვავი) სტანდარტული პროდუქტებია.

აქედან გამომდინარე, „გ“ საწარმო დაასკვნის, რომ თვითმფრინავის საწვავის შესყიდვის ფასის რისკი შეიცავს ბრენტის მარკის ნედლ ნავთობისა და თხევადი გაზის ფასის რისკის კომპონენტზე დაფუძნებული ნედლი ნავთობის გადამუშავების ფასის რისკის კომპონენტს, მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო შეთანხმებაში ნახსენები არ არის ნედლი ნავთობი და თხევადი გაზი. „გ“ საწარმო გადაწყვეტს, რომ ზემოაღნიშნული ორი რისკის კომპონენტი არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული. მაშასადამე „გ“ საწარმოს თვითმფრინავის საწვავის პროგნოზირებული შესყიდვისათვის ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირება შეუძლია რისკის კომპონენტის საფუძველზე (ნედლი ნავთობის ან თხევადი გაზის). აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: თუ „გ“ საწარმო დასავლეთ ტეხასის შუალედური“ (WTI) მარკის ნავთობზე დაფუძნებულ ნედლი ნავთობის წარმოებულს გამოიყენებდა, ბრენტის მარკის ნედლი ნავთობისა და WTI ნედლი ნავთობის ფასთა სხვაობის ცვლილებები გამოიწვევდა ჰეჯირების არაეფექტურობას;

დ) „დ“ საწარმო ფლობს ფიქსირებული განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტს. ინსტრუმენტი გამოშვებულია ისეთ რეგიონში, სადაც ბაზარზე მსგავსი სავალო ინსტრუმენტების ფართო სპექტრი ერთმანეთს უდარდება მათი სპრედის მიხედვით საორიენტაციო განაკვეთთან მიმართებით (მაგალითად, LIBOR) და ამ რეგიონში ცვალებადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები, როგორც წესი, ინდექსირებულია საორიენტაციო განაკვეთის მიმართ. საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად ხშირად გამოიყენება საპროცენტო განაკვეთების სვოპი, მიუხედავად საბაზისო განაკვეთის მიმართ სავალო ინსტრუმენტის სპრედისა. სავალო ინსტრუმენტის ფასი პირდაპირ იცვლება საორიენტაციო განაკვეთის ცვლილების პასუხად, ამ უკანასკნელის ცვლილებისთანავე. „დ“ საწარმო დაასკვნის, რომ საორიენტაციო განაკვეთი არის ცალკე იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი კომპონენტი. მაშასადამე, „დ“ საწარმოს შეუძლია საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის ფიქსირებული განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტის ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირება მოახდინოს რისკის კომპონენტის საფუძველზე.

ბ6.3.11 როდესაც რისკის კომპონენტი კლასიფიცირდება ჰეჯირებულ მუხლად, ჰეჯირების აღრიცხვა ისევე გამოიყენება აღნიშნული რისკის კომპონენტის მიმართ, როგორც სხვა ჰეჯირებული მუხლებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენს რისკის კომპონენტს. მაგალითად, გამოიყენება

კლასიფიცირების კრიტერიუმები, მათ შორი, ის, რომ ჰეჯირების ურთიერთობა უნდა აკმაყოფილებდეს ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებს და ჰეჯირების არაეფექტურობა უნდა შეფასდეს და აღიარდეს.

ბ6.3.12 საწარმოს ასევე შეუძლია მხოლოდ გარკვეული ფასის ან სხვა ცვლადის ზემოთ ან ქვემოთ ფულადი ნაკადების ან რეალური ღირებულების ცვლილების კლასიფიკაცია ჰეჯირებულ მუხლად („ცალმხრივი რისკი“). ჰეჯირებულ მუხლში ცალმხრივ რისკს ასახავს ჰეჯირების ინსტრუმენტად გამოყენებული შესყიდული ოფციონის საკუთარი ღირებულება (იმ დაშვებით, რომ მას გააჩნია იგივე ძირითადი პირობები, რაც კლასიფიცირებულ რისკს), მაგრამ არა მისი დროითი ღირებულება. მაგალითად, საწარმოს შეუძლია საქონლის მოსალოდნელი შესყიდვის ფასის ზრდით გამოწვეული მომავალი ფულადი ნაკადების ცვალებადობის კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად. ასეთ შემთხვევაში, საწარმო მხოლოდ კონკრეტული დონის ზემოთ ფასის ზრდით გამოწვეული ფულადი სახსრების დანაკარგების კლასიფიცირებას ახდენს ჰეჯირებულ მუხლად. ჰეჯირებული რისკი არ მოიცავს შესყიდული ოფციონის დროით ღირებულებას, რადგან დროითი ღირებულება არ არის პროგნოზირებული გარიგების კომპონენტი, რომელიც გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე.

ბ6.3.13 არსებობს შემდეგი უარყოფადი ვარაუდი: თუ ინფლაციის რისკი არ არის ხელშეკრულებით განსაზღვრული, იგი არ არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი და, შესაბამისად, არ შეიძლება მისი კლასიფიცირება ფინანსური ინსტრუმენტის რისკის კომპონენტად. თუმცა, იშვიათ შემთხვევებში, შესაძლებელია იმის დადგენა, რომ ინფლაციის რისკის კომპონენტი განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადია ინფლაციის გარემოსა და შესაბამისი სავალო ინსტრუმენტების ბაზრის კონკრეტულ გარემოებათა გამო.

ბ6.3.14 მაგალითად, საწარმო სავალო ინსტრუმენტს უშვებს გარემოში, სადაც ინფლაციაზე მიბმულ ობლიგაციებს გააჩნია ისეთი მოცულობა და საპროცენტო განაკვეთების ვადების სტრუქტურა, რომლებიც ქმნის საკმარისად ლიკვიდურ ბაზარს და შესაძლებელია სავალო ინსტრუმენტისთვის ნულოვანი კუპონური რეალური საპროცენტო განაკვეთების ვადების სტრუქტურის განსაზღვრა. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი ვალუტის ინფლაცია არის რელევანტური ფაქტორი, რომელსაც სავალო ინსტრუმენტის ბაზრებზე განცალკევებით განიხილავენ. ასეთ ვითარებაში, ინფლაციის რისკის კომპონენტი შესაძლოა დადგინდეს ჰეჯირებული სავალო ინსტრუმენტის ფულადი ნაკადების დისკონტირებით ნულოვანი კუპონური რეალური საპროცენტო განაკვეთების შესაბამისი ვადების სტრუქტურის გამოყენებით (ანუ ურისკო (ნომინალური) საპროცენტო განაკვეთის კომპონენტის დადგენის მსგავსად). ამის საპირისპიროდ, მეტ-წილ შემთხვევებში, ინფლაციის რისკის კომპონენტი არ არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი. მაგალითად, გარემოში, სადაც ინფლაციაზე მიბმული ობლიგაციების ბაზარი არ არის საკმარისად ლიკვიდური იმისათვის, რომ ნულოვანი კუპონური რეალური საპროცენტო განაკვეთების ვადის სტრუქტურის განსაზღვრის საშუალებას იძლეოდეს, საწარმო უშვებს მხოლოდ ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტს. ასეთ შემთხვევაში ბაზრის სტრუქტურისა და ფაქტებისა და გარემოებების ანალიზი საწარმოს ვერ დაეხმარება იმის დადგენაში, რომ ინფლაცია რელევანტური ფაქტორია, რომელიც სავალო ინსტრუმენტების ბაზრების მიერ ცალკე განიხილება. შესაბამისად, საწარმო ვერ უარყოფს ზემოაღნიშნულ უარყოფად ვარაუდს, რომ ინფლაციის რისკი, რომელიც ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული, განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი არ არის. მაშასადამე ინფლაციის რისკის კომპონენტი უფლებემოსილი არ იქნება ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებისათვის. ეს ეხება ინფლაციის ჰეჯირების ნებისმიერ ინსტრუმენტს, რომლის შესახებაც საწარმომ ფაქტობრივად დადო გარიგება. კერძოდ, საწარმოს არ შეუძლია ინფლაციის ჰეჯირების ფაქტობრივი ინსტრუმენტის ვადებისა და პირობების პირდაპირ გადატანა/მიკუთვნება ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტზე.

ბ6.3.15 ინფლაციასთან მიბმული, აღიარებული ობლიგაციის ფულადი ნაკადების ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფლაციის რისკი (იმ პირობით, რომ არ არსებობს ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის განცალკევებით აღრიცხვის მოთხოვნა) არის განცალკევებით იდენტიფიცირებადი და საიმედოდ შეფასებადი, რადგან ინსტრუმენტის სხვა ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს ინფლაციის რისკის კომპონენტი.

 © IFRS Foundation

ნომინალური ღირებულების კომპონენტები

Ბ6.3.16 არსებობს ნომინალური ღირებულების ორი სახის კომპონენტი, რომლებიც ჰეჯირების ურთიერთობაში შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჰეჯირებულ მუხლად: მთლიანი მუხლის პროპორციული კომპონენტი, ან ფენის კომპონენტი. კომპონენტის ტიპი ცვლის სააღრიცხვო შედეგს. საწარმომ აღრიცხვის მიზნებისათვის კომპონენტის კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს რისკის მართვის მიზნის შესაბამისად.

Ბ6.3.17 პროპორციული კომპონენტის მაგალითია სესხის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების 50 პროცენტი.

Ბ6.3.18 ფენის კომპონენტი შესაძლოა განსაზღვრული იყოს რომელიმე წინასწარგანსაზღვრული, მაგრამ ღია გენერალური ერთობლიობიდან, ან წინასწარდადგენილი ნომინალური ღირებულებიდან. მაგალითად:

ა) ფულადი ოპერაციის მოცულობის ნაწილი, მაგალითად 201X წლის მარტში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გაყიდვების პირველი 20 უფე-ის შემდეგ მიღებული 10 უფე-ის ფულადი სახსრები;[4]

ბ) ფიზიკური მოცულობის ნაწილი, მაგალითად XYZ ადგილზე მოთავსებული ბუნებრივი აირის ქვედა ფენა, 5 მლნ კუბური მეტრის ოდენობით;

გ) ფიზიკური მოცულობის ან სხვა ოპერაციის ნაწილი, მაგალითად 201X წლის ივნისში შეძენილი ნავთობის პირველი 100 ბარელი, ან 201X წლის ივნისის ელექტროენერგიის მიწოდების პირველი 100 მგვტ/სთ; ან

დ) ჰეჯირებული მუხლის ნომინალური ღირებულების ფენა, მაგალითად 100 მლნ ფე ღირებულების მყარი ვალდებულების ბოლო 80 მლნ ფე, 100 მლნ ფე ღირებულების ფიქსირებულგანაკვეთიანი ობლიგაციის ქვედა ფენა, 20 მლნ ფე ღირებულებით, ან 30 მლნ ფე ღირებულების ზედა ფენა, 100 მლნ ფე ღირებულების ფიქსირებულგანაკვეთიანი ვალის, რომლის წინასწარ დაფარვა შესაძლებელია რეალური ღირებულებით (განსაზღვრული ნომინალური ღირებულება არის 100 მლნ ფე).

Ბ6.3.19 თუ რეალური ღირებულების ჰეჯირებაში ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებულია ფენის კომპონენტი, საწარმომ იგი უნდა გამოყოს განსაზღვრული ნომინალური ღირებულებიდან. რეალური ღირებულების ჰეჯირების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საწარმომ რეალური ღირებულების ცვლილებებისათვის ხელახლა უნდა შეაფასოს ჰეჯირებული მუხლი (ე.ი ხელახლა შეაფასოს მუხლი ჰეჯირებულ რისკს მისაკუთვნებელი რეალური ღირებულების ცვლილებისათვის). რეალური ღირებულების ჰეჯირების კორექტირება უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში არაუგვიანეს მუხლის აღიარების შეწყვეტისა. შესაბამისად, საჭიროა იმ აქტივზე თვალყურის დევნება, რომელსაც რეალური ღირებულების ჰეჯირების კორექტირება უკავშირდება. აქედან გამომდინარე, რეალური ღირებულების ჰეჯირების დროს, საწარმომ უნდა გაარკვიოს ფენის კომპონენტის ნომინალური ღირებულება, საიდანაც იგი არის განსაზღვრული. მაგალითად, Ბ6.3.18(დ) პუნქტში, 20 მლნ ფე ღირებულების ქვედა ფენის, ან 30 მლნ ფე ღირებულების ზედა ფენის შემოწმების მიზნით, უნდა შემოწმდეს მთლიანი განსაზღვრული ნომინალური ღირებულება 100 მლნ ფე ღირებულება.

Ბ6.3.20 რეალური ღირებულების ჰეჯირებისას, ფენის კომპონენტი, რომელიც მოიცავს წინასწარ გადახდის ოფციონს, ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმებს არ დააკმაყოფილებს, თუ ჰეჯირებული რისკი გავლენას ახდენს წინასწარ გადახდის ოფციონის რეალურ ღირებულებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებული ფენაში გათვალისწინებულია დაკავშირებული წინასწარ გადახდის ოფციონის გავლენა ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებების განსაზღვრისას.

4. ამ სტანდარტში ფულადი თანხები გამოსახულია „ფულად ერთეულებში“ (ფე) და „უცხოურ ფულად ერთეულებში“ (უფე).

მუხლის მთლიან ფულად ნაკადებსა და კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირი

Ბ6.3.21 თუ ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ფულადი ნაკადის ნაწილი, აღნიშნული კლასიფიცირებული ნაწილი მთლიანი მუხლის მთლიანი ფულადი ნაკადის ტოლი ან მასზე ნაკლები უნდა იყოს. თუმცა, შესაძლებელია, რომ მთლიანი მუხლის ყველა ფულადი ნაკადი კლასიფიცირებული იყოს ჰეჯირებულ მუხლად და მხოლოდ ერთი კონკრეტული რისკის ჰეჯირება განხორციელდეს (მაგალითად, მხოლოდ ისეთი ცვლილებების, რომლებიც უკავშირდება ცვლილებებს LIBOR-ში, ან საორიენტაციო სასაქონლო ფასში).

Ბ6.3.22 მაგალითად, ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი LIBOR-ზე დაბალია, საწარმოს არ შეუძლია ჰეჯირებულ მუხლად განიხილოს:

ა) LIBOR-ის პროცენტის ტოლი ვალდებულების ნაწილი (პლუს ძირი თანხა რეალური ღირებულების ჰეჯირებისას); და

ბ) უარყოფითი ნარჩენი (დარჩენილი) კომპონენტი.

Ბ6.3.23 თუმცა, ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი LIBOR-ზე 100 საბაზისო პუნქტით ნაკლებია, საწარმოს ჰეჯირებულ მუხლად შეუძლია განიხილოს აღნიშნული ვალდებულების ღირებულებაში LIBOR-ის ცვლილებასთან დაკავშირებული ცვლილება (ე.ი ძირ თანხას დამატებული პროცენტი LIBOR-ის დონეზე და გამოკლებული 100 საბაზისო პუნქტი). თუ ფიქსირებულგანაკვეთიანი ფინანსური ინსტრუმენტი ჰეჯირებულია მისი მიღებიდან დროის რაღაც პერიოდის შემდეგ და, იმავდროულად, შეიცვალა საპროცენტო განაკვეთები, საწარმოს შეუძლია რისკის კომპონენტის კლასიფიკაცია, რომელიც ამ მუხლზე გადახდილ სახელშეკრულებო განაკვეთზე მეტი საორიენტაციო განაკვეთის ტოლია. საწარმოს იმ პირობით შეუძლია ასე მოქცევა, თუ საწყისი განაკვეთი ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე ნაკლებია, რომელიც იმ დაშვებით გამოითვლება, რომ საწარმომ ინსტრუმენტი ჰეჯირებული მუხლის პირველად აღიარების თარიღისთვის შეიძინა. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, საწარმო ყიდულობს 100 ფე ღირებულების ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ აქტივს, რომელსაც გააჩნია 6 პროცენტი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იმ დროს, როდესაც LIBOR არის 4 პროცენტი. იგი იწყებს აღნიშნული აქტივის ჰეჯირებას დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც LIBOR გაიზრდება 8 პროცენტამდე და აქტივის რეალური ღირებულება შემცირდება 90 ფე ღირებულებამდე. საწარმო ანგარიშობს: თუ იგი აქტივს იყიდდა იმ თარიღისთვის, როდესაც LIBOR-თან დაკავშირებული განაკვეთის რისკი პირველად მიიჩნია ჰეჯირებულ მუხლად, აქტივის ეფექტური საპროცენტო შემოსავალი, 90 ფე-ის ტოლ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, იქნება 9,5 პროცენტი. ვინაიდან LIBOR ნაკლებია ეფექტურ საპროცენტო შემოსავალზე, საწარმოს შეუძლია 8-პროცენტიანი LIBOR-ის კომპონენტის კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად, რომელიც შედგება ნაწილობრივ სახელშეკრულებო საპროცენტო ფულადი ნაკადებისგან და ნაწილობრივ მიმდინარე რეალურ ღირებულებასა (ე.ი. 90 ფე) და დაფარვის თანხას (ე.ი. 100 ფე) შორის სხვაობისგან.

Ბ6.3.24 თუ ცვალებადგანაკვეთიან ფინანსურ ვალდებულებას გააჩნია საპროცენტო განაკვეთი, მაგალითად, სამთვიან LIBOR-ს გამოკლებული 20 საბაზისო პუნქტი (ნულოვანი საბაზისო პუნქტის ფლორით), საწარმოს შეუძლია ჰეჯირებულ მუხლად მიიჩნიოს აღნიშნული მთლიანი ვალდებულების ფულადი ნაკადების ცვლილება (ე.ი სამთვიან LIBOR-ს მინუს 20 საბაზისო პუნქტი, ფლორის ჩათვლით), რომელიც დაკავშირებულია LIBOR-ის ცვლილებასთან. შესაბამისად, სანამ ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში სამთვიანი LIBOR-ის მქონე ფორვარდული ხელშეკრულების შემოსავლიანობის მრუდი არ დაეცემა 20 საბაზისო პუნქტზე დაბლა, ჰეჯირებული მუხლის ფულად ნაკადებს ექნება იგივე ცვალებადობა, რაც ვალდებულებას, რომელსაც აქვს პროცენტი სამთვიან LIBOR-ზე ნულოვანი ან დადებითი სპრედით. თუმცა, თუ აღნიშნული ვალდებულების (ან მისი ნაწილის) დარჩენილი ვადის განმავლობაში სამთვიანი LIBOR-ის მქონე ფორვარდული ხელშეკრულების შემოსავლიანობის მრუდი დაეცემა 20 საბაზისო პუნქტზე დაბლა, ჰეჯირებულ მუხლს ექნება ფულადი ნაკადების ნაკლები ცვალებადობა, ვიდრე იმ ვალდებულებას, რომელსაც გააჩნია პროცენტი სამთვიან LIBOR-ზე ნულოვანი ან დადებითი სპრედით.

 © IFRS Foundation

Б6.3.25 არაფინანსური მუხლისათვის მსგავსი მაგალითია სპეციფიკური სახის ნედლი ნავთობი კონკრეტული ნავთობის საბადოდან, რომელიც ფასდება შესაბამისი საორიენტაციო ნედლი ნავთობის მიმართ. თუ საწარმო აღნიშნულ ნედლ ნავთობს გაყიდის ხელშეკრულებით, რომელიც ბარელზე ფასს ადგენს სახელშეკრულებო ფასის ფორმულის გამოყენებით, როგორც საორიენტაციო ნედლი ნავთობის ფასს მინუს 10 ფე, 15 ფე-ის ტოლი ფლორით, საწარმოს ჰეჯირებულ მუხლად შეუძლია მიიჩნიოს გაყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში მთლიანი ფულადი ნაკადების ცვალებადობა, რომელიც საორიენტაციო ნედლი ნავთობის ფასის ცვლილებას მიეკუთვნება. თუმცა, საწარმოს არ შეუძლია საორიენტაციო ნედლი ნავთობის ფასის მთლიანი ცვლილების ტოლი კომპონენტის კლასიფიცირება ჰეჯირებულ მუხლად. შესაბამისად, სანამ ფორვარდული ხელშეკრულების ფასი (თითოეული მიწოდებისას) არ ეცემა 25 ფე-ზე დაბლა, ჰეჯირებულ მუხლს ექნება ფულადი ნაკადების იგივე ცვალებადობა, რაც ნედლი ნავთობის გაყიდვას საორიენტაციო ნედლი ნავთობის ფასად (ან დადებითი სპრედით). თუმცა, თუ ფორვარდული ხელშეკრულების ფასი ნებისმიერი მიწოდებისას 25 ფე-ზე დაბლა ეცემა, ჰეჯირებულ მუხლს ექნება ფულადი ნაკადების ნაკლები ცვალებადობა, ვიდრე ნედლი ნავთობის გაყიდვას საორიენტაციო ნედლი ნავთობის ფასად (ან დადებითი სპრედით).

ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმები (ნაწილი 6.4)

ჰეჯირების ეფექტურობა

Б6.4.1 ჰეჯირების ეფექტურობა არის ხარისხი, რომლითაც ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების, ან ფულადი ნაკადების ცვლილება გადაფარავს ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებას (მაგალითად, როდესაც ჰეჯირებული მუხლი არის რისკის კომპონენტი, ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების შესაბამისი ცვლილება არის ჰეჯირებულ რისკთან დაკავშირებული ცვლილება). ჰეჯირების არაეფექტურობა არის ხარისხი, რომლითაც ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილება მეტია ან ნაკლებია ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვლილებაზე.

Б6.4.2 ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაციისას და პერიოდულად, საწარმომ უნდა შეაფასოს ჰეჯირების არაეფექტურობის წყაროები, რომლებიც მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს ჰეჯირების ურთიერთობაზე მათი ვადის განმავლობაში. აღნიშნული ანალიზი (Б6.5.21 პუნქტის შესაბამისად ჰეჯირების ურთიერთობის ხელახალი დაბალანსების შედეგად წარმოქმნილი ნებისმიერი განახლების ჩათვლით) არის საწარმოს მიერ ჰეჯირების ეფექტურობის დაკმაყოფილების შეფასების საფუძველი.

Б6.4.3 გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, თავდაპირველი კონტრაჰენტის კლირინგული კონტრაჰენტით ჩანაცვლების ეფექტები და 6.5.6 პუნქტში აღწერილი დაკავშირებული ცვლილებების განხორციელება უნდა აისახოს ჰეჯირების ინსტრუმენტის შეფასებაში და, შესაბამისად, ჰეჯირების ეფექტურობის შეფასებასა და გაზომვაში.

ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირი

Б6.4.4 ეკონომიკური ურთიერთკავშირის არსებობის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს გააჩნია ღირებულება, რომელიც, საზოგადოდ, ერთი და იმავე ჰეჯირებული რისკის გამო საპირისპირო მიმართულებით იცვლება. შესაბამისად, უნდა არსებობდეს მოლოდინი, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულება და ჰეჯირებული მუხლის ღირებულება სისტემატურად შეიცვლება ერთი და იმავე ძირითადი ცვლადის ან ცვლადების პასუხად, რომლებიც ისეთი გზით არის ერთმანეთთან ეკონომიკურად დაკავშირებული, რომ ჰეჯირებულ რისკზე ერთნაირად რეაგირებენ (მაგალითად, ბრენტის, ან WTI მარკის ნედლი ნავთობი).

Б6.4.5 თუ ცვლადები არ არის ერთი და იგივე, მაგრამ ეკონომიკურად ურთიერთდაკავშირებულია, ზოგჯერ შესაძლოა ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის ღირებულება ერთი და იმავე მიმართულებით მოძრაობდეს, მაგალითად, როდესაც მითითებულ ორი ძირითადი ცვლადის ფასების სხვაობა იცვლება, მაგრამ თავად ცვლადი სიდიდეები მნიშვნელოვნად არ იცვლება. ასეთი სიტუაცია მაინც შეესაბამება ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს

შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირის არსებობას, თუ კიდევ არის მოსალოდნელი, რომ ძირითადი ცვლადის ცვლილებისას ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის ღირებულება შეიცვლება საპირისპირო მიმართულებით.

Ბ6.4.6 ეკონომიკური ურთიერთკავშირის არსებობის შეფასება მოიცავს ჰეჯირების ურთიერთობათა მოსალოდნელი ქცევის შეფასებას მისი პერიოდის განმავლობაში, რათა დადგინდეს, მოსალოდნელია თუ არა, რომ იგი დააკმაყოფილებს რისკის მართვის მიზნებს. ორ ცვლადს შორის სტატისტიკური კორელაცია თავისთავად არ ნიშნავს, რომ მათ შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირი არსებობს.

საკრედიტო რისკის გავლენა

Ბ6.4.7 ვინაიდან ჰეჯირების აღრიცხვა ეფუძნება ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლთან დაკავშირებული შემოსულობისა და ზარალის ურთიერთგადაფარვის ცნებას, ჰეჯირების ეფექტურობა განისაზღვრება არა მარტო აღნიშნულ მუხლებს შორის ეკონომიკური ურთიერთკავშირით, არამედ ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის ღირებულებაზე საკრედიტო რისკის გავლენით. საკრედიტო რისკის გავლენა იმას ნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის არსებობს ეკონომიკური ურთიერთკავშირი, ურთიერთგადაფარვის დონე შესაძლოა ცვალებადი გახდეს. ასე შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული მუხლის საკრედიტო რისკის ცვლილება ისეთი სიდიდისაა, რომ საკრედიტო რისკი დომინირებს ეკონომიკური ურთიერთკავშირით გამოწვეული ღირებულების ცვლილებაზე (ე.ი ძირითადი ფაქტორების ცვლილების ეფექტზე). დომინანტობის წარმომქმნელი სიდიდე არის ის, რომელიც საკრედიტო რისკის გამო გამოიწვევს ზარალს (ან შემოსულობას), რომელიც ხელს უშლის ძირითადი ფაქტორების ცვლილების ეფექტს ჰეჯირებული მუხლის ან ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამგვარი ცვლილებები მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამის საპირისპიროდ, თუ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ძირითადი ფაქტორები მცირედ იცვლება, ის ფაქტი რომ საკრედიტო რისკთან დაკავშირებულმა მცირე ცვლილებებმა ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის ღირებულებაზე შესაძლოა მეტად მოახდინოს გავლენა, ვიდრე ძირითადმა ფაქტორებმა, არ წარმოქმნის საკრედიტო რისკის დომინანტურ გავლენას.

Ბ6.4.8 საკრედიტო რისკის დომინირებული გავლენის ჰეჯირების ურთიერთობის მაგალითია, როდესაც საწარმო საქონლის ფასის ცვლილების რისკის ჰეჯირებას ახდენს არაუზრუნველყოფილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტით. თუ წარმოებული ინსტრუმენტის კონტრაჰენტი განიცდის საკრედიტო რეიტინგის მნიშვნელოვან გაუარესებას, ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებაში კონტრაჰენტის საკრედიტო რეიტინგის ცვლილების ეფექტმა შესაძლოა გადაწონოს საქონლის ფასის ცვლილების ეფექტი, მაშინ როდესაც ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქონლის ფასის ცვლილებებზე.

ჰეჯირების კოეფიციენტი

Ბ6.4.9 ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნის თანახმად, ჰეჯირების ურთიერთობის ჰეჯირების კოეფიციენტი უნდა იყოს იგივე, რაც ჰეჯირებული მუხლის ფაქტობრივად ჰეჯირებული მოცულობისა და ჰეჯირებისთვის ფაქტობრივად გამოყენებულ ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობიდან წარმოიქმნება. შესაბამისად, თუ საწარმო მუხლის რისკის 100 პროცენტზე ნაკლების ჰეჯირებას ახდენს, მაგალითად 85 პროცენტის, მან ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ჰეჯირების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც წარმოიქმნება რისკის 85 პროცენტისა და საწარმოს მიერ აღნიშნული 85 პროცენტის ჰეჯირებისათვის ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობიდან გამომდინარე. ამის მსგავსად, მაგალითად, თუ საწარმო რისკის ჰეჯირებისათვის იყენებს ფინანსური ინსტრუმენტის ნომინალური ღირებულების 40 ერთეულს, მან ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს ჰეჯირების კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც წარმოიქმნება 40 ერთეულისა (ე.ი საწარმომ არ უნდა გამოიყენოს ჰეჯირების კოეფიციენტი, რომელიც ეფუძნება ერთეულების უფრო მეტ რაოდენობას, რომელსაც შესაძლოა

 © IFRS Foundation

საწარმო ფლობდეს, ან უფრო ნაკლებ რაოდენობას) და ამ 40 ერთეულის გამოყენებით ფაქტობრივად ჰეჯირებული მუხლის მოცულობის მიხედვით.

B6.4.10 თუმცა, ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაციამ ჰეჯირების ისეთი კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც მიიღება საწარმოს მიერ ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის მოცულობებიდან, არ უნდა ასახოს ჰეჯირების არაეფექტურობის (მიუხედავად იმისა, აღიარებულია თუ არა) გამომწვევი ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის წონებს შორის დისბალანსი, რაც გამოიწვევს ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან შეუსაბამო სააღრიცხვო შედეგებს. შესაბამისად, ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაციის მიზნით, საწარმომ უნდა შეასწოროს ჰეჯირების კოეფიციენტი, რომელიც გამომდინარეობს ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის მოცულობებიდან, რათა თავიდან აიცილოს ასეთი დისბალანსი.

B6.4.11 ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან სააღრიცხვო შედეგების შეუსაბამობის შეფასებისას საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, მაგალითად:

ა) განსაზღვრულია თუ არა ჰეჯირების კოეფიციენტი ჰეჯირების არაეფექტურობის აღიარების თავიდან ასაცილებლად ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას, ან რეალური ღირებულების ჰეჯირების კორექტირების მისაღწევად უფრო მეტი ჰეჯირებული მუხლებისათვის იმ მიზნით, რომ, ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებების გადაფარვის გარეშე, გაიზარდოს რეალური ღირებულების აღრიცხვის გამოყენება; და

ბ) ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის კონკრეტული წონებისთვის არსებობს თუ არა კომერციული მიზეზი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი წარმოქმნის ჰეჯირების არაეფექტურობას. მაგალითად, საწარმო დებს გარიგებას და ჰეჯირების ინსტრუმენტად მიიჩნევს იმ ოდენობას, რომელიც, მისი გადაწყვეტილებით, ჰეჯირებული მუხლისათვის იყო საუკეთესო ჰეჯირება, რადგან ჰეჯირების ინსტრუმენტების სტანდარტული ოდენობა მას საშუალებას არ აძლევს, მიაღწიოს ჰეჯირების ეფექტუროზისათვის საჭირო ზუსტ რაოდენობას („ლოტის ზომის საკითხი“). ამის მაგალითია საწარმო, რომელიც 100 ტონა ყავის შესყიდვის ჰეჯირებას ახდენს სტანდარტული ფიუჩერსული ხელშეკრულებით, რომლის მოცულობაა 37500 გირვანქა. საწარმოს 100 ტონის ჰეჯირებისათვის შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ხუთი ან ექვსი ხელშეკრულება (შესაბამისად 85.0 და 102.1 ტონის ეკვივალენტი). ამ შემთხვევაში, საწარმო ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაციას ახდენს მის მიერ ფაქტობრივად გამოყენებული ფიუჩერსული ხელშეკრულებების რაოდენობიდან მიღებული ჰეჯირების კოეფიციენტის გამოყენებით, რადგან წონების შეუსაბამობის შედეგად წარმოშობილი ჰეჯირების არაეფექტურობა არ გამოიწვევს ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან შეუსაბამო სააღრიცხვო შედეგს.

ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასების სიხშირე

B6.4.12 ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას და პერიოდულად საწარმომ უნდა შეაფასოს, ჰეჯირების ურთიერთობა აკმაყოფილებს თუ არა ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებს. საწარმომ შეფასება უნდა განახორციელოს მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის, ან ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებზე მოქმედი გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილებებისას - რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ ორი მოვლენიდან. ჰეჯირების ეფექტურობის შეფასება გარკვეულ მოლოდინებს უკავშირდება და, შესაბამისად, მხოლოდ მომავალზეა ორიენტირებული.

ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნების დაკმაყოფილების შეფასების მეთოდები

B6.4.13 წინამდებარე სტანდარტი არ განსაზღვრავს ჰეჯირების ეფექტურობის შეფასების კონკრეტულ მეთოდს. ამასთან, საწარმომ უნდა გამოიყენოს ის მეთოდი, რომელიც გაითვალისწინებს ჰეჯირების ურთიერთობის შესაბამის მახასიათებლებს, ჰეჯირების არაეფექტურობის ჩათვლით. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით, გამოყენებული მეთოდი შეიძლება იყოს ხარისხობრივი ან რაოდენობრივი შეფასება.

Ბ6.4.14 მაგალითად, როდესაც ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები (როგორიცაა ნომინალური ღირებულება, დაფარვის ვადა და ძირითადი ცვლადები) ერთმანეთთან შესაბამისობაშია, ან თითქმის გათანაბრებულია, საწარმომ აღნიშნული გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობების ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე შეიძლება შეძლოს დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, რომ ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს გააჩნია ღირებულება, რომელიც, საზოგადოდ, ერთი და იმავე რისკის გამო საპირისპირო მიმართულებით იცვლება და, შესაბამისად, ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის არსებობს ეკონომიკური ურთიერთკავშირი (იხ. პუნქტები Ბ6.4.4-Ბ6.4.6).

Ბ6.4.15 ის ფაქტი, რომ წარმოებული ინსტრუმენტი ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირებისას არის ხელსაყრელი ან არახელსაყრელი, თავისთავად არ ნიშნავს, რომ ხარისხობრივი შეფასება მიზანშეუწონელია. მეთოდის მიზანშეწონილობა დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე: ამ ფაქტიდან წარმოქმნილ ჰეჯირების არაეფექტურობას ხომ არ ექნება ისეთი სიდიდე, რომ ხარისხობრივი მეთოდით შეფასებამ ვერ შეძლოს მისი ადეკვატურად დადგენა.

Ბ6.4.16 ამის საპირისპიროდ, თუ ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები ერთმანეთთან ძალიან გათანაბრებული არ არის, გადაფარვის მოცულობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა იზრდება. შესაბამისად, ჰეჯირების პერიოდის განმავლობაში ჰეჯირების ეფექტურობის პროგნოზირება უფრო რთულია. ასეთ შემთხვევებში, საწარმომ ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ეკონომიკური ურთიერდამოკიდებულების დადგენა შესაძლოა მხოლოდ რაოდენობრივი შეფასების გამოყენებით შეძლოს (იხ. პუნქტები Ბ4.4.4-Ბ6.4.6). ზოგიერთ შემთხვევაში, რაოდენობრივი შეფასების გამოყენება შესაძლებელია ასევე იმის შესაფასებლადაც, ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიკაციისათვის გამოყენებული ჰეჯირების კოეფიციენტი აკმაყოფილებს თუ არა ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნებს (იხ. პუნქტები Ბ6.4.9-Ბ6.4.11). საწარმოს ამ ორი განსხვავებული მიზნისთვის შეუძლია გამოიყენოს ერთი და იგივე, ან განსხვავებული მეთოდები.

Ბ6.4.17 თუ ჰეჯირების ეფექტურობაზე მოქმედი გარემოებები იცვლება, საწარმოს შესაძლოა მოუწიოს ჰეჯირების ურთიერთობის მიერ ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდის შეცვლა, რათა ისევ შეძლოს ჰეჯირების ურთიერთობის შესაბამისი მახასიათებლების, მათ შორის, ჰეჯირების არაეფექტურობის წყაროს გათვალისწინება.

Ბ6.4.18 ჰეჯირების ურთიერთობის მიერ ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შეფასებისას ინფორმაციის ძირითადი წყაროა საწარმოს რისკის მართვის სტარატეგია. ეს ნიშნავს, რომ ჰეჯირების ურთიერთობის მიერ ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შეფასების საფუძვლად შეიძლება გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებული მმართველობითი ინფორმაციის (ან ანალიზის) გამოყენება.

Ბ6.4.19 ჰეჯირების ურთიერთობის შესახებ საწარმოს დოკუმენტაცია მოიცავს ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნების შეფასებისათვის გამოყენებულ მეთოდს ან მეთოდებს. ჰეჯირების ურთიერთობის დოკუმენტაცია უნდა განახლდეს მეთოდში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებისას (იხ. პუნქტი Ბ6.4.17).

ჰეჯირების ურთიერთობები, რომლებიც აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის კრიტერიუმებს (ნაწილი 6.5)

Ბ6.5.1 რეალური ღირებულების ჰეჯირების მაგალითია საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით გამოწვეული ფიქსირებული განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულების სავარაუდო ცვლილებების ჰეჯირება. ასეთ ჰეჯირებას შეიძლება ახორციელებდეს ემიტენტი ან ინსტრუმენტის მფლობელი.

Ბ6.5.2 ფულადი ნაკადების ჰეჯირების მიზანია, ჰეჯირების ინსტრუმენტის შემოსულობის ან ზარალის გადავადება იმ პერიოდში ან პერიოდებში, რომელშიც ჰეჯირებული მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადები გავლენას მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე. ფულადი ნაკადების ჰეჯირების მაგალითია სვოპის გამოყენება იმ მიზნით, რომ ცვალებადი განაკვეთის მქონე ვალი

 © IFRS Foundation

(ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით შეფასებული) გადაყვანილ იქნეს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ვალში (ე.ი. მომავალი გარიგების ჰეჯირება, როდესაც ჰეჯირებული მომავალი ფულადი ნაკადები წარმოადგენს მომავალ საპროცენტო გადასახდელებს). ამის საპირისპიროდ, წილობრივი ინსტრუმენტის შეძენის პროგნოზირებული გარიგება, რომელიც შეძენის შემდეგ აღირიცხება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ისეთი მუხლის მაგალითი, რომელიც არ შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას, რადგან ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომლის გადავადებაც მოხდება, ვერ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გადაფარვა მიიღწევა. იმავე მიზეზით, წილობრივი ინსტრუმენტის შეძენის პროგნოზირებული გარიგება, რომელიც შეძენის შემდეგ აღირიცხება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილების ასახვით სხვა სრულ შემოსავალში, არ შეიძლება იყოს ჰეჯირებული მუხლი ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას.

B6.5.3 მყარი ვალდებულების ჰეჯირება (მაგალითად, საწვავის ფასის ცვლილების ჰეჯირება, რაც დაკავშირებულია ელექტროენერგიის საწარმოს მიერ საწვავის ფიქსირებული ფასით შესყიდვის აუღიარებელ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან) არის რეალური ღირებულების სავარაუდო ცვლილების ჰეჯირება. შესაბამისად, ასეთი ჰეჯირება წარმოადგენს რეალური ღირებულების ჰეჯირებას. თუმცა, 6.5.4 პუნქტის თანახმად, მყარი ვალდებულების სავალუტო რისკის ჰეჯირება ასევე შეიძლება მიჩნეულ იქნეს ფულადი ნაკადების ჰეჯირებად.

ჰეჯირების არაეფექტურობის შეფასება

B6.5.4 ჰეჯირების არაეფექტურობის შეფასებისას საწარმომ უნდა განიხილოს ფულის დროითი ღირებულება. მაშასადამე, საწარმო ჰეჯირებული მუხლის ღირებულებას განსაზღვრავს დღევანდელი ღირებულების საფუძველზე და, შესაბამისად, ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილებები ასევე მოიცავს ფულის დროითი ღირებულების გავლენასაც.

B6.5.5 ჰეჯირების არაეფექტურობის შეფასების მიზნით, ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილების გამოთვლისას, საწარმოს შეუძლია გამოიყენოს წარმოებული, რომელსაც გააჩნია ჰეჯირებული მუხლის შესაბამისი გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები (ასეთ წარმოებულ ინსტრუმენტს ხშირად უწოდებენ „ჰიპოთეზურ წარმოებულს“) და, მაგალითად, პროგნოზირებული გარიგების ჰეჯირებისათვის, მოხდება მოსწორება ჰეჯირებული ფასის (ან განაკვეთის) დონის გამოყენებით. მაგალითად, თუ ჰეჯირებული იყო ორმხრივი რისკი მიმდინარე საბაზრო დონეზე, ჰიპოთეზური წარმოებული გამოსახავდა ჰიპოთეზურ ფორვარდულ ხელშეკრულებას, რომლის ღირებულება ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ნულის ტოლია. თუ ჰეჯირებული იყო, მაგალითად ცალმხრივი რისკი, ჰიპოთეზური წარმოებული ასახავდა ჰიპოთეზური ოფციონის საკუთარ ღირებულებას, რომელიც ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ხელსაყრელი იქნება, თუ ჰეჯირებული ფასი მიმდინარე საბაზრო დონეზე არის, ან არახელსაყრელი, თუ ჰეჯირებული ფასი მიმდინარე საბაზრო დონეზე მაღალია (ან გრძელი პოზიციისას - მიმდინარე საბაზრო დონეზე დაბალია). ჰიპოთეზური წარმოებული ინსტრუმენტის გამოყენება ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილებების გამოსათვლელად არის ერთ-ერთი შესაძლო გზა. ჰიპოთეზური წარმოებული ჰეჯირებული მუხლის ასლია და, შესაბამისად, იმავე შედეგს იძლევა, რაც მიიღებოდა ჰეჯირებული მუხლის ღირებულებაში ცვლილებების სხვა მეთოდით გამოთვლისას. შესაბამისად, ჰიპოთეზური წარმოებული ინსტრუმენტის გამოყენება, თავისთავად, მეთოდი არ არის, არამედ ჰეჯირებული მუხლის ღირებულების გამოსათვლელად გამოყენებული მათემატიკური საშუალებაა. მაშასადამე, შეუძლებელია ჰიპოთეზური წარმოებულის გამოყენება ჰეჯირებული მუხლის ღირებულებაში ფიუჩერსული ხელშეკრულების გასათვალისწინებლად, რომელიც არსებობს მხოლოდ ჰეჯირების ინსტრუმენტში (მაგრამ არა ჰეჯირებულ მუხლში). ამის მაგალითია უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალი (მიუხედავად იმისა, იგი ფიქსირებული განაკვეთის მქონეა, თუ ცვალებადი განაკვეთის). როდესაც ჰიპოთეზური წარმოებული გამოიყენება ამგვარი ვალის ღირებულების ცვლილებების, ან ფულადი ნაკადების კუმულაციური ცვლილების დღევანდელი ღირებულების დასადგენად, ჰიპოთეზურ წარმოებულს უბრალოდ არ შეუძლია ასახოს სხვადასხვა ვალუტის გაცვლის დანახარჯი მაშინაც კი, როდესაც ფაქტობრივი წარმოებულები, რომელთა ფარგლებშიც ხდება სხვადასხვა ვალუტის გაცვლა, შეიძლება

მოიცავდეს ამგვარ დანახარჯს (მაგალითად, სხვადასხვა ვალუტის საპროცენტო განაკვეთის სვოპები).

Ბ6.5.6 ჰიპოთეზური წარმოებული ინსტრუმენტის გამოყენებით განსაზღვრული ცვლილებები ჰეჯირებული მუხლის ღირებულებაში ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ჰეჯირების ურთიერთობის მიერ ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაფასებლად.

ჰეჯირების ურთიერთობის ხელახლა დაბალანსება და ჰეჯირების კოეფიციენტის ცვლილება

Ბ6.5.7 ხელახლა დაბალანსება არის არსებული ჰეჯირების ურთიერთობისათვის ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობების კორექტირება იმ მიზნით, რომ შენარჩუნებულ იქნეს ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნების შესაბამისი ჰეჯირების კოეფიციენტი. წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობათა სხვა მიზნით ცვლილება არ წარმოადგენს ხელახლა დაბალანსებას.

Ბ6.5.8 ხელახლა დაბალანსება აისახება როგორც ჰეჯირების ურთიერთობის გაგრძელება, 6.5.9-Ბ6.5.21 პუნქტების შესაბამისად. ხელახლა დაბალანსების დროს ჰეჯირების ურთიერთობის კორექტირებამდე განისაზღვრება ჰეჯირების ურთიერთობის არაეფექტურობა და დაუყოვნებლივ აღიარდება.

Ბ6.5.9 ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირება საწარმოს საშუალებას აძლევს, უპასუხოს ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ურთიერთობის ცვლილებას, რაც გამოწვეულია მათი ძირითადი ფაქტორების ან რისკის ცვლადებით. მაგალითად, ჰეჯირების ურთიერთობა, რომელშიც ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს გააჩნია სხვადასხვა, მაგრამ დაკავშირებული ცვლადების ცვლილებები, ამ ორ ცვლადს შორის ურთიერთდამოკიდებულების ცვლილების გამო (მაგალითად, სხვადასხვა, მაგრამ დაკავშირებული ინდექსები, განაკვეთები ან ფასები). მაშასადამე, ხელახლა დაბალანსება ჰეჯირების ურთიერთობის გაგრძელებისას უფლებას იძლევა იმ შემთხვევაში, როდესაც ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის კავშირი იმგვარად იცვლება, რომ მისი კომპენსირება შესაძლებელია ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირებით.

Ბ6.5.10 მაგალითად, საწარმო სავალუტო რისკის ჰეჯირებას ახდენს სავალუტო წარმოებული ინსტრუმენტის მეშვეობით, რომელიც დაკავშირებულია A და B უცხოურ ვალუტასთან და უცხოური ვალუტები არის ხელოვნურად „დაფიქსირებული“ (ე.ი მათი გაცვლითი კურსი ცენტრალური ბანკის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენარჩუნებულია გარკვეული დიაპაზონის ან კონკრეტული განაკვეთის დონეზე). თუ A და B ვალუტებს შორის გაცვლითი კურსი შეიცვლება (ანუ ახალი დიაპაზონი ან განაკვეთი დადგინდება), ჰეჯირების ურთიერთობის ხელახლა დაბალანსება ახალი გაცვლითი კურსის გასათვალისწინებლად უზრუნველყოფს იმას, რომ ახალ გარემოებებში ჰეჯირების ურთიერთობამ ისევ დააკმაყოფილოს ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნები მოცემული ჰეჯირების კოეფიციენტისათვის. ამის საპირისპიროდ, თუ სავალუტო წარმოებული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობა არ შესრულდებოდა, ჰეჯირების კოეფიციენტის ცვლილება ვერ უზრუნველყოფდა იმას, რომ ჰეჯირების ურთიერთობას ისევ დაეკმაყოფილებინა ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნები. მაშასადამე, ხელახლა დაბალანსება ხელს არ უწყობს ჰეჯირების ურთიერთობის გაგრძელებას იმ შემთხვევებში, როდესაც ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის ურთიერთობა იმგვარად იცვლება, რომლის კომპენსირება არ შეიძლება ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირებით.

Ბ6.5.11 ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულებისა და ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების, ან ფულადი ნაკადების ცვლილებათა ურთიერთგადაფარვის მოცულობაში ყველა ცვლილება არ წარმოადგენს ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებას. საწარმო აანალიზებს ჰეჯირების არაეფექტურობის წყაროებს, რომლებიც ჰეჯირების ურთიერთობის პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ გავლენას მოახდენს მასზე და აფასებს, ურთიერთგადაფარვის მოცულობაში ცვლილებები ხომ არ არის:

 © IFRS Foundation

ა) ჰეჯირების კოეფიციენტის მერყეობა, რომელიც ისევ მისაღებია (ე.ი ისევ სათანადოდ აისახება ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ურთიერთკავშირი); ან

ბ) მიმანიშნებელი იმისა, რომ ჰეჯირების კოეფიციენტი სათანადოდ აღარ ასახავს ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს შორის ურთიერთკავშირს.

საწარმო ზემოაღნიშნულ შეფასებას ახორციელებს ჰეჯირების კოეფიციენტთან ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნების შესადარებლად, ე.ი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჰეჯირების ურთიერთობა არ ასახავს ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტის წონებს შორის ჰეჯირების არაეფექტურობის (იმის მიუხედავად, აღიარებულია თუ არა) გამომწვევ დისბალანსს, რაც გამოიწვევს ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან შეუსაბამო სააღრიცხვო შედეგებს. შესაბამისად, აღნიშნული შეფასება მოითხოვს მსჯელობას.

ბ6.5.12 უცვლელი ჰეჯირების კოეფიციენტის ცვალებადობის (და, შესაბამისად, დაკავშირებული ჰეჯირების არაეფექტურობის) შემცირება შეუძლებელია თითოეული კონკრეტული შედეგისათვის ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირებით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, ურთიერთგადაფარვის მოცულობაში ცვლილებები არის ჰეჯირების არაეფექტურობის შეფასებისა და აღიარების საკითხი და ხელახლა დაბალანსებას არ მოითხოვს.

ბ6.5.13 ამის საპირისპიროდ, თუ ურთიერთგადაფარვის მოცულობაში ცვლილებები გვიჩვენებს, რომ ჰეჯირების კოეფიციენტს ახასიათებს ცვალებადობა, რომელიც განსხვავდება ჰეჯირების ურთიერთობისათვის გამოყენებული მიმდინარე ჰეჯირების კოეფიციენტისგან, ან შეიმჩნევა ჰეჯირების კოეფიციენტიდან გადახვევის ტენდენცია, ჰეჯირების არაეფექტურობა შეიძლება შემცირდეს ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირებით, როდესაც ჰეჯირების კოეფიციენტის შენარჩუნება სულ უფრო მეტად გამოიწვევს ჰეჯირების არაეფექტურობას. შესაბამისად, ასეთ სიტუაციაში, საწარმომ უნდა შეაფასოს, ჰეჯირების ურთიერთობა ხომ არ ასახავს ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტის წონებს შორის ჰეჯირების არაეფექტურობის (იმის მიუხედავად, აღიარებულია თუ არა) გამომწვევ დისბალანსს, რაც გამოიწვევს ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან შეუსაბამო სააღრიცხვო შედეგებს. თუ ჰეჯირების კოეფიციენტი გაკორექტირდება, იგი ასევე გავლენას მოახდენს ჰეჯირების არაეფექტურობის შეფასებასა და აღიარებაზე, რადგან ხელახლა დაბალანსებისას, **ბ6.5.8** პუნქტის შესაბამისად ჰეჯირების ურთიერთობის კორექტირებამდე, უნდა განისაზღვროს ჰეჯირების ურთიერთობის არაეფექტურობა და დაუყოვნებლივ აღიარდეს.

ბ6.5.14 ხელახლა დაბალანსება ნიშნავს, რომ ჰეჯირების ურთიერთობის დაწყების შემდეგ საწარმო გარემოებებში მომხდარი ცვლილების პასუხად, აკორექტირებს ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული მუხლის მოცულობებს, რომელიც გავლენას ახდენს ჰეჯირების ურთიერთობის ჰეჯირების კოეფიციენტზე. როგორც წესი, ამგვარმა კორექტირებებმა უნდა ასახოს ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის მოცულობების (რაოდენობების) კორექტირებები. თუმცა, საწარმომ უნდა გააკორექტიროს ჰეჯირებული მუხლისა და ჰეჯირების ინსტრუმენტის ფაქტობრივად გამოყენებული მოცულობებისგან მიღებული ჰეჯირების კოეფიციენტი, თუ:

ა) საწარმოს მიერ ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტის, ან ჰეჯირებული მუხლის მოცულობის ცვლილებებით გამოწვეული ჰეჯირების კოეფიციენტი ასახავს დისბალანსს, რომელიც გამოიწვევს ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან შეუსაბამო სააღრიცხვო შედეგების გამომწვევ ჰეჯირების არაეფექტურობას; ან

ბ) საწარმოს მიერ ფაქტობრივად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული მუხლის მოცულობის შენარჩუნებით გამოწვეული ჰეჯირების კოეფიციენტი ასახავს დისბალანსს, რომელიც გამოიწვევს ჰეჯირების არაეფექტურობას, რაც, თავის მხრივ, ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებთან შეუსაბამო სააღრიცხვო შედეგებს გამოიწვევს (ე.ი საწარმომ ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირების უგულებელყოფით არ უნდა შექმნას დისბალანსი).

ბ6.5.15 ხელახლა დაბალანსება არ გამოიყენება, თუ ჰეჯირების ურთიერთობისთვის შეიცვალა რისკის მართვის მიზანი. ამის ნაცვლად, აღნიშნული ჰეჯირების ურთიერთობისთვის ჰეჯირების აღრიცხვა უნდა შეწყდეს (იმის მიუხედავად, რომ **ბ6.5.28** პუნქტის შესაბამისად საწარმომ

შეიძლება შექმნას ახალი ჰეჯირების ურთიერთობა, რომელიც მოიცავს წინა ჰეჯირების ურთიერთობის ჰეჯირების ინსტრუმენტს ან ჰეჯირებულ მუხლს).

Ბ6.5.16 თუ ჰეჯირების ურთიერთობა ხელახლა დაბალანსდება, ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირება შესაძლებელია სხვადასხვა გზით:

ა) ჰეჯირებული მუხლის წონა შესაძლოა გაიზარდოს (რაც ამავე დროს ჰეჯირების ინსტრუმენტის წონას ამცირებს):

(i) ჰეჯირებული მუხლის მოცულობის გაზრდით; ან

(ii) ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობის შემცირებით.

ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტის წონა შესაძლოა გაიზარდოს (რაც ამავე დროს ჰეჯირებული მუხლის წონას ამცირებს):

(i) ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობის გაზრდით; ან

(ii) ჰეჯირებული მუხლის მოცულობის შემცირებით.

მოცულობის ცვლილებები ეხება იმ რაოდენობებს, რომლებიც ჰეჯირების ურთიერთობის შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, მოცულობების შემცირება აუცილებლად არ ნიშნავს, რომ მუხლები ან გარიგებები აღარ არსებობს, ან მათი მოხდენა მოსალოდნელი აღარ არის, არამედ იმას ნიშნავს, რომ ისინი აღარ არის ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი. მაგალითად, ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობის ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს საწარმოს მიერ წარმოებული ინსტრუმენტის შენარჩუნება, მაგრამ შეიძლება მხოლოდ მისი ნაწილი დარჩეს ჰეჯირების ურთიერთობაში ჰეჯირების ინსტრუმენტად. ასე შეიძლება მოხდეს, თუ ჰეჯირების ურთიერთობის ხელახლა დაბალანსების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობის შემცირებით, მაგრამ ისეთი ნაწილის შენარჩუნებით, რაც საწარმოს აღარ სჭირდება. ასეთ შემთხვევაში, წარმოებული ინსტრუმენტის ის ნაწილი, რომელიც აღარ კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტად, აღირიცხება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით (თუ იგი სხვა ჰეჯირების ურთიერთობაში არ იყოს კლასიფიცირებული ჰეჯირების ინსტრუმენტად).

Ბ6.5.17 ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირება ჰეჯირებული მუხლის მოცულობის გაზრდით გავლენას არ ახდენს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების შეფასებაზე. ასევე არ შეიცვლება ადრე კლასიფიციებულ მოცულობასთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილებების შეფასებაც. თუმცა, ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილებები ასევე მოიცავს ჰეჯირებული მუხლის დამატებითი ღირებულების ცვლილებებს ხელახლა დაბალანსების თარიღიდან. აღნიშნული ცვლილებები შეფასებულია ხელახლა დაბალანსების დაწყებისას და არა ჰეჯირების ურთიერთობის დაწყების თარიღიდან. მაგალითად, თუ საწარმო თავდაპირველად 100 ტონის მოცულობის საქონლის ჰეჯირებას ახდენდა ფორვარდული ფასით 80 ფე (ფორვარდული ფასი ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას) და 10 ტონა დაამატა ხელახლა დაბალანსებისას, როდესაც ფორვარდული ხელშეკრულების ფასი იყო 90 ფე, ჰეჯირებული მუხლი ხელახლა დაბალანსების შემდეგ შედგება ორი ფენისაგან: 100 ტონისგან, რომელიც ჰეჯირებულია 80 ფე-ად და 10 ტონისგან, რომელიც ჰეჯირებულია 90 ფე-ად.

Ბ6.5.18 ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირება ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობის შემცირებით გავლენას არ ახდენს ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილების შეფასებაზე. ასევე უცვლელი რჩება კლასიფიცირებულ მოცულობასთან დაკავშირებული ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებების შეფასებაც. თუმცა, ხელახლა დაბალანსების თარიღიდან, მოცულობა, რომლითაც შემცირდა ჰეჯირების ინსტრუმენტი, აღარ წარმოადგენს ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილს. მაგალითად, თუ საწარმო თავდაპირველად საქონლის ფასის რისკის ჰეჯირებას ახდენდა 100 ტონა მოცულობის მქონე ჰეჯირების ინსტრუმენტით და ხელახლა დაბალანსებისას ამცირებს მას 10 ტონით, ჰეჯირების ინსტრუმენტის ნომინალური ღირებულება 90 ტონა უცვლელი დარჩება (იხ. Ბ6.5.16 პუნქტი წარმოებული ინსტრუმენტის მოცულობისათვის (ე.ი 10 ტონა), რომელიც აღარ არის ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი).

 © IFRS Foundation

Ბ6.5.19 ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირება ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობის გაზრდით გავლენას არ ახდენს ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილების შეფასებაზე. ასევე უცვლელი რჩება ადრე კლასიფიცირებულ მოცულობასთან დაკავშირებული ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებების შეფასებაც. თუმცა, ხელახლა დაბალანსების თარიღიდან ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებები ასევე მოიცავს ჰეჯირების ინსტრუმენტის დამატებითი მოცულობის ღირებულების ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებები შეფასებულია ხელახლა დაბალანსების დაწყებისას და არა ჰეჯირების ურთიერთობის დაწყების თარიღიდან. მაგალითად, თუ საწარმო თავდაპირველად საქონლის ფასის რისკის ჰეჯირებას ახდენდა 100 ტონა მოცულობის მქონე ჰეჯირების ინსტრუმენტით და ხელახლა დაბალანსებისას მას 10 ტონით ზრდის, ხელახლა დაბალანსების შემდეგ ჰეჯირების ინსტრუმენტი იქნება წარმოებული ინსტრუმენტი მთლიანი მოცულობით (110 ტონა). 110 ტონა მოცულობის მქონე ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილება არის წარმოებული ინსტრუმენტის რეალური ღირებულების მთლიანი ცვლილება. ამგვარ წარმოებულებს შესაძლოა (და მოსალოდნელია) ჰქონდეს განსხვავებული გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები, როგორიცაა მათი ფორვარდული განაკვეთები, რადგან ისინი წარმოიშვა დროის სხვადასხვა მომენტში (წარმოებულების თავდაპირველი აღიარების შემდეგ ჰეჯირების ურთიერთობაში კლასიფიცირების შესაძლებლობის ჩათვლით).

Ბ6.5.20 ჰეჯირების კოეფიციენტის კორექტირება ჰეჯირებული მუხლის მოცულობის შემცირებით გავლენას არ ახდენს ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილების შეფასებაზე. ასევე უცვლელი რჩება კლასიფიცირებულ მოცულობასთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ღირებულების ცვლილებების შეფასებაც. თუმცა, ხელახლა დაბალანსების თარიღიდან, მოცულობა, რომლითაც შემცირდა ჰეჯირებული მუხლი, აღარ წარმოადგენს ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილს. მაგალითად, თუ საწარმო თავდაპირველად 100 ტონის მოცულობის საქონლის ჰეჯირებას ახდენდა ფორვარდული ფასით 80 ფე და ხელახლა დაბალანსებისას აღნიშნულ მოცულობას 10 ტონით ამცირებს, ხელახლა დაბალანსების შემდეგ ჰეჯირებული მუხლი იქნება 90 ტონა, ჰეჯირებული 80 ფე-ად. 10 ტონა ჰეჯირებული მუხლი, რომელიც აღარ არის ჰეჯირების ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი, აღირიცხება ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტის მოთხოვნების შესაბამისად (იხ. პუნქტები 6.5.6-6.5.7 და Ბ6.5.22-Ბ6.5.28).

Ბ6.5.21 ჰეჯირების ურთიერთობის ხელახლა დაბალანსებისას, საწარმომ ხელახლა უნდა ჩაატაროს ჰეჯირების არაეფექტურობის წყაროს ანალიზი, რომელიც მოსალოდნელია, რომ ჰეჯირების ურთიერთობის (დარჩენილი) ვადის განმავლობაში გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობაზე (იხ. პუნქტი Ბ6.4.2). შესაბამისად, უნდა განახლდეს ჰეჯირების ურთიერთობის დოკუმენტაცია.

ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა

Ბ6.5.22 ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა გამოიყენება პერსპექტიულად, იმ თარიღიდან, როდესაც კრიტერიუმები აღარ იქნება დაკმაყოფილებული.

Ბ6.5.23 საწარმომ არ უნდა შეწყვიტოს ისეთი ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირება და შესაბამისად ჰეჯირების აღრიცხვა, რომელიც:

ა) ისევ აკმაყოფილებს რისკის მართვის მიზნებს, რომლის საფუძველზეც იგი კლასიფიცირდა ჰეჯირების აღრიცხვად (ე.ი საწარმო კიდევ ინარჩუნებს რისკის მართვის მიზანს); და

ბ) ჰეჯირების აღრიცხვის ყველა სხვა კრიტერიუმი ისევ დაკმაყოფილებულია (ხელახლა დაბალანსების გათვალისწინების შემდგომ).

Ბ6.5.24 აღნიშნული სტანდარტის მიზნებისთვის, საწარმოს რისკის მართვის სტრატეგია განსხვავდება რისკის მართვის მიზნებისგან. რისკის მართვის სტრატეგია მთელი საწარმოს დონისთვის დგინდება. რისკის მართვის სტრატეგია ახდენს საწარმოს რისკების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს, როგორ რეაგირებს მათზე საწარმო. რისკის მართვის სტრატეგია გამოიყენება ხანგრძლივი პერიოდისათვის და შესაძლოა მოქნილი იყოს, რათა უპასუხოს სტრატეგიის არსებობის პერიოდში გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს (მაგალითად, ჰეჯირების სხვადასხვა მოცულობის გამომწვევი განსხვავებული საპროცენტო განაკვეთი ან საქონლის

ფასები). იგი, როგორც წესი, გენერალურ დოკუმენტშია მოცემული, რომელიც საწარმოში, ქვემდგომ დონეებზე კონკრეტული მითითებების შემცველი პოლიტიკის მეშვეობით ვრცელდება. ამის საპირისპიროდ, რისკის მართვის მიზანი კონკრეტული ჰეჯირების ურთიერთობის დონეზე გამოიყენება. მიზანი დაკავშირებულია იმასთან, კონკრეტული კლასიფიცირებული ჰეჯირების ინსტრუმენტი როგორ გამოიყენება ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებული კონკრეტული რისკის ჰეჯირებისათვის. შესაბამისად, რისკის მართვის სტრატეგია შესაძლოა მრავალ სხვადასხვა ჰეჯირების ურთიერთობას მოიცავდეს, რომელთა რისკის მართვის მიზანი დაკავშირებულია ერთიანი რისკის მართვის სტრატეგიის განხორციელებასთან. მაგალითად:

ა) საწარმოს ნასესხები სახსრებით დაფინანსების საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად გააჩნია სტრატეგია, რომელიც მთლიანი საწარმოსთვის ცვალებადგა-ნაკვეთიან და ფიქსირებულგანაკვეთიან დაფინანსებას შორის კავშირისთვის აწესებს დიაპაზონს. სტრატეგია არის ფიქსირებულგანაკვეთიანი ვალის 20-დან 40 პროცენტამდე შენარჩუნება. საწარმო, საპროცენტო განაკვეთის დონეზე დაყრდნობით, პერიოდულად გადაწყვეტს, როგორ განახორციელოს აღნიშნული სტრატეგია (ე.ი როდესაც იგი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკისათვის საკუთარ თავს 20-დან 40 პროცენტამდე დიაპაზონში აქცევს). თუ საპროცენტო განაკვეთები დაბალია, საწარმო საპროცენტო განაკვეთს აფიქსირებს უფრო დიდი ვალისთვის და არა ისეთი ვალისთვის, რომელსაც მაღალი აქვს საპროცენტო განაკვეთები. საწარმოს ცვალებადგანაკვეთიანი ვალი არის 100 ფე, საიდანაც 30 ფე გადაცვლილია ფიქსირებული განაკვეთის რისკში (სვოპით). საწარმო იყენებს დაბალი საპროცენტო განაკვეთის უპირატესობას და დიდი ინვესტიციის დასაფინანსებლად დამატებით იღებს 50 ფე ვალს ფიქსირებულ-განაკვეთიანი ობლიგაციის გამოშვებით. დაბალი საპროცენტო განაკვეთების გათვალის-წინებით საწარმო გადაწყვეტს ფიქსირებული განაკვეთის რისკი დაადგინოს მთლიანი ვალის 40 პროცენტზე, მის მიერ ადრე ჰეჯირებული ცვალებადი განაკვეთის რისკის მოცულობის 20 ფე-ით შემცირებით, რაც გამოიწვევს 60 ფე-ის ტოლი ფიქსირებული განაკვეთის რისკს. ამ შემთხვევაში, თვითონ რისკის მართვის სტრატეგია უცვლელი რჩება. თუმცა, საწარმოს მიერ აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების გზა შეიცვალა და ეს ნიშნავს, რომ ადრე ჰეჯირებული ცვალებადი განაკვეთის რისკის 20 ფე-თვის რისკის მართვის მიზანი შეიცვალა (ე.ი ჰეჯირების ურთიერთობის დონეზე). მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში ადრე ჰეჯირებული ცვალებადი განაკვეთს რისკის 20 ფე-თვის ჰეჯირების აღრიცხვა უნდა შეწყდეს. ეს შესაძლოა მოიცავდეს სვოპის პოზიციის ნომინალური ღირებულების 20 ფე-ით შემცირებას, მაგრამ გარემოებებისდა მიხედვით, საწარმომ შეიძლება შეინარჩუნოს სვოპის აღნიშნული მოცულობა და, მაგალითად, გამოიყენოს იგი სხვა რისკის ჰეჯირებისთვის, ან იგი შესაძლოა გახდეს პორტფელის სავაჭრო პაკეტის ნაწილი. ამის საპირისპიროდ, თუ საწარმო სანაცვლოდ მოახდენდა მისი ფიქსირებულგანაკვეთიანი ვალის ნაწილის გაცვლას/სვოპს ცვალებადი განაკვეთის რისკში, მის მიერ ადრე ჰეჯირებული ცვალებადი განაკვეთის რისკისათვის გაგრძელდებოდა ჰეჯირების აღრიცხვა;

ბ) ზოგიერთი რისკი გამოწვეულია ისეთი პოზიციიდან, რომელიც ხშირად იცვლება, მაგალითად სავალო ინსტრუმენტების ღია პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკი. ახალი სავალო ინსტრუმენტების დამატება და არსებული სავალო ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა მუდმივად ცვლის აღნიშნულ რისკს (ე.ი იგი განსხვავდება მხოლოდ იმ პოზიციის დახურვით, რომლის ვადა ამოიწურა). ეს არის დინამიკური პროცესი, რომლის დროსაც როგორც რისკი, ასევე მის სამართავად გამოყენებული ჰეჯირების ინსტრუმენტი დიდი ხნის განმავლობაში უცვლელი არ რჩება. მაშასადამე, ასეთი რისკის მქონე საწარმო რისკის ცვლილებისას ხშირად აკორექტირებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისათვის გამოყენებულ ჰეჯირების ინსტრუმენტს. მაგალითად, სავალო ინსტრუმენტი 24-თვიანი დარჩენილი დაფარვის ვადით, ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებულია 24 თვის საპროცენტო განაკვეთის რისკისთვის. იგივე პროცედურა გამოიყენება სხვა დროითი პერიოდების ან დაფარვის ვადებისთვის. მცირე პერიოდის შემდეგ, საწარმო დაფარვის ვადისთვის წყვეტს ყველა ან ზოგიერთი ადრე კლასიფიცირებული ჰეჯირების ურთიერთობის ან მათი რომელიმე ნაწილის აღიარებას და დაფარვის პერიოდისთვის ახდენს ახალი ჰეჯირების ურთიერთობის

 © IFRS Foundation

კლასიფიცირებას მათი ზომისა და იმ დროისათვის არსებული ჰეჯირების ინსტრუმენტების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ჰეჯირების ურთიერთობის აღიარების შეწყვეტა ასახავს იმას, რომ აღნიშნული ჰეჯირების ურთიერთობები ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ საწარმო ადრე კლასიფიცირებული ჰეჯირების ინსტრუმენტისა და ჰეჯირებული მუხლის ნაცვლად ახლა ითვალისწინებს ახალ ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს. რისკის მართვის სტრატეგია იგივე რჩება, მაგრამ აღარ არსებობს ადრე კლასიფიცირებული ჰეჯირების ურთიერთობებისთვის დადგენილი რისკის მართვის მიზანი. ასეთ შემთხვევაში, ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა გამოიყენება იმ მოცულობით, რა დონითაც იცვლება რისკის მართვის მიზანი. ეს დამოკიდებულია საწარმოს კონკრეტულ სიტუაციაზე და შესაძლოა გავლენა მოახდინოს დაფარვის პერიოდის ყველა ან მხოლოდ ზოგიერთ ჰეჯირების ურთიერთობაზე, ან ჰეჯირების ურთიერთობის მხოლოდ ნაწილზე;

გ) საწარმოს გააჩნია რისკის მართვის სტრატეგია, რომლითაც იგი მართავს პროგნოზირებული გაყიდვისა და შესაბამისი მოთხოვნების სავალუტო რისკს. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში საწარმო სავალუტო რისკს მართავს, როგორც კონკრეტულ ჰეჯირების ურთიერთობას მხოლოდ მოთხოვნის აღიარების მომენტამდე. ამის შემდეგ საწარმო სავალუტო რისკს აღარ მართავს აღნიშნული კონკრეტული ჰეჯირების ურთიერთობის საფუძველზე. ამის ნაცვლად, იგი ერთი და იმავე ვალუტაში გამოსახული მოთხოვნებიდან, კრედიტორული დავალიანებებიდან და წარმოებული ინსტრუმენტებიდან (რომლებიც დაკავშირებული არ არის ჯერ ისევ მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან) წარმოშობილ სავალუტო რისკს მართავს მთლიანად. აღრიცხვის მიზნებისთვის, ეს აღიქმება, როგორც „ბუნებრივი“ ჰეჯირება, რადგან ყველა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით შემოსულობა ან ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მაშასადამე, აღრიცხვის მიზნებისთვის, თუ კლასიფიცირებული ჰეჯირების ურთიერთობა მოიცავს დაფარვის პერიოდს, მისი აღიარება უნდა შეწყდეს მოთხოვნების აღიარებისას, რადგან თავდაპირველი ჰეჯირების ურთიერთობის რისკის მართვის მიზანი აღარ გამოიყენება. სავალუტო რისკი ახლა იმავე სტრატეგიის ფარგლებში, მაგრამ სხვა საფუძველზე იმართება. მაშასადამე, თუ საწარმოს ექნებოდა რისკის მართვის სხვა მიზანი და კონკრეტულად აღნიშნული პროგნოზირებული გაყიდვის ღირებულებისა და გადახდის თარიღამდე შესაბამისი მოთხოვნის სავალუტო რისკს მართავდა, როგორც შენარჩუნებულ ჰეჯირების ურთიერთობას, ჰეჯირების აღრიცხვა აღნიშნულ თარიღამდე გაგრძელდებოდა.

Ბ6.5.25 ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტამ შეიძლება გავლენა მოახდინოს:

ა) ჰეჯირების ურთიერთობაზე მთლიანად; ან

ბ) ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილზე (რაც იმას ნიშნავს, რომ ჰეჯირების ურთიერთობის დარჩენილი ნაწილისათვის გაგრძელდება ჰეჯირების აღრიცხვა).

Ბ6.5.26 მთლიანად ჰეჯირების ურთიერთობის აღრიცხვა წყდება მაშინ, როდესაც იგი აღარ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. მაგალითად:

ა) ჰეჯირების ურთიერთობა აღარ აკმაყოფილებს რისკის მართვის მიზნებს, რომლის საფუძველზეც იგი კლასიფიცირდა ჰეჯირების აღრიცხვად (ე.ი საწარმო აღარ ინარჩუნებს რისკის მართვის ძველ მიზანს);

ბ) ჰეჯირების ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტები გაიყიდა ან მათი ვადა ამოიწურა (მთლიან მოცულობასთან მიმართებით, რომელიც ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი იყო); ან

გ) ჰეჯირებულ მუხლსა და ჰეჯირების ინსტრუმენტს შორის აღარ არსებობს ეკონომიკური ურთიერთკავშირი, ან აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთკავშირით გამოწვეულ ღირებულების ცვლილებაში საკრედიტო რისკის გავლენა იწყებს დომინირებას.

Ბ6.5.27 ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილის აღიარება წყდება (და მისი დარჩენილი ნაწილისათვის გრძელდება ჰეჯირების აღრიცხვა) მაშინ, როდესაც მხოლოდ ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი აღარ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს. მაგალითად:

ა) ჰეჯირების ურთიერთობის ხელახლა დაბალანსებისას, ჰეჯირების კოეფიციენტი შეიძლება ისე გაკორექტირდეს, რომ ჰეჯირებული მუხლის გარკვეული მოცულობა ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი აღარ იყოს (იხ. პუნქტი Ბ6.5.20); შესაბამისად, ჰეჯირების აღრიცხვა შეწყდება ჰეჯირებული მუხლის იმ მოცულობისთვის, რომელიც ჰეჯირების ურთიერთობის ნაწილი აღარ არის; ან

ბ) თუ ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებული პროგნოზირებული გარიგების გარკვეული ნაწილის მოხდენა მოსალოდნელი აღარ არის მაღალი ალბათობით, ჰეჯირების აღრიცხვა შეწყდება ჰეჯირებული მუხლის იმ მოცულობისთვის, რომლის მოხდენაც მაღალი ალბათობით აღარ არის მოსალოდნელი. თუმცა, თუ საწარმოს წარსული გამოცდილების თანახმად, ხდებოდა პროგნოზირებული გარიგებების ჰეჯირება და შემდგომში ადგენდა, რომ პროგნოზირებული გარიგების მოხდენა მოსალოდნელი აღარ არის, საეჭვოა, რომ მსგავსი მოსალოდნელი გარიგებების განსაზღვრისას საწარმომ შეძლოს გარიგებების ზუსტი პროგნოზი. აღნიშნული გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, არის თუ არა მსგავსი პროგნოზირებული გარიგებები მაღალი ალბათობით მოსალოდნელი (იხ. პუნქტი 6.3.3) და, შესაბამისად, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ჰეჯირებულ მუხლებად კლასიფიცირების კრიტერიუმებს.

Ბ6.5.28 საწარმოს შეუძლია ახალი ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირება, რომელიც წინა ჰეჯირების ურთიერთობის ჰეჯირების ინსტრუმენტსა და ჰეჯირებულ მუხლს მოიცავს, რომლისთვისაც ჰეჯირების აღრიცხვა შეწყდა (ნაწილობრივ ან მთლიანად). ეს არ ნიშნავს ჰეჯირების ურთიერთობის გაგრძელებას, არამედ არის მისი ხელახლა დაწყება. მაგალითად:

ა) ჰეჯირების ინსტრუმენტი განიცდის საკრედიტო ხარისხის ისეთ ძლიერ გაუარესებას, რომ საწარმო მას ახალი ჰეჯირების ინსტრუმენტით ჩაანაცვლებს. ეს ნიშნავს, რომ ჰეჯირების თავდაპირველმა ურთიერთობამ ვერ შეძლო რისკის მართვის მიზნების მიღწევა და, შესაბამისად, მისი აღრიცხვა მთლიანად შეწყდა. ახალი ჰეჯირების ინსტრუმენტი ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირდება ადრე ჰეჯირებული რისკისათვის და წარმოქმნის ახალ ჰეჯირების ურთიერთობას. შესაბამისად, ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ან ფულად ნაკადებში ცვლილებების შეფასება იწყება ახალი ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირების თარიღიდან და არა თავდაპირველი ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირების თარიღიდან;

ბ) ჰეჯირების ურთიერთობა წყდება მისი პერიოდის დასრულებამდე. აღნიშნული ურთიერთობის ჰეჯირების ინსტრუმენტის კლასიფიცირება შეიძლება ახალი ჰეჯირების ურთიერთობის ჰეჯირების ინსტრუმენტად (მაგალითად, როდესაც ხელახლა დაბალანსებისას ჰეჯირების კოეფიციენტის იზრდება ჰეჯირების ინსტრუმენტის მოცულობის გაზრდით, ან, როდესაც მთლიანად ახალი ჰეჯირების ურთიერთობა კლასიფიცირდება).

ოფციონის დროითი ღირებულების აღრიცხვა

Ბ6.5.29 ოფციონი შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დროის პერიოდთან დაკავშირებულად, ვინაიდან მისი დროითი ღირებულება ასახავს ოფციონის მფლობელის დაცვის დანახარჯს გარკვეული პერიოდის განმავლობაში. თუმცა, შესაფერისი ასპექტი იმის შესაფასებლად, ოფციონი გარიგებასთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ჰეჯირებას ახდენს, თუ დროის პერიოდთან დაკავშირებულის, აღნიშნული ჰეჯირებული მუხლის მახასიათებლებია, მათ შორის, როდის და როგორ ახდენს მოგებაზე ან ზარალზე გავლენას. შესაბამისად, საწარმომ ჰეჯირებული მუხლის ბუნებაზე დაყრდნობით (მიუხედავად იმისა, ჰეჯირების ურთიერთობა ფულადი ნაკადების ჰეჯირებაა, თუ რეალური ღირებულების ჰეჯირება) უნდა შეაფასოს ჰეჯირებული მუხლის ტიპი (იხ. პუნქტი 6.5.15(ა)):

ა) ოფციონის დროითი ღირებულება დაკავშირებულია გარიგებასთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, თუ ჰეჯირებული მუხლი არის გარიგება, რომლისთვისაც დროით ღირებულებას აღნიშნული გარიგების დანახარჯების ხასიათი აქვს. ამის მაგალითია, როდესაც ოფციონის დროითი ღირებულება დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან, რომელიც იწვევს ისეთი მუხლის აღიარებას, რომლის თავდაპირველი შეფასება მოიცავს გარიგების დანახარჯებს (მაგალითად, საწარმო საქონლის ფასის

 © IFRS Foundation

რისკის წინააღმდეგ ახდენს საქონლის შესყიდვის ჰეჯირებას, იმის მიუხედავად, ეს პროგნოზირებული გარიგებაა თუ მყარი ვალდებულება და გარიგების დანახარჯებს ითვალისწინებს მარაგის საწყის შეფასებაში). თავდაპირველი შეფასებისას კონკრეტულ ჰეჯირებულ მუხლში ოფციონის დროითი ღირებულების გათვალისწინების შედეგად, დროითი ღირებულება გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე იმავე პერიოდში, რომელშიც ჰეჯირებული მუხლი. ანალოგიურად, საწარმო, რომელიც საქონლის გაყიდვის ჰეჯირებას ახდენს, იმის მიუხედავად, პროგნოზირებული გარიგება იქნება ის, თუ მყარი ვალდებულება, ოფციონის დროით ღირებულებას ითვალისწინებს როგორც აღნიშნულ გაყიდვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს (შესაბამისად, დროითი ღირებულება აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმავე პერიოდში, რომელშიც ჰეჯირებული გაყიდვიდან მიღებული ამონაგები);

ბ) ოფციონის დროითი ღირებულება დაკავშირებულია დროის პერიოდთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, თუ ჰეჯირებული მუხლის ბუნება ისეთია, რომ დროით ღირებულებას გააჩნია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში რისკის წინააღმდეგ დაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო დანახარჯების მახასიათებლები (მაგრამ ჰეჯირებული მუხლი არ წარმოშობს გარიგებას, რომელიც (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად მოიცავს გარიგების დანახარჯების ცნებას). მაგალითად, თუ საქონლის მარაგი ჰეჯირებულია 6 თვის მანძილზე რეალური ღირებულების შემცირების წინააღმდეგ, შესაბამისი ვადის მქონე სასაქონლო ოფციონის ხელშეკრულების გამოყენებით, ოფციონის დროითი ღირებულება მოგებაში ან ზარალში გადანაწილდება 6 თვის განმავლობაში (ე.ი ამორტიზდება სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე). მეორე მაგალითია 18 თვის მანძილზე უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება, რომელიც ჰეჯირებულია სავალუტო ოფციონის გამოყენებით და გამოიწვევს აღნიშნული ოფციონის დროით ღირებულებას გადაანაწილებს 18 თვეზე.

ბ6.5.30 ჰეჯირებული მუხლის მახასიათებლები (მათ შორის, როდის და როგორ ახდენს იგი გავლენას მოგებაზე ან ზარალზე) ასევე გავლენას ახდენს პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ამორტიზდება ოფციონის დროითი ღირებულება, რომელიც დროის პერიოდთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ჰეჯირებას ახდენს. იგი შესაბამისობაშია იმ პერიოდთან, რომლის განმავლობაშიც ჰეჯირების აღრიცხვის შესაბამისად ოფციონის საკუთარმა ღირებულებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოგებაზე ან ზარალზე. მაგალითად, თუ საპროცენტო განაკვეთის ოფციონი (ქეფი) გამოიყენება ცვალებადი განაკვეთის მქონე ობლიგაციაზე საპროცენტო დანახარჯების ზრდის თავიდან ასაცილებლად, აღნიშნული ქეფის დროითი ღირებულება მოგებაში ან ზარალში ამორტიზდება იმავე პერიოდში, რომელშიც ქეფის საკუთარი ღირებულება გავლენას მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე:

ა) თუ ქეფი ახდენს ცვალებადგანაკვეთიან ხუთწლიან ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის ჰეჯირებას პირველი სამი წლისათვის, აღნიშნული ქეფის დროითი ღირებულება ამორტიზდება პირველი სამი წლის განმავლობაში; ან

ბ) თუ აღნიშნული ქეფი არის მომავალში დასაწყები ოფციონი, რომელიც ცვალებადგანაკვეთიან ხუთწლიან ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის ჰეჯირებას ახდენს მეორე და მესამე წელს, აღნიშნული ქეფის დროითი ღირებულება ამორტიზდება მეორე და მესამე წლის განმავლობაში.

ბ6.5.31 6.5.15 პუნქტის შესაბამისად ოფციონის დროითი ღირებულების აღრიცხვა ასევე გამოიყენება შესყიდული და გაყიდული ოფციონების კომბინაციის მიმართ (ერთი წარმოადგენს ფუთ ოფციონს და მეორე ქოლ ოფციონს), რომელთაც ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების თარიღისთვის გააჩნია ნულოვანი ნეტო დროითი ღირებულება (ხშირად უწოდებენ „ნულოვანი დანახარჯის ქოლარს“). ასეთ შემთხვევაში, საწარმომ დროით ღირებულებაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება უნდა აღიაროს სხვა სრულ შემოსავალში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჰეჯირების ურთიერთობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში დროით ღირებულებაში მომხდარი კუმულაციური ცვლილება ნულია. შესაბამისად, თუ ოფციონის დროითი ღირებულება დაკავშირებულია:

ა) გარიგებასთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, ჰეჯირების ურთიერთობის ბოლოს დროითი ღირებულება, რომელიც ჰეჯირებულ მუხლს აკორექტირებს ან რეკლასიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში (იხ. პუნქტი 6.5.15(ბ)), იქნება ნული;

ბ) დროის პერიოდთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, დროით ღირებულებასთან დაკავშირებული ამორტიზაციის ხარჯი იქნება ნული.

ბ6.5.32 6.5.15 პუნქტის შესაბამისად, ოფციონის დროითი ღირებულების აღრიცხვა გამოიყენება მხოლოდ იმ მოცულობით, რომლითაც დროითი ღირებულება დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან (გათანაბრებული დროითი ღირებულება). ოფციონის დროითი ღირებულება დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან, თუ ოფციონის გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები (როგორიცაა ნომინალური ღირებულება, ვადა და ძირითადი ცვლადი) გათანაბრებულია ჰეჯირებულ მუხლთან. შესაბამისად, თუ ოფციონისა და ჰეჯირებული მუხლის გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები სრულად გათანაბრებული არ არის, საწარმომ უნდა განსაზღვროს გათანაბრებული დროითი ღირებულება, ე.ი პრემიაში გათვალისწინებული დროითი ღირებულების (ფაქტობრივი დროითი ღირებულება) რა ნაწილი უკავშირდება ჰეჯირებულ მუხლს (და, შესაბამისად, უნდა აღირიცხოს 6.5.15 პუნქტის შესაბამისად). საწარმო გათანაბრებულ დროით ღირებულებას განსაზღვრავს ოფციონის შეფასების გამოყენებით, რომელსაც ჰეჯირებულ მუხლთან იდეალურად თანმხვედრი გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები ექნება.

ბ6.5.33 თუ ფაქტობრივი და გათანაბრებული დროითი ღირებულებები განსხვავებულია, საწარმომ თანხა, რომელიც 6.5.15 პუნქტის შესაბამისად დაგროვილია კაპიტალის ცალკე კომპონენტად, უნდა განსაზღვროს შემდეგნაირად:

ა) თუ ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ფაქტობრივი დროითი ღირებულება მეტია გათანაბრებულ დროით ღირებულებაზე, საწარმომ:

(i) გათანაბრებული დროითი ღირებულების საფუძველზე უნდა განსაზღვროს თანხა, რომელიც დაგროვილია კაპიტალის ცალკე კომპონენტად; და

(ii) ორი დროითი ღირებულების რეალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღრიცხოს მოგებაში ან ზარალში.

ბ) თუ ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ფაქტობრივი დროითი ღირებულება ნაკლებია გათანაბრებულ დროით ღირებულებაზე, საწარმომ კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით დაგროვილი თანხა უნდა განსაზღვროს შემდეგი რეალური ღირებულებების კუმულაციური ცვლილებებიდან უმცირესის მიხედვით:

(i) ფაქტობრივი დროითი ღირებულება; და

(ii) გათანაბრებული დროითი ღირებულება.

ფაქტობრივი დროითი ღირებულების რეალური ღირებულების ნებისმიერი დარჩენილი ცვლილება უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდულ ელემენტსა და ფინანსური ინსტრუმენტის უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედის აღრიცხვა

ბ6.5.34 ფორვარდული ხელშეკრულება შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დროის პერიოდთან დაკავშირებულად, ვინაიდან მისი ფორვარდული ელემენტი ასახავს გარკვეული პერიოდის დანახარჯს (რომელიც არის ვადა, რომლისთვისაც იგი განსაზღვრულია). თუმცა, შესაფერისი ასპექტი იმის შესაფასებლად, ჰეჯირების ინსტრუმენტი გარიგებასთან დაკავშირებული მუხლის ჰეჯირებას ახდენს, თუ დროის პერიოდთან დაკავშირებულია, აღნიშნული ჰეჯირებული მუხლის მახასიათებლებია, მათ შორის, როდის და როგორ ახდენს გავლენას მოგებაზე ან ზარალზე. შესაბამისად, საწარმომ ჰეჯირებული მუხლის ტიპი (იხ. პუნქტი 6.5.15(ა)) ჰეჯირებული მუხლის ბუნებაზე დაყრდნობით უნდა შეაფასოს (იმის მიუხედავად, ჰეჯირების ურთიერთობა ფულადი ნაკადების ჰეჯირებაა, თუ რეალური ღირებულების ჰეჯირება):

ა) ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტი დაკავშირებულია გარიგებასთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, თუ ჰეჯირებული მუხლი არის

 © IFRS Foundation

გარიგება, რომლისთვისაც ფორვარდულ ელემენტს აღნიშნული გარიგების დანახარჯების ხასიათი აქვს. ამის მაგალითია, როდესაც ფორვარდული ელემენტი დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან, რომელიც იწვევს ისეთი მუხლის აღიარებას, რომლის თავდაპირველი შეფასება მოიცავს გარიგების დანახარჯებს (მაგალითად, საწარმო საქონლის ფასის რისკის წინააღმდეგ ახდენს საქონლის შესყიდვის ჰეჯირებას, იმის მიუხედავად, ეს პროგნოზირებული გარიგებაა, თუ მყარი ვალდებულება და გარიგების დანახარჯებს გაითვალისწინებს საქონლის მარაგის საწყის შეფასებაში). თავდაპირველი შეფასებისას კონკრეტულ ჰეჯირებულ მუხლში ფორვარდული ელემენტის გათვალისწინების შედეგად, ფორვარდული ელემენტი გავლენას ახდენს მოგებაზე ან ზარალზე იმავე პერიოდში, რომელშიც ჰეჯირებული მუხლი. ანალოგიურად, საწარმო, რომელიც უცხოურ ვალუტაში გამოსახულ საქონლის გაყიდვის ჰეჯირებას ახდენს სავალუტო რისკის მიმართ, იმის მიუხედავად, ეს პროგნოზირებული გარიგებაა, თუ მყარი ვალდებულება, მოიცავს ფორვარდულ ელემენტს, როგორც აღნიშნულ გაყიდვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს (შესაბამისად, ფორვარდული ელემენტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმავე პერიოდში, რომელშიც ჰეჯირებული გაყიდვიდან მიღებული ამონაგები);

ბ) ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტი დაკავშირებულია დროის პერიოდთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, თუ ჰეჯირებული მუხლის ბუნება ისეთია, რომ ფორვარდულ ელემენტს გააჩნია გარკვეული პერიოდის განმავლობაში რისკის წინააღმდეგ დაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო დანახარჯების მახასიათებლები (მაგრამ ჰეჯირებული მუხლი არ წარმოშობს გარიგებას, რომელიც (ა) ქვეპუნქტის შესაბამისად მოიცავს გარიგების დანახარჯების ცნებას). მაგალითად, თუ საქონლის მარაგი ჰეჯირებულია 6 თვის მანძილზე რეალური ღირებულების შემცირების წინააღმდეგ შესაბამისი ვადის მქონე ფორვარდული ელემენტის გამოყენებით, ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტი მოგებაში ან ზარალში გადანაწილდება 6 თვის განმავლობაში (ე.ი ამორტიზდება სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე). მეორე მაგალითია 18 თვის მანძილზე უცხოურ ქვედანაყოფში განხორციელებული ნეტო ინვესტიციის ჰეჯირება სავალუტო ფორვარდული ხელშეკრულების გამოყენებით, რომელიც გამოიწვევს აღნიშნული ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტის განაწილებას 18 თვეზე.

Ბ6.5.35 ჰეჯირებული მუხლის მახასიათებლები, მათ შორის, როდის და როგორ ახდენს იგი გავლენას მოგებაზე ან ზარალზე, ასევე გავლენას ახდენს პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ამორტიზდება ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტი, რომელიც დროის პერიოდთან დაკავშირებული ჰეჯირებული მუხლის ჰეჯირებას ახდენს, რაც ფორვარდულ ელემენტთან დაკავშირებულ პერიოდს წარმოადგენს. მაგალითად, თუ ფორვარდული ხელშეკრულება ახდენს სამთვიანი საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის რისკის ჰეჯირებას, სამი თვის პერიოდისათვის, რომელიც იწყება ექვსი თვის შემდეგ, ფორვარდული ხელშეკრულება ამორტიზდება მეშვიდე თვიდან მეცხრე თვის ჩათვლით პერიოდში.

Ბ6.5.36 6.5.16 პუნქტის შესაბამისად ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტის აღრიცხვა მაშინაც გამოიყენება, თუ ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტის ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირების თარიღისთვის ფორვარდული ელემენტი არის ნული. ასეთ შემთხვევაში, საწარმომ ფორვარდული ელემენტის რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება უნდა აღიაროს სხვა სრულ შემოსავალში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჰეჯირების ურთიერთობის მთლიანი პერიოდის განმავლობაში ფორვარდულ ელემენტთან დაკავშირებული რეალური ღირებულების კუმულაციური ცვლილება ნულია. შესაბამისად, თუ ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტი დაკავშირებულია:

ა) გარიგებასთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, ჰეჯირების ურთიერთობის ბოლოს ფორვარდული ელემენტის ღირებულება, რომელიც ჰეჯირებულ მუხლს აკორექტირებს ან რეკლასიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში (იხ. პუნქტები 6.5.15(ბ) და 6.5.16) იქნება ნული;

ბ) დროის პერიოდთან დაკავშირებულ ჰეჯირებულ მუხლთან, ფორვარდულ ელემენტთან დაკავშირებული ამორტიზაციის ხარჯი ნულის ტოლი იქნება.

Ბ6.5.37 6.5.16 პუნქტის შესაბამისად ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტის აღრიცხვა გამოიყენება მხოლოდ იმ მოცულობით, რომლითაც ფორვარდული ელემენტი დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან (გათანაბრებული ფორვარდული ელემენტი). ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტი დაკავშირებულია ჰეჯირებულ მუხლთან, თუ ფორვარდული ხელშეკრულების გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები (როგორიცაა ნომინალური ღირებულება, ვადა და ძირითადი ცვლადი) გათანაბრებულია ჰეჯირებულ მუხლთან. შესაბამისად, თუ ფორვარდული ხელშეკრულებისა და ჰეჯირებული მუხლის გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები არ არის სრულად გათანაბრებული, საწარმომ უნდა განსაზღვროს, გათანაბრებული ფორვარდული ელემენტი, ე.ი ფორვარდულ ხელშეკრულებაში ჩართული ფორვარდული ელემენტის (ფაქტობრივი ფორვარდული ელემენტი) რა ნაწილი უკავშირდება ჰეჯირებულ მუხლს (და, მაშასადამე, უნდა აღირიცხოს 6.5.16 პუნქტის შესაბამისად). საწარმო გათანაბრებულ ფორვარდულ ელემენტს განსაზღვრავს ფორვარდული ხელშეკრულების შეფასების გამოყენებით, რომელსაც ექნება ჰეჯირებულ მუხლთან იდეალურად თანმხვედრი გადამწყვეტი მნიშვნელობის პირობები.

Ბ6.5.38 თუ ფაქტობრივი და გათანაბრებული ფორვარდული ელემენტები განსხვავებულია, საწარმომ თანხა, რომელიც 6.5.16 პუნქტის შესაბამისად დაგროვილია კაპიტალის ცალკე კომპონენტად, უნდა განსაზღვროს შემდეგნაირად:

ა) თუ ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ფაქტობრივი ფორვარდული ელემენტის აბსოლუტური ღირებულება მეტია გათანაბრებული ფორვარდული ელემენტის ღირებულებაზე, საწარმომ:

(i) გათანაბრებული ფორვარდული ელემენტის საფუძველზე უნდა განსაზღვროს თანხა, რომელიც დაგროვილია კაპიტალის ცალკე კომპონენტად; და

(ii) ორი ფორვარდული ელემენტის რეალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღრიცხოს მოგებაში ან ზარალში;

ბ) თუ ჰეჯირების ურთიერთობის დაწყებისას ფაქტობრივი ფორვარდული ელემენტის აბსოლუტური ღირებულება/თანხა ნაკლებია გათანაბრებული ფორვარდული ელემენტის ღირებულებაზე, საწარმომ კაპიტალის ცალკე კომპონენტის სახით დაგროვილი თანხა უნდა განსაზღვროს შემდეგი რეალური ღირებულებების კუმულაციური ცვლილებებიდან უმცირესის მიხედვით:

(i) ფაქტობრივი ფორვარდული ელემენტის აბსოლუტური ღირებულება; და

(ii) გათანაბრებული ფორვარდული ელემენტის აბსოლუტური ღირებულება.

ფაქტობრივი ფორვარდული ელემენტის რეალური ღირებულების ნებისმიერი დარჩენილი ცვლილება უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

Ბ6.5.39 როდესაც საწარმო ფინანსური ინსტრუმენტისგან გამოაცალკევებს უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედს და გამორიცხავს მას ფინანსური ინსტრუმენტის ჰეჯირების ინსტრუმენტად კლასიფიცირებისას (იხ. პუნქტი 6.2.4(ბ)), გამოყენებაზე მითითებების პუნქტები Ბ6.5.34-Ბ6.5.38 უცხოური ვალუტის საბაზისო სპრედის მიმართ იმავენაირად გამოიყენება, როგორც ფორვარდული ხელშეკრულების ფორვარდული ელემენტისათვის.

მუხლების ჯგუფის ჰეჯირება (ნაწილი 6.6)

ნეტო პოზიციის ჰეჯირება

მუხლების ჯგუფის ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების შესაძლებლობა და ნეტო პოზიციის კლასიფიკაცია

Ბ6.6.1 ნეტო პოზიციის მონაწილეობა ჰეჯირების აღრიცხვაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო რისკის მართვის მიზნებისთვის ჰეჯირებას ახდენს ნეტო საფუძველზე. საწარმო ამგვარი გზით ახდენს თუ არა ჰეჯირებას, რეალური ფაქტის საკითხია (და არა უბრალოდ მტკიცებისა და დოკუმენტაციის). შესაბამისად, საწარმოს არ შეუძლია გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა ნეტო საფუძველზე მხოლოდ კონკრეტული სააღრიცხვო

 © IFRS Foundation

მიზნის მისაღწევად, თუ ეს არ ასახავს მის რისკის მართვის მიდგომას. ნეტო პოზიციის ჰეჯირება უნდა იყოს რისკის მართვის დადგენილი სტრატეგიის ნაწილი. როგორც წესი, რისკის მართვის სტრატეგია დამტკიცებული იქნება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიერ, როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ბასს 24-ში - *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“.*

ბ6.6.2 მაგალითად, საწარმოს, რომლის სამუშაო ვალუტაა ადგილობრივი ვალუტა, გააჩნია მყარი ვალდებულება სარეკლამო ხარჯებისთვის, 9 თვის მერე გადაიხადოს 150,000 უფე და მყარი ვალდებულება - 15 თვის მერე გაყიდოს მზა პროდუქცია 150,000 უფე-ად. საწარმო დებს უცხოური ვალუტის წარმოებულ გარიგებას, რომელიც განაღდდება 9 თვის მერე და რომლის თანახმად საწარმო იღებს 100 უფე და იხდის 70 ფე-ს. საწარმოს უცხოური ვალუტის მიმართ სხვა რისკი არ გააჩნია. მოცემული საწარმო სავალუტო რისკს არ მართავს ნეტო საფუძველზე. შესაბამისად, მას არ შეუძლია ჰეჯირების აღრიცხვის გამოყენება 9-თვიანი პერიოდისათვის უცხოური ვალუტის წარმოებულსა და 100 უფე ნეტო პოზიციას (შედგება 150,000 უფე მყარი შესყიდვის ვალდებულებისგან – ე.ი სარეკლამო მომსახურება – და 149,900 უფე-გან (150,000 უფე მყარი გაყიდვის ვალდებულებისგან)) შორის ჰეჯირების ურთიერთობისათვის.

ბ6.6.3 თუ საწარმო სავალუტო რისკს მართავდა ნეტო საფუძველზე და არ დადებდა უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტის გარიგებას (იმის გამო, რომ იგი შემცირების ნაცვლად ზრდის მის სავალუტო რისკს), მაშინ საწარმო 9 თვის შემდეგ იქნებოდა ბუნებრივი ჰეჯირების მდგომარეობაში. როგორც წესი, აღნიშნული ჰეჯირება არ აისახებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან მომავალში გარიგებების აღიარება ხდება სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდში. ნულოვანი ნეტო პოზიცია დასაშვები იქნებოდა ჰეჯირების აღრიცხვისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 6.6.6 პუნქტის მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა.

ბ6.6.4 როდესაც ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირდება მუხლების ჯგუფი, რომელიც ქმნის ნეტო პოზიციას, საწარმომ უნდა განსაზღვროს ნეტო პოზიციის შემადგენელი მუხლთა მთლიანი ჯგუფი. საწარმოს ნეტო პოზიციის ცალკეული ღირებულების კლასიფიცირების უფლება არა აქვს. მაგალითად, საწარმოს გააჩნია 9 თვის შემდეგ მყარი გაყიდვის ვალდებულებების ჯგუფი 100 უფე ღირებულების და 18 თვის შემდეგ მყარი შესყიდვის ვალდებულებების ჯგუფი 120 უფე ღირებულებით. საწარმოს ნეტო პოზიციის ცალკეული ღირებულების 20 უფე-ის კლასიფიცირება არ შეუძლია. ნაცვლად ამისა, მან ჰეჯირებულ მუხლად უნდა მიიჩნიოს ჰეჯირებული ნეტო პოზიციის შემადგენელი შესყიდვების მთლიანი ღირებულება და გაყიდვების მთლიანი ღირებულება. საწარმომ ნეტო პოზიციის წარმომქმნელი მთლიანი პოზიცია უნდა მიიჩნიოს ჰეჯირებულ მუხლად, რათა დააკმაყოფილოს ჰეჯირების ურთიერთობის აღრიცხვის მოთხოვნები.

ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნების გამოყენება ნეტო პოზიციის ჰეჯირების მიმართ

ბ6.6.5 ნეტო პოზიციის ჰეჯირებისას, როდესაც საწარმო ადგენს, დაკმაყოფილებულია თუ არა 6.4.1(გ) პუნქტის ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნები, მან უნდა გაითვალისწინოს ნეტო პოზიციაში შემავალი მუხლების ღირებულებათა ცვლილებები, რომლებსაც გააჩნია იმის მსგავსი გავლენა, რაც ჰეჯირების ინსტრუმენტებს აქვს ჰეჯირების ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებებთან მიმართებით. მაგალითად, საწარმოს გააჩნია 9 თვის შემდეგ მყარი გაყიდვის ვალდებულებების ჯგუფი 100 უფე ღირებულების და 18 თვის შემდეგ მყარი შესყიდვის ვალდებულებების ჯგუფი 120 უფე ღირებულებით. იგი 20 უფე-ის ღირებულების ნეტო პოზიციის სავალუტო რისკის ჰეჯირებას ახდენს 20 უფე ღირებულების ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებით. როდესაც საწარმო ადგენს, დაკმაყოფილებულია თუ არა 6.4.1(გ) პუნქტის ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნები, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ურთიერთკავშირი შემდეგ სიდიდეებს შორის:

ა) ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილება, მყარი გაყიდვის ვალდებულების ღირებულების სავალუტო რისკთან დაკავშირებულ ცვლილებებთან ერთად; და

ბ) მყარი შესყიდვის ვალდებულების ღირებულების სავალუტო რისკთან დაკავშირებული ცვლილებები.

Ბ6.6.6 ანალოგიურად, თუ Ბ6.6.5 პუნქტში მოცემულ მაგალითში საწარმოს ექნებოდა ნულოვანი ნეტო პოზიცია, იგი გაითვალისწინებდა მყარი გაყიდვის ვალდებულების ღირებულების სავალუტო რისკთან დაკავშირებულ ცვლილებებსა და მყარი შესყიდვის ვალდებულების ღირებულების სავალუტო რისკთან დაკავშირებულ ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირს, იმის დასადგენად, დაკმაყოფილებულია თუ არა 6.4.1(გ) პუნქტის ჰეჯირების ეფექტურობის მოთხოვნები.

ფულადი ნაკადების ჰეჯირება, რომელიც წარმოქმნის ნეტო პოზიციას

Ბ6.6.7 როდესაც საწარმო ახდენს ურთიერთგადამფარავი რისკების პოზიციების მქონე მუხლების ჯგუფის ჰეჯირებას (ე.ი ნეტო პოზიციის), ჰეჯირების აღრიცხვის დაშვებადობა დამოკიდებულია ჰეჯირების ტიპზე. თუ ჰეჯირება რეალური ღირებულების ჰეჯირებაა, მაშინ ნეტო პოზიცია შეიძლება აკმაყოფილებდეს ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმებს. თუმცა, თუ ჰეჯირება ფულადი ნაკადების ჰეჯირებაა, მაშინ ნეტო პოზიცია ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირების კრიტერიუმებს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აკმაყოფილებდეს, თუ იგი არის სავალუტო რისკის ჰეჯირება და აღნიშნული ნეტო პოზიციის კლასიფიცირება განსაზღვრავს საანგარიშგებო პერიოდს, რომელშიც მოსალოდნელია, რომ პროგნოზირებული გარიგება გავლენას მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე და ასევე განსაზღვრავს მის ტიპსა და მოცულობას.

Ბ6.6.8 მაგალითად, საწარმოს გააჩნია ნეტო პოზიცია, რომელიც შედგება გაყიდვების ქვედა ფენისგან 100 უფე ღირებულებით და შესყიდვების ქვედა ფენისგან, 150 უფე ღირებულებით. გაყიდვებიც და შესყიდვებიც გამოსახულია ერთი და იმავე უცხოურ ვალუტაში. ჰეჯირებული ნეტო პოზიციის კლასიფიცირების საკმარისად განსაზღვრის მიზნით, საწარმო ჰეჯირების ურთიერთობის თავდაპირველ დოკუმენტაციაში განსაზღვრავს, რომ გაყიდვა შესაძლოა იყოს „ა“ ან „ბ“ პროდუქტის და შესყიდვა შესაძლოა იყოს „ა“ ან „ბ“ სახის მანქანა-დანადგარის და „ა“ მასალის. საწარმო ასევე განსაზღვრავს თითოეული სახის გარიგების მოცულობას. საწარმო დოკუმენტურად აფორმებს, რომ გაყიდვების ქვედა ფენა (100 უფე) შედგება „ა“ პროდუქტის პროგნოზირებული გაყიდვების პირველი 70 უფე-გან და „ბ“ პროდუქტის პროგნოზირებული გაყიდვების პირველი 30 უფე-გან. თუ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული გაყიდვები მოგებაზე ან ზარალზე გავლენას მოახდენს სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდში, საწარმო ამას ასახავს დოკუმენტაციაში. ასე, მაგალითად „ა“ პროდუქტის პროგნოზირებული გაყიდვების პირველი 70 უფე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მოგებაზე ან ზარალზე გავლენას მოახდენს პირველ საანგარიშგებო პერიოდში და „ბ“ პროდუქტის პროგნოზირებული გაყიდვების პირველი 30 უფე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მოგებაზე ან ზარალზე გავლენას მოახდენს მეორე საანგარიშგებო პერიოდში. საწარმო ასევე განსაზღვრავს, რომ შესყიდვების ქვედა ფენა (150 უფე) შედგება „ა“ სახის მანქანა-დანადგარის შესყიდვის პირველი 60 უფე-ისა და ასევე „ბ“ სახის მანქანა-დანადგარის შესყიდვის პირველი 40 უფე-ისა და „ა“ მასალის შესყიდვის პირველი 50 უფე-ისგან. თუ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული შესყიდვები მოგებაზე ან ზარალზე გავლენას მოახდენს სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდში, საწარმო დოკუმენტაციაში ასახავს შესყიდვის მოცულობათა კლასიფიცირებას იმ პერიოდების მიხედვით, რომელშიც მოსალოდნელია, რომ ისინი გავლენას მოახდენს მოგებაზე ან ზარალზე (გაყიდვების მოცულობის დოკუმენტირების მსგავსად). მაგალითად, პროგნოზირებული გარიგება განისაზღვრება როგორც:

ა) „ა“ სახის მანქანა-დანადგარის შესყიდვის პირველი 60 უფე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მოგებაზე ან ზარალზე გავლენას მოახდენს მესამე პერიოდიდან დაწყებული მომდევნო 10 პერიოდის განმავლობაში;

ბ) „ბ“ სახის მანქანა-დანადგარის შესყიდვის პირველი 40 უფე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მოგებაზე ან ზარალზე გავლენას მოახდენს მეოთხე პერიოდიდან დაწყებული მომდევნო 20 პერიოდის განმავლობაში; და

გ) „ა“ მასალის შესყიდვის პირველი 50 უფე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იქნება მესამე საანგარიშგებო პერიოდში და გაიყიდება, ე.ი მოგებაზე ან ზარალზე გავლენას მოახდენს აღნიშნულ და მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

პროგნოზირებული გარიგებების მოცულობების ტიპის განსაზღვრა მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა ძირითადი საშუალებების ცვეთის ხასიათი, თუ აღნიშნული მუხლების ბუნება ისეთია, რომ ცვეთის ხასიათი შეიძლება შეიცვალოს საწარმოს მიერ აღნიშნული მუხლების

 © IFRS Foundation

გამოყენების მოდელის მიხედვით. მაგალითად, თუ საწარმო „ა“ სახის მანქანა-დანადგარს იყენებს ორ სხვადასხვა საწარმოო პროცესში, რომელიც შესაბამისად იწვევს ცვეთის 10 წლიანი წრფივი მეთოდისა და გამომუშავებულ ერთეულთა ჯამის მეთოდის გამოყენებას, „ა“ სახის მანქანა-დანადგარის შესყიდვის მოცულობის დოკუმენტაციაში მოცულობები გამიჯნული იქნება ცვეთის აღნიშნული მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

Ბ6.6.9 ნეტო პოზიციის ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას, 6.5.11 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული თანხა უნდა მოიცავდეს ნეტო პოზიციაში შემავალ მუხლთა ღირებულების ცვლილებებს, რომლებსაც ისეთივე გავლენა აქვთ, რაც ჰეჯირების ინსტრუმენტებს, ასევე ჰეჯირების ინსტრუმენტის რეალური ღირებულების ცვლილებას. თუმცა, ჰეჯირების ინსტრუმენტის მსგავსი გავლენის მქონე ნეტო პოზიციის მუხლთა ღირებულების ცვლილებები აღიარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღიარდება გარიგებები, რომლებსაც ისინი უკავშირდება (მაგალითად, როდესაც პროგნოზირებული გაყიდვა აღიარდება, როგორც ამონაგები). ვთქვათ, საწარმოს გააჩნია 9 თვის შემდეგ მაღალი ალბათობით მოსალოდნელი მყარი გაყიდვის ვალდებულებების ჯგუფი 100 უფე ღირებულებით და 18 თვის შემდეგ მაღალი ალბათობით მოსალოდნელი მყარი შესყიდვის ვალდებულებების ჯგუფი 120 უფე ღირებულებით. იგი 20 უფე-ის ღირებულების ნეტო პოზიციის სავალუტო რისკის ჰეჯირებას ახდენს 20 უფე ღირებულების ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულებით. როდესაც საწარმო განსაზღვრავს 6.5.11(ა)-6.5.11(ბ) პუნქტების შესაბამისად ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვში ასაღიარებელ თანხას, იგი ერთმანეთს უდარებს:

ა) ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულების რეალური ღირებულების ცვლილებას მაღალი ალბათობით მოსალოდნელი მყარი გაყიდვის ვალდებულების ღირებულების სავალუტო რისკთან დაკავშირებულ ცვლილებებთან ერთად; და

ბ) მაღალი ალბათობით მოსალოდნელი მყარი შესყიდვის ვალდებულების ღირებულების სავალუტო რისკთან დაკავშირებულ ცვლილებას.

თუმცა, საწარმო ფორვარდულ გაცვლით ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ თანხებს აღიარებს მხოლოდ მანამ, სანამ მაღალი ალბათობით მოსალოდნელი პროგნოზირებული გარიგება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება, რა დროსაც აღნიშნულ გარიგებებთან დაკავშირებით აღიარდება შემოსულობა ან ზარალი (ე.ი ჰეჯირების ურთიერთობის კლასიფიცირებასა და ამონაგების აღიარებას შორის პერიოდში სავალუტო კურსის ცვლილებაზე მიკუთვნებული ღირებულების ცვლილებები).

Ბ6.6.10 ანალოგიურად, თუ აღნიშნულ მაგალითში საწარმოს ექნებოდა ნულის ტოლი ნეტო პოზიცია, იგი მაღალი ალბათობით მოსალოდნელი გაყიდვის პროგნოზირებული გარიგების სავალუტო რისკთან დაკავშირებული ღირებულების ცვლილებას შეუდარებდა მაღალი ალბათობით მოსალოდნელი შესყიდვის პროგნოზირებული გარიგების სავალუტო რისკით გამოწვეულ ღირებულების ცვლილებას. თუმცა, აღნიშნული თანხები მხოლოდ მაშინ აღიარდება, როდესაც დაკავშირებული პროგნოზირებული გარიგებები აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებული მუხლების ჯგუფის ფენები

Ბ6.6.11 Ბ6.3.19 პუნქტში ნახსენები მიზეზების გამო, ჰეჯირებულ მუხლად კლასიფიცირებული მუხლების ჯგუფის ფენის კომპონენტის კლასიფიცირება მოითხოვს მუხლების ჯგუფის ნომინალური ღირებულების ზუსტად დადგენას, საიდანაც ჰეჯირებული ფენის კომპონენტი არის განსაზღვრული.

Ბ6.6.12 ჰეჯირების ურთიერთობა შესაძლოა მოიცავდეს ფენებს რამდენიმე სხვადასხვა მუხლის ჯგუფიდან. მაგალითად, აქტივების ჯგუფისა და ვალდებულებების ჯგუფის ნეტო პოზიციის ჰეჯირებისას, ჰეჯირების ურთიერთობა შესაძლოა შედგებოდეს, ერთობლივად აქტივების ჯგუფის ფენის კომპონენტისა და ვალდებულებების ჯგუფის ფენის კომპონენტისგან.

ჰეჯირების ინსტრუმენტის შემოსულობისა და ზარალის წარდგენა

Ბ6.6.13 თუ ფულადი ნაკადების ჰეჯირებისას მუხლთა ჰეჯირება ერთად ხდება როგორც ჯგუფის, მათ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების

სხვადასხვა მუხლზე. აღნიშნულ ანგარიშგებაში ჰეჯირების შემოსულობის ან ზარალის ასახვა დამოკიდებულია მუხლების ჯგუფზე.

Ბ6.6.14 თუ მუხლების ჯგუფს არ გააჩნია ურთიერთგადამფარავი რისკების პოზიცია (მაგალითად, სავალუტო რისკისთვის ჰეჯირებულია უცხოურ ვალუტაში გამოსახული ხარჯების ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგების სხვადასხვა მუხლზე), მაშინ რეკლასიფიცირებული ჰეჯირების ინსტრუმენტის შემოსულობა ან ზარალი უნდა გადანაწილდეს მუხლებზე, რომლებზეც გავლენას ახდენს ჰეჯირებული მუხლი. აღნიშნული განაწილება უნდა მოხდეს სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე და არ უნდა გამოიწვიოს კონკრეტულ ჰეჯირების ინსტრუმენტთან დაკავშირებით ნეტო შემოსულობის ან ზარალის წარმოქმნა.

Ბ6.6.15 თუ მუხლების ჯგუფს გააჩნია ურთიერთგადამფარავი რისკების პოზიცია (მაგალითად, უცხოურ ვალუტაში გამოსახული გაყიდვებისა და ხარჯების ჯგუფისთვის სავალუტო რისკის ერთობლივად ჰეჯირება), მაშინ საწარმომ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჰეჯირების შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს ცალკე მუხლის სახით. განვიხილოთ, მაგალითად 100 უფე ღირებულების გაყიდვებისა და 80 უფე ღირებულების ხარჯების ნეტო პოზიციის სავალუტო რისკის ჰეჯირება, 20 უფე ღირებულების ფორვარდული გაცვლითი ხელშეკრულების გამოყენებით. ფორვარდულ გაცვლით ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი, რომელიც ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვიდან რეკლასიფიცირებულია მოგებაში, ან ზარალში (როდესაც ნეტო პოზიცია გავლენას ახდენს მოგებასა და ზარალზე), ჰეჯირებული გაყიდვებისა და ხარჯებისაგან განცალკევით, ცალკე მუხლად უნდა აისახოს. გარდა ამისა, თუ შესაბამისი გაყიდვის ოპერაციები უფრო ადრინდელ პერიოდში განხორციელდა, ვიდრე ხარჯები, გაყიდვიდან მიღებული ამონაგები მაინც შეფასდება სპოტ სავალუტო კურსით, ბასს 21-ის შესაბამისად. შესაბამისი ჰეჯირების შემოსულობა ან ზარალი, საწარმომ უნდა წარადგინოს, როგორც ცალკე მუხლი ისე, რომ მოგება და ზარალი ასახავდეს ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვში შესაბამისი კორექტირებით წარმოქმნილი ნეტო პოზიციის ჰეჯირების ეფექტს. როდესაც ჰეჯირებული ხარჯები მოგებასა და ზარალზე გავლენას ახდენს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, გაყიდვისას ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვში აღიარებული ჰეჯირების შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში და აისახება ჰეჯირებული ხარჯების შემცველი მუხლისაგან განცალკევებით, რომელიც ბასს 21-ის შესაბამისად შეფასდება სპოტ სავალუტო კურსით.

Ბ6.6.16 რეალური ღირებულების ზოგიერთი ჰეჯირებისთვის, ჰეჯირების მიზანია არა უპირატესად ჰეჯირებული მუხლის რეალური ღირებულების ცვლილებათა გადაფარვა, არამედ ჰეჯირებული მუხლის ფულადი ნაკადების გარდაქმნა. მაგალითად, საწარმო ფიქსირებულგანაკვეთიანი სავალო ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირებას ახდენს საპროცენტო განაკვეთის სვოპის გამოყენებით. საწარმოს ჰეჯირების მიზანია, ფიქსირებული განაკვეთის ფულადი ნაკადების გარდაქმნა ცვალებადგანაკვეთიან ფულად ნაკადებად. აღნიშნული მიზანი ჰეჯირების ურთიერთობის აღრიცხვაში აისახება საპროცენტო განაკვეთის სვოპზე დარიცხული ნეტო პროცენტის ასახვით მოგებასა და ზარალში. ნეტო პოზიციის ჰეჯირებისას (მაგალითად, ფიქსირებულგანაკვეთიანი აქტივისა და ფიქსირებულგანაკვეთიანი ვალდებულების ნეტო პოზიცია) ზემოაღნიშნული ნეტო დარიცხული პროცენტი უნდა აისახოს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ცალკე მუხლის სახით. ამის მიზეზია ის, რომ თავიდან აგვაცილოს კონკრეტული ინსტრუმენტის ნეტო შემოსულობის ან ზარალის გარდაქმნა ურთიერთგადამფარავ ბრუტო თანხებში და მათი ასახვა სხვადასხვა მუხლად (მაგალითად, ამგვარი მიდგომა თავიდან აგვაცილებს კონკრეტულ საპროცენტო განაკვეთის სვოპზე ნეტო საპროცენტო თანხების გარდაქმნას ბრუტო საპროცენტო ამონაგებად და ბრუტო საპროცენტო ხარჯად).

 © IFRS Foundation

ძალაში შესვლის თარიღი და მოცემულ სტანდარტზე გადასვლა (მე-7 თავი)

გარდამავალი დებულებები (ნაწილი 7.2)

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები

Ბ7.2.1 წინამდებარე სტანდარტის პირველად გამოყენების თარიღისათვის, საწარმომ უნდა განსაზღვროს, საწარმოს რომელიმე ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული ბიზნესმოდელი ხომ არ აკმაყოფილებს 4.1.2(ა), ან 4.1.2ა(ა) პუნქტის პირობებს, ან შესაძლებელია თუ არა ფინანსურ აქტივთან მიმართებით 5.7.5 პუნქტით გათვალისწინებული არჩევანის უფლების გამოყენება. ამ მიზნით, საწარმომ ისე უნდა დაადგინოს ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს თუ არა სავაჭროდ გამიზნულის განმარტებას, როგორც გადაწყვეტდა ამ საკითხს, მოცემული აქტივი შეძენისას წინამდებარე სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის.

გაუფასურება

Ბ7.2.2 ამ სტანდარტზე გადასვლისას, საწარმომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას უნდა სცადოს საკრედიტო რისკის მიახლოებითი მნიშვნელობის დადგენა, მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე ხელმისაწვდომი ყველა გონივრული და ღირებული ინფორმაციის საფუძველზე. საწარმოს არ ევალება ინფორმაციის დაუსრულებელი ძიება იმის დასადგენად, სტანდარტზე გადასვლის თარიღის მდგომარეობით საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილია თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. თუ საწარმოს არ შეუძლია ამის დადგენა მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე, მაშინ მან უნდა გამოიყენოს 7.2.20 პუნქტი.

Ბ7.2.3 იმისათვის, რომ ზარალის რეზერვი განსაზღვროს ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც თავდაპირველად აღიარებული იყო (ან სესხის გაცემის ვალდებულებების, ან ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მონაწილე მხარე გახდა საწარმო) ამ სტანდარტის პირველად გამოყენების თარიღამდე, საწარმომ სტანდარტზე გადასვლის მომენტში და შემდგომშიც, აღნიშნული მუხლების აღიარების შეწყვეტამდე, უნდა გააანალიზოსოს ინფორმაცია, რომელიც შესაფერისია საკრედიტო რისკის სიდიდის ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობის დასადგენად ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას. Ბ5.5.1–Ბ5.5.6 პუნქტების შესაბამისად თავდაპირველი აღიარებისას საკრედიტო რისკის ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობის განსაზღვრისთვის საწარმოს უფლება აქვს, განიხილოს შიდა და გარე ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია პორტფელის შესახებ.

Ბ7.2.4 საწარმოს, რომელსაც წარსული პერიოდების მწირი ინფორმაცია აქვს, შეუძლია შიდა ანგარიშებიდან აღებული ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების გამოყენება (რომელიც შეიძლება მომზადდა ახალი პროდუქტის გამოშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას), ასევე მსგავსი პროდუქტების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის, ან ანალოგიური საწარმოების გამოცდილების გამოყენება შესადარის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში, თუ ეს შესაფერისია.

განმარტებები (დანართი „ა“)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

Ბა.1 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ტიპური მაგალითებია ფიუჩერსული და ფორვარდული ხელშეკრულებები, სვოპისა და ოფციონის ხელშეკრულებები. წარმოებულს, უმეტეს შემთხვევაში, გააჩნია პირობითი სიდიდე, რომელიც წარმოადგენს ვალუტის რაოდენობას, აქციათა რიცხვს, მოცულობისა და წონის ერთეულების რაოდენობას და ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა ერთეულებს. თუმცა, წარმოებული ინსტრუმენტი ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისათვის არ მოითხოვს მფლობელისა და გამყიდველის მხრიდან ზემოხსენებული პირობითი რაოდენობის ინვესტირებას ან მიღებას. მეორე მხრივ, წარმოებული ინსტრუმენტი შეიძლება მოითხოვდეს ფიქსირებული ან ცვალებადი თანხების გადახდას (მაგრამ არა ხელშეკრულების საგნის ღირებულების

ცვლილების პროპორციულად), ზოგიერთი მომავალი მოვლენის შედეგად, რომელიც არ უკავშირდება პირობით რაოდენობას. მაგალითად, ხელშეკრულების მოთხოვნა შეიძლება იყოს 1,000 ფე ოდენობით ფიქსირებული თანხის გადახდა, თუ ექვსთვიანი LIBOR გაიზრდება 100 საბაზისო პუნქტით. ასეთი ხელშეკრულება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტია მაშინაც, როდესაც პირობითი რაოდენობა განსაზღვრული არ არის.

ბა.2 ამ სტანდარტის მიხედვით, წარმოებული ინსტრუმენტის განმარტება მოიცავს ხელშეკრულებებს, რომელთა განაღდებაც ხდება ძირითადი მუხლის მიწოდებით (მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის მქონე სავალო ინსტრუმენტის შესყიდვის ფორვარდული ხელშეკრულება). საწარმოს შეიძლება გააჩნდეს არაფინანსური მუხლის ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულება, რომელიც განაღდებული იქნება ნეტო ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, ან ფინანსური ინსტრუმენტების გაცვლით (მაგალითად, მომავალი თარიღისათვის საქონლის ფიქსირებული ფასით ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულება). ასეთი ხელშეკრულება ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელშეკრულება საწარმომ დადო და შენარჩუნებული აქვს არაფინანსური მუხლის მიღების ან გადაცემის მიზნით, საწარმოს შესყიდვის, გაყიდვის ან შიდა გამოყენების მოსალოდნელი მოთხოვნილებების შესაბამისად. თუმცა, წინამდებარე სტანდარტი ეხება ამგვარ ხელშეკრულებებს საწარმოს მოსალოდნელ შესყიდვებთან, გაყიდვებთან ან გამოყენებასთან მიმართებით, თუ საწარმო ამ მუხლებს კლასიფიკაციას ანიჭებს 2.5 პუნქტის შესაბამისად. (იხ. 2.4-2.7 პუნქტები)

ბა.3 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ მას უფრო მცირე ნეტო საწყისი ინვესტიცია გააჩნია, ვიდრე საჭირო იქნებოდა სხვა ტიპის ხელშეკრულების დადებისას, რომლებიც მსგავს რეაგირებას მოახდენდა საბაზრო ფაქტორებზე. ოფციონის ხელშეკრულებას აღნიშნული განმარტება იმიტომ მიესადაგება, რომ პრემია იმ ინვესტიციაზე უფრო მცირეა, რომელიც საჭირო იქნებოდა საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტის მიღების შემთხვევაში, რომელსაც ოფციონი უკავშირდება. სავალუტო სვოპს, რომელიც მოითხოვს ერთი და იმავე რეალური ღირებულების მქონე განსხვავებული ვალუტის თავდაპირველ გაცვლას, აღნიშნული განმარტება იმიტომ მიესადაგება, რომ მას გააჩნია ნულოვანი საწყისი ნეტო ინვესტიცია.

ბა.4 ფინანსური ინსტრუმენტის ჩვეულებრივი გზით (სტანდარტული პირობებით) ყიდვა-გაყიდვა იწვევს ფიქსირებული ფასის მქონე ვალდებულების წარმოქმნას გარიგებისა და გადახდის თარიღებს შორის, რასაც წარმოებული ინსტრუმენტის განმარტება მიესადაგება. თუმცა, ვალდებულების მცირე ვადის გამო, იგი არ აღიარდება, როგორც წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი. ამის ნაცვლად, აღნიშნული სტანდარტი გვთავაზობს ჩვეულებრივი ხელშეკრულებების აღრიცხვის სპეციალურ გზებს (იხ. პუნქტები 3.1.2 და ბ3.1.3-ბ3.1.6).

ბა.5 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის განმარტება ეხება არაფინანსურ ცვლადებს, რომლებიც არ არის ხელშეკრულების სპეციფიკური ნაწილი. აღნიშნული მოიცავს ცალკეულ რეგიონში მიწისძვრით მიღებული ზარალისა და ცალკეულ ქალაქებში ტემპერატურების ინდექსებს. ხელშეკრულების სპეციფიკური შემადგენელი ნაწილი - არაფინანსური ცვლადები, შეიცავს ხანძრის გაჩენის ან არგაჩენის ფაქტს, რაც ზიანს აყენებს ან ანადგურებს ხელშეკრულების შემადგენელ აქტივს. არაფინანსური აქტივის რეალური ღირებულების ცვლილება სპეციფიკურია მფლობელისათვის, თუ რეალური ღირებულება ასახავს არა მხოლოდ ამგვარი აქტივების (ფინანსური ცვლადი) საბაზრო ფასების ცვლილებებს, არამედ ფლობილი სპეციფიკური არაფინანსური აქტივის (არაფინანსური ცვლადი) მდგომარეობასაც. მაგალითად, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ავტომანქანის ნარჩენი ღირებულების გარანტია თავდებს (გარანტიის გამცემს) აყენებს მანქანის ფიზიკური მდგომარეობის ცვლილების რისკის წინაშე, ნარჩენი ღირებულების ცვლილების რისკი მანქანის მფლობელის რისკია.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ბა.6 ვაჭრობა, ძირითადად, ასახავს აქტიური და ხშირი ყიდვა-გაყიდვის პროცესს და სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტები, ძირითადად, ფასებისა და დილერის მარჟის მოკლევადიანი ცვლილებიდან მოგების მიღების მიზნით გამოიყენება.

 © IFRS Foundation

ბა.7 სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ვალდებულებები მოიცავს:

ა) წარმოებულ ვალდებულებებს, რომლებიც არ მიიჩნევა ჰეჯირების ინსტრუმენტებად;

ბ) ისეთი ფინანსური აქტივების მიწოდების ვალდებულებებს, რომელიც საწარმოს ნასესხები აქვს, მაგრამ მათ ჯერ არ ფლობს;

გ) ახლო მომავალში გამოსყიდვის განზრახვით აღიარებულ ფინანსურ ვალდებულებებს (ე.ი. კოტირებულ სავალო ინსტრუმენტს, რომელიც ემიტენტს შეუძლია ახლო პერიოდში უკან შეისყიდოს, მათი რეალური ღირებულების ცვლილების გათვალისწინებით); და

დ) ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოადგენს ერთიანად მართული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომლის აშკარა დამახასიათებელი ნიშანია მოკლევადიან პერიოდში მოგების მიღება.

ბა.8 ის ფაქტი, რომ ვალდებულება გამოიყენება სავაჭრო საქმიანობის დაფინანსებისათვის, თავის-თავად არ ნიშნავს იმას, რომ ეს არის სავაჭროდ გამიზნული ვალდებულება.